ISSN 1512-464

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალი ეკონომისტი

საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი
სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

1591/2
2012

№1, 2012 წელი

ეკონომიკური პოლიტიკა (მთავრობის, ბიზნესმენთა და მეცნიერთა პოზიციები)

გადასახადები, ბუღალტრული აღრიცხვა, აუდიტი

ბიზნესი და მენეჯმენტი

საბანკო საქმე (ბანკირი, ბიზნესმენი, მეანაბრე)

საკანონმდებლო სიახლენი (სამეწარმეო სამართალი), კომენტარები

მეწარმეთა კითხვები და პროფესიონალთა პასუხები

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჟურნალი "ახალი ეკონომისტი" რეფერირდება:

სსიპ ინსტიტუტ ტექინფორმის ელექტრონულ გამოცემებში "ქართულ რეფერატულ ჟურნალში".

## აღიარებულია რეფერირებულად:

- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;
- გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი;
- თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი, ESM ბიზნესის სკოლა;
- კავკასიის უნივერსიტეტი;
- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი;
- შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი;
- ოდესის მეჩნიკოვის სახელობის ეროვნული უნივერსიტეტი (ქ. ოდესა, უკრაინა);
- კავკასიის სტრატეგიული კვლევის ინსტიტუტი (ქ. ბაქო, აზერბაიჯანი);
- ბელორუსიის სახელმწიფო უნივერსიტეტი. (ქ. მინსკი, ბელორუსია);
- ყაზახეთის ეკონომიკის, ფინანსებისა და საგარეო ვაჭრობის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ასტანა, ყაზახეთი).

**ტექნიკური პერსონალი:**
მარკეტინგი: **რუსუდან მაისურაძე**

**მისამართი:** 0105, საქართველო, თბილისი ჯორჯაძის ქ. №5
ტელ.: +995 (32) 422 771; +995 (32) 990 576;
მობ.: +995 (55) 277 554; +995 (95) 32 30 34;
ელ ფოსტა: info@economisti.ge; info@loi.ge
ვებ-გვერდი: www.economisti.ge; www.loi.ge

## The Magazine "Akhali Ekonomisti" (New Economist) IS REVIEWED:

In "Georgian Reviewed Magazine" – P.L.L.E. Iinstitute of Techinform

## IS KNOWN AS REVIEW BY:

- I. Javakhishvili Tbilisi State University;
- Ilia State University;
- Georgian Technical University;
- Grigol Robaqidze University;
- Tbilisi Free University, ESM Busin School;
- Caucasus University;
- Sukhumi State University;
- Shota Rustaveli State University;
- Akhaltsikhe State University;
- Shota Meskhia State University of Zugd
- Akaki Tsereteli State University;
- Saint Andrew the First Called Geor University of the Patriarchate of Georgia;
- Odessa Mechnikov National Univer (Odessa, Ukraine);
- Institute of Strategic Studies of the Cauca (Baku, Azerbaijan);
- State University of Byclorussia; (Minsk, Byelorussia);
- University of Kazakhstan of Econ Finances and International Trade (As Kazakhstan).

**TECHNICAL PERSONS:**
Marketing: **RUSUDAN MAISURADZE**

**ADDRES:** 5 Jorjadze str., Tbilisi, Georgia, 0105
tel.: +995 (32) 422 771; +995 (32) 990 576;
mob.: +995 55 277 554; +995 (95) 32 30 34;
e-mail: info@economisti.ge; info@loi.ge
veb-site: www.economisti.ge; www.loi.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალი ეკონომისტი

ყოველკვარტალური საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი №1(24), 2012

ლოიდ ქარჩავა - მთავარი რედაქტორი და სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, პროფესორი.

სარედაქციო კოლეგია:

მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები:

ალექსეი დანილჩენკო - ნომრის რედაქტორი

(ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, ბელორუსის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების კათედრის გამგე, პროფესორი)

რამაზ აბესაძე; ანზორ აბრალავა; იური ანანიაშვილი; როზეტა ასათიანი; ევგენი ბარათაშვილი; როსტომ ბერიძე (შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის დირექტორი); გივი გამსახურდია; თამარ გამსახურდია; თინა გელაშვილი (ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი); სიმონ გელაშვილი; რევაზ გველესიანი (ეკონომიკური პოლიტიკისა და ეკონომიკური განათლების ქართულ-გერმანული ინსტიტუტის დირექტორი); მიხეილ გოგატიშვილი; რევაზ გოგოხია (ჟურნალ „ეკონომიკა და ბიზნესი"-ს მთავარი რედაქტორი); ვლადიმირ გრიგოლაია (მოსკოვი, რუსეთის ფედერაცია); ვოლფგანგ ვენგი (ბერლინი, გერმანია); შოთა ვეშაპიძე; ნუგზარ თოდუა; გოჩა თუთბერიძე; სერგეი იაკუბოვსკი (ოდესის ეროვნული უნივერსიტეტი, უკრაინა); ელდარ ისმაილოვი (კავკასიის სტრატეგიული კვლევის ინსტიტუტის დირექტორი, აზერბაიჯანის ბანკების ასოციაციის პრეზიდენტი); რევაზ კაკულია; მერაბ კაკულია; გია კვაშილავა; მურთაზ კვირკვაია (სამეცნიერო ნაწილის რედაქტორი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესისა და მართვის სკოლის დეკანი); ვასილ კიკუტაძე; ირაკლი კოვზანაძე; კახა კორძაია (კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორი) პაატა კოღუაშვილი (საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრი); ჰერალდ კუნცი (ბრანდენბურგი, გერმანია); ენვერ ლაგვილავა; ქაბილ მანაფოვი (აზერბაიჯანის სახელმწიფო ეკონომიკური უნივერსიტეტის კომერციული ფაკულტეტის დეკანი); შალვა მაჭავარიანი (კავკასიის უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტი); იაკობ მესხია; ელგუჯა მექვაბიშვილი; თეა მუნჯიშვილი; დავით ნარმანია; თედო ნინიძე; სოლომონ პავლიაშვილი (თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი); იური როზული (ოდესა, უკრაინა); ვახტანგ სართანია (საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის ფაკულტეტის დეკანი); ეთერ სარჯველაძე; ავთანდილ სილაგაძე (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი); გელა სვირავა; დამეტკენ ტურეკულოვა (ყაზახეთის რესპუბლიკის ესთეტიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი; ყაზახეთის ეკონომიკის, ფინანსებისა და საერთაშორისო ვაჭრობის უნივერსიტეტი, ყაზახეთის რესპუბლიკა); მირიან ტუხაშვილი; სალავა შეტელავა; რუსუდან ქუთათელაძე (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი); ლარისა ყორღანაშვილი; თეიმურაზ შენგელია; გიორგი შიხაშვილი; ზაია შულენბაევა (ყაზახეთის რესპუბლიკა); ლალი ჩაგელიშვილი (გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი); მიხეილ ჩიკვილაძე; ლეო ჩიქავა (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი); ნიკო ჩიხლაძე; ავთანდილ ჩუთლაშვილი (ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე); აკაკი ცომაია; ნოდარ ხადური; ელენე ხარაბაძე; ეთერ ხარაიშვილი; რევაზ ხარებავა; აკაკი ხელაძე (ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი); მერაბ ხმალაძე; დავით ჯალაღონია (სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი); ჯამლეტ ჯანჯღავა (მთავარი რედაქტორის მოადგილე); ემზარ ჯგერენაია (ჟურნალ „საქართველოს ეკონომიკა"-ს მთავარი რედაქტორი); მიხეილ ჯიბუტი; ნანა ჯღარკავა.

შეიძლება რედაქცია ყოველთვის არ იზიარებდეს ავტორის აზრს.

© ჟურნალი „ახალი ეკონომისტი", 2012 წ.
© გამომცემლობა „ლოი"

ფასი 5 ლარი

ჟურნალი ეკონომისტი

ახალი ეკონომისტი

# akhali EKONOMISTI

ეკონომიკური გამოცემა

QUARTELY INTERNATIONAL SCIENTIFIC-PRACTICAL MAGAZINE, PRECISED AND REVIEWED №1(24), 2012

Editor-in-Chief and Head of Editorial board:
LOID KARCHAVA - Doctor of Busines Administration, Professor

EDITORIAL BOARD

Doctors of science, Professors:

ALEKSEY DANILCHENKO - Editor
*(Doctor of Economic Sciences, Professor, Head of the Department of International Economic Relations* State University of Byelorussia)

**RAMAZ ABESADZE; ANZOR ABRALAVA; IURI ANANIASHVILI; ROZETA ASATIANI; EVGENI BARATASHVILI; ROSTOM BERIDZE** (Director of Business School of Shota Rustaveli State University); **GIVI GAMSAKHURDIA; TAMAR GAMSAKHURDIA; TINA GELASHVILI** (Rector of Akhaltsikhe State University); **SIMON GELASHVILI; REVAZ GVELESIANI** (Director of Georgian-German Institute of Economic Policy and Economic Education); **MICHAEL GOGATISHVILI; REVAZ GOGOKHIA** (Editor-in-Chief of magazine „Economy and Business"); **VLADIMIR GRIGOLAIA** (Moscow, Russian Federation); **WOLFGANG WENG** (Berlin, Garmany); **SHOTA VESHAPIDZE; NUGZAR TODUA; GOCHA TUTBERIDZE; SERGEY YAKUBOVSKIY** (Odesa I.I.Mechnikov Odessa National University, Ukraine); **ELDAR ISMAILOV** (**Director** of Institute of Strategic Studies of the Caucassus, **President** of Azerbaijan Banks Association); **REVAZ KAKULIA; MERAB KAKULIA; GIA KVASHILAVA; MURTAZ KVIRKVAIA** (Editor of the Scientific part, **Dean** of Business and Management Scool of G. Robakidze University); **VASIL KIKUTADZE; IRAKLI KOVZANADZE; KAKHA KORzAIA** (Rector of Caucasus International University ) **PAATA KOGUASHVILI** (member of Georgian Academy of Agroculture); **HARALD KUNZ** (Brandenburg, Garmany); **ENVER LAGVILAVA; QABIL MANAFOV** (**Dean** of Commers Faculty of Azerbaijan State Economical University); **IOSEB MASURASHVILI; SHALVA MACHAVARIANI** (**Vice-Prasidenrt** of Caucasus University in sciens field); **IAKOB MESKHIA; ELGUJA MEQVABISHVILI; TEA MUNJISHVILI; DAVID NARMANIA; TEDO NINIDZE; SOLOMON PAVLIASHVILI** (**Rectot** of Tbilisi University); **YURIY ROBUL** (Odesa I.I.Mechnikov Odessa National University, Ukraine); **VAKHTANG SARTANIA** (**Dean** of Economics and Business Administration Faculty of Saint Andrew the First Called Georgian University of the Patriarchate of Georgia); **ETER SARJVELADZE; AVTANDIL SILAGADZE** (Corresponding-member of Georgian National Academy of Science); **GELA SVIRAVA; DAMETKEN TUREKULOVA** (Academician of Aesthetical Science Academy of Kazakhstan, University of Kazakhstan of Economy, Finances and International Trade); **MIRIAN TUKHASHVILI; SLAVA FETELAVA; RUSUDAN KUTATELADZE** (**Dean** of Business-engineering Faculty of Georgian Tecnical University); **LARISA KORGANASHVILI; TEMUR SHENGELIA; GIORGI SHIKHASHVILI** (Lecturer of Tbilisi Academy and Seminary); **FAIA SHULENBAYEVA** (University of Kazakhstan of Economy, Finances and International Trade); **LALI CHAGELISHVILI** (**Head** of Department of Degree of Guram Tavartkiladze University); **MICHAEL CHIKVILADZE; LEO CHIKAVA** (Corresponding-member of Georgian National Academy of Science) **NIKO CHIKHLADZE; AVTANDIL CHUTLASHVILI** (**Deputy of Rector** of Iv. Javakhishvili Tbilisi State University); **AKAKI TSOMAIA; NODAR KHADURI; ELENE KHARABADZE** (**Dean** of Economics and Business Faculty of I. Javakhishvili Tbilisi State University); **ETER KHARAISHVILI; REVAZ KHAREBAVA; MERAB KHMALADZE; DAVID JALAGONIA** (Dean of Economics and Buziness Faculty of Suxumi State University); **JAMLET JANJGAVA** (Deputy of Editor-in-Chief); **EMZAR JGERENAIA** (**Editor-in-Chief** of magazine „Economy of Georgia"); **MICHAEL JIBUTI, NANA JGARKAVA.**

ეროვნული ბიბლიოთეკა




## ეკო-დაიჯესტი

## მეცნიერება

სოლომონ პავლიაშვილი, ბესარიონ კიწმარიშვილი – საქართველოს სატრანსპორტო დერეფანი როგორც საერთაშორისო ინტეგრაციისა და ქვეყნის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლების მნიშვნელოვანი ფაქტორი ........ 7

იოსებ არჩვაძე – ეკონომიკური დისკომფორტის ინდექსი: არსი და გამოყენებითი ღირებულება . 13

რევაზ ლორთქიფანიძე – ევროკავშირის ფორმულირების განვითარება და ეკონომიკური კონკურენციის კანონი ........ 17

მარინა გედევანიშვილი, ნინო სოხაშვილი – საგანმანათლებლო დაწესებულებების პერსონალის მართვის ძირითადი მიმართულებები და ამოცანები ........ 19

ალექსანდრე სიჭინავა, შოთა ვეშაპიძე, ლოიდ ქარჩავა, ლალი ოსაძე – უძრავი ქონების ბაზრის ზოგადი მოდელის ძირითადი ასპექტები ........ 24

ვასილ ხიზანიშვილი – სამართლიანობის სოციალურ-ეკონომიკური გააზრება ........ 34

ბადრი გოქიაშვილი, მარტა ჩებოტარიოვა – სოფლის მეურნეობის ეკოლოგიზაციის პრობლემები ტენიან სუბტროპიკებში ........ 37

რუსუდან პაპასქირი - კომერციული ბანკის ფასიანი ქაღალდების პორტფელი ........ 40

როინ თათეშვილი – რეგიონის საფინანსო-ეკონომიკური დამოუკიდებლობის მეთოდურ-მეთოდოლოგიური ასპექტები ........ 43

ნათია ბერიძე – საბანკო მარკეტინგი როგორც ფინანსური მარკეტინგის შემადგენელი ნაწილი . . 46

МАРИНА ШУБА - ТРАНСГРАНИЧНОЕ СОТРУДНИЧЕСТВО УКРАИНЫ: РЕТРОСПЕКТИВА И ПЕРСПЕКТИВЫ ........ 53

## სტუდენტური ხედვა

სალომე ახვლედიანი - ადამიანისეული კაპიტალის როლი საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაში ........ 58

გიორგი ადეიშვილი - სიღარიბე მსოფლიოს დაუძლეველი პრობლემა და არსებული მდგომარეობა საქართველოში ........ 62

თამარ ჯაბუა - საკრედიტო კავშირები საქართველოში ........ 68

დემეტრე ჯოხაძე - პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში ........ 72

ნინო ნიკოგოსოვი - ინფლაციის გამომწვევი ფაქტორები და მისი დაძლევის გზები ........ 77

გიგა კუჭუხიძე - საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის შედარებითი ეკონომიკური დახასიათება ........ 81

## ახალი წიგნები ........ 84

## უცხოეთის ეკონომიკური სიახლენი ........ 90

## რეფერატები ........ 92






საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

## CONTENTS

## ECO-DIGEST

ECO-DIGEST ........................................ 5

## SCIENCE

SOLOMON PAVLIASHVILI, BESARION KITSMARISHVILI - TRANSPORT CORRIDOR OF GEORGIA AS THE SIGNIFICANT FACTOR OF INCREASING INTERNATIONAL INTEGRATION AND COMPETITIVENESS OF A NATIONAL ECONOMY ........ 7

JOSEPH ARCHVADZE - ECONOMIC DISCOMPORT INDEX: CONTENT AND APPLY VALUE ........ 13

REVAZ LORDKIPANIDZE - EU FORMULATION'S DEVELOPMENT AND LAW OF COMPETITION ........ 17

MARINA GEDEVANISHVILI, NINO SOZASHVILI - MAIN TRENDS AND PROBLEMS OF STAFF MANAGEMENT OF EDUCATIONAL INSTITUTIONS ........ 19

ALEKSANDRE SICHINAVA, SHOTA VESHAPIDZE, LOID KARCHAVA, LALI OSADZE, - MAIN ASPECTS OF REAL ESTATE MARKET'S GENERAL MODEL ........ 24

VASIL KHIZANISHVILI - UNDERSTANDING THE SOCIAL-ECONOMIC JUSTICE ........ 34

BADRI GODZIASHVILI, MARTA CHEBOTAREVA - PROBLEMS OF ECONOMICAL AND STEADY DEVELOPMENT OF AN AGRICULTURE IN DAMP SUBTROPICS OF GEORGIA .. 37

RUSUDAN PPASKIRI - COMMERCIAL BANK's SECURITIES PORTPOLIO ........ 40

ROIN TATESHVILI - METHODOLOGY-MRTOGDF ASPECTS OF REGIONAL FINANCIAL-ECONOMICAL DEFENDENCE ........ 43

NATIA BERIDZE - BANK MARKETING AS A COMPONENT OF FINANCIAL MARKETING ........ 46

MARINA SHUBA - TRANS-BORDER COOPERATION OF UKRAINE: RETROSPECTION AND OUTLOOK .. 53

## STUDENT'S LOOK

SALOME AKHVLEDIANI - THE ROLE OF HUMAN CAPITAL IN ECONOMICAL DEVELOPMENT OF GEORIA ........ 58

GEORGE ADEISHVILI - THE OVERWELMING PROBLEMS OF POVERTY AND THE SITUATION IN GEORGIA ........ 62

TAMAR JABUA - CREDIT UNIONS IN GEORGIA ........ 68

DEMETRE JOKHADZE - FOREIGN DIRECT INVESTMENT IN GEORGIA ........ 72

NINO NIKOGOSOVI - THE REASONS OF INFLATION AND THE WAYS OF OVERCOMING THE ONE ........ 77

GIGA KUCHUKHIDZE - REVIEW OF ECONOMY IN GEORGIA, ARMENIA AND AZERBAIJAN ........ 81

NEW BOOKS ........ 84

FOREING ECONOMIC NEWS ........ 90

SUMMARIES ........ 92

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ეკო-დაიჯესტი

## კონკურენციის კანონი ერთ თვეში ამოქმედდება

სსიპ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს უფლებამოსილება გაიზრდება. როგორც commersant.ge-სთან საუბრისას მთავრობის საპარლამენტო მდივანი გია ხუროშვილი განმარტავს, აქამდე კონკურენციის სააგენტო მხოლოდ სახელმწიფო პროგრამებს აკონტროლებდა, რათა რომელიმე საწარმოს უპირატესი მდგომარეობა არ შექმნოდა. მაგრამ პრაქტიკამ აჩვენა, რომ საჭიროა კერძო სექტორის კონტროლიც. სააგენტო მოქალაქეს დაეხმარება, რათა პრაქტიკულად, ბოლომდე იქნას შესწავლილი ბაზრის კონკრეტული სექტორი. საბოლოო გადაწყვეტილებას მხოლოდ სასამართლო მიიღებს. გია ხუროშვილის მტკიცებით, ევროკავშირის ექსპერტები კანონპროექტს დადებითად აფასებენ.

## ჩეკები ლატარიაში ავტომატურად არ გათამაშდება

შემოსავლების სამსახურის გათამაშებაში მონაწილეობის მისაღებად მოქალაქეებმა ქვითრების ნომრები სატელეფონო (sms) ან ელექტრონული ფოსტით უნდა გააგზავნონ. შემოსავლების სამსახურს წამახალისებელი გათამაშების მოწყობის უფლება კანონით მიენიჭება. გათამაშების წესს, განრიგსა და საპრიზო ფონდს მთავრობა დაამტკიცებს. უკვე ცნობილია, რომ გათამაშებაში მონაწილეობა მოქალაქეს ნებისმიერი ქვითრით, უფასოდ შეეძლება.

## კონტროლის პალატა სახელს იცვლის

პარლამენტს კონსტიტუციაში ცვლილების პროექტი წარედგინა, რომლის მიხედვითაც კონტროლის პალატას სახელი ეცვლება და მას აუდიტისა და ფინანსური გამჭვირვალობის უმაღლესი პალატა დაერქმევა.

## იაფი ფქვილი ძვირი პური

წლის დასაწყისიდან ფქვილის ფასი იანვრის ბოლომდე მცირდებოდა: 40 ლარიდან ტომარა ფქვილის ფასი 31 ლარამდე დაეცა. 2010 წელთან შედარებით, შარშან ხორბლის მოსავალიც ბევრად უკეთესი იყო, ამიტომ ხორბლის იმპორტში პრობლემებს არავინ ელოდება. ხორბლისა და ფქვილის გაიაფების მიუხედავად, არ გაიაფებულა საბოლოო პროდუქტი – პური, რომელიც იგივე ფასად იყიდებოდა, როგორც შარშან ზამთარში, როცა ტომარა ფქვილის ფასი 60 ლარს აღწევდა.

## საქართველომ გერმანიაში ღვინის ბრენდები დაიბრუნა

საქართველომ გერმანიაში ქართული ღვინის ბრენდები დაიბრუნა. „საქპატენტის" ხელმძღვანელის ირაკლი ღვალაძის განცხადებით, ქართული ღვინის ადგილწარმოშობის დასახელებები: „წინანდალი", „ქინძმარაული", „ხვანჭკარა" რუსულ კომპანია Moscow wine and spirts company GMBH-ს ჰქონდა რეგისტრირებული. გერმანიაში წარმართული რამდენიმე თვიანი დავა საბოლოოდ ქართული მხარის სასარგებლოდ დასრულდა. „საქპატენტმა" საქმის წარმოებისათვის გერმანული იურიდიული კომპანია დაიქირავა. სარჩელი ქართულმა მხარემ 2010 წლის ოქტომბერში აღძრა.

## ბანკების ზარალის რეიტინგი

ბაზარზე მოქმედი 19 კომერციული ბანკიდან 2011 წელი ზარალით ოთხმა დაასრულა. ბანკ „რესპუბლიკის" „SBC ბანკი – საქართველოს" „ინვესტბანკისა" და „ხალიკ ბანკი საქართველოს" ჯამური ზარალი 20,563 მნლ. ლარით განისაზღვრა. 2010 წელი კი ზარალით ექვსმა ბანკმა დაასრულა და ჯამური ზარალი 140 მლნ. ლარი იყო. საბანკო სექტორის 2011 წლის წმინდა მოგება 323,037 მლნ. ლარია (2010 წელი – 156.3 მლნ. ლარი).

## თურქეთი საუკეთესო სავაჭრო პარტნიორია

2011 წლის მონაცემებით, თურქეთი საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყანაა. „საქსტატის" ცნობით, ამ პერიოდში საქართველოსა და თურქეთს შორის საგარეო სავაჭრო ბრუნვამ $1.5 მლრდ შეადგინა, რაც 2010 წელთან შედარებით 36%-ით მეტია. აქედან S1.272 მლრდ იმპორტია, $227,583 მლნ – ექსპორტი. საქართველო-აზერბაიჯანს შორის კი საგარეო სავაჭრო ბრუნვის მოცულობა $1.036 მლრდ-ია (+42%), საიდანაც S425,906 მლნ ექსპორტია, ხოლო იმპორტი - $610,793 მლნ. სწორედ აზერბაიჯანია საქართველოს ნომერ პირველი საექსპორტო

ბაზარი. საგარეო სავაჭრო ბრუნვის მოცულობით მესამე ადგილზე უკრაინაა $846,827 მლნ-ით.

## ელიავას ბაზრობას ვადა დაუთქვეს

„ელიავას" ბაზრობამ შესაძლოა მუშაობა აღარ განაგრძოს. შემოსავლების სამსახურის უფროსის განცხადებით, თუ ადმინისტრაცია ვაჭრობის ახალ რეგულაციაზე გადასავლელ გეგმას 2 აპრილამდე ვერ წარმოადგენს, საქმიანობა აეკრძალება. თუმცა, ჯაბა ებანოიძე დარწმუნებულია, რომ ბაზრობა ვადას არ გადააცილებს. შემოსავლების სამსახურის შეთავაზებული პირობით, „ელიავას" ბაზრობის მოვაჭრეს დიდი ბუღალტერიის წარმოება არ დასჭირდება, თუ ბაზარში ცენტრალიზებული სალარო აპარატი იმუშავებს. ამ შემთხვევაში მოვაჭრეს ბაზრის ადმინისტრაცია ცენტრალიზებულ სალარო აპარატში აღნუსხული ბრუნვიდან 3%-ს დაუკავებს დღგ-ის ნაცვლად და მას სხვა საგადასახადო ვალდებულება არ ექნება.

## ბათუმში ეუთოს ეკონომიკური ფორუმი გაიმართება

მიმდინარე წლის 11-14 მაისს ბათუმში ეუთოს ეკონომიკური ფორუმი გაიმართება, სადაც პარლამენტების 200-ზე მეტი წევრი, ექსპერტები, ეუთოს წარმომადგენლები და გენერალური მდივანი ჩაელენ. საქართველოში ეუთოს ეგიდით ეს დღემდე გამართული ყველაზე მასშტაბური ღონისძიება იქნება. ფორუმი ეკონომიკურ კრიზისსა და მისი დაძლევის გზებს მიეძღვნება.

## ცხვრის ექსპორტი გაიზარდა

საქართველოდან ცოცხალი ცხვრის ექსპორტი 2011 წელს წინა წელთან შედარებით, 90%-ით გაიზარდა. „საქსტატის" ინფორმაციით, შარშან ექსპორტირებული იყო $15 მლნ-ის ღირებულების ცოცხალი ცხვარი, რამაც 165 ათასი სული შეადგინა.

## დღგ-ისაგან გათავისუფლდება

სოფლის მეურნეობის პროდუქტები დამატებული ღირებულების გადასახადისაგან წარმოების ყველა ეტაპზე გათავისუფლდება. დღგ-ისაგან სრულად იქნება გათავისუფლებული ამ პროდუქტების როგორც პირველადი, ასევე ყველა შემდგომი მიწოდება, მათ შორის სასაქონლო კოდის შეცვლის შემდეგაც. ოღონდ ცვლილება ქვერცხს არ შეეხება. ის 18%-იანი განაკვეთით იბეგრება და დღგ-ისაგან გათავისუფლებულთა ნუსხაში არ შედის.

## ქვევრს ეროვნული კატეგორია მიენიჭა ეროვნული

ქვევრს ეროვნული მნიშვნელობის კატეგორია მიენიჭა. კულტურული მემკვიდრეობის შესახებ კანონის შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე უძველესი დროიდან დღემდე გავრცელებულ ღვინის დასაყენებელ და შესანახ თიხის უნიკალურ ჭურჭელს, ქვევრს განესაზღვრა ეროვნული მნიშვნელობის კატეგორია".

## გაზის 85% აზერბაიჯანიდან შემოდის

საქართველო 2012 წელს 1,486 მლრდ კუბ/მ გაზს მიიღებს. ენერგეტიკის სამინისტროში ბუნებრივი გაზის 2012 წლის ბალანსი დამტკიცდა. აზერბაიჯანიდან საქართველო 1,263 მლრდ კუბ/მ გაზს მიიღებს (მთლიანი მოცულობის 85%), რუსეთიდან ტრანზიტის სახით წლეულს 211 მლნ კუბ/მ გაზის იმპორტია (14,2%) გათვალისწინებული, ხოლო ადგილობრივი მოპოვება 12 მლნ კუბ/მ-ია (0,8%). ენერგეტიკული ობიექტების მოთხოვნა გაზე წლეულს 463,750 მლნ კუბ/მ-ია, კომერციული მომხმარებლების – 537,5 მლნ კუბ/მ.

## ევროკავშირმა 18 ქართული ღვინო აღიარა

საქართველომ ევროკავშირისაგან 18 ქართული ადგილწარმოშობის ღვინის აღიარების შესახებ ოფიციალური ნოტა მიიღო. „საქპატენტის" ხელმძღვანელის განმარტებით, საქართველოსა და ევროკავშირს შორის ადგილწარმოშობის პროდუქციის დაცვის შეთანხმება ძალაში მიმდინარე წლის 1-ლი აპრილიდან უნდა შევიდეს. ამ აღიარებით ევროკავშირის ტერიტორიაზე 18 ქართული ბრენდი დაცული იქნება ფალსიფიკაციისაგან. თავის მხრივ, საქართველო ევროკავშირის ქვეყნებში წარმოებულ 3000-ზე მეტი გეოგრაფიული დასახელების პროდუქციას აღიარებს.

„ეკო-დაიჯესტი" ქართულ ჟურნალ-გაზეთებსა და სხვა წყაროებზე დაყრდნობით მოამზადა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტმა

**თამთა შეტელავამ**

# საქართველოს სატრანსპორტო დერეფანი როგორც საერთაშორისო ინტეგრაციისა და ქვეყნის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლების მნიშვნელოვანი ფაქტორი



**სოლომონ პავლიაშვილი**
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
სტუ სრული პროფესორი
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის
რექტორი



**ბესარიონ კიწმარიშვილი**
თბილისის სასწავლო
უნივერსიტეტის პროფესორი

თანამედროვე გლობალიზაციის შედეგად მსოფლიო ბაზარი ჩამოყალიბდა ძალზე რთულ და წინააღმდეგობრივ სისტემად. აღსანიშნავია, რომ ამას ხელი შეუწყვეს საერთაშორისო ეკონომიკურმა თუ პოლიტიკურმა გაერთიანებებმა. დღევანდელი მსოფლიო ბაზარი ძირითადად წარმოდგენილია სოფლის მეურნეობით, მოპოვებითი მრეწველობით, დაბალი და საშუალო ტექნოლოგიური დარგებით, როგორებიცაა შავი მეტალურგია, მსუბუქი მრეწველობა, ასევე თანამედროვე სატრანსპორტო კომუნიკაციებისა და მაღალი ტექნოლოგიების სექტორებით.

გლობალიზაცია წარმოადგენს მსოფლიოს განვითარების თვისობრივად ახალ მოვლენას, რომელიც მოიცავს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს. სწორედ გლობალიზაციისთვისაა დამახასიათებელი ეროვნული და გლობალურ-ეკონომიკური ურთიერთობების ადგილების ჩანაცვლება. გლობალიზაციის განვითარებასთან ერთად იზრდება საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების წამყვანი, პრიორიტეტული როლი. დღეს უფრო მეტად მნიშვნელოვანია მსოფლიო ეკონომიკური სისტემების ერთიანი წესის შემუშავება და მისი დანერგვა-გატარება თითოეული ქვეყნის ეკონომიკაში. თუმცა ეს პროცესი საკმაოდ რთულია და ძლიერი ქვეყნების ეკონომიკური სისტემებიც ძნელად ეგუება გლობალური ეკონომიკის მოთხოვნებს. ხშირად ამ მიმართულებებით უშუალოდ ჩართული არიან საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები. ზოგჯერ მათ საქმიანობას გლობალიზაციის პროცესების დაჩქარების მიზნით, ცალკეული ქვეყნების მიმართ (პირველ რიგში პოსტკომუნისტური) თავსმოხვეული და ძალდატანებითი ხასიათი აქვს. რაც ხშირად პოზიტიურის მაგივრად უდაოდ ნეგატიურის მომტანია. "უდიდესი ეკონომისტი, საერთაშორისო სავალუტო ფონდის განმკარგულებელი დირექტორის ყოფილი პირველი მოადგილე სტენლი ფიშერიც კი თანამდებობაზე ყოფნისას თვითკრიტიკული იყო გლობალურ კონტექსტში ფონდის მაკოორდინებელი ფუნქციის როლის ამაღლებასთან დაკავშირებით" [1, გვ. 349].

გლობალიზაცია არის პროცესი, რომელიც ასახავს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების წინაშე წამოჭრილი პრობლემების გადაჭრის ერთიანი გზების ძიებას. ეს შეიძლება იყოს როგორც ეკოლოგიური, სასურსათო, ჯანმრთელობის დაცვის და სხვა სფეროების მომცველი. ერთი შეხედვით გლობალიზაციის იმანენტური ბუნება სხვა არაფერია თუ არა ეკონომიკების ერთიანი სოციალური ორიენტაცია. "ინდუსტრიული საზოგადოების გადაზრდამ პოსტინდუსტრიულში ახალი ბიძგი მისცა მსოფლიო განვითარებას და დააჩქარა გლობალიზაციის პროცესი. ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ მან ეკონომიკას სოციალური ორიენტაცია შესძინა" [2, გვ. 17]. გლობალიზაციის პროცესი ხასიათდება მთელი რიგი ფაქტორებით, რომელთაგან შეიძლება გამოვყოთ ტრანსნაციონალური ქსელების განვითარება, საფინანსო სფეროს სწრაფი გლობალიზაცია, ინფორმაციულ ტექნოლოგიათა განვითარება და მსოფლიო ეკონომიკების ლიბერალიზაცია. (ეს უკანასკნელი ბოლო 5

წელიწადია მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის გამო ხშირად ნაკლებადაა გამოხატული). "რაც ყველაზე მთავარია მიმდინარეობს ინტეგრაციული რეგიონალური ეკონომიკური ბლოკების შექმნა, რომლებიც მსოფლიო მეურნეობის მნიშვნელოვანი სუბიექტები გახდნენ" [3, გვ. 133].

კონკურენციის განვითარებას თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში ძირითადად შემდეგი ფაქტორები განსაზღვრავს: ეკონომიკური კარგახსნილობა, ტრანსნაციონალური კომპანიების ზრდა, მოთხოვნა-მიწოდების გლობალიზაცია, ბაზრების დერეგულირება, მაღალი ტექნოლოგიების განვითარება.

ტრანსნაციონალურ კორპორაციათა მუდმივი ზრდის ხარჯზე კონკურენციის მასშტაბები უსასრულოდ იზრდება. კაპიტალის შეუფერხებელი გადაადგილება განაპირობებს მსოფლიო ეკონომიკის მონაწილეთა მუდმივ ზრდას. ამიტომ, კომპანიებისთვის მუდმივად დღის წესრიგში დგას როგორც სამომხმარებლო სეგმენტის დაკავება, ასევე მაღალკვალიფიციური პერსონალის მოძიება.

კონკურენტუნარიანობის ამაღლების თვალსაზრისით, ყველაზე წარმატებულად შეიძლება ჩაითვალოს ისეთი პოლიტიკა, რომელიც ითვალისწინებს როგორც არამატერიალურ ინვესტიციათა ინფრასტრუქტურის მხარდაჭერას, აგრეთვე ეკონომიკის ცალკეულ სუბიექტთა შორის კავშირების, ეკონომიკური ურთიერთობების მექანიზმების შექმნას. ხშირ შემთხვევაში საერთაშორისო ინტეგრაციის მიზნით სახელმწიფოები იძულებულნი არიან უარი თქვან მაკროეკონომიკური რეგულირების ტრადიციული მექანიზმების გამოყენებაზე. ისეთების როგორიცაა: საიმპორტო ბარიერები, ექსპორტის წახალისება, ეროვნული ვალუტის კურსი და სხვა. ხშირ შემთხვევაში სახელმწიფოები არანაირ დაბრკოლებას არ უქმნიან ტრანსნაციონლურ კორპორაციათა ექსპანსიას და ისღა დარჩენიათ ეროვნული კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით გამოიყენონ ფაქიზი და შედარებით რბილი მექანიზმები. "როგორც წესი, გლობალური კაპიტალისტური სისტემა აძლიერებს მდიდარ და ღარიბ ქვეყნებს შორის არათანაბარ განვითარებას" [4, გვ. 18].

ისეთი ქვეყანა როგორიც საქართველოა, მუდმივად უნდა ახორციელებდეს ეროვნული კანონმდებლობის სინქრონიზაციას საერთაშორისო კანონმდებლობასთან და ცდილობდეს მაქსიმალურად აირიდოს ეკონომიკური ექსპანსია და დისკრიმინაცია. დღევანდელ პირობებში ეკონომიკური სუვერენიტეტის არსი არ გამოიხატება სახელმწიფოს ეკონომიკური ძლევამოსილების განმტკიცებაში მის ტერიტორიაზე. უფრო მნიშვნელოვანია საერთაშორისო ეკონომიკურ ინტეგრაციაში ადაპტირება და ისეთი ინსტიტუტების შექმნა, რომელიც უფრო და უფრო დაგვაახლოებს მსოფლიო გლობალიაზაციას.

ამ პროცესში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება - საერთაშორისო ინსტიტუტებს, მსოფლიო ბანკს, სავალუტო ფონდს, მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაციას და სხვა. საქართველოს ეკონომიკის კონკურენტულობის ამაღლებისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს უცხოურ ინვესტიციებს და მათი განთავსების სფეროებს. მნიშვნელოვანია, რომ საქართველოში განხორციელებული პრივატიზაცია გავრცელდა თვით საწარმოო ინფრასტრუქტურის დარგებზეც (ენერგეტიკა, კავშირგაბმულობა, ტრანსპორტი), რომლებიც ადრე ითვლებოდა როგორც უშუალო სახელმწიფოებრივი რეგულირების სფერო.

პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა საქართველოში 2004 წელს 499 მილიონი დოლარი შეადგინა; 2005 წელს 450 მილიონი დოლარი (გარკვეული კლება წინა წელთან შედარებით გამოწვეული იყო ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობის დამთავრებით); 2006 წელს - 1190 მილიონი დოლარი; 2007 წელს - 2014 მილიონი დოლარი. 2008 წელს საქართველოში შემოსულმა ინვესტიციებმა 1,564 მილიონი დოლარი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 600 მილიონით ნაკლები იყო. ეს გამოწვეული იყო აგვისტოს საომარი მოქმედებებით და მსოფლიოში მიმდინარე მწვავე საფინანსო-ეკონომიკური კრიზისით. 2009 წელს ინვესტიციების შემოდინების მოცულობა თითქმის 60%-ით შემცირდა და 658 მილიონ დოლარს მიაღწია. 2010 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ შეადგინა 553 მილიონი დოლარი[5, გვ. 118].

საქართველოს კონკურენტული სტატუსის ჩამოყალიბებას მსოფლიო ეკონომიკაში მნიშვნელოვნად ხელი შეუწყო მისმა გეოპოლიტიკურმა მდებარეობამ. მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე გლობალური პროცესების პირობებში ევროპის, რუსეთისა და შუააღმოსავლეთის გადაკვეთის მყოფ კავკასიის რეგიონს უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობა გააჩნია. "ტრანსკავკასიური ნავთობსადენის ამოქმედება, დიდი აბრეშუმის გზის აღორძინება, ტრასეკას პროგრამების რეალიზაცია, გახდა ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური და საგარეო-ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანესი ფაქტორი. სამეურნეო ზრდისა და სოციალურ გარდაქმნათა სტრატეგიული მიმართულებები

სწორედ ამ უკანასკნელის საფუძველზე უნდა განისაზღვროს" [6, გვ. 31].

საქართველოსთვის, როგორც დამოუკიდებელი სტატუსის მქონე ქვეყნისთვის, დიდი მნიშვნელობა საერთაშორისო ეკონომიკურ პროცესებში ინტეგრაციას ენიჭება. ამ მხრივ, უკვე გადაიდგა ნაბიჯები, რამაც გარკვეული როლი შეასრულა ქვეყნის განვითარების პერსპექტიული მიმართულებების განსაზღვრაში. საქართველოს გეოპოლიტიკურმა მდებარეობამ იგი მოაქცია გლობალურ ინტერესთა სფეროში. „გეოპოლიტიკური მდებარეობით, საქართველო წარმოადგენს ხიდს დასავლეთსა და ცენტრალური აზიის ქვეყნებს შორის, ამიტომ ცდილობს დაიკავოს საკუთარი გეოპოლიტიკური სტრატეგიის ადეკვატური ადგილი მსოფლიო ცივილიზაციის პროცესში და ამით ხელი შეუწყოს ღია ეკონომიკის განვითარებას"[7, გვ. 35].

დღეს, როდესაც სულ უფრო აქტიურად ხდება ევროპისა და აზიის შემაერთებელი სატრანსპორტო დერეფნის შექმნა, ენერგომატარებლების ტრანსპორტირების ალტერნატიული მარშრუტების ძიება, საქართველოს განვითარებისთვის დიდი მნიშვნელობა სატრანზიტო დერეფნის ფუნქციების გაძლიერებას ენიჭება. სატრანზიტო პოტენციალი მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლების ერთ-ერთი ძირითადი პირობაა, ამიტომაც იგი ჩართულია საერთაშორისო სატრანსპორტო პროექტებში. ამ ფუნქციების რეალიზაცია ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობის მნიშვნელოვანი პირობაა. აქედან გამომდინარე, ტრანსპორტი ქვეყნის ეკონომიკური, სტრატეგიული და გეოპოლიტიკური მდებარეობის უპირატესობის რეალიზაციის საფუძველია.

შემთხვევითი არ არის, რომ სამხრეთ კავკასიაში საქართველო ძირითად სატრანზიტო ქვეყნადაა აღიარებული. მისი გეოპოლიტიკური მდებარეობის უპირატესობის მაქსიმალური რეალიზაცია, რაც, თავის მხრივ, მოითხოვს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებასა და სატრანზიტო პოტენციალის სრულად ათვისებას, ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორია. ეს კარგად არის ცნობილი სხვა სახელმწიფოებისათვის, ამიტომ ისინი ცდილობენ ითანამშრომლონ საქართველოსთან, როგორც ევრაზიის დამაკავშირებელ საკვანძო-სატრანზიტო ქვეყანასთან.

მეორე-მესამე ათასწლეულების გასაყარზე საფუძველი ჩაეყარა ევროპა-კავკასია-აზიის სატრანზიტო დერეფნის – „ტრასეკას" (TRACECA) პროგრამის განხორციელებას, რომელიც ითვალისწინებს შავი ზღვის გავლით, ევროპიდან აზიისკენ, ცენტრალური აზიისა და შორეული აღმოსავლეთისაკენ ძლიერი სატრანსპორტო დერეფნის შექმნას. იგი მოიცავს სარკინიგზო, საავტომობილო, საჰაერო, საზღვაო გზებს, საზღვაო ნავსადგურებს, სამგზავრო და სატვირთო ტერმინალებს. „ტრასეკა" ერთიანი ევროპული სისტემის განუყოფელი ნაწილია. „ტრასეკას" დერეფნით მიწოდებული ჩვენი ნავთობისა და ტვირთების რაოდენობის ზრდა ხელს შეუწყობს არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ რეგიონში ეკონომიკურ ზრდასა, ნავთობქიმიურ მრეწველობაში ინვესტიციების მოზიდვასა და მსხვილ ნავთობკომპანიების მეტ დაინტერესებას ახალ პროექტებში მონაწილეობისათვის. ქვეყანაში არსებული ტერიტორიული მთლიანობის გადაუჭრელი პრობლემის მიუხედავად, „საქართველოს რკინიგზა" მაინც განიხილება როგორც ალტერნატიული გზა კასპიისა და ცენტრალური აზიის რეგიონების ევროპასთან დასაკავშირებლად. სტრატეგიული მნიშვნელობის საქართველოს პორტები და ტერმინალები პირდაპირ უკავშირდება აზერბაიჯანის, უკრაინის, რუსეთის, ბულგარეთის სარკინიგზო ხაზებს.

საქართველოს სატრანზიტო დერეფნის ფუნქციის გაძლიერების მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იყო ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის მშენებლობის დაწყება. ეს არის სარკინიგზო მაგისტრალის 105 კმ-იანი მონაკვეთი, რომლის საპროექტო ღირებულება 422 მლნ. დოლარია. მაგისტრალის თითქმის 75 კმ. თურქეთის ტერიტორიაზეა. პროექტის დასრულებისათვის, მარაბდა-თურქეთის საზღვრამდე (კარწახი) სარკინიგზო მონაკვეთის პროექტირების, მშენებლობისა და საექსპლუატაციოდ მომზადებისათვის აზერბაიჯანის მხარემ საქართველოს ორ ტრანშად გამოუყო 775 მლნ დოლარის (200+575) გრძელვადიანი (25-წლიანი) სესხი[8]. ეს ტრანზიტული მარშრუტი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორია. იგი ხელს შეუწყობს სამცხე-ჯავახეთის ეკონომიკის გამოცოცხლებასა და ამ რეგიონში საბაზრო ურთიერთობების განვითარებას.

მომდევნო წლებში კასპიის ზღვის რეგიონში (ძირითადად, აზერბაიჯანსა და ყაზახეთში) მოსალოდნელია ნავთობის მოპოვების მნიშვნელოვანი მატება. კერძოდ, საპროგნოზო მონაცემებით, ნავარაუდებია ნავთობის სადღეღამისო მოპოვების ზრდა 2010 წლის 3,4 მლნ ბარელიდან 2030 წლის 5,7 მლნ ბარელამდე[9].

ენერგორესურსების მოზიდვის ალტერნატიული წყაროების განვითარებისათვის ევროკავშირიც აქტიურ ნაბიჯებს დგამს და სამხრეთ კავკასიის

სარტანზიტო კორიდორი ერთ-ერთ ასეთ ბაზად განიხილება. საბოლოო ანგარიშით, ყოველივე ამით გრძელვადიან პერსპექტივაში საქართველოსთვის შეიქმნება პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობის დამატებითი გარანტიები, რაც ხელს შეუწყობს „ნაბუკოს" პროექტის განხორციელებას. ჯერ კიდევ, 1996 წელს ყაზახეთიდან დაიწყო "შევრონის" ნავთობის რკინიგზით ტრანსპორტირება აზერბაიჯანისა და საქართველოს გავლით ევროპაში.

საქართველოს ტერიტორიაზე გადის 3 საერთაშორისო მნიშვნელობის მილსადენი, რომელთა საშუალებითაც ნავთობპროდუქტები შავ ზღვიდან ევროპას მიეწოდება. თუმცა, ამის გარდა, არსებობს კიდევ ერთი ჩრდილოეთ-სამხრეთის ბუნებრივი აირის – გაზის მაგისტრალური მილსადენი, რომლის საშუალებითაც ბუნებრივი აირი რუსეთიდან საქართველოს და სომხეთს მიეწოდება. საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი მილსადენების მახასიათებლების შესახებ იხილეთ (ცხრილი 1).

ცხრილი 1

**საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი მილსადენების მახასიათებლები[10]**

| მილსადენი | ოპერატორი | მაქსიმალური წლიური სიმძლავრე | ტარიფი |
|---|---|---|---|
| ბაქო-სუფსა (WREP) | BP | 5,75 მლნ ტონა | $0,18-$0,20 ბარელზე |
| ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი (BTC) | BP | 50 მლნ ტონა | $0,12-$0,14 ბარელზე |
| სამხრეთ კავკასიური მილსადენი (SCP) | BP | 5,75 მლნ ტონა | წინა წელს გატარებული მოცულობის 5% |
| ჩრდილოეთ-სამხრეთის გაზის მაგისტრალური მილსადენი | საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაცია | 7,4 მლრდ $სმ^3$ (ფაქტობრივი), 20 მლრდ $სმ^3$ (რეაბილიტაციის შემდეგ) | წინა წელს გატარებული მოცულობის 10% |

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის (BTC) მილსადენის სიგრძე 1768 კმ-ია. აქედან, 443 კმ – აზერბაიჯანზე, 249კმ – საქართველოზე და 1076კმ თურქეთზე გადის. პროექტის განხორციელებაზე 4 მლრდ-მდე აშშ დოლარი დაიხარჯა. ნავთობსადენი ექსპლუატაციაში 2005 წელს შევიდა. მისი საშუალებით კასპიის რეგიონიდან ნედლი ნავთობი აზერბაიჯანის, საქართველოსა და თურქეთის გავლით ხმელთაშუა ზღვაზე გადის. ეს ნავთობსადენი კასპიისა და ხმელთაშუა ზღვებს შორის ტრანსპორტირების პირველი პირდაპირი მარშრუტია.

**საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი მილსადენებით ნედლი ნავთობის ტრანზიტი 2005-2010 წლებში (მლნ ტონა)[11]**




ჩრდილოეთ-სამხრეთის მაგისტრალური გაზსადენი, რომლის სიგრძე დაახლოებით 235 კმ-ია, განთავსებულია საქართველო-რუსეთის საზღვრიდან საქართველო-სომხეთისა და საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრამდე. ამ გაზსადენის შესყიდვით 2004-2005 წლებში განსაკუთრებული დაინტერესება ჰქონდა რუსეთის სახელმწიფო კომპანია "გაზპრომს", რაც, სავარაუდოდ, იმით იყო განპირობებული, რომ მას, ირან-სომხეთ-საქართველო-რუსეთის გაზის

მილსადენების ერთმანეთთან დაკავშირებით, გაზის ერთიანი ინფრასტრუქტურის შექმნა სურდა. ეს რუსულ გიგანტს საშუალებას მისცემდა ირანიდან ევროკავშირის მიმართულებით პოტენციური საექსპორტო გაზის ნაკადები გაეკონტროლებინა. ამ გზით „გაზპრომის" სატრანსპორტო და სატრანზიტო მონოპოლია უკვე ირანული გაზის პოტენციური ექსპორტის გარკვეულ სეგმენტზეც გავრცელდებოდა. მოვლენების ასეთი განვითარება, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვნად გაზრდიდა „გაზპრომისა" და, აქედან გამომდინარე, რუსეთის გეოპოლიტიკურ როლს კავკასიასა და სპარსეთის ყურეში. ქართველი ექსპერტები და საქართველოს სტრატეგიული პარტნიორები ევროკავშირსა და აშშ-ში მაგისტრალური მილსადენების „გაზპრომისთვის" მიყიდვას სწორედ ამ მიზეზით ეწინააღმდეგებოდნენ. ეს მოლაპარაკებები საბოლოოდ მაშინ შეწყდა, როცა 2005 წლის აგვისტოში ამერიკულმა ფონდმა – „ათასწლეულის გამოწვევა-საქართველო" – მაგისტრალური გაზსადენების რეაბილიტაციისთვის საქართველოს 49,5 მლნ აშშ დოლარი გამოუყო[12, გვ. 126].

თანამედროვე ლიბერალური საკანონმდებლო ბაზა და გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს საავტომობილო ტრანსპორტით ტვირთნაკადების დინამიკურ ზრდას. ბოლო პერიოდში, საქართველოს მთავრობის ინიციატივით, გაფორმდა ლიბერალური საერთაშორისო საავტომობილო მიმოსვლის შეთანხმებები სომხეთთან, თურქეთთან და ყაზახეთთან. მათ საფუძველზე საერთაშორისო სატვირთო გადაზიდვები ხორციელდება შეუზღუდავად, კვოტირებული ნებართვების გარეშე.

საქართველო, თავისი გეოპოლიტიკური მდგომარეობის მაქსიმალური რეალიზაციისათვის, რომელიც, პირველ რიგში, გულისხმობს აზიის ევროპასთან შემაერთებელი დერეფნის ეფექტიან ფუნქციონირებას, საჭიროებს საავტომობილო ინფრასტრუქტურის თანამედროვე სტანდარტების დონეზე განვითარებას. ამიტომ ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა არსებული გზების რეკონსტრუქცია, რეაბილიტაცია და ახალი, საიმედო საავტომობილო გზების მშენებლობა.

საქართველოში, როგორც მაღალი სატრანზიტო სტატუსის მქონე ქვეყანაში, მნიშვნელოვან როლს სამოქალაქო ავიაცია ასრულებს, რომელიც დამოუკიდებლად 1993 წლიდან ფუნქციონირებს. 1994 წელს საქართველო გახდა სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ICAO) წევრი, რაც იმას ნიშნავს, რომ ქვეყნის სამოქალაქო ავიაცია ფუნქციონირებს საერთაშორისო სტანდარტებისა და რეკომენდებული პრაქტიკის შესაბამისად.

საქართველოში, სადაც ზღვის სანაპირო ზოლი 300 კმ-ია, მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია საზღვაო ტრანსპორტს. იგი წარმოდგენილია პორტებითა და საზღვაო ფლოტით. სამწუხაროა, რომ ბოლო პერიოდში საქართველომ თითქმის მთლიანად დაკარგა კონტროლი საზღვაო პორტებზე და ტერმინალებზე. ეს სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტები უცხოური კომპანიების (თურქეთის, უკრაინის, რუსეთის, ყაზახეთის, ბულგარეთის, რუმინეთისა და სხვათა) საკუთრებაშია, რაც ასუსტებს საქართველოს, როგორც სატრანზიტო დერეფნის მქონე ქვეყნის, როლს და ადგილს მსოფლიო სატრანზიტო სივრცეში. საქართველოს საზღვაო ტრანსპორტით გადატანილი ტვირთების მოცულობა კრიტიკულად დაბალია, რასაც ადასტურებს სტატისტიკური მონაცემები (იხ. ცხრილი 2).

**ცხრილი 2**

**საქართველოში საერთო სარგებლობის ტრანსპორტით ტვირთბრუნვა ტრანსპორტის სახეობების მიხედვით (მლნ ტონა-კმ)[13, გვ. 199]**

| წლები | სულ | მათ შორის | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | სარკინიგზო | საავტომობილო | საჰაერო | საზღვაო |
| 1995 | 15519,3 | 1246,0 | 130,0 | 5,0 | 14138,3 |
| 2000 | 5001,7 | 3912,1 | 475,0 | 2,9 | 611,7 |
| 2001 | 5077,3 | 4480,6 | 520,0 | 2,7 | 74,0 |
| 2002 | 5768,7 | 5074,5 | 543,0 | 2,9 | 148,3 |
| 2003 | 6194,7 | 5538,5 | 562,0 | 2,7 | 91,5 |
| 2004 | 5505,1 | 4862,0 | 570,0 | 3,5 | 69,6 |
| 2005 | 6777,7 | 6127,1 | 578,0 | 3,6 | 69,0 |
| 2006 | 8114,2 | 7393,2 | 586,1 | 3,9 | 131,0 |
| 2007 | 7645,5 | 6927,5 | 594,3 | 3,6 | 120,1 |
| 2008 | 7165,6 | 6515,7 | 602,6 | 1,9 | 45,4 |
| 2009 | 6029,2 | 5417,0 | 611,1 | 1,1 | 40,0 |

მნიშვნელოვანია, რომ საქართველო დიდ იმედებს ამყარებს ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნის განვითარებაზე, ახალი „აბრეშუმის გზის" აღორძინებაზე და მათი საშუალებით მსოფლიო ეკონომიკურ და პოლიტიკურ პროცესებში ინტეგრაციაზე. ევროპის და ბალკანეთის ქვეყნების (ბულგარეთი, რუმინეთი, საბერძნეთი, ალბანეთი) ენერგორესურსებზე მზარდი მოთხოვნა დღის წესრიგში აყენებს ალტერნატიული ნავთობსადენებისა და ტრანსპორტირების სხვა საშუალებების გზების ძიებას. ამ მხრივ, გასათვალისწინებელია აზია-წყნარი ოკეანის რეგიონის მხრიდან კონკურენცია, ექსპერტების შეფასებით, ჩინეთის ნავთობპროდუქტების ბაზრის კონკურენციის გამო, „ტრასეკას" დერეფნით ყაზახეთიდან ტრანსპორტირება არარენტაბელურადაა მიჩნეული. ამიტომ დღეს ძალზე მნიშვნელოვანია ტრანსპორტირების ისეთი ახალი პროექტის რეალიზაცია, რომელიც უზრუნველყოფს როგორც მოკლევადიან და უსაფრთხო ტრანსპორტირებას, ისე სატრანსპორტო ხარჯების მინიმიზაციას. ეს იქნება საქართველოს დამატებითი შემოსავლების მიღების მნიშვნელოვანი წყარო.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. ვ.პაპავა. არატრადიციული ეკონომიკსი. თბილისი. 2011.

2. რ.ასათიანი. გლობალიზაცია, ეკონომიკური თეორია და საქართველო. თბილისი. 2010.

3. შ.ვეშაპიძე, ქ.ლეკაშვილი, ა.გრიშიკაშვილი, ნ.ასლამაზიშვილი. მსოფლიო ეკონომიკა. თბილისი. 2008.

4. რ.კაკულია. გლობალიზაცია და საქართველოს ეკონომიკური განვითარების ფინანსური უზრუნველყოფის პრობლემები. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია. შრომები. №9. 2011.

5. S.Pavliashvili. Zigzags of inflation in post-soviet Georgia. Academy press, San-Francisco, CA, USA. 2011

6. ნ.ხანთელაძე. ეკონომიკის რეფორმირება და ახალი სოციალურ-ეკონომიკური მოდელის ჩამოყალიბება საქართველოში. საქართველოს ეკოპნომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები. ტ.II. თბილისი. 2001.

7. რ.ასათიანი. საქართველოს ეკონომიკა: წარსული, აწმყო, პერსპექტივა. თბილისი, გამომცემლობა 'სიახლე". 2002.

8. Civil.Ge © 2001-2008, Daily News Online.

9. International Energy Outlook. Energy Information Administration (EIA).

10. British Petroleum-ის (BP) საქართველოს წარმომადგენლობის მონაცემები.

11. http://www.gogc.ge/index.php?m=249.

12. ს.პავლიაშვილი. პრივატიზაციის ფენომენი და პრობლემები საქართველოში. თბილისი. 'ტექნიკური უნივერსიტეტი". 2009.

13. სტატისტიკური წელიწდეული – 2009. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტა-ტისტიკის დეპარტამენტი. თბილისი. 2009.

# ეკონომიკური დისკომფორტის ინდექსი: არსი და გამოყენებითი ღირებულება



იოსებ არჩვაძე
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

ქვეყნების მაკროეკონომიკური მდგომარეობის დასახასიათებლად მრავალი, კარგად აპრობირებული ინდიკატორი გამოიყენება. ამ უკანასკნელთა მნიშვნელობა და გამოყენებითი ღირებულება განსაკუთრებით იზრდება საერთაშორისო შედარებებისა და ქვეყნების რეიტინგების დადგენისას.

მათ შორის ერთ-ერთი საგულისხმო ეკონომიკის მაკროეკონომიკური სტაბილურობის, მისი ნეგატიური ტენდენციებისადმი მდგრადობის მახასიათებელი **ეკონომიკური დისკომფორტის ინდექსია,** რომლის შემოღება დაკავშირებულია ცნობილი ამერიკელი ეკონომისტის არტურ მ. ოუკენის (Arthur M. Okun, 1928-1980 წწ.) სახელთან[1].

**ეკონომიკური დისკომფორტის ინდექსი (ედი) წარმოადგენს ინფლაციისა და უმუშევრობის დონეთა ჯამს.** მისი გაანგარიშებისათვის გამოსაყენებელია როგორც საშუალო წლიური, ისე დეკემბრის მდგომარეობით არსებული წლიური ინფლაცია; ბუნებრივია, შესაბამისი პერიოდის უმუშევრობის დონე.

მიუხედავად ასეთი მნიშვნელობისა და გაანგარიშების სიმარტივისა, საქართველოს ეკონომიკის მაკროეკონომიკური მდგომარეობის, მისი მდგრადობისა და სტაბილურობის დასახასიათებლად დღემდე იგი პრაქტიკულად არ გამოიყენება. აღნიშნულის გამო წინამდებარე სტატიის მიზანი მისი გამოყენების და პრაქტიკაში დანერგვის პოპულარიზაციაა.

თავისი ბუნებით, **ეკონომიკური დისკომფორტის ინდექსის ზრდა – ნეგატიური შინაარსის, ხოლო შემცირება – პოზიტიური შინაარსის მატარებელია.** – რაც უფრო დაბალია ედი, ეკონომიკის განვითარების ტრენდი მით უფრო პოზიტიურია, ქვეყნის ეკონომიკა მით უფრო სტაბილური და მდგრადია, ნაკლებად მოწყვლადია რისკებისა და გამოწვევებისადმი. შესაბამისად, **ედი-ს ზრდის ტენდენცია** საპირისპირო ფაქტორებისა და გარემოებების მომძლავრებაზე – **ეკონომის მაკროეკონომიკურ არასტაბილურობასა და არამდგრადობაზე მეტყველებს.**

საქართველოში მეტ-ნაკლებად სარწმუნო სტატისტიკა ინფლაციაზე არსებობს 1996 წლიდან, სამუშაო ძალის გამოყენებაზე – 1998 წლიდან, შესაბამისად, საქართველოში ედი-ს გაანგარიშება შესაძლებელია 1998 წლიდან.

ცხრილი 1

**ეკონომიკური დისკომფორტის ინდექსი და მისი კომპონენტები საქართველოში 1998–2011 წლებში** (საშუალო წლიური დონე; პროცენტი)

| | 1998 | 1999 | 2000 | 2001 | 2002 | 2003 | 2004 | 2005 | 2006 | 2007 | 2008 | 2009 | 2010 | 2011 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ეკონომიკური დისკომფორტის ინდექსი | 16 | 31.8 | 14.4 | 15.8 | 18.2 | 16.3 | 18.3 | 22.1 | 22.7 | 22.5 | 26.5 | 18.6 | 23.4 | 24.7 |
| ინფლაცია | 3.6 | 19.1 | 4 | 4.7 | 5.6 | 4.8 | 5.7 | 8.3 | 9.2 | 9.2 | 10 | 1.7 | 7.1 | 8.5 |
| უმუშევრობა | 12.4 | 12.7 | 10.3 | 11.1 | 12.6 | 11.5 | 12.6 | 13.8 | 13.6 | 13.3 | 16.5 | 16.9 | 16.3 | 16.2 |

მოტანილი ცხრილი 1-დან ჩანს, რომ **საქართველოში როგორც ეკონომიკური დისკომფორტის ინდექსის, ისე მისი კომპონენტების** – ინფლაციისა და უმუშევრობის ტრენდები 2000 წლიდან, მიუხედავად ცალკეულ წლების პოზიტიური ცვლილებისა, ზრდადია, ხოლო 2011 წლის მნიშვნელობა 2003 წლისაზე 8.4 პროცენტული პუნქტით (1.5-ჯერ) უფრო მაღალია.

ედი-ს ზრდის ტენდენცია არაა მხოლოდ საქართველოსათვის დამახასიათებელი. მაგალითად, აშშ-ში ამ ინდექსის მნიშვნელობა 2011 წელს 2-ჯერ აღემატებოდა 1998 წლის მნიშვნელობას, თუმცა ჩვენთან ამ ინდექსის

---

[1] არტურ ოუკენი, აშშ პრეზიდენტ ჯონსონის ეკონომიკურ მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე 1967-1968 წლებში, აღნიშნულ ინდექსს გაჭირვების, შეჭირვების ინდექსსაც (The Misery Index) უწოდებდა. აღნიშნული ინდექსი აშშ-ში ფართოდ დაინერგა 1970-იან წლებში.

წინმსწრები ზრდის გამო სხვაობა საქართველოსა და ამ ქვეყნების მაჩვენებლებს შორის სისტემატურად მატულობს და იგი ბოლო 14 წლის მანძილზე მნიშვნელოვნად გაიზარდა: აშშ–თან – 10 პროცენტული პუნქტიდან 15 პროცენტულ პუნქტამდე, ევროგაერთიანებასთან კი – 4.2 პუნქტიდან 13.5 პუნქტამდე.

ედი–ს მიხედვით, მაკროეკონომიკური მდგრადობისა და სტაბილურობის მხრივ 2011 წელს საქართველოს აშშ–თან შედარებით **2.0–ჯერ, ხოლო ევროგაერთიანებასთან – 2.2–ჯერ უარესი მდგომარეობა ჰქონდა** (იხ. ცხრილი 2).

ცხრილი 2

**ეკონომიკური დისკომფორტის ინდექსი საქართველოში, აშშ–სა და ევროგაერთიანებაში 1998–2011 წლებში (პროცენტი)**

| | 1998 | 1999 | 2000 | 2001 | 2002 | 2003 | 2004 | 2005 | 2006 | 2007 | 2008 | 2009 | 2010 | 2011 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| საქართველო | 16 | 31.8 | 14.4 | 15.8 | 18.2 | 16.3 | 18.3 | 22.1 | 22.7 | 22.5 | 26.5 | 18.6 | 23.4 | 24.7 |
| აშშ | 6.1 | 6.4 | 7.4 | 7.7 | 7.4 | 8.3 | 8.2 | 8.4 | 7.9 | 7.5 | 9.9 | 9.1 | 11.2 | 12.1 |
| ევროგაერთიანება | 11.8 | 11.2 | 11.1 | 11.2 | 11.6 | 11.5 | 10.8 | 10.0 | 11.4 | 10.5 | 12.2 | 12.9 | 11.8 | 11.2 |

სამწუხაროდ, ბოლო წლების მონაცემთა ანალიზი აჩვენებს, რომ **ედი–ს სიდიდით საქართველო საგრძნობლად უსწრებს არა მარტო აშშ–სა და ევროგაერთიანებას, არამედ სამხრეთ კავკასიის სხვა ქვეყნებსაც.** – მაგალითად, თუ აღნიშნული ინდექსის დონე 2011 წელს 2003 წელთან საქართველოში გაიზარდა 1.5–ჯერ, სომხეთსა და აზერბაიჯანში – მხოლოდ 1.3–1.3–ჯერ თითოეულში. ამჟამად (2011 წლის მდგომარეობით) საქართველოს ედი–ს მნიშვნელობა აღემატება (ანუ უარესია): აზერბაიჯანისას – 61 პროცენტით, ხოლო სომხეთისას – 31 პროცენტით, რაზეც წარმოდგენას ქვემორე ცხრილი 3 იძლევა.

ცხრილი 3

**ეკონომიკური დისკომფორტის ინდექსი სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში 2003-2011 წლებში (პროცენტი)**

| | 1998 | 1999 | 2000 | 2001 | 2002 | 2003 | 2004 | 2005 | 2006 | 2007 | 2008 | 2009 | 2010 | 2011 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| საქართველო | 16 | 31.8 | 14.4 | 15.8 | 18.2 | 16.3 | 18.3 | 22.1 | 22.7 | 22.5 | 26.5 | 18.6 | 23.4 | 24.7 |
| აშშ | 6.1 | 6.4 | 7.4 | 7.7 | 7.4 | 8.3 | 8.2 | 8.4 | 7.9 | 7.5 | 9.9 | 9.1 | 11.2 | 12.1 |
| ევროგაერთიანება | 11.8 | 11.2 | 11.1 | 11.2 | 11.6 | 11.5 | 10.8 | 10.0 | 11.4 | 10.5 | 12.2 | 12.9 | 11.8 | 11.2 |

ბოლო ცხრა წლის მანძილზე სომხეთის ედი ყოველთვის საქართველოსაზე უკეთესი იყო, ხოლო აზერბაიჯანს მხოლოდ 2 წლის განმავლობაში (2007–20008 წლებში) ჰქონდა საქართველოზე უარესი მაჩვენებელი.

**ეკონომიკური დისკომფორტის ინდექსის** დიდი წილი (დაახლოებით 3/5) **საქართველოში უმუშევრობაზე მოდის**; ინფლაციის გავლენა კი მის ფორმირებაზე საქართველოში გაცილებით დაბალია, ვიდრე სამხრეთ კავკასიის სხვა ქვეყნებში, აგრეთვე აშშ–ში[2] .

ამასთან, თვითდასაქმებულთა მაღალი წილის გამო ჩვენთან (ისევე, როგორც სამხრეთ კავკასიის სხვა ქვეყნებში) პრაქტიკულად გამოუყენებადია ფილიპსის მრუდი, რომელიც გრაფიკულად, განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, გამოსახავს ინფლაციისა და უმუშევრობის დონეთა შორის უკუპროპორციულ დამოკიდებულებას. – **საქართველოში ინფლაციის ზრდას, როგორც წესი, არ მოჰყვებოდა უმუშევრობის შემცირება და პირიქით:** ბოლო 14 წლის მანძილზე (1998–2011 წწ.) საქართველოში მხოლოდ 3 წლის მანძილზე დადასტურდა ფილიპსის მრუდის კონცეფცია (ინფლაციისა და უმუშევრობის მაჩვენებელთა უარყოფითი კორელაცია).

ინფლაციის შედარებით მოკრძალებული წილი ბოლო წლებში (2008 წლის მეორე ნახევრიდან) საქართველოში ედი–ს ფორმირებაში ძირითადად გამოწვეულია უმუშევრობის მაღალ დონეზე შენარჩუნებისა და გლობალური ეკონომიკური კრიზისის გამო იმპორტირებულ პროდუქციაზე ფასების შედარებით შემცირებით[1]. ბოლო ცხრა წლის განმავლობაში ედი–ს საშუალო

---

[2] უმუშევრობის დონე საქართველოში სომხეთთან შედარებით 1.6–ჯერ, ხოლო აზერბაიჯანთან შედარებით – 2.7–ჯერ უფრო მაღალია, მაშინ როდესაც განსხვავებამ საშუალო წლიურ ინფლაციაში სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყანაში 2011 წელს ერთ პროცენტულ პუნქტზე ნაკლები შეადგინა.

[1] ანალოგიურ პროცესებს აქვს ადგილი სომხეთშიც. რაც შეეხება აზერბაიჯანს, ენერგეტიკული სექტორის განვითარების გამო აქ ინფლაციური პროცესები უფრო ე.წ. „ჰოლანდიური ავადმყოფობით" უნდა იყოს განპირობებული.

წლიური მნიშვნელობა შეადგენდა (პროცენტულად): საქართველოში – 21.7–ს, სომხეთში – 13.5–ს, აზერბაიჯანში – 16.0–ს, აშშ–ში – 9.2–ს, ევროგაერთიანებაში – 11.4–ს.

ქვემოთ მოტანილია აღნიშნული ინფორმაციის გრაფიკული დამოკიდებულება.

**ეკონომიკური დისკომფორტის ინდექსის საშუალო წლიური მნიშვნელობა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში, ევროგაერთიანებასა და აშშ–ში საქართველოსთან შედარებით 2003–2011 წლებში (საქართველო = 100)**




როგორც გრაფიკიდან ჩანს, **ეკონომიკური დისკომფორტის ინდექსის გათვალისწინებით, მაკროეკონომიკური სტაბილურობის, ეფექტურობისა და მდგრადობის თვალსაზრისით, მდგომარეობა აზერბაიჯანში – 1.4–ჯერ, სომხეთში – 1.6–ჯერ, ევროგაერთიანებაში – თითქმის 2–ჯერ, ხოლო აშშ–ში – დაახლოებით 2.4–ჯერ უკეთესია, ვიდრე საქართველოში.**

საბაზრო ეკონომიკის პრინციპების მიმდევარი ვერც ერთი **ქვეყანა** ვერ უზრუნველყოფს ედი–ს ნულოვან დონეს. ასეთი ეკონომიკისათვის ინფლაციაც და უმუშევრობაც იმანენტური მოვლენებია. მაგრამ ასეთ შემთხვევაში, **რამდენი უნდა იყოს ამ ინდექსის მნიშვნელობა, რომ იგი არ იყოს საფრთხეების შემცველი ეროვნული ეკონომიკისათვის და არ შეიცავდეს კრიზისის ღია თუ ირიბ ნიშნებს?**

რადგანაც **ედი** დამოკიდებულია ინფლაციისა და უმუშევრობის დონეებზე, მისი ნორმალური, „ბუნებრივი" ზღვრული მნიშვნელობა დამოკიდებულია მისი თითოეული კომპონენტის მაქსიმალურ ზღვრულ მნიშვნელობაზე. მაგალითად, აშშ–ში, სადაც უაღრესად განვითარებულია საბაზრო ეკონომიკა, გამოიყენება ეკონომიკის რეგულირების მრავალი ინსტრუმენტი, მდგრადი და ეფექტური განვითარებისათვის საფრთხის შემცველად უნდა შეფასდეს 3 პროცენტზე უფრო მაღალი წლიური ინფლაცია და 4 პროცენტზე უფრო მაღალი უმუშევრობის დონე. ანუ, **ედი–ს ბუნებრივი დონე აშშ–სთვის 7 პროცენტს არ უნდა აღემატებოდეს.**

ისეთი განვითარებადი **ქვეყნისათვის** კი, როგორიც საქართველოა, უფრო „შერბილებული კრიტერიუმით" უნდა ვიხელმძღვანელოთ. ჩვენი აზრით, **7%–იანი ინფლაცია და 8–პროცენტიანი უმუშევრობა ის დონეა, რომელიც განვითარების თანამედროვე ეტაპზე მყოფი საქართველოსათვის შედარებით მისაღებად უნდა ჩაითვალოს. ანუ საქართველოსათვის ედი–ს ზღვრული დასაშვები დონე 15 პროცენტია.**

ვფიქრობ, აღნიშნული ინდექსის „ბუნებრივი, 15-პროცენტიანი დონე", მისაღები უნდა იყოს სამხრეთ კავკასიის სხვა ქვეყნებისთვისაც.

რეალურად, **1998** წლიდან საქართველოში მხოლოდ ერთ წელს (2000 წ.) იყო მიღწეული **ედი**–ს 15 პროცენტზე დაბალი დონე და კიდევ ერთ წელს (2001 წ.) ადგილი ჰქონდა ზღვრულ დასაშვებ ნორმაზე ერთ პროცენტზე ნაკლებით გადაჭარბებას. ყველა სხვა წლის მიხედვით, მათ შორის „ვარდების რევოლუციის" შემდგომი მთელი პერიოდის მანძილზე, ფაქტობრივი ინდექსი ხშირად, მისაღებ დონეს მნიშვნელოვნად აღემატებოდა. თანაც აღსანიშნავია, რომ ამ ინდექსის ფაქტობრივი მდგომარეობა 2011 წლისთვის 2003 წელთან შედარებით (ისევე, როგორც 1998 წელთან შედარებით) თითქმის 1.7–ჯერ გაიზარდა.

**ქვემოთ** მოტანილია ცხრილი, რომელიც აჩვენებს, თუ რამდენად აღემატება **ედი**–ს „ბუნებრივ", **ზღვრულ დასაშვებ** დონეს მისი ფაქტობრივი მნიშვნელობა **საქართველოსა** და ამერიკაში (ნორმალური დონე: საქართველო - 15%, აშშ - 7%).

ცხრილი 4

**სხვაობა ედი–ს ფაქტობრივ და "ბუნებრივ" (ზღვრულ დასაშვებ) დონეებს* შორის 1998–2011 წლებში** (პროცენტი)

| | 1998 | 1999 | 2000 | 2001 | 2002 | 2003 | 2004 | 2005 | 2006 | 2007 | 2008 | 2009 | 2010 | 2011 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| საქართველო | 1 | 16.8 | -0.7 | 0.8 | 3.2 | 1.3 | 3.3 | 7.0 | 7.8 | 7.5 | 11.6 | 3.6 | 8.4 | 9.7 |
| აშშ | -0.9 | -0.6 | 0.4 | 0.7 | 0.4 | 1.3 | 1.2 | 1.4 | 0.9 | 0.5 | 2.9 | 2.1 | 4.2 | 5.1 |

** ედი–ს „ბუნებრივი" (ზღვრული დასაშვები) დონე: საქართველო – 15%, აშშ– 7%.*

ბოლო 14 წლის მანძილზე (1998–2011 წწ.) ამერიკის **ედი**–ს საშუალო წლიური მაჩვენებელი 8.385–ია, საქართველოსი კი მასზე 2.5–ჯერ უფრო მაღალი – 20.863. ეკონომიკური დისკომფორტის „ბუნებრივ" დონეს ფაქტობრივი მაჩვენებელი ამ ბოლო 14 წლის მანძილზე ამერიკაში აჭარბებდა მხოლოდ 1.385 პროცენტული პუნქტით, ხოლო საქართველოში – 5.907 პუნქტით, ანუ 4.3–ჯერ უფრო მეტად.

ბოლო 14 წლის მიხედვით, საქართველოს ინფლაციის საშუალო წლიური მაჩვენებელი აღემატებოდა აშშ-ის მაჩვენებელს 3.0-ჯერ (7.5% და 2.46%), უმუშევრობისა კი, შესაბამისად, 2.3-ჯერ (13.5% და 5.95%). დაახლოებით ამავე მასშტაბებისაა განსხვავება დასახელებული ინდიკატორების მიხედვით საშუალო კვადრატული გადახრის მიხედვითაც, რაც მეტყველებს საქართველოს ამერიკისაგან არა მარტო ზოგადეკონომიკურ, არამედ ეკონომიკური მდგრადობისა და სტაბილური განვითარების შედარებით ჩამორჩენილობაზე[1].

ედი–ს ფაქტობრივი დონის ბუნებრივ, ზღვრულ ფონზე გადაჭარბებით, საქართველო საგრძნობლად უსწრებს თავის უშუალო მეზობლებსაც – აზერბაიჯანსა და სომხეთს. **ბოლო 9 წლის მანძილზე ამ ინდექსის მნიშვნელობით საქართველო ვერასდროს ვერ ჩამოცდა მის ზღვრულ (15%–იან) ნიშნულს, მაშინ როდესაც სომხეთმა ეს მოახერხა 6 წლის, ხოლო აზერბაიჯანმა 3–ჯერ.** ამ წლებში საშუალოდ, **ედი**–ს ფაქტობრივი მნიშვნელობა მის ზღვრულ ბუნებრივ მნიშვნელობას აღემატებოდა: აზერბაიჯანში – 1.0 პროცენტული პუნქტით, სომხეთში – 1.545 პუნქტით, საქართველოში – 6.6 პუნქტით

**ედი**–ს ფაქტობრივი მნიშვნელობა კარგად წარმოაჩენს მაკროეკონომიკური ტრიადის (ეკონომიკური ზრდის ტემპი, ინფლაცია, უმუშევრობის დონე) ორ ასპექტს. იმის გათვალისწინებით კი, რომ ეკონომიკური განვითარების, ზრდის დინამიზმის მხრივაც საქართველოს სერიოზული პრობლემები გააჩნია, შეიძლება დავასკვნათ, რომ **საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა არა მარტო ჩამორჩება განვითარებულ ქვეყნებისა და თავის უშუალო მეზობლების მდგომარეობას, არამედ მათთან შედარებით ნაკლები ეკონომიკური სტაბილურობითა და მდგრადობით გამოირჩევა.** აღნიშნული გარემოება კი ზრდის ქვეყნის განვითარებაში ნეგატიური ტენდენციებისა და რისკების დადგომის ალბათობას.

ამავე დროს, ვითვალისწინებ რა ეკონომიკური დისკომფორტის ინდექსის დიდ შემეცნებით და გამოყენებით ღირებულებას, იმედს ვიტოვებ, რომ ქართული მედია–საშუალებები, ეკონომისტები და პოლიტოლოგები, ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის დახასიათებისას „ტრადიციულ" მაკროეკონომიკურ ინდიკატორებისა და სხვადასხვა რეიტინგულ შეფასებების პარალელურად ფართოდ გამოიყენებენ აღნიშნულ ინდექსსაც.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. Michael C. Lovell and Pao Lin Tien Economic Discomfort and Consumer Sentiment Wesleyan University Middletown, CT 06459, July 12th, 1999.
2. geostat.ge.
3. http://www.bls.gov.
4. http://epp.eurostat.ec.europa.eu/portal/page/portal/eurostat/home/.
5. http://www.azstat.org.
6. http://armstat.am/en.


[1] ამ მხრივ საინტერესოა ევროკავშირთანაც განხორციელებული შედარება. – ამ გაერთიანების მიხედვით ბოლო 14 წლის მანძილზე **ედი** შეადგენს 11.5 პროცენტს, რაც აშშ–ის მაჩვენებელს იმავე პერიოდისათვის 1.4 ჯერ აღემატება. თუმცა აშშ–სგან განსხვავებით, ევროკავშირის მიხედვით **ედი**–ის დონე გამოირჩეოდა სტაბილურობით (ვარიაციის საშუალო წლიურმა მაჩვენებელმა მხოლოდ 0.6 პროცენტი შეადგინა) და 2011 წელს აშშ–სთან შედარებით დაახლოებით 1/10–ით ნაკლები (ანუ პოზიტიური) მაჩვენებელი ჰქონდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ევროკავშირის ფორმულირების განვითარება და ეკონომიკური კონკურენციის კანონი



**რევაზ ლორთქიფანიძე**
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი

პოსტკრიზისული ეკონომიკური რეფორმების პროცესში ბაზრის ფინანსური ტევადობის არსებითი მატების და ხარჯების მონოპოლიურად ხელოვნური გაბერვის შემცირებისათვის, ჩემს მიერ შემოთავაზებულ იქნა ეკონომიკური სტრუქტურის ეფექტიანობის განსაზღვრის ევროკავშირის ექსპერტთა ფორმულირების განვითარება, კერძოდ, ეკონომიკის სტრუქტურული ძვრების ეფექტიანობის ფორმულა, რომელიც აპრობირებულია სადისერტაციო კვლევების დროს და შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ეკონომიკური სტრუქტურის (მ.შ. დარგობრივი, ტერიტორიული, ასაკობრივი, სახეობრივ-ტექნოლოგიური, აღწარმოებითი) ეფექტიანობის დადებითი გავლენის სტიმულირებისათვის, განსაკუთრებით, ეკონომიკური პრობლემების გამწვავების დროს:

$$E= [(E_{io}+E_{it})/2]\Delta a_i;$$
$$i=1;2;\ldots;n$$

სადაც, $E$ – სტრუქტურული ძვრების ეფექტიანობაა დროის $t$ მონაკვეთში;

$E_{io}$ – სტრუქტურის შემადგენელი $i$-ური ელემენტის საწყისი ეფექტიანობა;

$E_{it}$ – სტრუქტურის შემადგენელი $i$-ური ელემენტის ეფექტიანობაა $t$ მონაკვეთის დასასრულისათვის;

$\Delta a_i$ – გამოყენებული რესურსის სტრუქტურის შემადგენელი $i$-ური ელემენტის ხვედრიწონის ცვლილებაა დროის $t$ მონაკვეთში.

$i=1;2;\ldots;n$ – სტრუქტურის შემადგენელი ელემენტი (დარგი, რეგიონი, ასაკობრივი, სახეობრივი ჯგუფი ან სხვ.).

ხარჯების მატების გამო ეკონომიკის განსაკუთრებით სწრაფი განვითარების აუცილებლობის შემთხვევაში, უნდა ვეცადოთ, დამატებითი სტიმულები მივცეთ სტრუქტურის ეფექტიან შემადგენლებს (და არა გამოუყენებელ წამგებიანებლებს, რაც ხარჯების დამატებით გადიდებას გამოიწვევს ისედაც შეზღუდულ პირობებში), რათა მათი შემოსავლების ხარჯზე დავაწინაუროთ ჩამორჩენილი ელემენტებიც. ასეთ დროს, ზემოაღნიშნული სტრუქტურის ეფექტიანობა დადებით ნიშნულზე უნდა ფიქსირდებოდეს, ამასთანავე, არსებითი მატების ტენდენციით.

განსაკუთრებული მადლიერებით უნდა აღინიშნოს ანტიმონოპოლიურ საკითხებზე მომუშავე ცნობილი ქართველი ეკონომისტის ს. ფეტელავას დვაწლი აღნიშნულ ფრონტზე დასაბუთებული პოლიტიკის საწარმოებლად საერთაშორისო პრაქტიკაში, რისთვისაც მან, საქართველოსათვის განსაკუთრებით მძიმე კრიზისულ პერიოდებში, თითქმის დამოუკიდებლად და პირადი ენთუზიაზმით დიდი თეორიული კვლევები ჩაატარა [1].

როგორც ცნობილია, როცა კონკურენტულობის ხარისხის შეფასების სხვადასხვა მაჩვენებელი არასასურველ დონეებზე ფიქსირდება, ზოგიერთ განვითარებულ ქვეყანაში ანტიმონოპოლიური განგაშიც ტყდება. ერთ-ერთი ასეთი მაჩვენებელი (ჰერფინდალ-ჰირშმანის ბაზრის კონცენტრაციის ინდექსი 1, [3, გვ. 13-14] შემოთავაზებულია განისაზღვროს, როგორც ბაზარზე ყველა მოქმედი მიმწოდებლის წილთა კვადრატების ჯამი, რამაც საუკეთესო შემთხვევაში 1000-ს არ უნდა გადააჭარბოს. ელემენტარული გაანგარიშებით, ასეთი სიტუაცია შეიძლება მაშინ შეიქმნას, როცა ერთ-ერთი ფირმის წილი 31 პროცენტს გადააჭარბებს.

"ახალ ეკონომისტში" გასულ წელს გამოქვეყნებულ ჩემს სტატიასა [4, გვ. 45-47] და უფრო ადრინდელ და ინტერნეტის მიმდინარე წლის პუბლიკაციებში ([3],[5]) გარკვეული ნაწილი დავუთმე კონკურენციის კანონის ჩემს





საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

შემოთავაზებას, რომელიც ახალი დაკვირვებებით ივსება და, ვფიქრობ, განსაკუთრებულ აქტუალობას პოსტკრიზისული ეკონომიკური რეფორმებისა და შესაბამისად ანტიმონოპოლიური სამსახურის რეფორმირების მიმდინარე ეტაპზე იძენს.

განმარტებისათვის, დავაზუსტებ, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი ეკონომიკური კონკურენციის ძალის განსაზღვრის კანონი შემუშავებულია ფიზიკაში დენის ძალის განსაზღვრის ცნობილი ომის კანონის ფორმალური მსგავსებით. ლორთქიფანიძის კონკურენციის კანონი ობიექტური რეალობის გარკვეულ განზოგადებას წარმოადგენს და გულისხმობს, რომ, რაც უფრო მეტია ერთგვაროვანი პროდუქციის (ან მომსახურების) ბაზარზე საერთო მიწოდება და მომწოდებელთა რაოდენობა და ნაკლებია უმსხვილესი მიმწოდებლის (შესაძლოა, მონოპოლისტის) მიწოდება და არარეალიზებული პროდუქციის საერთო რაოდენობა, მით მეტია ეკონომიკური კონკურენციის ძალის მნიშვნელობა და, შესაბამისად, უფრო თავისუფალია ხსენებული ბაზარი. შემოთავაზებული ეკონომიკური კონკურენციის კანონით მაღალგანვითარებული ბზრების თავისუფლების ხარისხიც შეიძლება შევაფასოთ.

როგორც მოგახსენეთ, ეკონომიკური კონკურენციის ძალას ვსაზღვრავ დენის ძალის კანონის (I=U/R) მსგავსად და შეფასებისათვის შემომაქვს ორი ინდექსი: I1 = U/R1 (სადაც I1 – კონკურენციის პირველი ინდექსია, ხოლო U – ერთგვაროვანი პროდუქციის მთლიანი გამოშვება, R1 კი – ერთგვაროვანი პროდუქციის ყველაზე მსხვილი მწარმოებლის გამოშვება) და I2 = U/R0 (სადაც I2 – კონკურენციის მეორე ინდექსია, ხოლო R0 – არარეალიზებული პროდუქცია). დასკვნითი მონიტორინგისათვის, მიზანშეწონილია, შემოვიტანოთ კონკურენციის ინტეგრალური კოეფიციენტი K = N × I1× I2, სადაც N θ– ერთგვაროვანი პროდუქციის მწარმოებელ ფირმათა რიცხვია ბაზარზე. მიზანშეწონილია, რომ I1 3-ზე ნაკლები არ იყოს, I2 – 5-ზე ნაკლები არ იყოს, ხოლო N - 10-ზე ნაკლები არ იყოს, მაშასადამე, ინტეგრალურ ნამრავლში, K 150-ზე ნაკლები არ უნდა იყოს, თუმცა, ზედა ზღვარსაც დაკვირვება უნდა და ქვეყნის მასშტაბებიდან და სხვადასხვა სუბიექტური გარემოებებიდან გამომდინარე, რაც მაკროეკონომიკური სტაბილურობისათვის პერიოდულად დამატებით კომპლექსურ გათვლებს საჭიროებს, K-ს მნიშვნელობა მეტნაკლებად 1000-ს არ უნდა აღემატებოდეს.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. ფეტელავა ს., ეკონომიკური კონკურენცია (ბაზრის კონკურენციულობის ანალიზის მეთოდური საკითხები). „ლოი" თბ., 2012.

2. სასაქონლო ბაზრებზე კონკურენტული გარემოს შეფასების მეთოდური რეკომენდაციები. – თბილისი, საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახური, 1998, 3 დეკემბერი.

3. ლორთქიფანიძე რ., ეკონომიკური ზრდის ქრისტიანული, პოლიტიკური და თეორიული საფუძვლების შესახებ. (ქვაშვეთის ტაძარში მოღვაწე მამა ღვთისოს (შალიკაშვილი) კურთხევით), თბ., 2005.

4. ლორთქიფანიძე რ., ეკონომიკური კონკურენციის ძალის შეფასებისათვის. ჟურნალი "ახალი ეკონომისტი", №2, 2011, გვ. 45-47.

5. ლორთქიფანიძე რ., განმარტებები კონკურენციის კანონის, ევროკომისიის ფორმულის განვითარებისა და მაკროსტაბილურობის სტრატეგიულ საკითხებზე. – www. education.ge, ელექტრონული ჟურნალი, საზოგადოებრივი მეცნიერებები, ეკონომიკა, 2012, 16 თებერვალი.

# საგანმანათლებლო დაწესებულების პერსონალის მართვის ძირითადი მიმართულებები და ამოცანები



**მარინა გელაშვილი**

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის
რექტორის მოადგილე,
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი,
ბიოლოგიის აკადემიური დოქტორი.



**ნინო სოზაშვილი**

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის
სრული პროფესორი,
ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი,
განათლების მეცნიერებათა დოქტორი.

მეცნიერებათა დიდი ნაწილი ეფუძნება ისტორიული გამოცდილების კვლევისა და ანალიზის შედეგებს. მენეჯმენტის ისტორიის შესწავლა გვეხმარება, თავიდან ავიცილოთ ამ მეცნიერების განვითარების განვლილ გზაზე წარმოშობილი წინააღმდეგობები და დაშვებული შეცდომები.

ნებისმიერი საქმიანობის წარმატებული მართვისათვის აუცილებელია მეცნიერულად გააზრებული მეთოდების გამოყენება, ამიტომ, ამ პროცესმა მართვის მეცნიერების სახელი დაიმკვიდრა.

როგორც ნებისმიერი მეცნიერება, მართვის მეცნიერებაც იკვლევს წარსულის, აწმყოს და მომავლის ორგანულ ურთიერთკავშირს. წარსულის ანალიზის საფუძველზე უკეთესად ვახდენთ სათანადო პროგნოზირებას, რაც სისტემის ოპტიმალურ განვითარებას უზრუნველყოფს.

**მართვის სფეროში ისტორიული გამოცდილების ცოდნა-გააზრება საჭიროა შემდეგი მიზეზების გამო:**

➢ ისტორია ყოველთვის საინტერესო და საჭიროა, რათა განვსაზღვროთ სისტემის განვითარების თანამედროვე ეტაპები და მომავალი;

➢ ისტორია გვაძლევს საშუალებას შევავსოთ საკუთარი აზრების დეფიციტი და გავზარდოთ ცოდნის მოცულობა;

➢ ისტორია გვაძლევს შესაძლებლობას განვიხილოთ სისტემის განვითარების ძირითადი ეტაპები და მეცნიერული სისტემატიზება გავუკეთოთ მათ;

➢ ისტორია გვაძლევს საშუალებას, გავითვალისწინოთ წარსულის გაკვეთილები, რათა არ გავიმეოროთ შეცდომები მომავალში.

საქართველოში მიმდინარე დემოკრატიულმა გარდაქმნებმა საგანმანათლებლო დაწესებულებებს (ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს, უმაღლეს სასწავლებლებს და სხვ.) უფლება მისცა დამოუკიდებლად აწარმოონ საკადრო პოლიტიკა, ანუ თვითონ განახორციელონ ადამიანური რესურსების მენეჯმენტი.

ასეთი გარემოება დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციას და ახალ მოთხოვნებს უყენებს მას. ეს მოთხოვნები პირველ რიგში კადრების სწორად შერჩევას, საკადრო პოლიტიკის განვითარებასა და ადამიანური რესურსების ოპტიმალურად გამოყენების საშუალებების ძიებას უკავშირდება.

თანამედროვე მენეჯმენტის თვალსაზრისით, საკადრო რესურსების გამოყენების გაუმჯობესება, ჩვეულებრივ, განიხილება, როგორც ეკონომიკური საქმიანობის ეფექტიანობისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესების ძირითადი რეზერვი. ამ მხრივ, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პერსონალის მართვას, რაც საკმაოდ ფართო სპექტრით განხილვის საგანია, ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირებით დაწყებული და ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულებების ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური ანალიზით დამთავრებული.

ადამიანური რესურსების ორგანიზაციული მართვის ასპექტებს შეიძლება მივაკუთვნოთ

საკადრო პოლიტიკის ფორმირება, მიზნებისა და ძირითადი ფუნქციების განსაზღვრა, ოპტიმალური მმართველობითი სტრუქტურების ჩამოყალიბება, რაც განსაკუთრებით ხაზს უსვამს ადამიანური რესურსების მენეჯმენტის პრაგმატულ ხასიათს.

**მეტად მნიშვნელოვანია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პერსონალის მენეჯმენტის ძირითადი ეკონომიკური ასპექტების გააზრება, თითოეული ადამიანის შრომითი პროდუქტიულობის, ანუ მისი პროფესიული პედაგოგიური მოღვაწეობის ეფექტურობის შესწავლა.** ამ საკითხების კვლევა ძალზე აქტუალურია ადამიანური რესურსების ხარისხისა და ეფექტიანობის კრიტერიუმების განსაზღვრისათვის. ამ უკანასკნელზე კი პირდაპირაა დამოკიდებული საგანმანათლებლო პროცესის შედეგები და სასწავლო დაწესებულებების კონკურენტუნარიანობა.

ცოცხალი ძალის (ადამიანური რესურსების) საშუალებით მოდის მოძრაობაში განათლების სისტემის მატერიალური და ფასეული ელემენტები, რისი საშუალებითაც იქმნება ისეთი ღირებული პროდუქტი, როგორიცაა წიგნიერი ახალგაზრდა, მაღალი ხარისხის პროფესიონალი, ქვეყნისა და საზოგადოების სრულფასოვანი წევრი.

ჩვენ გავაანალიზეთ სამეცნიერო ლიტერატურულ წყაროებში გადმოცემული ადამიანური რესურსების მართვის კლასიკური კონცეფციები და ახალი მიდგომები (იხ.: ნახ. 1.)



ნახ.1.

ვიდრე ადამიანური რესურსების მართვის კლასიკური კონცეფციებისა და მოდელების ანალიზის საფუძველზე ჩვენეულ ხედვას ჩამოვაყალიბებთ, გვინდა მოკლედ და ზოგადად დავახასიათოთ ნახ. 1-ზე წარმოდგენილი სკოლები, მოდელები და კონცეფციები.

**მენეჯმენტის კლასიკური სკოლა**

მენეჯმენტის კლასიკური სკოლის ფუძემდებლის ანრი ფაიოლის მიხედვით, მართვის მნიშვნელოვანი პრინციპები და ელემენტებია: შრომის დანაწილება, ძალაუფლება, დისციპლინა, განმკარგულებელთა ერთიანობა, ხელმძღვანელთა ერთიანობა, კერძო ინტერესების დაქვემდებარება საერთოსთან, იერარქია, წესრიგი, პერსონალის შემადგენლობის მუდმივობა, ინიციატივა, თანამშრომლების ერთიანობა, ორგანიზება, კოორდინირება, განკარგულება და კონტროლი. [2; 3]

**მენეჯმენტის ნეოკლასიკური სკოლა**

ნეოკლასიკური სკოლის დამფუძნებლად ითვლებიან ჯორჯ ელტონ მეიო და მერი პარკერ ფოლეტი, რომელმაც პირველმა მენეჯმენტი განსაზღვრა, როგორც „სამუშაოს შესრულება სხვისი ხელით". ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორმა, წინ წამოსწია თეორია „ადამიანური ურთიერთობები მართვაში". ამ სისტემის ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტებია: ორმხრივი ურთიერთობებისა და ინფორმაციის სისტემა, საუბრების სისტემა, მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, არაფორმალური ჯგუფების ორგანიზაცია და მათი მართვა. [5; 6]

**მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციები**

ფსიქოლოგიისა და სოციოლოგიის მეცნიერებათა განვითარებამ საფუძველი დაუდო მენეჯმენტის ახალ კონცეფციას, რომლის ძირითადი არსი სამუშაო ადგილებზე მუშაკთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქცევის შესწავლა იყო. ახალი მიდგომის მიზანი იყო დახმარებოდა მუშაკს საკუთარი შესაძლებლობების გაგებაში. ამ სკოლის ძირითადი მიმართულება იყო ორგანიზაციის საქმიანობის გაუმჯობესება მისი ადამიანური რესურსების ეფექტიანობის ამაღლების საფუძველზე. [5; 6]

**ამერიკული მოდელის თავისებურებები**

მენეჯმენტის ამერიკული მოდელის კვლევა მეტად საინტერესოა. ეს ინტერესი იმითაცაა გამოწვეული, რომ სწორედ აშშ-ში ჩამოყალიბდა მენეჯმენტი, როგორც მეცნიერება და როგორც პრაქტიკული საქმიანობა. ამერიკულმა მენეჯმენტმა გაითავისა კლასიკური სკოლის საფუძვლები. ცნობილმა მკვლევარებმა – ლუთერ გულიკმა და ლინდალ ურვიკმა ბევრი გააკეთეს მენეჯმენტის კლასიკური სკოლის ძირითადი დებულებების პოპულარიზებისათვის. კლასიკურმა სკოლამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია მენეჯმენტის ამერიკული თეორიის ყველა სხვა მიმართულების ფორმირებაში. თანამედროვე ამერიკული მენეჯმენტი, იმ სახით, როგორითაც დღეს არის, დაფუძნებულია სამ ისტორიულ რეალობაზე: ბაზრის არსებობაზე, წარმოების ორგანიზების ინდუსტრიულ ხერხებზე, კორპორაციაზე, როგორც ბიზნესის ძირითად ფორმაზე. [6]

**იაპონური მოდელის მახასიათებლები**

იაპონური მოდელი ორიენტირებულია ადამიანის ფაქტორზე. იგი ამერიკული მოდელისაგან განსხვავებით აქცენტს აკეთებს არა ერთ ადამიანზე, არამედ ადამიანთა ჯგუფზე. სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, იაპონელები არ ითხოვენ წესების, ინსტრუქციებისა და დაპირებების უპირობო შესრულებას. მათი აზრით, მენეჯერების ქცევა და მათ მიერ გადაწყვეტილების მიღება მთლიანად არის დამოკიდებული ვითარებაზე, ანუ გარემოების ნიუანსის შესწავლაზე, რაც საშუალებას აძლევს მენეჯერს მიიღოს სწორი გადაწყვეტილება. ცენტრალური ადგილი იაპონურ მენეჯმენტში უჭირავს ხარისხის მართვას. [7]

**დასავლეთ ევროპული მოდელები**

მენეჯმენტის დასავლეთ ევროპული მოდელის ფორმირებაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინეს ინგლისელმა მკვლევარებმა რ. ფელკმა და ლ. ურვიკმა, რომლებმაც დაამუშავეს მენეჯმენტის პრინციპები, დაფუძნებული „ოპერაციათა კვლევაზე". დასავლეთ ევროპელმა მეცნიერებმა მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგეს მენეჯმენტის ფორმირებაში „სოციალური ადამიანის" პოზიციის თვალსაზრისით. ეს მეთოდი საშუალებას იძლევა შესწავლილ იქნას ადამიანის ქცევა მასზე ჯგუფური ქცევის ზემოქმედების თვალსაზრისით. [6; 7]

**საკადრო პერსონალის მართვის ახალი მოდელის კონცეფცია**

საქართველო, როგორც პოსტსაბჭოური ქვეყანა, ჯერ კიდევ სწავლების რეჟიმში იმყოფება. საბჭოთა პოლიტიკა არ ცნობდა არც ამერიკულ, იაპონურ, თუ ევროპულ მოდელებს და არავითარი სტრატეგია არ გააჩნდა მენეჯერული პროცესების განვითარებისათვის. უფრო მეტიც, ათასობით და ათიათასობით ეკონომიკური, თუ არაეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტა პიროვნებების ნება-სურვილსა და ფანტაზიაზე იყო მინდობილი. ეს არცაა გასაკვირი, რადგან, როგორც ვიცით, მენეჯერული თეორიები ბიზნესისა და საბაზრო ეკონომიკის წარმონაქმნია. საბჭოთა სივრცისათვის კი ერთიცა და მეორეც მიუღებელი და კანონსაწინააღმდეგო მოვლენა იყო. აქედან გამომდინარე, საქართველოში ვერც გვექნება და არც გვაქვს ეროვნული მენეჯერული სისტემა. ცხადია, მენეჯმენტს, როგორც ნებისმიერი დარგისათვის აუცილებელ პროცესს, საქართველოშიც უნდა ჰქონდეს სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერა და განვითარების შესაფერისი პირობები.

ჩვენი აზრით, მენეჯმენტის საკუთარი სისტემის შექმნა შეუძლებელიცაა და არც არის ამის საჭიროება. მით უმეტეს, ჯერ ბოლომდე არ გვაქვს გაცნობიერებული და არ ვართ ადაპტირებული იმ არსებულ სისტემებთან, რომელიც ზემოთ იყო მოხსენიებული. დღეს, კარს მომდგარი ახალი ეპოქა, ახალ გამოწვევებს გვთავაზობს. ეს გამოწვევები უპირველესად, საბაზრო ეკონომიკის მკაცრი მოთხოვნებიდან გამომდინარეობს და სიტუაცია და მოვლენები სწრაფად, ჩვენს თვალწინ იცვლება და ვითარდება. საჭიროება მოითხოვს სტრატეგიული დაგეგმვისა და ბაზრის პრინციპების კარგად გააზრებასა და გაცნობიერებას, ბაზარზე კონკურენტუნარიანი, პროფესიონალი კადრის აღზრდას. ეს კი ახალი მენეჯერული პოლიტიკის განვითარების გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელია.

განათლების სისტემის უმთავრესი ამოცანაა - ადამიანს მისცეს სრულფასოვანი ცოდნა მისთვის საინტერესო სფეროსა და საკითხებზე. ამ ამოცანის შესრულება დაკავშირებულია მრავალ პრობლემასთან და ფაქტორთან, რომელიც საჭიროებს მუდმივ კვლევასა და ანალიზს. საგანმანათლებლო დაწესებულებების ფუნქციონირებისა და დაკისრებული მიზან-ვალდებულებების შესრულების ხარისხი იმაზეა დამოკიდებული, თუ რა დონეზე და როგორი საშუალებებით ჩავატარებთ აღნიშნულ კვლევებს.

საგანმანათლებლო დაწესებულებების ეფექტური ფუნქციონირება უპირველესად

დამოკიდებულია კადრების პროფესიულ დონესა და პერსონალის მართვის ხარისხზე. შეიძლება ითქვას, რომ დღეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში დასაქმებულ პერსონალს სათანადო პროფესიული დონე, ასე თუ ისე გააჩნია. რაც შეეხება პერსონალის მენეჯმენტს, აქ ბევრი რამ მოსაგვარებელია.

მიუხედავად იმისა, რომ მენეჯმენტის თეორიამ თავისი არსებობის მანძილზე დიდი ცვლილებები განიცადა, მისი განვითარება ჯერ არ არის დასრულებული და მისი სრულყოფა მუდმივად იქნება აქტუალური კვლევის საგანი. დღეს, ნებისმიერ სფეროში (იქნება ეს წარმოების, ბიზნესის, თუ საგანმანათლებლო სფერო), პერსონალის მართვის პროცესი, მენეჯმენტის არსებული თეორიის პრაქტიკული რეალიზების საფუძველზე მიმდინარეობს.

საქართველოს საგანმანათლებლო სისტემა უნდა ჩაერთოს მენეჯმენტის ახალი მოდელების, კონცეფციებისა და მათი გამოყენების მეთოდების შემუშავების პროცესში. ამერიკული, იაპონური და ევროპული მოდელები არ უნდა ჩაითვალოს დასრულებულად, თუმცა ისინი არ უნდა იქნას უარყოფილი და შექმნილი აბსოლუტურად ახალი მოდელი. ვფიქრობთ, რომ ზემოთმოხსენებული მოდელებიდან, საუკეთესო მახასიათებლების გამოცალკევებითა და ქართული ეროვნული ტრადიციული ქცევების გათვალისწინებით, შეიძლება ახალი, ჩვენს რეალობასთან მისადაგებული და ადაპტირებადი მოდელის შექმნა. ჩვენს აზრს აქვს არსებობის უფლება, რადგან, თითქმის ყველა თანამედროვე მენეჯმენტურ მოდელში უპირატესობას სწორედ ადამიანისა და ობიექტის „ქცევას" ანიჭებენ. ეს კი მნიშვნელოვანი ფაქტორია, რადგან ყოველი ადამიანის ქცევა მისი ეროვნული ტრადიციებიდან და კულტურული მახასიათებლებიდან გამომდინარეობს.

პირველ რიგში, უნდა გავარკვიოთ საგანმანათლებლო დაწესებულებების საკადრო პერსონალის მენეჯმენტის საინფორმაციო ბაზის ფორმირების კონცეპტუალური მიმართულება, რათა დავამუშავოთ პერსონალის მენეჯმენტის კონცეპტუალურ-მეთოდოლოგიური მიდგომები. ამისათვის საჭიროა, ემპირიული და თეორიული მონაცემების განზოგადება, რის საფუძველზეც შევიმუშავებთ პერსონალის მენეჯმენტის საინფორმაციო ბაზის ფორმირების პრაქტიკულ რეკომენდაციებს.

ამ მიზნის შესაბამისად, გადავწყვიტეთ ნაშრომში დაგვემუშავებინა პირველი რიგის შემდეგი ამოცანები (იხ.: ნახ. 2).




ნახ.2.

როგორც ვხედავთ, საკადრო პერსონალის **მენეჯმენტის საინფორმაციო ბაზის ფორმირებისათვის დასამუშავებელია ორი ძირითადი ამოცანა:**

1. მსაგანმანათლებლო დაწესებულებების პერსონალის მენეჯმენტის თეორიული საფუძვლები;

2. საგანმანათლებლო დაწესებულებების პერსონალის მენეჯმენტის სისტემის კვლევა.

**პირველი ამოცანა მოიცავს:**

➢ პერსონალის მენეჯმენტის სტრუქტურის დამუშავებას;

➢ საგანმანათლებლო დაწესებულებების პერსონალის მენეჯმენტის არსის, ამოცანების, მიზნებისა და ფუნქციის განსაზღვრას;

➢ საგანმანათლებლო დაწესებულებების პერსონალის პროფესიული კომპეტენციის (კვალიფიკაციის) ამაღლებას.

**მეორე ამოცანა გლობალური მასშტაბისაა, მისი ქვეამოცანები ატარებს სისტემურ ხასიათს და მოიცავს:**

➢ პერსონალის მენეჯმენტის სისტემის ძირითადი მახასიათებლების გამოვლენას;

➢ პერსონალის ხარისხობრივი შემადგენლობისა და ორგანიზაციული სტრუქტურის ძირითადი მახასიათებლების კვლევას;

➢ პერსონალის მენეჯმენტის სისტემის გამოკვლევას.

საგანმანათლებლო დაწესებულებების პერსონალის მენეჯმენტის სისტემის გამოკვლევის შემდგომ მიმდინარეობს პერსონალის მენეჯმენტის სისტემის პრობლემების გამოვლენა, რასაც მოჰყვება პერსონალის პროფესიული კომპეტენციის (კვალიფიკაციის) ამაღლების პროგრამის შემუშავება, რის შემდეგაც ხდება პერსონალის მენეჯმენტის მონაცემთა ბაზის ფორმირება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საკადრო პოლიტიკა ერთ-ერთი პრობლემური საკითხია და მის ეფექტიან წარმართვაზე ბევრადაა დამოკიდებული როგორც ცალკეული საგანმანათლებლო ერთეულის, ისე მთლიანად განათლების სისტემის გამართული მუშაობა. საკადრო პოლიტიკა, თავის მხრივ, უნდა ეყრდნობოდეს სწორ კონცეპტუალურ-მეთოდოლოგიურ საფუძველს. **აქედან გამომდინარე, ჩვენ შევიმუშავეთ საგანმანათლებლო სისტემის პერსონალის მენეჯმენტის კონცეფცია, რომელიც შედგება შემდეგი ძირითადი პუნქტებისგან:**

➢ ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემის მდგომარეობის ანალიზი;

➢ საგანმანათლებლო დაწესებულებების პერსონალის მენეჯმენტის პრობლემების თეორიული წყაროების დამუშავება და ანალიზი;

➢ საგანმანათლებლო დაწესებულებების პერსონალის ძირითადი კატეგორიების ემპირიული (გამოცდილებითი) ანალიზი;

➢ საგანმანათლებლო დაწესებულებების პერსონალის პროფესიული მოღვაწეობის, როგორც საკადრო პოლიტიკის მენეჯმენტის მთავარი ფაქტორის მნიშვნელობის დასაბუთება;

➢ საკადრო პერსონალის მართვის სტრატეგიული გეგმების შემუშავება;

➢ პერსონალის მენეჯმენტის ორგანიზება ცალკეულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა დონეზე.

**კონცეფციაში ასახული საკითხების გეგმაზომიერი დამუშავება საშუალებას მოგვცემს, გავაანალიზოთ არსებული** მდგომარეობა, გავიაზროთ სისტემის მართვის **პერსპექტივები, შევიმუშაოთ საკადრო პერსონალის მართვის სტრატეგიული გეგმები. ყოველივე ამის საფუძველზე შესაძლებელი გახდება პერსონალის მენეჯმენტის ოპტიმალური ორგანიზება ყოველი კონკრეტული საგანმანათლებლო დაწესებულების დონეზე.**



**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. http://amga-chap.narod.ru/doc/4.doc. Волошина Т.П. Базы данных. Создание форм и отчетов (на примере ACCESS). Описание программы ведения электронной школьной документации.
2. http://www.10ballov.su. Управление персоналом, классическая концепция, новые подходы.
3. http://www.managment.aaanet.ru/osnovi/12.php
4. http://www.vectorstudy.com/management_schools/neoclassical_school.htm
5. Freire Paulo "Education for critical consciousness" - New York, Continuum, 1997.
6. L. Dee Fink. "Creating significant learning experiences". USA, Jhon Wiley and Sons. 2003.
7. Naroline V Gipps. Beyond Testing: Towards a Theory of Education Assesment. London – Washington, D.C. – 1995.
8. Ken Bain. "What the best collegege teachers do".Harvard University Press. 2004
9. http://interfacing.com/industry/education-process-management Technologies That Support Education Systems.

# უძრავი ქონების ბაზრის ზოგადი მოდელის ძირითადი ასპექტები



ალექსანდრე სიჭინავა
ეკონომიკის დოქტორი,
საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის
სრული პროფესორი



შოთა ვეშაპიძე
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი
საქართველოს დ. აღმაშენებლის
სახელობის ეროვნული თავდაცვის
აკადემიის სრული პროფესორი



ლოიდ ქარჩავა
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი,
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი



ლალი ოსაძე
საქართველოს დ. აღმაშენებლის
სახელობის ეროვნული თავდაცვის
აკადემიის
ასისტენტ პროფესორი

ახალი ეკონომისტი

უძრავი ქონების ბაზრის ჩამოყალიბება საქართველოში XX საუკუნის 90-იანი წლებიდან დაიწყო, როდესაც ქალაქებში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული კომუნალური ბინების პრივატიზება მოხდა. რა თქმა უნდა, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა მანამდეც ხდებოდა, მაგრამ ის ხშირ შემთხვევაში არ იყო ოფიციალური. ოფიციალურად იყიდებოდა, მხოლოდ კერძო სახლები და მიწის ნაკვეთები, კორპუსების ბინებს კი სახელმწიფო განაგებდა. დღეისათვის უკვე შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში უძრავი ქონების ბაზარი გარკვეულწილად ჩამოყალიბებული და განვითარებულიც არის. ამის დასტურია ის მრავალი ფირმები, რომლებიც უშუალოდ უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვით არიან დაკავებული. ასევე, არიან უამრავი ფიზიკური პირები, მაკლერები, რომლებიც სწორედ იგივე საქმიანობას ეწევიან. გაზეთებში ქვეყნდება ინფორმაცია და სპეციალური ვებ-გვერდებიც არის მომზადებული, რომლებიც იგივე მიზანს ემსახურება. არის მიუხედავად ამისა, საქართველოში უძრავი ქონების ბაზრის შესწავლას სათანადო ადგილი არ უკავია მეცნიერ-ეკონომისტთა შორის. სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ გარკვეული კვლევა ჩაგვეტარებინა ამ საკითხის გარშემო.

ყველაზე ზოგადი სახით უძრავი ქონების ბაზარი შეიძლება განვსაზღვროთ როგორც ეკონომიკური და სამართლებრივი ურთიერთობების სისტემა, რომელიც წარმოიშობა სასაქონლო და ფულადი ბრუნვის ურთიერთქმედების საფუძველზე.

ფინანსების და უძრავი ქონების ბაზრები მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან. ერთი მხრივ, უძრავი ქონება ინვესტიციების ყველაზე საიმედო და ეფექტიანი ობიექტია, ხოლო, მეორე მხრივ – ბიუჯეტის შევსების მნიშვნელოვანი წყარო, მაგალითად, სახელმწიფო და მუნიციპალური საწარმოების, შენობების და ნაგებობების გაყიდვისას (პრივატიზებისას) ან იჯარით გაცემისას.

უძრავი ქონების ბაზარზე ოპერაციები ყოველთვის საინვესტიციო შინაარსისაა, ვინაიდან ისინი ხორციელდება შემოსავლის მიღების და

(ან) კაპიტალური ფასეულობების შექმნის მიზნით. ინვესტიცია უძრავ ქონებაში ჩვეულებრივ იძლევა უფრო მაღალ უკუგებას, ვიდრე სახსრების გაცემა კრედიტით. ამიტომ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში სახლების და სხვა ობიექტების ყიდვას ძირითადად სასესხო საშუალებების ხარჯზე აფინანსებენ. **უძრავ ქონებაში ინვესტიციათა შემოსავლიანობა** შედგება ორი ან სამი ნაწილისგან კონკრეტული პირობების მიხედვით:

- უძრავი ქონების საბაზრო ღირებულების ნამატისგან დროში და რეალიზაციისას გადაყიდვის დროს;
- მიმდინარე შემოსავლისგან საიჯარო გადასახადის, რენტის პროცენტებისა და სხვა შენატანების სახით ობიექტის გამოყენების დროს;
- რეინვესტირების შემოსავლისგან, რომელიც მიღებულია მიმდინარე შემოსავლებისგან (თუკი ასეთი რამ არის).

მაგალითად, ინვესტორმა იყიდა საოფისე შენობა 400 ათასი ლარის კრედიტის ხარჯზე, რომლის მიხედვითაც მან ყოველწლიურად უნდა გადაიხადოს 80 ათასი ლარი ძირითადი ვალის და პროცენტების დაფარვის მიზნით. ხუთი წლის განმავლობაში იგი იღებდა საიჯარო გადასახადს 40 ათას ლარს წელიწადში და შემდეგ გაყიდა ოფისი 500 ათას ლარად. მისმა მოგებამ ხუთი წლის განმავლობაში შეადგინა 100 ათასი ლარი, ანუ 25% (100 : 400 X 100%), ხოლო საიჯარო გადასახადის სახით 200 ათასი ლარი (40 x 5 წელი), ანუ ავანსირებული კაპიტალის 50%. ერთობლივმა შემოსავლიანობამ (რეინვესტირების აღრიცხვის გარეშე) შეადგინა უკვე 75% [(200 + 100) : 400 x 100%]. უძრავ ქონებაში დაბანდება, გარდა ეკონომიკური შემოსავლიანობისა, დადებით სოციალურ ეფექტს იძლევა ადამიანთა ცხოვრების პირობების და ყოფის გაუმჯობესების, მესაკუთრეების რაოდენობის გაზრდის, საზოგადოებაში სტაბილიზაციის სახით და სხვ.

ინვესტიციას უძრავ ქონებაში აქვს შემდეგი ძირითადი თავისებურებები:

- დაბანდებათა ხანგრძლივადიანობა და კაპიტალის ბრუნვის ხანგრძლივი პერიოდი;
- დაბალი ლიკვიდურობა – ობიექტის ყიდვა-გაყიდვა საჭიროებს დიდ დროსა და საშუალებებს;
- ბაზარზე შესასვლელად შედარებით დიდი ოდენობის საწყისი კაპიტალის მოთხოვნა;
- მოთხოვნა უძრავი ქონების პროფესიულ მართვაზე და მნიშვნელოვანი დანახარჯები მის მომსახურებაზე;
- თავად ინვესტირების ობიექტის მიერ უზრუნველყოფილი დაბანდებების უფრო მაღალი საიმედოობა და ეფექტიანობა;
- ინვესტირების წყაროების მრავალფეროვნება.

უძრავ ქონებაში კაპიტალური დაბანდებები – ესაა ინვესტირება **რეალურ აქტივებში:** მიწის ნაკვეთების ათვისება, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება, ტყის რესურსების დამუშავება, სხვადასხვა დანიშნულების შენობების და ნაგებობების მშენებლობა. ისინი ხორციელდება სამეწარმეო ფორმით – პირდაპირი პორტფელური ინვესტიციების სახით. **პირდაპირი ინვესტიციები** ნიშნავს კაპიტალის დაბანდებას უშუალოდ მშენებარე, სარეკონსტრუქციო და გაფართოებად საწარმოებში, შენობებში, ნაგებობებში, წყლის და სხვა ობიექტებში. **პორტფელური ინვესტიციები** – ესაა საწარმოების აქციების, ობლიგაციების, წილების, პაიების შეძენა საინვესტიციო პროცესის სხვა მონაწილეებისგან, ე.ი. დაბანდება არა თავად უძრავ ქონებაში, არამედ მათი უზრუნველყოფით ფასიანი ქაღალდების გამოშვებაში.

**უძრავი ქონების ბაზრის ძირითადი ელემენტები.** უძრავი ქონების ბაზარი – ესაა მიწის ნაკვეთების, შენობების, ნაგებობების და სხვა ქონების ეკონომიკური მეთოდებით გადაყიდვის საშუალება მესაკუთრეებსა და მომხმარებლებს შორის კონკურენტული მოთხოვნის და მიწოდების საფუძველზე. ის უზრუნველყოფს „უხილავი ხელის" და სახელმწიფო რეგულირების მექანიზმის დახმარებით:

- უძრავ ქონებაზე უფლებების გადაცემას ერთი პირიდან მეორესთან;
- თანაბარი ფასების დადგენას უძრავი ქონების ობიექტებზე რეგიონებსა და ადგილებში;
- კავშირს მესაკუთრეებსა და მყიდველებს შორის ეკონომიკური მოტივაციისა და ინტერესების საფუძველზე;
- სივრცის განაწილებას მიწათსარგებლობის კონკურენტულ ვარიანტებსა და ბაზრის სუბიექტებს შორის.

**უძრავი ქონების ბაზრის სისტემა როგორც ინვესტიციების სფერო.** უძრავი ქონების საფუძველს შეადგენს არსებული მიწის ნაკვეთები და ხელახლა შექმნილი, სხვადასხვა დანიშნულების სარეკონსტრუქციო და გაფართოებადი საწარმოები, შენობები და ნაგებობები, აგრეთვე ფული ან ფინანსური კაპიტალი. ინვესტიციათა უკმარისობა აფერხებს საწარმოთა ტექნოლოგიურ განახლებას და სამამულო წარმოების საქონლის გამოცოცხლებას, რაც, თავის მხრივ, ამცირებს ქვეყნის საინვესტიციო შესაძლებლობებს. საინვესტიციო საქმიანობის დაუსრულებელი ობიექტები იმყოფება ამ პროცესის მონაწილეთა წილობრივ საკუთრებაში ინვესტორის მიერ შესრულებული სამუშაოს და მომსახურების გადახდის და მიღების მომენტამდე. პროექტის შემდგომ ინვესტირებაზე დამკვეთის უარის შემთხვევაში იგი ვალდებულია, მოახდინოს დანახარჯების კომპენსირება მისი სხვა

მონაწილეებისთვის, თუკი სხვა რამ არაა გათვალისწინებული ხელშეკრულებაში.

დადგენილ სამართლებრივ გარემოში უძრავი ქონების ბაზარი, როგორც თვითრეგულირებადი სისტემა, შედგება 7 ძირითადი ელემენტისგან: მოთხოვნა, მიწოდება, ფასი, მენეჯმენტი, მარკეტინგი, ინფრასტრუქტურა და საქმიანი პროცედურები.

მოთხოვნა – ესაა მიწის უბნების, ქონებრივი კომპლექსების და მათზე უფლებების რაოდენობა, რომელთა შეძენისთვის მზად არიან მყიდველები დროის გარკვეულ მონაკვეთში ჩამოყალიბებული ფასების მიხედვით. სხვა თანაბარი პირობების შემთხვევაში მოთხოვნა უძრავ ქონებაზე იცვლება ფასზე უკუდამოკიდებულების მიხედვით. მოთხოვნა კი უძრავ ობიექტებზე, მაგალითად, მიწის ნაკვეთებზე ყალიბდება მრავალრიცხოვანი ფაქტორის გავლენით – ეკონომიკური, სოციალური, დემოგრაფიული, ბუნებრივ-კლიმატური და სხვ.

მიწოდება – ესაა მიწის და სხვა უძრავი ქონების (მ2, მ3, ასეულობით, ჰა, ბინების და ა.შ.) რაოდენობა, რომელთა გაყიდვისთვის მზად არიან მესაკუთრეები დროის გარკვეული მონაკვეთის განმავლობაში ჩამოყალიბებული ფასების მიხედვით. უძრავი ქონების ობიექტების, განსაკუთრებით მიწის, მიწოდება არაელასტიკურია. თუმცა უკვე რამდენიმე წელია მიწის ნაკვეთების, ბინების ან ოფისების ყოველ მყიდველზე ბაზარზე მოდის რამდენიმე გამყიდველი, მათზე ფასი კი პრაქტიკულად არ მცირდება.

ფასი – ესაა ფულის რაოდენობა, რომელიც გადახდილია ერთეულ უძრავ ქონებაზე მომხდარ გარიგებაში.

ღირებულება – ესაა საკუთრების ყველაზე სავარაუდო ფულადი ეკვივალენტი. ესაა უმაღლესი ფასი, რომელიც მოაქვს ნაკვეთის გაყიდვას კონკურენტულ და ღია ბაზარზე, როცა მყიდველი და გამყიდველი მოქმედებენ გონივრულად, საქმის ცოდნით და გარიგებაზე გავლენას არ ახდენს გარეშე სტიმული (საბაზრო ღირებულება).

ნებისმიერი ბაზრის არსებობის უმნიშვნელოვანესი ელემენტი და პირობა, მათ შორის უძრავი ქონებისაც – **საინფორმაციო ინფრასტრუქტურა** – უნდა შეიცავდეს სამი სახის სარწმუნო ცნობებს:

- უძრავი ქონების ბაზარზე არსებულ მუშაობის ნორმებსა და წესებზე და მათ მოსალოდნელ ცვლილებებზე;
- სხვადასხვა ობიექტის მიხედვით მოთხოვნის და მიწოდების სტრუქტურაზე;
- უძრავი ქონების ობიექტებზე ბაზრის რაიონების, მიკრორაიონების და სხვა სეგმენტების მიხედვით ფასების დონესა და დინამიკაზე.

მონაცემთა ბაზის ფორმირების ძირითადი **წყაროებია:**

- კანონები და ნორმატიული დებულებები, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის და მისი სუბიექტების ორგანოების დადგენილებები;
- იმ პოტენციური გამყიდველების და მყიდველების, მოიჯარეების, მომხმარებლების და მფლობელების განაცხადები, რომელთაც სურთ უძრავი ქონების გაცვლა ან დაგირავება;
- სარეკლამო განცხადებები გაზეთებში, ჟურნალებსა და სხვა გამოცემებში;
- სპეციალური გამოკვლევები, გამოკითხვები.

პრაქტიკაში იყენებენ საინფორმაციო სისტემებს, რომლებიც ჩამოაყალიბა თითოეულმა კომპანიამ საკუთარი სარგებლობისთვის, ასევე რეგიონალურ კორპორაციულ მონაცემთა ბაზებს.

ვინაიდან უძრავი ქონება მოიცავს იურიდიული უფლებების და ინტერესების სხვადასხვა შეხამებას, ამდენად, ერთ შემთხვევაში ბაზარზე შეიძლება გაიყიდეს იჯარა, მეორე შემთხვევაში – საგირავნო ვალდებულებები, მესამეში კი – სრული საკუთრების ობიექტი, რომელიც თავისუფალია რამენაირი მოთხოვნისგან. მიწის მრავალფუნქციური დანიშნულება კიდევ უფრო ართულებს უძრავი ქონების ბაზარს.

უძრავ ქონებას სხვა სახის ბაზრებისგან განსხვავებით, გარდა მასზე მბრუნავი საქონლის სპეციფიკისა, აქვს კიდევ არაერთი თავისებურება, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია მასზე ოპერაციების შესრულებისას. ესენია:

- ბაზრის ლოკალიზაცია, ვინაიდან მისი საქონელი უძრავია, უნიკალური, ხოლო მათი ფასი მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია გარემოზე;
- ღია ინფორმაცია ბაზრის მდგომარეობის შესახებ არასრულია და ყოველთვის როდია სარწმუნო, ვინაიდან გარიგებები უძრავ ქონებაზე ხშირად ექსკლუზიური (განსაკუთრებული) და კონფიდენციალური ხასიათისაა;
- უძრავი ქონების ფლობა და მასზე გარიგებები ჩვეულებრივ მოიცავს ოთხი სახის დანახარჯს:

ა) ერთდროულ შედარებით მსხვილ ინვესტიციებს;

ბ) ხარჯს ფუნქციურ მდგომარეობაში ობიექტის დასაცავად (რემონტი, საექსპლოატაციო დანახარჯები);

გ) გადასახადს უძრავ ქონებაზე;

დ) სახელმწიფო ბაჟს და სხვა მოსაკრებლებს გარიგებებზე.

- მოთხოვნა განისაზღვრება არა მხოლოდ და არა იმდენად თავად ობიექტების სამომხმარებლო თვისებებით, რამდენადაც ძირითადად მათი ადგილმდებარეობით;
- მიწოდების დაბალი ელასტიკურობა, ვინაიდან სხვადასხვა მიზეზის გამო შეუძლებელია ერთბაშად ააშენო მრავალი ახალი ბინა, თავად შენობები და ნაგებობები ხანგამძლეა, მიწა კი – მარადიული;

• საქონელი – უძრავი ქონების ობიექტები – შეიძლება დატვირთული იყოს მესამე პირთა უფლებებით (სერვიტუტები და სხვ.) სხვადასხვა კომბინაციაში;

• საკანონმდებლო ნორმებითა და ტერიტორიების ზონირებით ბაზრის სახელმწიფო რეგულირების შედარებით მაღალი ხარისხი;

• უძრავი ქონების საქონელი არა მარტო მყიდველების საკუთარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საშუალებაა, არამედ მათი საინვესტიციო საქმიანობის ობიექტიც;

• ბაზრის მონაწილეების შედარებით მცირე ოდენობა და მასზე მომხდარი გარიგებების რაოდენობა;

• მოთხოვნის დიდი ცვალებადობა რეგიონების, რაიონებისა და მიკრორაიონების მიხედვით.

**უძრავი ქონების ბაზრის ძირითადი ფუნქციებია:** კომერციული, საინფორმაციო, ფასწარმომქმნელი, სანირების, მასტიმულირებელი, კონკურენციული, საშუამავლო, მარეგულირებელი, საინვესტიციო, სოციალური, მიწების და სხვა ობიექტების გადანაწილება.

ბაზრის ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა – თანაბარი ფასების დაწესება, რომლის დროსაც გადახდისუნარიანი მოთხოვნა შეესაბამება მიწოდების მოცულობას. როცა ფასები თანაბარზე დაბლაა, ხდება ჭარბი მოთხოვნა, ხოლო თანაბარ ფასზე გადაჭარბების შემთხვევაში – ჭარბი მიწოდება. ფასში კონცენტრირდება ინფორმაციის დიდი მოცულობა ბაზრის გაჯერებულობის, მყიდველების მიერ რაიმეზე უპირატესობის მინიჭების შესახებ, ასევე იქ არის ინფორმაცია დანახარჯებზე მშენებლობის დროს, სახელმწიფოს სამეურნეო და სოციალურ პოლიტიკაზე. მაგალითად, საცხოვრებელი ბინების მშენებლობის სფეროში და ა.შ.

**მარეგულირებელი ფუნქცია** მდგომარეობს იმაში, რომ ბაზარი ფუნქციონირებს რა ავტომატურად, ა. სმიტის განსაზღვრით, „უხილავი ხელის" მეშვეობით გადაანაწილებს რესურსებს მეწარმეობის სფეროების მიხედვით და მიმართავს მის მონაწილეებს მიზნისკენ, რომელიც საერთოდ არ შედიოდა მათ განზრახვაში – ეკონომიკის ეფექტიანი სტრუქტურის ჩამოყალიბებისა და საზოგადოებრივი ინტერესების დაკმაყოფილებისკენ. თანამედროვე მსოფლიოში საბაზრო რეგულირების ნაკლოვანებების კომპენსირება სულ უფრო მეტად ხდება სახალხო მეურნეობის სახელმწიფო მართვით, განსაკუთრებით ბუნების დაცვის კუთხით, კონკურენციის დაცვით, შემოსავლების გადანაწილებით, ბიზნესის სამართლებრივი გარემოს შექმნით, სოციალური პრობლემების გადაჭრით და სხვ.

**კომერციული ფუნქცია** მდგომარეობს უძრავი ქონების სამომხმარებლო ღირებულების და ღირებულების რეალიზაციაში, ასევე მოგების მიღებაში დაბანდებულ კაპიტალზე.

**სანირების ფუნქცია** – ესაა ეკონომიკის გაწმენდა ბაზრის არაკონკურენტუნარიანი და სუსტი მონაწილეებისგან, არაეფექტიანთა გაკოტრება. საბაზრო მექანიზმი მითითებს ადამიანებს ძიების მიმართულებებს, მაგრამ არ აძლევს მათ არავითარ გარანტიას საბოლოო ფინანსურ შედეგებზე. იგი აღიარებს მხოლოდ საზოგადოებრივად აუცილებელ ინვესტიციებს უძრავ ქონებაში, მყიდველი ხომ მხოლოდ მათ იხდის. ამიტომ ბაზრის განთავისუფლება საწარმოების და უძრავი ქონების სხვა ობიექტების არაეფექტიანი მესაკუთრეებისგან განაპირობებს მდგრადობის ამაღლებასა და ეკონომიკურ ზრდას.

**საინფორმაციო ფუნქცია** – ეს განზოგადებული ობიექტური ინფორმაციის ოპერატიული შეკრებისა და გავრცელების უნიკალური საბაზრო საშუალებაა, რომელიც საშუალებას აძლევს უძრავი ქონების გამყიდველებსა და მყიდველებს თავისუფლად, საქმის ცოდნით მიიღონ გადაწყვეტილებები თავიანთი ინტერესების შესაბამისად.

**საშუამავლო ფუნქცია** გამოიხატება იმით, რომ ბაზარი გამოდის ერთობლივ შუამავლად და საზოგადოებრივი შრომის დაყოფის შედეგად წარმოშობილი მრავალი ეკონომიურად განცალკევებული და დამოუკიდებელი მყიდველის და გამყიდველის შეხვედრის ადგილად, იგი ამყარებს კავშირს მათ შორის და აძლევს ალტერნატიული პარტნიორის არჩევის შესაძლებლობას. ბაზარზე მოქმედებენ პროფესიონალი შუამავლებიც – რიელტერები, შემფასებლები, აგენტები, ბროკერები, დამზღვევები, საიპოთეკო კრედიტორები და სხვა პირები, რომლებიც მომსახურებას უწევენ დაინტერესებულ მონაწილეებს.

**მასტიმულირებელი ფუნქცია,** საბოლოო ჯამში, გამოდის სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა პროდუქტიული გამოყენებისგან მიღებული მოგების ეკონომიკური წახალისების ფორმით უძრავი ქონების შექმნასა და გამოყენებაში. კონკურენცია ეკონომიკურად აიძულებს და იცავს მაღალ საქმიან აქტიურობასა და ახალი შესაძლებლობების ძიებას კაპიტალური საკუთრების ეფექტიანი მართვისთვის.

**საინვესტიციო ფუნქცია** – უძრავი ქონების ბაზარი კაპიტალის ღირებულების შენარჩუნების და გაზრდის მიმზიდველი საშუალებაა. იგი ხელს უწყობს მოსახლეობის დაგროვილის და დანაზოგის გადაყვანას მარაგის პასიური ფორმიდან რეალურ მწარმოებლურ კაპიტალში, რომელსაც მოაქვს უძრავი ქონების მფლობელისთვის შემოსავალი. ამასთან ერთად

თავად უძრავი ქონება წარმოადგენს საინვესტიციო რისკების თავისებურ სადაზღვევო გარანტიას.

**სოციალური ფუნქცია** ვლინდება მთელი მოსახლეობის შრომითი აქტიურობის ზრდაში, იმ მოქალაქეთა შრომითი ინტენსივობის ამაღლებაში, რომელნიც ისწრაფვიან გახდნენ ბინების, მიწის ნაკვეთების თუ სხვა კაპიტალური და პრესტიჟული ობიექტების მესაკუთრეები. საერთოდ, უძრავი ქონების მფლობელებისგან ყალიბდება საზოგადოების საშუალო სოციალური ფენა. ბაზარზე საწარმოების, მიწის ნაკვეთების, შენობების და ნაგებობების არაერთჯერადი გადანაწილების შედეგად, საბოლოო ჯამში, ისინი გადადის ეფექტიან სტრატეგიულ ინვესტორებთან, რომლებიც უზრუნველყოფენ მათ მაღალმწარმოებლურ გამოყენებას.

**უძრავი ქონების ბაზრის სუბიექტები**

უძრავი ქონების სფეროში სუბიექტურ-ობიექტურ ურთიერთობათა მონაწილეები არიან საქართველო, მისი სუბიექტები, მუნიციპალური წარმონაქმნები, საქართველოს, ასევე უცხოური ქვეყნების იურიდიული და ფიზიკური პირები, რომლებიც შედიან ეკონომიკურ კავშირში უძრავი ქონების ფლობის, სარგებლობის და განკარგვის პროცესში.

**უძრავი ქონების ბაზრის სუბიექტები არიან მყიდველები და გამყიდველები.**

**მყიდველებში შედიან: საქართველოს რესპუბლიკის იურიდიული პირები, ფიზიკური პირები, ინვესტორები, უცხოური სახელმწიფოები და უცხოელი პირები; გარდა ამისა, აქ არიან პროფესიული მონაწილეები – შემფასებელთა სააგენტოები, მეწარმეები და ფირმა-რიელტერები, იურიდიული ფირმები, სარეკლამო სააგენტოები, უძრავი ქონების ბირჟა, სადაზღვევო კომპანიები, დილერები, უფლებამოსილი პირები, სხვა არაკომერციული ორგანიზაციები.**

**გამყიდველები არიან: ქონების მესაკუთრეები, მათ შორის უცხოელები, ქონებრივი ფონდები, ადგილობრივი ხელისუფლების მიერ უფლებამოსილი ორგანოები, საკონკურსო მმართველი, ასევე სახელმწიფო ორგანოები – ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიურო, ქონების მართვის კომიტეტები, საარბიტრაჟო სასამართლო, სანოტარო კანტორები, საგადასახადო ინსპექციები და ქვეყნის სუბიექტების სხვა ორგანოები.**

უძრავი ქონების ბაზარზე სახელმწიფო ორგანოები და ორგანიზაციები ასრულებს მარეგულირებელ ფუნქციებს, რომლებიც შეიძლება გამოიხატებოდეს სხვადასხვა ფორმით, მათ შორის:

• წესების და შეზღუდვების საკანონმდებლო დადგენა;

• უძრავ ქონებაზე უფლებების აღრიცხვა და რეგისტრაცია, ასევე გარიგებები მასზე;

• ბუნებრივი რესურსების, სახელმწიფო შენობების და ნაგებობების განაწილება და მათი გადაცემა საკუთრებაში, იჯარით ან სარგებლობაში;

• კონტროლი უძრავი ქონების გამოყენებაზე (მიწების, ტყეების, წყლების და სხვ.);

• საწარმოების და სხვა ობიექტების პრივატიზაციის და ნაციონალიზაციის სტიმულირება;

• ინვესტირება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან სფეროებში (მაგალითად, საცხოვრებელი სახლების, გზების, ენერგეტიკის მშენებლობაში) და სხვ.

უძრავი ქონების სახეობის თავისებურებებიდან გამომდინარე სახელმწიფოს, მისი სუბიექტების და მუნიციპალური ორგანოების ფუნქციები დიფერენცირდება. ასე მაგალითად, სატყეო ურთიერთობათა სფეროში საქართველოს რესპუბლიკის კომპეტენციაში შედის:

• სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა სატყეო მეურნეობის დარგში;

• სატყეო კანონმდებლობის შემუშავება და სრულყოფა (ქვეყნის სუბიექტების გათვალისწინებით);

• საქართველოს სუბიექტებთან ერთად ქვეყნის სატყეო ფონდის განკარგვა;

• სატყეო მეურნეობის მართვის სახელმწიფო ორგანოების მიერ ორგანიზაციის და საქმიანობის განსაზღვრა;

• სატყეო ფონდის მიკუთვნების წესის განსაზღვრა ტყეების ჯგუფებისა და დაცვის კატეგორიებისთვის, აგრეთვე ტყეების ერთი ჯგუფიდან ან კატეგორიიდან მეორეში გადაყვანა;

• სატყეო ფონდით სარგებლობის ნორმების და წესების დადგენა;

• ქვეყნის სუბიექტებთან შეთანხმებით ხე-ტყის ყოველწლიური ნორმის დამტკიცება (გაანგარიშებითი ტყესაკაფი);

• ტყის ფონდის სარგებლობაზე გადასახადების სისტემის დადგენა, აგრეთვე ტყეების კვლავწარმოების, დაცვისა და მოვლის არასაბიუჯეტო ფონდის შექმნა და გამოყენება;

• სატყეო ფონდის უბნების იჯარით გაცემის წესისა და პირობების განსაზღვრა;

• ხე-ტყის ჭრის, გაჩეხვის, კვლავწარმოების, მოვლისა და დაცვის წესების დამტკიცება;

• სამეცნიერო სამუშაოების ორგანიზაცია და კოორდინაცია სატყეო მეურნეობის გამგებლობისთვის;

• ქვეყნის სუბიექტებთან ერთად პროგრამების შემუშავება სატყეო ფონდის რაციონალური გამოყენებისთვის, ტყეების პროდუქტიულობის ამაღლებისთვის, კვლავწარმოებისთვის, მოვლისა და დაცვისთვის სხვა ბუნებისდამცავ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღონისძიებებთან ერთად კომპლექსში და მათი შესრულების ორგანიზაცია;

• ტყეების მოვლა, დაცვა, კვლაგწარმოება, გამოყენება და მათ მდგომარეობაზე **სახელმწიფო** კონტროლი, ასევე მათი ჩატარების წესის დადგენა;

• სატყეო ფონდის, კადასტრის, სატყეო მონიტორინგის და **სატყეო** მოწყობის სახელმწიფო აღრიცხვის წარმართვის ორგანიზაცია;

• საერთაშორისო თანამშრომლობა სატყეო მეურნეობაზე;

• სტატისტიკური ანგარიშგების დადგენა სატყეო მეურნეობის წარმართვის **სფეროში**;

• ქვეყნის სუბიექტებთან ერთად სახელმწიფო საჭიროებისთვის ხე-ტყის დამზადების და მიწოდების განსაზღვრა;

• **საწარმოების, დაწესებულებების და ორგანიზაციების საქმიანობის** შეჩერების, შეზღუდვის, შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებების მიღება, თუ მათ მიერ დაირღვა სატყეო და სხვა სახის კანონმდებლობა;

წიაღისეულის, სატყეო და წყლის ფონდი საქართველოს და მისი სუბიექტების გამგებლობაშია. ფლობა და მათით სარგებლობა შეუძლიათ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს სპეციალური **ნების** დამრთავი დოკუმენტების საფუძველზე: ლიცენზიების, ხე-ტყის გაკაფვის ბილეთის (ორდერის) და ა.შ. საფუძველზე.

რეგიონებში უფლებამოსილება უძრავი ქონების ბაზრის მართვაზე განაწილებულია სახელმწიფო და მუნიციპალური აღმასრულებელი ხელისუფლების სხვადასხვა უწყებას შორის.

უძრავი ქონების ბაზრის ფუნქციონირებას აგრეთვე უზრუნველყოფენ **მისი პროფესიული მონაწილეები:** რიელტერები, შემფასებლები, დილერები, **საბირჟო** ბროკერები, მაკლერები და სხვა შუამავლები.

**რიელტერი** – ესაა პირი, რომელიც ეწევა სამეწარმეო საქმიანობას უძრავი ქონების ბაზარზე, ახორციელებს სხვადასხვა გარიგებას უძრავ ქონებაზე და მასთან დაკავშირებულ უფლებებზე.

**რიელტერულად** მიიჩნევა საქმიანობა, რომელსაც ახორციელებენ იურიდიული პირები და ინდივიდუალური მეწარმეები დაინტერესებულ პირთან (ან მინდობილობის მიხედვით) ხელშეკრულების საფუძველზე მისი სახელით და მის ხარჯზე, ან თავიანთი სახელით, მაგრამ დაინტერესებული პირის ინტერესებითა და ხარჯით სამოქალაქო-სამართლებრივ გარიგებებს მიწის ნაკვეთებზე, შენობებზე, ნაგებობებზე, მშენებლობებზე, საცხოვრებელ და არასაცხოვრებელ შენობებზე და მათ უფლებებზე.

მოქალაქეს რიელტერული საქმიანობის უფლება აქვს იმ შემთხვევაში, თუ იგი:

• ქმედუნარიანია, ე.ი. მიაღწია 18 წლამდე ან აღიარებულია სამეურვეო ორგანოს მიერ სრულიად ქმედუნარიანად 16 წლის ასაკში;

• რეგისტრირებულია ინდივიდუალურ მეწარმის სახით იურიდიული პირის წარმოქმნის გარეშე;

• გაიარა **სპეციალურ** კურსებზე **სწავლება**, მიიღო დასკვნა კვალიფიციურ შესაბამისობაზე და სახელმწიფო **ლიცენზია**, რომ შეუძლია ამა თუ იმ **სახის** რიელტერული საქმიანობა.

**კომერციულ ორგანიზაციებს** შეუძლია ნებისმიერი სახის საქმიანობა, რომლებიც კანონით აკრძალული არაა, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ზოგიერთი **მათგანი** მითითებული არაა სადამფუძნებლო დოკუმენტებში. მაგრამ უძრავი ქონების ბაზარზე გარიგებების მოსახდენად მათ უნდა მიიღონ ლიცენზია. ეს მოთხოვნა არ ვრცელდება აღმასრულებელი ხელისუფლების თანამდებობის პირებზე, რომლებიც მონაწილეობენ უძრავი ქონების გაყიდვაში, აგრეთვე მათზე, ვინც მოაწყო ეს გაყიდვა ადგილობრივი თვითმმართველობის და **სასამართლოების** გადაწყვეტილებების შესაბამისად. ლიცენზიის მისაღებად იურიდიულმა პირმა უნდა წარმოადგინოს ცნობები, რომ ჰყავს სპეციალისტები, რომლებიც ეწეოდნენ რიელტერულ **საქმიანობას**, იციან ამ **სფეროში** მუშაობა, აქვთ ცოდნა და გამოცდილება სახელმწიფო ქონების სამინისტროს მეთოდური რეკომენდაციების შესაბამისად. დოკუმენტების პაკეტთან ერთად, რომელიც ამტკიცებს ლიცენზიანტის სამართლებრივ სტატუსს, აუცილებელია კიდევ ბანკის ან სადაზღვევო კომპანიის გარანტია შესაძლო ზარალის ანაზღაურებაზე, რომელიც მიადგა ფირმის მიერ კლიენტს საცხოვრებელი შენობების ბაზარზე.

**არაკომერციულ ორგანიზაციებს** ასევე უფლება აქვს განახორციელოს სამეწარმეო საქმიანობა უძრავი ქონების ბაზარზე იმ პირობით, თუ იგი ემსახურება მის საწესდებო მიზნებს, ხოლო მიღებული მოგება არ ნაწილდება ორგანიზაციის მონაწილეებს შორის.

უძრავი ქონების ცივილიზებული ბაზრის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია **არაკომერციულ პროფესიულ გაერთიანებებს.**

უძრავი ქონების ბაზარზე **პოზიციის** მიხედვით ყველა მისი მონაწილე პირობითად შეიძლება გავაერთიანოთ სამ ჯგუფად:

ა) **გამყიდველები** – უძრავი ქონების ობიექტების მესაკუთრეები (მოქალაქეები, საწარმოები, სახელმწიფო ქონების ფონდები, უცხოელი პირები);

ბ) **მყიდველი-ინვესტორები,** რომლებიც აბანდებენ საკუთარ, სასესხო ან მოზიდულ

საშუალებებს კაპიტალის ფორმით და უზრუნველყოფენ მათ მიზნობრივ მოხმარებას;

გ) **მომსახურენი** – ინფრასტრუქტურული ორგანიზაციები, რომლებიც ახდენენ ბაზრის ფუნქციონირებას ქვეყანაში დადგენილი ნორმების შესაბამისად.

უძრავი ქონების ბაზრის აქტიურ მონაწილეებს – ინვესტორებს – შეუძლიათ გამოვიდნენ მეანაბრეების, დამკვეთების, კრედიტორების, მყიდველების როლში და შეასრულონ სხვადასხვა ფუნქცია.

საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტებად უძრავი ქონების ბაზარზე გვევლინებიან ფიზიკური და იურიდიული პირები, მათ შორის საქართველოს სამინისტროები და უწყებები, მუნიციპალური ორგანოები, უცხოური სახელმწიფოები და საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც გამოდიან უძრავი ქონების ინვესტორების, დამკვეთების, სამუშაოთა შემსრულებლების და მომხმარებლების სახით.

სტატუსის მიხედვით ყველა ინვესტორი შეიძლება დავყოთ სამ ჯგუფად: ინდივიდუალურად (ფიზიკური პირები), ინსტიტუციურად (კოლექტიური) და პროფესიულად.

**ნებისმიერ ინვესტორს უფლება აქვს:**

- დამოუკიდებლად განსაზღვროს ინვესტიციათა მოცულობა, მიმართულება (უძრავი ქონების ბაზრის სეგმენტები) და ეფექტიანობა;
- სახელშეკრულებო საფუძველზე მოიზიდოს ფიზიკური და იურიდიული პირები ინვესტიციათა სარეალიზაციოდ;
- გადასცეს საინვესტიციო საქმიანობაზე თავისი უფლებამოსილება მოქალაქეებს, სახელმწიფო და მუნიციპალურ ორგანოებს, იურიდიულ პირებს;
- გააკონტროლოს ინვესტიციათა მიზნობრივი დანიშნულება;
- ფლობდეს, სარგებლობდეს და განკარგავდეს ობიექტებსა და ინვესტიციების შედეგებს; სახელმწიფო უზრუნველყოფს ინვესტორების უფლებათა სტაბილურობას: ხელახლა მიღებული საკანონმდებლო აქტების დებულებები, რომლებიც ზღუდავს საინვესტიციო საქმიანობას, ძალაში შედის გამოქვეყნების მომენტიდან არა უადრეს 1 წლისა;
- იკრძალება ჩარევა ინვესტირების ობიექტების არჩევაში, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა;
- დაუშვებელია საწარმოების და უძრავი ქონების სხვა ობიექტების უსასყიდლო ნაციონალიზაცია და რეკვიზიცია.

საინვესტიციო საქმიანობის შეწყვეტა ან შეჩერება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

- ინვესტორი ბანკროტად აღიარეს;
- მოხდა სტიქიური უბედურებები, კატასტროფები;
- შემოიღეს საგანგებო მდგომარეობა;
- ინვესტირების გაგრძელებამ გამოიწვია კანონით დადგენილი ეკოლოგიური, სანიტარიულ-ჰიგიენური და სხვა ნორმების, ასევე მოქალაქეების, იურიდიული პირების და სახელმწიფოს ინტერესების დარღვევა.

უცხოელ ინვესტორებს საქართველოს ტერიტორიაზე შეუძლიათ უძრავ ქონებაში ინვესტირება სხვადასხვა გზით:

- წილობრივი მონაწილეობით საწარმოებში, რომლებიც შექმნილია ერთობლივად ქვეყნის მეწარმეობის სუბიექტებთან;
- საწარმოთა შეძენით;
- ისეთი ფირმების შექმნით, რომლებიც სრულიად ეკუთვნის უცხოელ პირებს, აგრეთვე უცხოელი იურიდიული პირების კუთვნილი ფილიალების შექმნით;
- ქონებრივი კომპლექსების, შენობების და ნაგებობების შეძენით;
- მიწის და სხვა ბუნებრივი რესურსების, აგრეთვე სხვადასხვა ქონებრივი უფლების სარგებლობის შეძენით;
- საწარმოებში პაების, აქციების, სხვა ფასიანი ქაღალდების და მონაწილეობის წილების შეძენით;
- სესხების, კრედიტების, ქონების და ქონებრივი უფლებების გაცემით.

**უძრავი ქონების ბაზრის სახეები**

უძრავი ქონების ბაზარს აქვს განშტოებული სტრუქტურა და მისი დიფერენცირება შეიძლება სხვადასხვა ნიშნის მიხედვით: ფინანსური აქტივის მიხედვით, გეოგრაფიული ფაქტორით, ფუნქციური დანიშნულებითა და სხვა მაჩვენებლებით.

**ფასეტური წესით უძრავი ქონების ბაზრების კლასიფიკაცია**

**ობიექტის (საქონლის) სახის მიხედვით უძრავი ქონების ბაზრის კლასიფიკაცია ამგვარია:** 1. მიწის, 2. შენობების, 3. ნაგებობების, 4. საწარმოების, 5. სათავსოების, 6. მრავალწლიანი ნარგავების, 7. ქონებრივი უფლებების, 8. სხვა ობიექტების.

გეოგრაფიული (ტერიტორიული) ფაქტორის მიხედვით: 1. ადგილობრივი, 2. ქალაქის, 3. რეგიონალური, 4. ეროვნული, 5. მსოფლიო.

ფუნქციური დანიშნულების მიხედვით: 1. საწარმოო შენობების, 2. საცხოვრებელი ბინების, 3. არასაწარმოო შენობების და ნაგებობების (ოფისები, საწყობები და სხვ.).

ექსპლოატაციისთვის მზაობის ხარისხით: 1. არსებული ობიექტების (ძველი ფონდი); 2. დაუსრულებელი მშენებლობების; 3. ახალი მშენებლობების.

მონაწილეების ტიპის მიხედვით: 1. ინდივიდუალური გამყიდველები და მყიდველები;

2. შუალედური გამყიდველები; 3. მუნიციპალური წარმონაქმნები; 4. კომერციული ორგანიზაციები.

გარიგებათა სახეების მიხედვით: 1. ყიდვა-გაყიდვა; 2. იჯარა; 3. იპოთეკები; 4. ქონებრივი უფლებები (იჯარა, გირაო და სხვ.).

დარგობრივი კუთვნილების მიხედვით: 1. სამრეწველო ობიექტები; 2. სასოფლო-სამეურნეო ობიექტები; 3. საზოგადოებრივი შენობები. 4. და სხვ.

საკუთრების ფორმის მიხედვით: 1. სახელმწიფო და მუნიციპალური ობიექტები; 2. კერძო ობიექტები.

გარიგებათა ხერხის მიხედვით: 1. პირველადი და მეორადი; 2. ორგანიზებული და არაორგანიზებული; 3. საბირჟო და არასაბირჟო; 4. ტრადიციული და კომპიუტერიზებული.

პირველადი ბაზარი საქართველოში ყალიბდება სახელმწიფო და მუნიციპალური საწარმოების,მიწის ნაკვეთების, შენობების, ნაგებობებისა და ქონებრივი უფლებების პრივატიზაციის ხარჯზე. იგი უზრუნველყოფს უძრავი ქონების გადაცემას ეკონომიკურ ბრუნვაში. ყველა შემდგომი გარიგება მეორადი ხასიათისაა, ვინაიდან დაკავშირებულია ბაზარზე მოწოდებული ობიექტების გადაყიდვასთან ან ერთი მფლობელიდან მეორესთან გადასვლის სხვა ფორმებთან.

ორგანიზებული ბაზარი – ესაა უძრავი ქონების და მასზე უფლებების სამეურნეო ბრუნვა მოქმედი კანონმდებლობის მკაცრი შესაბამისობით და ლიცენზირებული პროფესიონალი შუამავლების მონაწილეობით. ეს ბაზარი უზრუნველყოფს გარიგებათა იურიდიულ სიწმინდეს და მათი მონაწილეების უფლებათა დაცვას. არაორგანიზებული (ქუჩის) ბაზარი ყოველთვის ვერ უზრუნველყოფს ჩატარებული ოპერაციების საიმედოობას.

საბირჟო ბაზარი – ესაა ობიექტების ყიდვა-გაყიდვა უძრავი ქონების ბაზარზე, კონკურსებსა და აუქციონებზე, რომლებსაც ატარებს სახელმწიფო და მუნიციპალური ქონების ფონდები, მიწის ორგანოები, მუნიციპალური საცხოვრებელი კომიტეტები ან სპეციალურად უფლებამოსილი ორგანიზაციები.

არასაბირჟო ბაზარი – ესაა გარიგებები ბირჟის ფარგლებგარეთ. ის შეიძლება იყოს ორგანიზებული და არაორგანიზებული. ორგანიზებული არასაბირჟო ბაზარი ემყარება უპირატესად ლიცენზირებული რიელტერული სააგენტოების კავშირგაბმულობის კომპიუტერულ სისტემებს.

უძრავი ობიექტების სახის ძირითადი ნიშნის მიხედვით გამოიყოფა არანაკლებ 8 სპეციფიკური ბაზარი, რომელთა შორის საყოველთაო მნიშვნელობა აქვს მიწის ნაკვეთების, საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების ყველაზე განვითარებულ ბაზრებს. ვინაიდან მიწა შედის პრაქტიკულად ნებისმიერი უძრავი ქონების აუცილებელ შემადგენელ ნაწილად, რამდენადმე დაწვრილებით განვიხილავთ მიწის ნაკვეთების ბაზრის სტრუქტურას, მის სეგმენტირებას და ძირითად პარამეტრებს.

**მიწის ნაკვეთი,** როგორც უძრავი ქონების რთული დამოუკიდებელი **სახე,** მიღებულია დაიყოს შედარებით ერთგვაროვან **ქვესახეებად ან ნაირსახეობებად** მიწათა მიზნობრივი დანიშნულების მიხედვით, ისინი კი თავისთავად დიფერენცირდება სხვადასხვა ნიშნის მიხედვით (ზომით, ადგილმდებარეობით და სხვ.).

**მიწის ბაზრების კლასიფიკაციის ნიშნებია:** მიწების კატეგორია; ნაკვეთების ზომები; ტერიტორიული მოცვა; კონკურენციის შეზღუდვის ხარისხი; გარიგებათა სახეები; ადგილმდებარეობა; საკუთრების ფორმა; ბაზრის ტიპი. თითოეულ მათგანს აქვს თავისი ქვესახეები.

მიწის ბაზრის შემდეგი კომპონენტი – ბაზრის **სეგმენტი** – განსაკუთრებული სახით გამოყოფილი მისი ნაწილია, ელემენტების ჯგუფი, რომელსაც აქვს გარკვეული ერთეული ნიშნები (მიწათა ხარისხი, დაშორება სამრეწველო ცენტრებიდან და სხვ.).

ბაზრის ყველაზე ხელსაყრელი სეგმენტი ხასიათდება:

- მიმდინარე და მოსალოდნელი გაყიდვის მაღალი დონით;
- ნაკვეთების გაყიდვათა ნამატის მაღალი ტემპით;
- საშუალებათა სწრაფი ბრუნვითა და მოგების მისაღები ნორმით.

ბაზრის სეგმენტირება – მარკეტინგის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია. ბაზრის სეგმენტის არჩევის სისწორეზე დიდადაა დამოკიდებული წარმატება კონკურენტულ ბრძოლაში.

არსებობს არაერთი კრიტერიუმი და ნიშანი, რომელთა მიხედვითაც შეიძლება ჩავატაროთ მიწის ბაზრის სეგმენტირება.

სეგმენტირების **ობიექტები** არიან მყიდველები, თავად საქონელი – მიწა და ბაზრის მონაწილეები – კომერციული ორგანიზაციები და მეწარმეები.

**სეგმენტირების ნიშანი** – ესაა ფაქტორი, რომლის მიხედვითაც ხორციელდება ბაზრის სეგმენტების გამოყოფა.

სეგმენტირების მიზნების მიხედვით ნიშნების სახით შეიძლება გამოვიყენოთ ფაქტორები, რომლებიც ახასიათებს ფიზიკური და იურიდიული პირების მყიდველობით ქცევას, ასევე მიწის ნაკვეთების პარამეტრები, კომერციული ორგანიზაციების ეკონომიკური მაჩვენებლები. დღესდღეობით რიელტერული ფირმები იყენებს მრავალრიცხოვან სეგმენტაციას, ანუ სეგმენტირებას ერთდროულად რამდენიმე ნიშნის

მიხედვით (სეგმენტირების მრავალფაქტორული მოდელი).

ბაზრის სეგმენტირება მყიდველების კატეგორიის მიხედვით ძირითადად ტარდება 4 ნიშნის მიხედვით: დემოგრაფიულით, ფსიქოგრაფიულით, გეოგრაფიულითა და ქცევითით. ამ ნიშანთაგან თითოეული გამოიყენება ბაზრის ანალიზის დროს არა თავისთავად, არამედ გარკვეული კომბინაციით სხვებთან, რათა ზუსტად განვსაზღვროთ, ვის და რა მოთხოვნებს აკმაყოფილებს მიწის ნაკვეთის ესა თუ ის ტიპი.

**მიწის ბაზრის სეგმენტირების ნიშნებია:** დემოგრაფიული, ფსიქოგრაფიული, გეოგრაფიული და ქცევითი.

**დემოგრაფიულში შედის:** ასაკი, სქესი, ოჯახის ოდენობა, ოჯახის ცხოვრებისეული ციკლის ეტაპი, შემოსავლის დონე, დასაქმების სახე, განათლება, რელიგიური რწმენა, რასა, ეროვნება.

**ფსიქოგრაფიულში იგულისხმება:** სოციალური ფენა, ცხოვრების სტილი, პიროვნების ტიპი,საქმიანობის სახე,ტრადიციები,გამოცდილება.

**გეოგრაფიული ნიშნებია:** რეგიონი, ოლქის ადმინისტრაციული დაყოფა (სიდიდის მიხედვით), მოსახლეობის რაოდენობა (ქალაქებისთვის), მოსახლეობის სიმჭიდროვე, კლიმატი.

**ქცევითში შედის:** მყიდველთა სტატუსი, საძიებელი უპირატესობა, მომხმარებლის სტატუსი, ერთგულების ხარისხი, უბნის აღქმის მზაობის ხარისხი, დამოკიდებულება მიწის მიმართ, დამკვეთების წონადობა (მსხვილი, წვრილი, საშუალო).

**სეგმენტირების კრიტერიუმები** – ესაა ფაქტორი, რომლის მიხედვითაც ფასდება ბაზრის ამა თუ იმ სეგმენტის არჩევის დასაბუთებულობა. ყველაზე გავრცელებულია შემდეგი სახის კრიტერიუმები: სეგმენტის რაოდენობრივი პარამეტრები, არსებითობა, მოგებიანობა, სეგმენტის თავსებადობა ძირითადი კონკურენტების ბაზართან, არჩეულ სეგმენტზე მუშაობის ეფექტიანობა, არჩეული სეგმენტის დაცულობა კონკურენტებისგან.

**საქონლის** – მიწის – მიხედვით ბაზრის სეგმენტირება საშუალებას იძლევა, გამოვავლინოთ, ამა თუ იმ უბნის კონკრეტულად რომელი პარამეტრები შეიძლება იყოს მიმზიდველი მყიდველებისთვის. ამასთან ერთად იყენებენ მიწის ისეთ მახასიათებლებს, როგორებიცაა: მათი ხარისხი, დაშორება სამრეწველო ცენტრებიდან, ნაკვეთების ზომა, საინვესტიციო მიმზიდველობა, პრესტიჟულობა და სხვ.

ზოგჯერ მიწის ბაზარზე გამოიყოფა რამდენიმე სეგმენტი მისი ხარისხის მიხედვით:

*1.მაღალი ხარისხის უბნები (ნაკვეთები)* – ელიტურები. მათ იძენენ შეძლებული მოქალაქეები და მსხვილი ორგანიზაციები.

*2. საშუალო ხარისხის უბნები* აინტერესებს საშუალო და შედარებით მაღალი შემოსავლის მქონე ადამიანებს.

ბიბლიოთეკა

*3. დაბალი ხარისხის მიწებს* იძენენ შედარებით იაფად ადამიანები, რომელთაც აქვთ დაბალი შემოსავალი. ასეთ სეგმენტში ეკოლოგიას, ინფრასტრუქტურასა და პრესტიჟულობას აღარ აქვს თავისი გავლენა მყიდველთა ქცევაზე.

მიწის ბაზრის დიდი დიფერენციაცია შეინიშნება **პრესტიჟულობის** მიხედვით.

ცენტრიდან და მნიშვნელოვანი საავტომობილო მაგისტრალიდან ნაკვეთების დაშორების გავლენის კანონზომიერება მათ ფასებზე ზოგადად გამოიხატება შემდეგი დამოკიდებულებით – რაც შორსაა, მით იაფია.

სეგმენტირების შემდგომი ნიშანია – მიწის ნაკვეთების **ზომა.** მსხვილი უბნები ჩვეულებრივ სარგებლობს მოთხოვნით და შესაბამისად მაღალი ფასისაა მხოლოდ პრესტიჟულ რაიონებში.

**ღირებულებაზე** დიდ გავლენას ახდენს **ინფრასტრუქტურის** განვითარების ხარისხი. კარგად ათვისებული მიწის უბნები ფასობს ბევრად ძვირი, ვიდრე აუთვისებელი. სხვაობა ათვისებულ და აუთვისებელ უბნებს შორის თანაბარი ზომების პირობებში იქნება ინფასტრუქტურის განვითარებაზე დანახარჯების დაახლოებით ჯამური სიდიდისა და კაპიტალის მართვაზე დანახარჯების ტოლი ("დროის ღირებულება" მიწის ათვისებაზე).

მიწის ნაკვეთის ღირებულების გაზრდა კომუნიკაციების არსებობის მიხედვით ასე განისაზღვრება პროცენტებში: სატრანსპორტო გზები – 10-15, ელექტროენერგია – 15-20, წყალმომარაგება – 10-15, გაზმომარაგება – 15-25, კანალიზაცია – 10-25, თბომომარაგება – 10-25, კავშირგაბმულობის კომუნიკაციები 3-5.

მნიშვნელოვან როლს ასრულებს აგრეთვე ბაზრის ნიშის არჩევა, ანუ მისი მცირე ნაწილის, რომელიც დაუკავებელია ან არასაკმარისადაა გამოყენებული კონკურენტების მიერ და მკაფიოდ შემოფარგლული მყიდველებით.

**საცხოვრებელი ბაზარი** სეგმეტირდება სახლების ხარისხის მიხედვით (ხუთსართულიანები – პანელის, აგურის, ბლოკის; მასიური აშენების – 9, 12, 16, 22-სართულიანი ძირითადად პანელის; თანამედროვე პრესტიჟული აგურისა და ელიტური), ოთახების რაოდენობის მიხედვით (1-ოთახიანი, 2 და 3-ოთახიანი, მრავალოთახიანი ბინები), დაგეგმარების მიხედვით (ტიპური გაუმჯობესებული დაგეგმარების), განთავსების რაიონების მიხედვით (ქალაქგარე კოტეჯები, სახლების და სხვ.).

**არასაცხოვრებელი შენობების** პირველად და მეორად **ბაზრებზე** ფუნქციური დანიშნულების მიხედვით გამოიყოფა 4 ძირითადი სეგმენტი:

საწარმოო, სასაწყობო, საოფისე და სავაჭრო ობიექტების, რომელთა ზოგადი მახასიათებლები ემყარება ადგილმდებარეობისა და ფართობის აღრიცხვას, ასევე შენობის ხარისხს, იჯარის ვადას, ფასს ან საიჯარო გადასახადს და სხვა ფაქტორებს.

საოფისე შენობები უძრავი ქონების ბაზარზე ქმნის საკმაოდ მნიშვნელოვანი ზომის სეგმენტს. ხარისხობრივი მახასიათებლების მიხედვით საოფისე შენობები იყოფა 4 კლასად: A, B, C, D.

A კლასის საოფისე შენობები მოწყობილია დასავლური სტანდარტების მიხედვით და ასეთი ოფისების მოიჯარეები არიან დასავლური კომპანიები და მსხვილი ადგილობრივი ფირმები, B კლასიც ასევეა მოწყობილი, თუმცა ნაკლები მახასიათებლები აქვს, რაც შეეხება C და D კლასს, ისინი შედარებით დაბალი ხარისხისაა.

**სასაწყობო შენობების ბაზარი** დიფერენცირდება თავისი ტიპისა და მოწყობილობის მიხედვით:

- სასაწყობო სპეციალიზებული კომპლექსები, რომლებიც აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით, გათბობითა და სხვა მოწყობილობებით;
- თანამედროვედ მოწყობილი ანგარები;
- სარდაფული და ნახევარსარდაფული შენობები;
- ხელახლა მოწყობილი ბომბსაფარები;
- სხვა შენობები.

საწარმოები, როგორც ქონებრივი კომპლექსები, პირველად უძრავი ქონების ბაზარზე ხვდება სახელმწიფო და მუნიციპალური ქონების პრივატიზაციის პროცესში.

**დაუსრულებელი მშენებლობის ბაზარი** წარმოიქმნება იმ მუნიციპალური და კერძო ობიექტების ხარჯზე, რომლებიც უზრუნველყოფილი არაა ფინანსებით, მატერიალური და შრომითი რესურსებით. იგი ემყარება ურთიერთხელსაყრელობის პრინციპს – შეთანხმებას აშენებული ფართობების 50%-იან განაწილებაზე ინვესტორსა და მესაკუთრეს შორის (ქალაქს, ფირმას შორის).

**კოტეჯური ბაზარი** დაჩქარებულად ვითარდება ქვეყნის ყველა რეგიონში.

დასასრულ, ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ უძრავი ქონების ბაზრის ფუნქციონირება ხელს უწყობს ქვეყნის საერთო ეკონომიკური ბრუნვის განვითარებას.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. მესხიშვილი ა. უძრავი ქონება, თბ., 2011.
2. ნ.ნატროშვილი,ბაზრის გამოცოცხლების ტენდენციები გამოიკვეთა:http://24saati.ge/index.php/category/business/2011-04-03/15490.
3. ვ. რუხაძე,ტ. მოენშენი,თბილისის უძრავი ქონების ბაზრის ანალიზი. http://www.nbg.gov.ge/uploads/workingpaper/synopsisnbgwp01.08.pdf
4. სიჭინავა ა., ტატიშვილი ლ. უძრავი ქონების სამართლებრივი საფუძვლები. სოციალური ეკონომიკა", სპეციალური ნომერი, მარტი, 2011.
5. ფანჩულიძე ჯ. უძრავი ქონების (მიწის) ადმინისტრირების საფუძვლები. თბ.., 2010.
6. მ.ჯაფარიძე,უძრავი ქონების მოძრავი ბაზარი. http://netgazeti.ge/GE/19/business/2187;
7. საქართველოს კონსტიტუცია, თბ., 2011.
8. რას ითხოვს უძრავი ქონების ბაზარი დღეს? http://nino101.wordpress.com/2011/03/11/real-estate/
9. უძრავი ქონების ბაზარზე სარეგისტრაციო ტრანზაქციათა რაოდენობა გაიზარდა. http://24saati.ge/index.php/category/business/2012-02-04/24998
10. Горенькин В.А., Экономика недвижимости, изд. «Юрай», М.2010.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამართლიანობის სოციალურ-ეკონომიკური გააზრება



ვასილ ხიზანიშვილი

ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი, სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი ეკონომიკაში

სამართლიანობა არის ძირითადი ზნეობრივი ფასეულობა. იგი წარმოადგენს უნივერსალურ პრინციპთა კრებულს[4]. სამართლიანობა არის არა ზუსტი მათემატიკური საზომი, არამედ მოქმედებათა მიზნის მიმართულების მიმცემი[5, p.52]. სამართლიანობის ცნების დიფერენცირება ზოგადად შესაძლებელია ეკონომიკური, სოციალური, სამართლებრივი რელიგიური, მორალური და ფსიქოლოგიური ნიშნის მიხედვით[7]. ჩვენი კვლევის ობიექტს წარმოადგენს მორალურ ჭრილში სამართლიანობის ცნების სოციალურ-ეკონომიკური კუთხით გარკვევა.

ეკონომიკური სამართლიანობა განმარტავს ყოველი ეკონომიკური სისტემის ცენტრალურ იდეას და ბუნებას[1]. ეკონომიკური სამართლიანობა ეხება როგორც ცალკე აღებულ ინდივიდს, ასევე საზოგადოებრივ წესრიგს. იგი მოიცავს მორალურ პრინციპებს,რომლითაც ხდება ხელმძღვანელობა ეკონომიკური ინსტიტუტების შემუშავებაში. ეს ინსტიტუტები განსაზღვრავენ ეკონომიკურ ურთიერთობათა შინაარსს ხელშეკრულების დადების, საქონლისა და მომსახურების გაცვლის და სხვა ინტერაქციულ ურთიერთობათა პირობებში. ყველა სისტემის მსგავსად, ეკონომიკური სამართლიანობა მოიცავს input, output და მათ შორის არსებულ უკუკავშირს მათივე ჰარმონიისა და წონასწორობის აღდგენისათვის.

ეკონომიკური სამართლიანობის სისტემაში, როგორც ეს განსაზღვრულია ლ. კელსის და მ. ადლერის მიერ, არსებობს სამი ძირითადი და ურთიერთდამო-კიდებული პრინციპი: მონაწილეობის პრინციპი,განაწილების პრინციპი და ჰარმონიის პრინციპი[იხ. წყარო 1].

მონაწილეობის პრინციპი აღწერს „input" რაობას საარსებო წყაროს შექმნისათვის ეკონომიკურ პროცესში. კერძო საკუთრებასთან მიმართებაში ის მოითხოვს თანაბარ შესაძლებლობებს საწარმოო აქტივების ხელმისაწვდომ მიღებაში. იგი ასევე მოითხოვს შესაძლებლობათა თანასწორობას მწარმოებლურ შრომაში მონაწილეობისათვის. მონაწილეობის პრინციპი არ უზრუნველყოფს თანაბარი შედეგების არსებობას, მაგრამ ითხოვს, რომ ყოველი ადამიანი იყოს გარანტირებული თანაბარი უფლებით სოციალური ინსტიტუციებისაგან, რათა თვითეულმა მათგანმა შეძლოს ნაყოფიერი წვლილის შეტანა ეკონომიკაში, როგორც საკუთარი შრომით (როგორც მუშაკმა), ისე საკუთარი საწარმოო კაპიტალით (როგორც მესაკუთრემ). ამგვარად,მონაწილეობის პრინციპი უარყოფს ნებისმიერ მონოპოლიებს, განსაკუთრებულ პრივილეგიებსა და სხვა საზოგადოებრივ ბარიერებს.

განაწილების პრინციპი განსაზღვრავს ეკონომიკური სისტემის output უფლებებს რაც შესაბამისობაში მოდის თვითეული ადამიანის შრომასა და კაპიტალდაბანდებასთან (inputs). კერძო საკუთრების განაწილებითი ფუნქციის წყალობით თავისუფალი და ღია ბაზრის სფეროში განაწილებითი სამართლიანობა ავტომატურად არის დაკავშირებული მონაწილეობის პრინციპთან. განაწილების პრინციპი შეიცავს საკუთრებისა და ხელშეკრულების ხელშეუხებლობას. ეს შეეხება თავისუფალ და ღია ბაზარს (და არა ხელისუფლებას), როგორც შედარებით უფრო ობიექტურ და დემოკრატიულ საშუალებას სამართლიანი ფასის, სამართლიანი ხელფასისა და სამართლიანი მოგების განსაზღვრისათვის. არც თუ იშვიათად ხდება სამართლიანი განაწილების პრინციპის ქველმოქმედების პრინციპთან გაიგივება. ქველმოქმედების ცნება გულისხმობს „თვითეულს საკუთარი საჭიროების მიხედვით", მაშინ როცა განაწილების სამართლიანობა ეფუძნება იდეას–„თითოეულს მისი წვლილის მიხედვით". ამ პრინციპების აღრევა იწვევს უსასრულო კონფლიქტებს, რაც აიძულებს ხელისუფლებას ნაერთის საზოგადოებრივი წესრიგის მხარდაჭერის მიზნით. განაწილების სამართლიანობა თანხმობაშია მონაწილეობის სამართლიანობასთან და ეს თანხმობა ქრება მაშინ,

როცა არ არსებობს შექმნისა და სარგებლობის თანაბარი შესაძლებლობები მიღებულ შემოსავლებზე.

ჰარმონიის პრინციპი მოიცავს უკუკავშირებს, ანუ წონასწორობის პრინციპებს, იგი ცდილობს გამოავლინოს input ან output პრინციპების დამახინჯებები და შეტანილი იქნეს ნებისმიერი შესწორებები სამართლიანი და გაწონასწორებული ეკონომიკური წესრიგის აღდგენისათვის. ეს პრინციპი ირღვევა მონაწილეობის პროცესში უსამართლო და უმართებულო წინააღმდეგობების შექმნით, მათ შორის მონოპოლიებით, ან მათი საკუთრების გამოყენებით სხვათა საზიანოდ ან ექსპლუატაციისათვის. ოქსფორდის ინგლისურ ლექსიკონში ,,ეკონომიკური ჰარმონია" განსაზღვრულია როგორც ,,სოციალური ადაპტაციის კანონები, რომელშიც ერთი ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის საკუთარი ინტერესები თავისუფალი თამაშის მოცემულობაში დაიყვანება სხვა ადამიანთა ან მთლიანად საზოგადოების მაქსიმალური სარგებლის შედეგებამდე". ეს პრინციპი გვთავაზობს სახელმძღვანელო მითითებებს მონოპოლიათა კონტროლისათვის, სოციალურ ინსტიტუციათა საზღვრებში კონტროლისა და ბალანსის დაცვას და შენარჩუნებას, და დისტრიბუციის ხელახალ სინქრონიზაციას მონაწილეობის პრინციპით.

ეკონომიკური სამართლიანობის პირველი ორი პრინციპი გამომდინარეობს ადამიანის მარადიული სამართლიანობის ძიებიდან, რაც ავტომატურად ითხოვს წონასწორობის დაცვას input და output შორის. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კელსი და ადლერი მიუთითებენ მესამე ანუ ჰარმონიის პრინციპზე როგორც ,,შეზღუდვის (ე.ი. ლიმიტაციის) პრინციპზე", როგორც ადამიანურ ტენდენციათა, მიდრეკილებათა და ლტოლვათა შეზღუდვაზე სიხარბესა და მონოპოლიის მიმართ, რაც იწვევს სხვათა იზოლაციას და ექსპლუატაციას. და ბოლოს, ჰარმონიის ცნება დღევანდელ მაღალტექნოლოგიურ მსოფლიოში, პოტენციური სინერგიის გათვალისწინებით წარმოადგენს უფრო მეტად მიზანშეწონილს და ყოვლისმომცველს, ვიდრე ტერმინი შეზღუდვა (ანუ ლიმიტაცია) ეკონომიკური სამართლიანობის მესამე კომპონენტში.

რომელიმე ამ პრინციპის შესუსტების ან არარსებობის შემთხვევაში ეკონომიკური სამართლიანობის სისტემა განიცდის კრახს.

დღეს სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს „სოციალური სამართლიანობის" ცნება. იგი ჩამოყალიბდა ეკონომიკურ ურთიერთობებზე სოციალური ფაქტორების გაძლიერებული ზემოქმედების შედეგად. საბაზრო ეკონომიკაში სამართლიანობა წარმოადგენს ეკონომიკური სტაბილურობისა და ეფექტიანი განვითარების უმთავრეს პირობას. სამართლიანობის ცნების შინაარსის შემადგენელ ელემენტს მიეკუთვნებიან ფასეულობები და ქმედებები. ზნეობრივი ფასეულობებით ხდება სამართლიანობის გამოხატვა, ხოლო ეკონომიკური ქმედებები ახდენენ მის რეალიზებას, რომლებიც ამავე დროს წარმოადგენენ სამართლიანობის განხორციელების სოციალურ-კულტურულ საშუალებას, რაც ასახვას პოულობს ეკონომიკური საქმიანობის შედეგებში[იხ. წყარო 7].

ეკონომიკის სფეროში სოციალური სამართლიანობა არის ეკონომიკურ ურთიერთობათა შესაბამისობა იმ წარმოდგენებთან, მოთხოვნებთან და ინტერესებთან, რომლებიც დომინირებენ განსაზღვრულ საზოგადოებაში სასიცოცხლოდ აუცილებელი სიკეთით სარგებლობის შესაძლებლობებთან მიმართებაში.

შემოსავლების უთანაბრობა დამახასიათებელია ყველა ეკონომიკური სისტემისათვის, რაც იწვევდა და იწვევს სოციალურ ძვრებს – პოლიტიკურ და ეკონომიკურ კრიზისებს. საბაზრო ეკონომიკაში სოციალური სამართლიანობა უმთავრესად რეალიზირდება შემოსავლების გადანაწილებით, მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებს შორის თანაბარი სასტარტო პირობების შექმნით. ეკონომიკური ეფექტიანობისა და სოციალური სამართლიანობის მოთხოვნის მორიგების პრობლემა წარმოადგენს როგორც სახელმწიფოს ეკონომიკური რეგულირების ისე ცალკეული საწარმოს სამეურნეო საქმიანობის უმნიშვნელოვანეს საკითხს[8].

სოციალური სამართლიანობის კვლევა, როგორც ეკონომიკის ეფექტიანობის ფაქტორის, არის ეკონომიკური თეორიის ერთ-ერთი ყველაზე ფუნდამენტური პრობლემა. მის აქტუალურობას განაპირობებს ის, რომ სამეურნეო სუბიექტების მიერ ადგილი აქვს სამართლებრივი ნორმებისა და ეკონომიკური ქცევების ეთიკურ წესთა დარღვევებს. ამ პირობებში სახელმწიფო რეგულირების სისტემა საჭიროებს მძლავრ, ინსტიტუციონალურ მხარდაჭერას, რაც ორიენტირებული იქნება სოციალური სამართლიანობის დონის ამაღლებაზე ეკონომიკაში.

ეროვნული ეკონომიკის ეფექტიანობა და სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობა დიდწილადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად არის დაცული სოციალური სამართლიანობის პრინციპები საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა

სფეროში ეკონომიკის ჩათვლით. თანამედროვე ეტაპზე სოციალური პოლიტიკის მთავარი ორიენტირი უნდა იყოს ეკონომიკური აქტიურობის ყოველმხრივი სტიმულირება, რომელიც უპასუხებს როგორც ეფექტიანობის მოთხოვნას, ისე საზოგადოების სოციალური სამართლიანობის პრინციპებს. ამისათვის კი აუცილებელია, ნაციონალური მეურნეობის სოციალურად ორიენტირებული და ეკონომიკურად ეფექტიანი ინსტიტუტების შექმნა.

ეკონომიკურ ურთიერთობებში სოციალური სამართლიანობა შეიძლება განისაზღვროს როგორც ადამიანის არსებობის ფორმა ძირითადი ელემენტების სახით, ნებისმიერ სოციალურ-ეკონომიკურ სისტემაში. სოციალური სამართლიანობის პრობლემის გადაჭრის მიდგომები ატარებს თეორიულ ხასიათს და ეკონომიკურ ურთიერთობებში საკმაოდ რთულად გამოიყენება. ინსტიტუ-ციონალური მიგდომა წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე უფრო ეფექტიან საშუალებას ამ პრობლემის გადასაჭრელად, რომლის არსიც მდგომარეობს ინსტიტუციონალური გარემოს ჩამოყალიბებაში, რაც ხელს შეუწყობს სოციალური სამართლიანობის პრინციპების დაცვას ეკონომიკურ ურთიერთობებში. არსებული პრობლემა არაერთგვაროვანია და გარკვეულწილად მოითხოვს ინდივიდუალურ მიდგომას, რისთვისაც უნდა შემუშავდეს სოციალური სამართლიანობის საკუთარი პრინციპები და კრიტერიუმები. ფორმულირებული პრინციპები და კრიტერიუმები უნდა იქნეს ინსტიტუციონალიზირებული მათ შესაბამის ნორმატიულ-სამართლებრივ აქტებსა და არაფორმალურ კონვენციონალურ ნორმებში შეტანით, რომლებიც დაარეგულირებენ ეკონომიკურ ურთიერთობებს და ამისათვის საჭირო გახდება ინსტიტუციონალური მექანიზმის შექმნა მათ სარეალიზაციოდ. სოციალური სამართლიანობის უზრუნველყოფისათვის ამგვარი მიდგომით მიღებული ეფექტი აისახება როგორც ცალკე აღებულ ეკონომიკურ სუბიექტებზე, ისე მთელ ეკონომიკაზე[2].

ეკონომიკური სამართლიანობის თეორიას გააჩნია მრავალი ასპექტი, ისეთი როგორიცაა სამართლიანობის მომენტი — და მისი უზრუნველყოფისათვის საჭირო ეკონომიკური ღონისძიებები; საარსებო მოთხოვნილებებისა და სურვილების მხარე და მისი მაქსიმალური დაკმაყოფილებისათვის საჭირო ეკონომიკური მექანიზმები; იდეალური შესაძლებლობების სოციალური კონცეფცია და მისი განხორციელების ეკონომიკური ბერკეტები.

სამართლიანობა ეს არის ზნეობრივი ფორმა რომელიც მოელის პასუხს კითხვებზე „რა" და „რატომ". ეკონომიკური სამართლიანობის თვალსაზრისით კითხვა „რა" მიმართულია ეკონომიკურ საქონელზე, ხოლო „რატომ" გულისხმობს ეკონომიკური საქონლის რეციპიენტის დადგენის კრიტერიუმებს. ეკონომიკური სამართლიანობა წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე უფრო საკამათო საკითხს მორალური ფილოსოფიის მთელ რიგ წყებათა შორის[6].

ეკონომიკური სამართლიანობა ეფუძნება გაცვლისა და განაწილების სამართლიან ასპექტებს, რომლის მიღწევაც შესაძლებელი ხდება მხოლოდ მათი დამატებითი განწესებით და ინტეგრაციით. მისი აქტუალიზაციისათვის აუცილებელია თავსებადი საბაზრო ინსტრუმენტების მდგრადობის კიდევ უფრო გამტკიცება.

თანამედროვე საბაზრო მეურნეობის სოციალური სამართლიანობის პრობლემა უმნიშვნელოვანეს ადგილს იკავებს ეკონომიკაში. სოციალური სამართლიანობის პრობლემის დამუშავება საბაზრო საზოგადოებაში იძენს არა მხოლოდ ეკონომიკურ, არამედ ასევე სოციალურ-პოლიტიკურ აქტუალურობას. ამგვარი ანალიზი შესაძლებელია მხოლოდ ეკონომიკური ურთიერთობების მთელი კომპლექსის შესწავლის პირობებში, რაც საფუძვლად უდევს სოციალურ სამართლიანობას, მოიცავს და არეგულირებს საბაზრო პროცესის პრაქტიკულად ყველა სუბიექტის ეკონომიკურ ქცევებს[3].

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. http://www.amazon.com
2. http://www.institutions.com
3. http://www.mirrabot.com
4. http://www.cesj.org
5. Nutzinger, H. G., (Herausgeber), Wirtschaftsethische Perspektiven III, (Unternehmensethik, Verteilungproblleme, methodische Ansätze. Berlin Duncker&Humblot, 1997, S. 52
6. http://www.kaththeo.luni-muenchen.de
7. http://www.m-economy.ru
8. http://www.new-economika.ru

# სოფლის მეურნეობის ეკოლოგიზაციის პრობლემები ტენიან სუბტროპიკებში

ბადრი გოძიაშვილი,
მარტა ჩებოტარიოვა
ანასეულის ჩაის, სუბტროპიკული კულტურების და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომლები,
სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორები

ტექნიკურ-ტექნოლოგიური რევოლუციების სერიებმა დაარღვია ადამიანსა და ბუნებას შორის თანასწორობა. ბუნებას უკვე აღარ შეუძლია წაშალოს ადამიანის მომხმარებლური საქმიანობის კვალი.

მინერალური სასუქების მეტისმეტად მაღალი დოზებით ნიადაგში შეტანამ, მათი გამოყენების წესების დარღვევამ, პლანტაციებში უთანაბრო განაწილებამ, ტრანსპორტირების დროს სეგრეგაციამ და სხვ. მიგვიყვანეს ნეგატიური ეკოლოგიური შედეგების მთელ კომპლექსამდე. კაცობრიობის წინაშე წარმოიშვა პრობლემა მიწათმოქმედების მაღალი პროდუქტიულობის მხარდასაჭერად ალტერნატიული გზების გამონახვისა. ევროპის რიგი ქვეყნების მეცნიერებმა შემოგვთავაზეს ბიოლოგიურ ან ალტერნატიულ მიწათმოქმედებაზე გადასვლა. უკანასკნელ დროს სამეცნიერო პუბლიკაციებში ხშირად განიხილება სხვადასხვა ალტერნატიული სისტემის წარმოების გამოყენების საკითხი სოფლის მეურნეობაში. ამ დარგის ეკოლოგიზაციის საბაბით, მაღალხარისხოვანი პროდუქციის მისაღებად, პუბლიკაციებში გაიჟღერა მოწოდებებმა მინერალური სასუქების გამოყენების სრულ აკრძალვაზე, ორგანული სასუქების როლის გაძლიერებაზე. საქართველოშიც კი, ტენიანი სუბტროპიკების პირობებში, სადაც უკვე 16-18 წელია არ ხდება მინერალური სასუქების გამოყენება, საუბარია ალტერნატიულ მიწათმოქმედების სისტემაზე. სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის წარმოების მდგრადი განვითარებისათვის თანამედროვე ეტაპზე, უფრო პერსპექტიულად შეიძლება ჩაითვალოს მიწათმოქმედების ისეთი ალტერნატიული სისტემების გამოყენების დამუშავება, სადაც გათვალისწინებული იქნება მინერალური სასუქების გამოყენება სხვადასხვა ბუნებრივ მადნებთან ერთად მკაცრ, ეკოლოგიურად დასაბუთებულ ნორმატივებში, დოზების, ფორმების, შეტანის ვადების, გამოყენების წესების გათვალისწინებით. საქართველოს ტენიან სუბტროპიკებში ხომ 14,5° საშუალო წლიური ტემპერატურისას, მოსული ატმოსფერული ნალექების რაოდენობა 2800-3000 მმ-ს შეადგენს წელიწადში. წითელმიწები და სუბტროპიკული ფსევდო ეწერი ნიადაგები ხასიათდებიან ნამეტნავი წყალგამტარობით, რაც ხელს უწყობს საკვები ელემენტების გამორეცხვას.

ფიზიოლოგიურად მჟავე მინერალური სასუქების ხანგრძლივი და სისტემატიური გამოყენება წითელმიწა და ფსევდო ეწერ ნიადაგებზე, იწვევს რა მათი ზოგიერთი ქიმიური და ფიზიკური თვისებების დადებითი მიმართულებით შეცვლას, ამასთან ძლიერ ამჟავებს ისედაც მჟავე ნიადაგის არეს რეაქციას, აძქარებს კალციუმის და მაგნიუმის გამორეცხვას ფესვთსამყოფელი ფენიდან, ადიდებს ფუძეებით გაუმაძღრობის ხარისხს, ამცირებს მიკრობიოლოგიური პროცესების აქტიურობას. ყოველივე ამის შედეგია ნიადაგის ნაყოფიერების შემცირება. ასეთ დაბალ ნაყოფიერ ნიადაგებზე, საკვები ელემენტების უარყოფითი ბალანსით, საქართველოში არსებულ მძიმე სოციალურ ფონზე, საკითხის გადაწყვეტა ალტერნატიული მიწათმოქმედებით, ჯერჯერობით არადროულია. ეკოლოგიური სისტემების აქტიური ათვისებისას, მოიწიონ უფრო დაბალი მოსავალი, შეიძლება თავს ნება მისცენ განვითარებულმა ქვეყნებმა, სადაც საკმაოდ ხშირად ამა თუ იმ მიზეზით შეინიშნება საკვები პროდუქტების ჭარბი წარმოება.

ალტერნატიული მიწათმოქმედებებისას, ნიადაგში ბიოგენური ელემენტების შევსება ძირითადად ნავარაუდევია ნაკელის შეტანის ხარჯზე, რომელიც მართლა გამოირჩევა რიგი უპირატესობებით, მაგრამ ამავე დროს არ არის მოკლებული ნაკლოვანებებსაც.

ზოგიერთი მეცნიერი თვლის, რომ მოსახლეობის უზრუნველყოფისათვის უსაფრთხო კვების პროდუქტებით ერთ-ერთ სერიოზულ მიმართულებას წარმოადგენს ორგანული სექტორის ფორმირება და განვითარება სოფლის მეურნეობაში. მსოფლიოს მრავალი ქვეყნების მეცნიერების გამოკვლევებით ნაჩვენებია, რომ ნიადაგში საკვები ელემენტების ექვივალენტური რაოდენობისას ნაკელის და მინერალური სასუქების გავლენა პროდუქციის ხარისხზე ტოლფასია. მიუხედავად ამისა ორგანული სასუქებიც, მაგალითად სხვადასხვა სახეობის ნაკელი შეიცავს ტოქსიკური ელემენტების განსაზღვრულ რაოდენობას, რომლებიც ხვდებიან რა ნიადაგში და მცენარეში შეიძლება გამოიწვიონ პროდუქციის გაჭუჭყიანება. ასე მაგალითად, ბაგის ნაკელი საშუალოდ შეიცავს 0,4 მგ კადმიუმს კილოგრამ მშრალ მასაზე გადაანგარიშებით. 5 ტონა მშრალი ნივთიერების ნორმის ხარჯზე 1 ჰექტარზე ნაკელის გამოყენებით ყოველწლიურად შეიტანება 1-4 გრამი ეს ელემენტი. ტყვიის კონცენტრაცია ნაკელში მერყეობს 1,1-დან 27 მგ/კგ-მდე და საშუალოდ 6,6 მგ/კგ-ს შეადგენს. შვეციაში, საგებ ნაკელში ვერცხლისწყლის შემცველობა საშუალოდ 0,08 მგ/კგ-ს შეადგენს. ა. ანდერსონის მონაცემებით ნაკელის მეშვეობით ვერცხლისწყლის წლიური ზღვრული შეტანა შეადგენს ჰექტარზე 1,8 გრამს.

მოცემული მონაცემებიდან შეიძლება შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ მიწათმოქმედების ნებისმიერი სისტემის დროს, აუცილებელია ტოქსიკური ელემენტების შეტანის კონტროლირება ნიადაგში, სასუქის სახის დამოუკიდებლად. ნაკელმა სხვადასხვა ფაქტორების მიხედვით შეიძლება სხვადასხვაგვარი გავლენა მოახდინოს მინერალური სასუქების მოთხოვნილებაზე. ჩვენს მიერ ჩატარებულ ცდებში, ძლიერ მჟავე წითელმიწა ნიადაგებზე, ამორტიზებული ჩაის პლანტაციების ამოძირკვის შემდეგ გაშენებული ციტრუსების, სიმინდის, სოიოს და სხვ. ქვეშ ნაკელის შეტანით მიღებული დადებითი ეფექტი 6-8%-ს არ აღემატებოდა, ისიც ცდომილების ფარგლებში.

როგორც ცნობილია ნიადაგის არეს რეაქცია დიდ გავლენას ახდენს მცენარის კვებაზე. იგი მოქმედებს ნიადაგში მაკრო და მიკროელემენტების კონცენტრაციაზე, საერთო ფერმენტატულ აქტიობაზე. ნიადაგის არეს რეაქციის გამჟავებით იზრდება მძიმე მეტალების მობილურობა და მათი შენელებული მოქმედება მცენარის ზრდაზე. ძლიერ მჟავე რეაქციისას, წითელმიწებში არსებული ალუმინი წარმოქმნის ხსნად ნაერთებს, რომლებიც მავნედ მოქმედებენ მცენარეზე. მინერალური სასუქების და ქიმიური მელიორანტების შეხამებით გამოყენება მჟავე წითელმიწა ნიადაგებზე ძლიერ ეფექტურია. მამელიორირებელი ნივთიერებების შეტანა ახდენს მრავალმხრივ დადებით მოქმედებას ნიადაგზე – ნეიტრალდება ორგანული მჟავეები, ხდება ალუმინის გამოძევება ნიადაგის მშთანმთქავი კომპლექსიდან, რაც იწვევს გაცვლითი მჟავიანობის მოცილებას და ჰიდროლიზური მჟავიანობის მაჩვენებლის მნიშვნელოვან შემცირებას. ამასთან ერთად უმჯობესდება ნიადაგის მშთანმთქავი კომპლექსის კათიონური შედგენილობა- ალუმინის იონების შეცვლით კალციუმის და მაგნიუმის კათიონებით, რაც აპირობებს ფუძეებით ნიადაგის მაძღრობის ხარისხის ამაღლებას და შთანთქმის ტევადობის გაზრდას. ყოველივე ეს ქმნის ხელსაყრელ პირობებს სასარგებლო მიკრობიოლოგიური პროცესების, ნიადაგის მიკროფაუნის აქტივაციისათვის, რაც აპირობებს კულტურული მცენარეების უზრუნველყოფას კვების მინერალური ელემენტებით, მცენარეული ნარჩენების, ორგანული სასუქების და ჰუმუსის გადამუშავების ხარჯზე.

მინდვრის ცდებში დადგენილ იქნა, რომ ციტრუსოვანი ნარგავების ქვეშ ქიმიური მელიორაცია იწვევს ფერმენტული პროცესების აქტივიზაციას წითელმიწა ნიადაგებში, რომლის მიხედვითაც მინიშნებით შეიძლება მსჯელობა ნიადაგის ნაყოფიერებაზე.

ხანგრძლივად განოყიერებულ წითელმიწებში ჩაის პლანტაციების ქვეშ არ გვხვდება ჭიები, კირის შემცველი ნივთიერებების შეტანის შემდეგ აღმოჩენილ იქნენ ისინი საყრდენი ჭრილების ზედა ფენებში. ეს ფაქტი შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნიადაგის ტოქსიკურობის შეფასებისათვის.

ქიმიურად მამელიორირებელი ნივთიერებების შეტანა ცოტაოდენ აუარესებს წითელმიწა ნიადაგების წყალგამტარობას, რაც შეიძლება ახსნილ იქნეს რკინის და ალუმინის სამვალენტოვანი კათიონების ჩანაცვლებით ორვალენტოვანი კალციუმის და მაგნიუმის კათიონებით, რომლებიც იწვევენ ნიადაგის ნაწილაკების დისპერგირებას. წყალგამტარობის ასეთი ცვლილება ხელსაყრელად მოქმედებს წითელმიწა ნიადაგის ნაყოფიერებაზე, იწვევს რა ბიოგენური ელემენტების გამორეცხვის ჩახშობას. ჩატარებული კვლევით დადგენილ იქნა, რომ კირის შემცველი ნივთიერებების შეტანა აძლიერებს წითელმიწა ნიადაგის ორგანული ნივთიერების დაშლას, ამცირებს ჰუმუსის რაოდენობის შემცირებას. ანალიზებმა გვაჩვენა, რომ ქიმიური

მელიორანტების შეტანით წარმოიშვება ახალწარმოებული ჰუმუსოვანი ნივთიერებების შენაერთები ორვალენტიან კათიონებთან, უფრო ფასეული აგროქიმიური თვალსაზრისით და უფრო მოძრავი ვიდრე ინერტული ჰუმუსოვანი ნივთიერებები ერთნახევარ ჟანგეულებთან.

ლიტერატურული და საკუთარი კვლევების მონაცემები ადასტურებენ ტენიანი სუბტროპიკების სოფლის მეურნეობის ეკოლოგიზაციის და მდგრადი განვითარების პრობლემების გადაწყვეტის აქტუალობას და სირთულეს, რაც არც ისე იოლია.

კვლევებით დადგენილ იქნა, რომ მჟავე წითელმიწა ნიადაგებზე სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნორმალური ზრდა-განვითარებისათვის მნიშვნელობა აქვს ქიმიური მელიორანტის როგორც ფორმას, ასევე დოზას. ჩვენს მიერ ჩატარებული ცდებით დადგენილ იქნა, წითელმიწა ნიადაგების ნაყოფიერებისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან აგროქიმიურ პარამეტრად ითვლება კალციუმის და მაგნიუმის შემცველობის შეფარდება ნიადაგის მშთანმთქავ კომპლექსში, რომლის ოპტიმიზირება შეიძლება დოლომიტის შეტანით. ამ მელიორანტის გამოყენებით ერთი ჰიდროლიზური მჟავიანობის ექვივალენტური რაოდენობით ათწლიანი მანდარინის ხეების მოსავლიანობამ ჰექტარზე შეადგინა 45 ტონა. ასევე დადებითად იმოქმედა ამ მელიორანტის გამოყენებამ ლიმონის, ფეიჰოას, კივის, სიმინდის, სოიოს და სხვა სასოფლო კულტურების მოსავლიანობაზე.

დადებითი შედეგები იქნა მიღებული მცენარეული ნაცრის (ტუნგოს ზეთსახდელი ქარხნიდან) გამოყენებით, რომლის შემადგენლობაშია 5,24% კალციუმი, 5.21% მაგნიუმი, 12% კალიუმი, საერთო გამანაიტრელებელი უნარიანობა-14%. ეფექტურობით განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ მზესუმზირას ჩენჩოს შეტანის ვარიანტები, შედგენილობით კალციუმი 27%, მაგნიუმი 21%, კალიუმი 16%, საერთო გამანეიტრალებელი უნარიანობა-51%. ცხადია აქ ითამაშა როლი კათიონების უკეთესმა შეფარდებამ და რაოდენობამ მზესუმზირას ჩენჩოს ნაცარში. ამ ნივთიერებების გამოყენებით, აზოტის ეკოლოგიურ დოზასთან ერთად სუბტროპიკული კულტურების, სიმინდის, სოიოს დას ხვ. მოსავლიანობა 3-4-ჯერ იზრდება. მცენარეული ნაცარი წარმოადგენს რა იდეალურ მამელიორირებელ ნივთიერებას, მიეკუთვნება მრავალმხრივ მოქმედი სასუქების რიცხვს, რადგანაც მაკროელემენტების გარდა,რომლებიც იმყოფებიან მცენარის ზრდისათვის ხელსაყრელ შეფარდებაში და ადვილად შესათვისებელ ფორმებში, შეიცავს მიკროელემენტების რიგს, რომლებიც ფიზიოლოგიურად მჟავე სასუქების გამოყენებისას გამოიტანებიან გაზრდილ მოსავალთან ერთად და აგრეთვე გადადიან უფრო მოძრავ ფორმებში და ადვილად ირეცხებიან ნიადაგიდან ტენიანი სუბტროპიკების კლიმატის პირობებში.

საქართველოს ფარგლებში არის მნიშვნელოვანი მარაგი ტორფის, კირქვის, დოლომიტის, ცეოლიტების. საქართველოს ტერიტორიაზე მოიპოვება სერპენტინიტის სილიკატური ქანები, დუნიტები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნენ მაგნიუმის შემცველი სასუქების სახით. მოიპოვება გლაუკონიტის ქანების მნიშვნელოვანი მარაგი, ხარისხით არა ნაკლები აშშ-ის გლაუკონიტის ქანებზე, რომლებიც იქ ფართოდ გამოიყენება როგორც კალიუმის შემცველი წყარო.

ორგანული ნივთიერებების და მათი ნარჩენების გამოყენებამ აგრომადნებთან ერთად, რომლებიც შეიცავენ სხვადასხვა ბიოგენურ ელემენტებს, შეიძლება ამა თუ იმ ზომით შეცვალონ მინერალური სასუქები და ითამაშონ მნიშვნელოვანი როლი ტენიანი სუბტროპიკების სოფლის მეურნეობის ეკოლოგიზაციისა და მდგრადი განვითარებისათვის.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1.გოგორიკიძე ნ., ხურციძე თ., გოძიაშვილი ბ., ქიმიური მელიორანტების გავლენა ციტრუსების ბაღში ფერმენტების აქტიურობაზე. ოზურგეთი-ანასეული №1-2, 2005.

2. გოძიაშვილი ბ., ჩებოტარიოვა მ. გაკირიანების გავლენა წითელმიწა ნიადაგების წყალგამტარობაზე. შ. რუსთაველის უნივერსიტეტის შრომები. ბათუმი, 2009, ტომი 15.

3.Минеев В.Г., Дебрецени Б., Мазур Т. Биологическое земледелие и минеральные удобрения.- М.: Колос, 1993.

4. Нарчемашвили О.В. , Беридзе А.Е. Некоторые агрономические руды Грузи и перспективы их использования в повышении плодородия почв влажных субтропиков. // Агрохимия. Москва.: №12, 1967.

5.Природные ресурсы Грузинской ССР. М.: Том 1-2. 1958-1959.

# კომერციული ბანკის ფასიანი ქაღალდების პორტფელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რუსუდან პაპასკირი

ტექნიკის აკადემიური დოქტორი



გარდა დეპოზიტების მიღებისა და კრედიტების გაცემისა, კომერციული ბანკები ასრულებენ სხვა ოპერაციებსაც. მათ შორის ერთ-ერთია ფასიანი ქაღალდების (აქციები, ობლიგაციები, ვექსელები, გარანტები და სხვ.) ყიდვა-გაყიდვა.

ფასიან ქაღალდებში განთავსებულ ინვესტიციებს პორტფელური (ფინან-სური) ინვესტიციები ეწოდება. ხშირად პორტფელური ინვესტიციები უფრო დიდი შემოსავლის მომტანია, ვიდრე რეალური ინვესტიციები. ამიტომ ბანკები ყიდულობენ ფასიან ქაღალდებს და აკომპლექტებენ პორტფელს.

ბანკის ფინანსური ინვესტიციები (დაბანდებები) ორსახისაა: მოკლევადიანი და გრძელვადიანი. ფასიანი ქაღალდების მოკლევადით შეძენის მიზანია ბირჟებზე მათი გადაყიდვა და ამ გზით მოკლევადაში მოგების მიღება. გრძელვადიანი (20 წელი და მეტი) ფინანსური ნვესტირებასაც მოგების მიღება აქვს მიზნად და, თანაც – დიდი მოგების, რადგან რაც მეტია ვადა, მით მაღალია რისკი და მაღალია შემოსავალიც. გრძელვადით ნაყიდი ფასიანი ქაღალდები სტაბილურ შემოსავალს იძლევა. მაგრამ ინვესტორმა იგი დაფარვის ვადის დადგომამდე არ უნდა გაყიდოს.

კომერციული ბანკები უმეტესწილად მოკლევადიან ფინანსურ აქტივებს იძენენ. ეს იმას ნიშნავს, რომ მათ შემოსავლის ხშირად მიღება და ბანკის ლიკვიდურობის უზრუნველყოფა აინტერესებთ. რადგან ერთი და იგივე ფასიან ქაღალდს ორივე მახასიათებელი არა აქვს, ამიტომ ბანკები ფინანსურ პორტფელებს სხვადასხვა სახის ფასიანი ქაღალდებით აკომპლექტებენ. მათი ერთი ნაწილით ისინი უზრუნველყოფენ ლიკვიდურობას, მეორე ნაწილით კი – შემოსავალს [1, გვ. 213].

მაგრამ სურვილი ერთია და ასრულება – მეორე. ფასიანი ქაღალდებიდან შემოსავლის მიღებაც და მათი მეშვეობით ბანკის ლიკვიდურობის უზრუნველყოფაც ბაზრის კონიუნქტურაზე არის დამოკიდებული. კონიუნქტურა კი ბაზარზე ყოველ წუთს იცვლება.

ბაზრის კონიუნქტურის ცოდნა ბანკებს სჭირდებათ პორტფელის დაკომპლექტებამდე და მის შემდეგაც. თუ მათ წინასწარ არ იციან, როგორია ბაზარზე ფასიანი ქაღალდების ფასების კონიუნქტურა, ამის გარეშე პორტფელს ოპტიმალურად ვერ დააკომპლექტებენ. შემდეგ ეტაპზე კი მათ ამის ცოდნა სჭირდებათ იმისთვის, რომ სარგებლიანი გადაწყვეტილება მიიღონ ფასიანი ქაღალდების ყიდვის ან გაყიდვის შესახებ.

ფასიანი ქაღალდების ბაზრისშესწავლის ძირითადი მეთოდებია ტექნიკური და ფუნდამენტალური ანალიზი.

ტექნიკური ანალიზით კომერციულ ბანკებს შეუძლიათ გამოიკვლიონ ფასიანი ქაღალდების კურსის დინამიკა და მის საფუძველზე გააკეთონ პროგნოზი. ტექნიკურ ანალიზს საფუძვლად უდევს სამი ფუძემდებლური პრინციპი:

1. ასახვა;
2. ტრენდი;
3. განმეორებადობა.

**ასახვის პრინციპი** იმას ნიშნავს, რომ ფასიანი ქაღალდების ბაზარზე მომხდარი ყველანაირი მოვლენა აისახება მათ ფასებზე. ამიტომ საკმარისია ფასების შედეგად ბირჟაზე დაფიქსირებული ფასები და მასში მომხდარი ცვლილებები (წინა პერიოდთან შედარებით) შეისწავლება და კეთდება მომავალში მათი შესაძლო ცვლილებების პროგნოზი.

**ტრენდის პრინციპი** ეფუძნება იმის ვარაუდს, რომ ფასების ცვლილება რაღაც გარკვეული მიმართულებებით ხდება. ეს მიმართულებები წარმოად-გენე ნბაზრის ნორმალურ აღწერას. ტრენდი იქმნება მოთხოვნა-მიწოდების თანაშეფარდებით და სტაბილური რჩება მანამ, სანამ არ წარმოიქმნება აბსოლუტურად საწინააღმდეგო ტენდენცია. ტრენდის და მისი შეცვლის მომენტის გამოკვლევა არის ტექნიკური ანალიზის ძირითადი მიზანი.

ახალი უნივერსიტეტი

ფასები ბაზარზე იცვლებიან შემდეგნაირად: თავიდან ისინი ერთი მიმართულებით მოძრაობენ. თუ ეს მოძრაობა ზრდას ასახავს, ეს ნიშნავს, რომ ტრენდი არის ზრდადი. რაღაცა პერიოდის გასვლის შემდეგ იწყება ფასების კლება, ე. ი. ადგილი აქვს საწინააღმდეგო (კლებადი) ტრენდის წარმოშობას.

**განმეორებადობის პრინციპის** თანახმად, სიტუაციები ბაზარზე პერიოდულად მეორდება. ტექნიკური ანალიზის დროს შეისწავლება ამ მოსალოდნელი განმეორების პერიოდი და ხდება იმ დროის ფასების პროგნოზირება.

ამრიგად, ტექნიკური ანალიზი გულისხმობს, რომ ფასიანი ქაღალდების ფასები ბაზარზე შემთხვევით კი არ წარმოიშვება, არამედ არსებობს კავშირი წარსულის, აწმყოს და მომავლის ფასებს შორის. ამასთან, მისი მიზანია, განსაზღვროს ეს კავშირი და მის საფუძველზე ცალკეული ფასიანი ქაღალდების ფასის და მთლიანად საფონდო ბირჟის ფასების ცვლილებები იწინასწარმეტყველოს.

ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესწავლის მეორე მეთოდია ფუნდამენტალური ანალიზი. ფუნდამენტალური ანალიზი, პირველ რიგში, იმ გარემოში უნდა დაიწყოს, რა გარემოშიც ფასიანი ქაღალდების ბაზარი მუშაობს. ეს არის მაკროგარემო. ამის შემდეგ ანალიზდება დარგი, ხოლო შემდეგ – ფასიანი ქაღალდების ემიტენტები – კომპანიები,მუნიციპალიტეტები და სხვ.

მაკროგარემოს ანალიზის დროს შეისწავლება ქვეყნის ეკონომიკური ვითარება – შიდაპროდუქტი, ინფლაცია, უმუშევრობის დონე, ბიუჯეტის დეფიციტი, ვალუტის კურსი და სხვ.

ფუნდამენტალური ანალიზის მეორე ეტაპზე შეისწავლება დარგი, ანუ ის დარგი (ან დარგები), რომელთა ფასიანი ქაღალდები კოტირებულია ბირჟაზე. დარგის შესწავლისას ყურადღება უნდა გამახვილდეს მის ციკლურობაზე ანუ, რამდენად მგრძნობიარეა იგი კრიზისის მიმართ. ამ თვალსაზრისით არჩევენ: ზრდად დარგებს, ციკლურ დარგებს, დაცულ დარგებს და კონტრციკლურ დარგებს.

ზრდად დარგებს მიეკუთვნებიან დარგები, რომლებიც იზრდებიან, მაგრამ რომელთა ზრდა არ ჩანს საერთო ეკონომიკური დაცემის ფონზე; დაცულ დარგებს – დარგები, რომლებზეც არ მოქმედებს საერთო ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილება; ციკლურ დარგებს – დარგები, რომელთა ცვლილებები ემთხვევა საერთო ეკონომიკურ ცვლილებებს და კონტრციკლურ დარგებს – დარგები, რომლებიც თავის განვითარების მაქსიმუმს სწორედ ეკონომიკის დაცემის პერიოდში აღწევენ.

კომერციული ბანკის ფინანსურმა მენეჯერმა, რომელსაც დავალებული აქვს ბანკისთვის ფასიანი ქაღალდების ყიდვა და პორტფელის დაკომპლექტება, დარგების ციკლურობას აუცილებლად ანგარიში უნდა გაუწიოს. საქართველოს პირობებში, ჩვენი აზრით, მოცემულ მომენტში ყველაზე მისაღები უნდა იყოს დაცული დარგების – კვების მრეწველობა, ჯანმრთელობის დაცვა და სხვა – ფასიანი ქაღალდებით პორტფელის დაკომპლექტება.

ფუნდამენტალური ანალიზის მესამე ეტაპზე კომერციული ბანკის ფინანსურ მამენეჯერმა უნდა შეისწავლოს ფასიანი ქაღალდების ემიტენტები. ესენი შეიძლება იყვნენ ცალკეული კომპანიები („კოკა-კოლა“, „ყაზბეგი“, „ნატახტარი“ და სხვ.), სხვა კომერციული ბანკები,მუნიციპალიტეტები, სახელმწიფო ხაზინა და სხვ.

ემიტენტ-სუბიექტებში უნდა გაანალიზდეს: მმართველობის ხარისხი, რეიტინგი, რენტაბელობის დონე, ლიკვიდურობის მაჩვენებლები,კაპიტალის სტრუქტურა და საბაზრო აქტივობის მაჩვენებლები.

ამ ჩამონათვალიდან ზოგიერთის გავლენის დადგენა ფასიანი ქაღალდების საბაზრო ფასზე შეუძლებელია. ეს ეხება ემიტენტის მართვის ხარისხს და რეიტინგს. თუმცა, მტკიცება არ უნდა იმას, რომ რაც მაღალრეიტინგულია ფირმა და აქვს მაღალი დონის მენეჯმენტი, მით მაღალი იქნება მისი ფინანსური ინსტრუმენტების ფასი ბაზარზე.

ემიტენტსუბიექტის რენტაბელობის მაჩვენებლებიდან უპირველესად უნდა გაანალიზდეს აქტივების რენტაბელობა:

$$ROA = \frac{\text{წმინდა მოგება}}{\text{აქტივები}} \cdot 100\%$$

ლიკვიდურობის მაჩვენებლებიდან უპირველესად უნდა გაანალიზდეს მიმდინარე (საერთო) ლიკვიდურობა:

$$K_0 = \frac{\text{მიმდინარე აქტივები}}{\text{გრძელვადიანი ვალდებულებები}} \cdot 100\%$$

კაპიტალის სტრუქტურის მაჩვენებლებიდან უპირველესად უნდა გაანალიზდეს ნასესხი კაპიტალის მაჩვენებელი:

$$K_5 = \frac{\text{ნასესხი კაპიტალი}}{\text{აქტივები}} \cdot 100\ \%$$

საბაზრო აქტივობის მაჩვენებლებიდან კი უპირველესად უნდა გაანალიზდეს შეფარდება:

$$D / E = \frac{\text{აქტივების საბაზრო ფასი}}{\text{მოგება ერთ აქციაზე}}$$

ამის შემდეგ ბანკის ფინანსრუმა მენეჯერმა უნდაშეაფასოს გამოთვლილი მაჩვენებლები:–

ახალი ეკონომისტი

საერთო ლიკვიდურობის მაჩვენებელი არ უნდა იყოს 200%-ზე ნაკლები, ნასესხი კაპიტალის მაჩვენებელი – 20-50%-ზე ნაკლები, ხოლო შეფარდება $D/E$ – რაც შეიძლება ნაკლები და ა. შ.

ზემოთმოტანილი მაჩვენებლების ანალიზი და შეფასება დაეხმარება ბანკის ფინანსურ მენეჯერს, ოპტიმალურად დააკომპლექტოს ბანკის ფინანსური პორტელი. კერძოდ, გააანალიზებს რა ემიტენტ-კომპანიის მუშაობის მაჩვენებლებს, იგი ადვილად დაადგენს, თუ რა ბედი ელოდება მის ფასიან ქაღალდებს ბაზარზე და პორტფელის დასაკომპლექტებლად არჩევანსაც მათ შორის ამის მიხედვით გააკეთებს.

თუმცა, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესწავლა ძალიან რთული საქმეა და ხშირად ზუსტი პროგნოზის გაკეთება არც ტექნიკური ანალიზით ხერხდება და არც ფუნდამენტალური ანალიზით. [illegible] გამოკვლევაში უნდა ჩაირთოს ბაზრის მონაწილეთა მოლოდინი მისი სამომავლო განვითარების შესახებ [2, გვ. 269]. ამ მიზნით გამოყენებული ერთ-ერთი ცნობილი ინდიკატორი არის შეფარდება: „ხარების" ბაზარი / „დათვების" ბაზარი. „ხარების" ბაზრის მონაწილენი ისინი არიან, რომლებიც მუშაობენ ბაზარზე ფასების აწევაზე, „დათვები" კი – ფასების დაწევაზე. ცხადია, ხარები ელოდებიან ფასების აწევას, დათვები კი – ფასების დაწევას.

ვინაიდან შეხედულებები და მოლოდინი არა მარტო ასახავენ სამომავლო განვითარების შესაძლებლობებს, არამედ გავლენასაც ახდენენ მათზე საჭიროა, კომერციული ბანკის ფინანსურმა მენეჯერმა გაითვალისწინოს იგი ფინანსური აქტივების პორტფელის ფორმირებისას.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. Е. П. Жарковская, Финансовый анализ деятельности коммерческого банка, М., Омега-л, 2010.
2. ლ. ქოქიაური, ნ. შონია, ფასიანი ქაღალდების ბაზარი, თსუ გამომცემლობა, 2008.
3. Миркин В. Г. Ценные Бумаги и фондовой рынок, М., Перспектива, 1997.
4. შონია ნ., გუგეშაშვილი თ., ლავთაძე გ. ფასიანი ქაღალდების ბაზარი, ქუთაისი, 2004.
5. ბახტაძე ლ. ფინანსური ბაზარი, თბ., 2005.

# რეგიონის საფინანსო-ეკონომიკური დამოუკიდებლობის მეთოდურ-მეთოდოლოგიური ასპექტები



როინ თათეშვილი

ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი

საფინანსო პოლიტიკისა და ფინანსურ ურთიერთობათა საკითხებზე უცხოელ და ქართველ მეცნიერთა გამოცემული ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების ერთიანი მკაცრად ჩამოყალიბებული, ტიპიური მეთოდოლოგია და მეთოდიკა არაა შემუშავებული. შესაბამისად, ცალკეული ქვეყანა, მისი სახელმწიფოებრივი ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგიიდან და რესურსული პოტენციალიდან გამომდინარე, ამუშავებს საკუთარ პოლიტიკას შიდა **რეგიონების** მიმართ.

დემოკრატიულად განვითარებული ქვეყნების **მთავარი ამოცანაა** ქვეყნის რეგიონების მოსახლეობის ცხოვრების დონის ზრდა, მიუხედავად ადგილობრივი თვითმმართველობის ფორმების მრავალსახეობისა. ამასთანავე, თითქმის ყველა ქვეყნის რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის რეალიზაციის მთავარ ინსტრუმენტს **სატრანსფერო პოლიტიკა** შეადგენს, რომლის მთავარი არსი ფინანსური რესურსების ცენტრიდან რეგიონების გადანაწილების პრინციპში აისახება და არაერთგვაროვანია მსოფლიო სახელმწიფოთა ჭრილში.

საქართველოს რეგიონების დიფერენციაციის ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების, მათი დისპროპორციული განვითარების **ფაქტორების** განსაზღვრა, რეგიონების საფინანსო-ეკონომიკური დამოუკიდებლობის პრობლემის შესწავლა და ცალკეული რეგიონის ადგილისა და როლის განსაზღვრა ქვეყნის ეკონომიკური ზრდისა და საფინანსო სისტემის განვითარებაში თანამედროვე ეტაპზე ფრიად **აქტუალურია**

ეკონომიკის განვითარების ყოველი ეტაპი ხასიათდება ახალი რეალობებით, რომელთა მეცნიერული კვლევაც აგრეთვე მუდმივად განვითარებადი პერმანენტული პროცესია. დღევანდელი რეალობის პრობლემატურობა განპირობებულია საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსის, საბიუჯეტო კოდექსის მოთხოვნათა პრაქტიკული რეალიზაციის უზრუნველსაყოფად ქვეყნის ფინანსური და კერძოდ, საბიუჯეტო ურთიერთობების რეფორმირების აუცილებლობით, პროგრამულ–მიზნობრივ საბიუჯეტო სისტემაზე გადასვლისა და ამის პარალელურად რეგიონის ტერიტორიული ერთეულების სოციალურ–ეკონომიკური ამოცანების გადაჭრის უზრუნველყოფით.

რეგიონების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში არსებითი განსხვავებების არსებობა ქმნის ეკონომიკური და პოლიტიკური არასტაბილურობის საშიშროებას. სწორედ ამიტომ სახელმწიფო უნდა ატარებდეს მოქალაქეთათვის სოციალური კეთილდღეობის მისაღწევად ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად გამიზნულ ერთიან **რეგიონულ პოლიტიკას.**

ამასთან დაკავშირებით ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობები იღებს ორ **ძირითად მიმართულებას:**

1. სამხარეო და რეგიონულ ბიუჯეტებს შორის საგადასახადო და არასაგადასახადო შემოსავლების ნორმატიული განაწილების გათვალისწინებით ცენტრალური ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ფორმირება;

2. გეგმიური დანახარჯების დაფინანსებისა და სოციალური განვითარების თანაბარი პირობების შექმნის აუცილებლობიდან გამომდინარე რეგიონების მიერ ცენტრალური ბიუჯეტიდან სახსრების მიღება.

ფისკალური დეცენტრალიზაცია, ფართო გაგებით, არ გულისხმობს მხოლოდ რესურსების გადაცემას ადგილობრივი ხელისუფლების სხვადასხვა დონეზე. ამ საკითხის დადგომისას გასარკვევია, თუ რა **ფისკალური ბერკეტები** გააჩნია ადგილობრივ ორგანოებს, რამდენად დამოუკიდებლად განსაზღვრავენ ისინი პრიორიტეტებს ხარჯვების მიწოდებაში,

ახალი ეკონომისტი

საგადასახადო განაკვეთებს და მათი ადმინისტრირების საკითხებს.

საქართველოსათვის, რომელიც საბაზრო ურთიერთობების განვითარების გარდამავალ ეტაპზე იმყოფება და რეგიონული განვითარების დონეების მიხედვით მაღალკონტრასტული დიფერენციაციით ხასიათდება, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სახელმწიფოს აქტიური მონაწილეობა ქვეყნის ტერიტორიული განვითარების რეგულირების პროცესებში საბიუჯეტო-საგადასახადო მექანიზმების გამოყენებით, კერძოდ: რეგიონული განვითარების ამოცანების გადაწყვეტის პროგრამულ-მიზნობრივი მეთოდების, ეკონომიკური პირობების **გათანაბრების საბიუჯეტო რეგულირების მოდელის შექმნა**, ცენტრალური და ადგილობრივი თვითმმართველობისა და კერძო კაპიტალის ინტერესების **რეგულირების მეთოდების სრულყოფა** და სხვა სახის მეთოდები, რომელთა გამოყენებით შესაძლებელი იქნება რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური პირობების გათანაბრების მიღწევით მათი აქტიური ჩართვა საშინაო და საგარეო საბაზრო ურთიერთობებში.

თვითმმართველი ერთეულების 2008-2011 წლების ბიუჯეტების შემოსავლების სტრუქტურას თუ გავაანალიზებთ (დიაგრამა 1), ჩანს, რომ თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების შემოსავლების უდიდესი ნაწილი ტრანსფერებზე მოდის, მეორე ადგილზეა გადასახადები და შემდგომ სხვა შემოსავლები. გადასახადებსა და სხვა შემოსავლებს შორის სხვაობა დიდი არ არის. 2010 წელს წინა წელთან შედარებით სხვა შემოსავლების პროცენტულმა ზრდამ გადასახადების პროცენტულ ზრდას გადააჭარბა.

2008-2010 წლებში თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების ჯამურმა შემოსულობამ 4102 მილიონი ლარი შეადგინა, აქედან 2412 მილიონი ლარი (58.8 პროცენტი) საკუთარ შემოსულობას წარმოადგენდა, ხოლო 1690 მილიონი ლარი (412 პროცენტი) არასაკუთარ შემოსულობას. ამას თუ დავამატებთ იმ გარემოებას, რომ საკუთარი შემოსულობების 46.4 პროცენტი გათანაბრებით ტრანსფერზე მოდის, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქვეყანაში ფისკალური დეცენტრალიზაციის მხრივ არასახარბიელო მდგომარეობაა.

დიაგრამა 1

თვითმმართველი ერთეულების 2008-2011 წლების ბიუჯეტების შემოსავლების სტრუქტურა




ამრიგად, მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობით განსაზღვრული ადგილობრივი ბიუჯეტის **საგადასახადო ბაზა** საკმაოდ მწირია, რის შედეგადაც ქვეყნის ადმინისტრაციულ რაიონებს შორის მხოლოდ რამდენიმე გვევლინება არადოტაციურად, ხოლო დანარჩენი რაიონების ადგილობრივი ბიუჯეტები კი, ფაქტობრივად, ცენტრალური ბიუჯეტიდან გადასაცემ ტრანსფერების მოცულობაზეა დამოკიდებული.

აქედან გამომდინარე, მეტად მნიშვნელოვანია ადგილობრივი ბიუჯეტების საშემოსავლო ბაზის განმტკიცებისა და გაფართოების მიზნით ცენტრალურ და ადგილობრივ ბიუჯეტებს შორის სახელმწიფო საგადასახადო გადასახდელების განაწილების მოქმედი სისტემის შემდგომი სტიმულიზაცია, რაც თავის მხრივ ამ თვალსაზრისით ადგილობრივი

თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის გააქტიურებისათვის დამატებითი სტიმული იქნება.

აღსანიშნავია ისიც, რომ ხელისუფლებაში მიმდინარე დადებითი პროცესები გვაძლევს ოპტიმიზმის საფუძველს და მიგვაჩნია, რომ საბიუჯეტო ფედერალიზმის დამკვიდრების მიმართულებით უნდა გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები, რაც ქვეყნის შიგნითა და [illegible] რეგიონთაშორისი ინტეგრაციის [illegible] პრინციპების საფუძველზე სწორად გამიჯნავს „ცენტრსა“ და „რეგიონს“ შორის საფინანსო-საბიუჯეტო ურთიერთობებს.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1.ბარათაშვილი ე., ვეშაპიძე შ., „რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკა“, თბ., „ვერჯე“, 2002წ.

2. კაკულია რ., „ფინანსების თეორია“, მეოთხე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა. თბ. 2010წ.

3. ლიპარტია ზ., თათეშვილი რ., „რეგიონული საბიუჯეტო პროცესის მართვის მოდელირება საბიუჯეტო ფედერალიზმის პირობებში“, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები, ბათუმი 2010წ.

4. საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017 წწ. სახელმწიფო სტრატეგია. საქართველოს მთავრობის დადგენილება №172, 2010 წლის 25 ივნისი, ქ. თბილისი.

5. www.mof.ge უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 01.12 2011

# საბანკო მარკეტინგი როგორც ფინანსური მარკეტინგის შემადგენელი ნაწილი



ნათია ბერიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

მარკეტინგი წარმოადგენს მენეჯმენტის, მათ შორის ფინანსური მენეჯმენტის ინტეგრალურ ფუნქციას. კაპიტალის მოძრაობისა და მასთან წარმოქმნილი ფინანსური ურთიერთობების მართვა - ფინანსურ აქტივებზე მოთხოვნის შესწავლის გარეშე და ფინანსურ ბაზარზე აღნიშნული აქტივების შეთავაზების ეფექტური მეთოდების ცოდნის გარეშე შეუძლებელია.

სამეცნიერო ლიტერატურაში მარკეტინგის საერთო მიღებული განსაზღვრა არ არსებობს. მარკეტინგის მიერ შესრულდა ამა თუ იმ სახის ამოცანებზე დამოკიდებულებაში. იგი განიმარტება როგორც წარმოების ფილოსოფია, როგორც ბიზნესის ფილოსოფია, როგორც გასაღების მართვის სისტემა, როგორც სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღების სტრატეგია და ა.შ.

მარკეტინგის განსაზღვრის მრავალფეროვნება - საქმიანობის სხვადასხვა სფეროებში მარკეტინგის მიერ გადასაწყვეტი ამოცანების სიმრავლესთან არის დაკავშირებული. მარკეტინგის ამერიკულმა ასოციაციამ ( - მერიცან არკეტინგ სსოციატიონ) 1985 წელს მარკეტინგის შემდეგი სახის განმარტება მოიწონა „მარკეტინგი თავისთავად წარმოადგენს დაგეგმისა და ჩანაფიქრის, ფასწარმოქმნის, იდეების,საქონელისა და მომსახურეობის გაცვლის მეშვეობით შეთავაზებისა და რეალიზაციის განხორციელების პროცესს, რომლებიც მთლიანობაში ცალკეული პიროვნებებისა და ორგანიზაციების მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საფუძველია".

ფინანსური მარკეტინგი თავისთავად ფინანსური აქტივების (ფულის, ფასიანი ქაღალდების,ძვირფასი ლითონებისა და ქვების) რეალიზაციის პროცესის მართვისადმი ინვესტორები-გამსესხებლებისა და ინვესტორები-მეიდველების ფინანსური აქტივების დაგროვების მართვისადმი სისტემურ მიდგომას წარმოადგენს.

ფინანსური მარკეტინგის საქმიანობის სფეროა - ფინანსური ბაზარი, ხოლო ფინანსური მარკეტინგის შემადგენელი ნაწილი კი - საბანკო მარკეტინგი, რომელიც ფინანსურ ბაზარზე საბანკო მომსახურეობებს, ანუ საბანკო პროდუქტების და მომსახურეობების ბაზარს მოიცავს.

საბანკო მარკეტინგი [1, c. 227-237] არის პროცესი, რომელიც თავის თავში მოიცავს: საბანკო პროდუქტის წარმოების დაგეგმვას, ფინანსური ბაზრის გამოკვლევას, კომუნიკაციის აწყობის ფასების დადგენას, საბანკო პროდუქტის შეთავაზების ორგანიზაციას და საბანკო სერვისის სამსახურის განვითარებას.

საბანკო მარკეტინგის ძირითადი ამოცანებია:

1) საბანკო პროდუქტებისადმი მეიდველების მოთხოვნილებების პროგნოზირება;

2) საბანკო პროდუქტზე მოთხოვნის შესწავლა;

3) მეიდველების მოთხოვნილებების შესაბამისი საბანკო პირობების გამოშვება (შეთავაზება);

4) საბანკო პროდუქტზე კონკურენციის პირობების გათვალისწინებით ფასების დონის დადგენა;

5) ბანკის იმიჯის ამაღლება;

6) მოცემული ბანკის მიერ კონტროლირებადი ფინანსური ბაზრის წილის ამაღლება.

მნიშვნელოვნად გვესახება ერთმანეთისაგან განვასხვავოთ - ბანკის მარკეტინგის კონცეფცია და მარკეტინგული საქმიანობა.

საბანკო მარკეტინგის კონცეფცია - ფინანსურ ბაზარზე ბანკის საქმიანობის მიზნის მახასიათებელია.

საბანკო პროდუქტის მეიდველებს სხვადასხვა ინტერესები, მოთხოვნილებები, შესაძლებლობები, ფულკადი რესურსები და რისკის სხვადასხვა ხარისხი გააჩნიათ. ამიტომ მოცემულ პროდუქტზე მათ განსხვავებული მოთხოვნაც ექნებათ. აღნიშნული ნიშნავს, რომ საკუთარი პროდუქტის მიმწოდებელმა (შემთავაზებელმა) ბანკმა მკაფიოდ

უნდა იცოდეს, თუ აღნიშნული პროდუქტი მყიდველების რომელ ჯგუფზეა გათვლილი და მისი პოტენციალური რამდენი მყიდველი შეიძლება არსებობდეს.

სწორედ აქედან გამომდინარეობს ბანკის საქმიანობის შემდეგი ორი მიმართულება:

• ორიენტაცია მასიურ, სტაბილურ მოთხოვნაზე, რაც ითვალისწინებს პროდუქტზე შედარებით დაბალ ფასებს (კურსები, საპროცენტო განაკვეთები), მოხმარების შეზღუდვას კლიენტების მომსახურებასთან მიმართებაში და მცირე მყიდველების მეტად მოცვას;

• ორიენტაცია არასტაბილურ მოთხოვნაზე, ანუ მყიდველების ცალკეულ ჯგუფებზე, რაც ითვალისწინებს პროდუქტებზე შედარებით მაღალ ფასებს (კურსები, საპროცენტო განაკვეთები), მომსახურების უფრო ფართო წრე მომსახურეობასთან მიმართებაში და მყიდველების ნაკლები რაოდენობის მოცვა.

ამრიგად, ფასების (კურსები, საპროცენტო განაკვეთები) დადგენისას, ისინი არა საშუალო მყიდველზე, არამედ განსაზღვრულ ტიპიურ ჯგუფებზე უნდა იყოს ორიენტირებული. საბანკო პროდუქტის მომხმარებლის ტიპოლოგია განხილული უნდა იქნას როგორც ბანკის კომერციული საქმიანობის ეფექტურობის ამაღლების საფუძველი. ტიპოლოგია - არის მარკეტინგული საქმიანობის დასაწყისი.

მარკეტინგული საქმიანობა - არის ქმედებების კომპლექტი: მომხმარებლის ტიპოლოგიის შემუშავებასთან მიმართებაში, მოთხოვნილების შესწავლასთან დაკავშირებით, საბანკო პროდუქტის წარმოების დაგეგმვასთან და მის რეალიზაციასთან დაკავშირებით სამუშაოს ორგანიზაციასთან მიმართებაში.

მარკეტინგული საქმიანობა - საბანკო პროდუქტებზე მოთხოვნის კლასიფიკაციის მკაფიო საქმის შემუშავებიდან იწყება. მოთხოვნის კლასიფიკაციის ქვეშ - დასახული მიზნების მიღწევის მიზნით მოთხოვნის ცალკეულ ჯგუფებზე განსაზღვრული ნიშანთვისებების მიხედვით განაწილება გაიგება.

მოთხოვნა საბანკო პროდუქტებზე შეიძლება მყიდველების ფსიქოფიზიოლოგიური რეაქციის მიხედვით იქნას კლასიფიცირებული. აღნიშნული ნიშანთვისების მიხედვით განასხვავებენ: ფიქსირებულ მოთხოვნას, ალტერნატიულ მოთხოვნას, იმპულსურ მოთხოვნას.

ფიქსირებული მოთხოვნა - არის ბანკის მიერ მუდმივად მიწოდებადი საბანკო პროდუქტის ცალკეულ სახეობაზე. მდგრადი მოთხოვნა მაგალითად, დეპოზიტური ანაბრები ბანკებში ანაბრის მინიმალური თანხის არანაკლებ 100 ლარის ოდენობით, აქციები ყველაზე უფრო პრესტიჟული ბანკების და სხვა.

ალტერნატიული მოთხოვნა - არის მოთხოვნა შერჩევის მიხედვით, როდესაც მეანაბრე საკუთარი ფინანსური შესაძლებლობების, შემოსავლიანობის ხარისხის, სარგებლიანობის, რისკის ანალიზის შემდეგ - საბანკო პროდუქტში კაპიტალის დაბანდების შესახებ იღებს გადაწყვეტილებას. ძირითადად აღნიშნული მოთხოვნა ისეთ ფინანსურ აქტივებზეა, როგორიცაა სავალუტო დეპოზიტები და ტრასტები, დეპოზიტური ანაბრები ანაბრის თანხით არა უმეტესი მაგალითად 300 ლარის ოდენობისა და სხვა.

იმპულსური მოთხოვნა - არის მოულოდნელი მოთხოვნა, როდესაც მყიდველი, რომელმაც თავისი არჩევანი სხვა მყიდველების, ნაცნობების, რეკლამის ან სხვა ფაქტორების ზემოქმედების ქვეშ ჰქონდა გაკეთებული, იცვლის თავის გადაწყვეტილებას. მას მიეკუთვნება ძირითადად მოთხოვნა ფასიან ქაღალდებზე, რომელთა მიხედვით მაღალ დივიდენდებს (პროცენტებს) პირდებიან, და სხვები.

მოთხოვნა საბანკო პროდუქტებზე შეიძლება მყიდველების მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ხარისხის მიხედვით იქნას კლასიფიცირებული. აღნიშნული ნიშანთვისებით გამოიყოფა:

• რეალიზებული მოთხოვნა (მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, როდესაც მომსახურება ან საბანკო პროდუქტი მიღებულია მყიდველის მიერ);

• არადამაკმაყოფილებელი მოთხოვნა - მოთხოვნა საბანკო პროდუქტებზე, რომლებიც გაყიდვაში არ არის, ან არსებულები, მაგრამ მიწოდების მოცულობის მიხედვით მყიდველების მოთხოვნილებებს ჩამორჩება.

• ფორმირებადი მოთხოვნა, ანუ არამკაფიოდ გამოხატული მოთხოვნა.

მოთხოვნა, რომელიც მყიდველებთან ფორმირდება - არის როგორც წესი, საბანკო ინოვაციებზე, ანუ ახალ საბანკო პროდუქტებზე და ოპერაციებზე მოთხოვნა.

საბანკო საქმიანობის მარკეტინგულ კვლევებში - საბანკო პროდუქტებზე მოთხოვნისა და მიწოდების სპეციფიკური მაჩვენებლების ანალიზი გამოიყენება მაგალითად, ისეთები, როგორიცაა:რენდინტის აბსოლუტური სიდიდე, სპრედის აბსოლუტური სიდიდე, მისი დონე პროცენტებში მოთხოვნის მაქსიმალურ ფასთან მიმართებაში, თანაფარდობა მოთხოვნისა და მიწოდების მოცულობების, საშუალოშეწონილი ფასი მოთხოვნისა და მიწოდების და სხვა.

რენდიტი - არის ფასიანი ქაღალდების შემოსავლიანობის ფარდობითი მაჩვენებელი. მაგალითად, აქციის რენდიტი განისაზღვრება პროცენტული თანაფარდობით: მასზე გადახდილი დივიდენდის შეფარდებით აქციის საბაზრო კურსთან. რამდენად მაღალია რენდიტის სიდიდე,იმდენად უფრო შემოსავლიანია აქცია. მაგალითად, აქცია ნომინალით 1 ლარი იყიდება 20 ლარად. მასზე დარიცხული დივიდენდები გასულ წელს შეადგენდა 200%, ანუ 2 ლარს (200×1/100) აქციის რენდიტი ტოლი იქნება (2/20×100)=10%-ს.

სპრედი - არის სხვაობა: მიწოდების ნომინალურ ფასსა და მოთხოვნის მაქსიმალურ ფასს შორის. მაგალითად, თუ აქციაზე მიწოდების მინიმალური ფასი - 50 ლარია,ხოლო მოთხოვნის მაქსიმალური ფასი კი - 49 ლარი,მაშინ სპრედის აბსოლუტური სიდიდე (50-49)=1ლარის ტოლი იქნება. სპრედის დონე მოთხოვნის მაქსიმალურ ფასთან პროცენტებში (1/50×100)=2%-ის ტოლი იქნება.

უნდა აღინიშნოს, რომ ყველაზე უფრო ლიკვიდურებს წარმოადგენენ ისეთი ფასიანი ქაღალდები, რომელთაც სპრედის თანაფარდობა მოთხოვნის მაქსიმალურ ფასთან ყველაზე ნაკლებია (ჩვეულებრივად 3%-მდე).

საბანკო მარკეტინგის პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

• კონკრეტული საბანკო პროდუქტის მყიდველების მოთხოვნილებების შესწავლა;

• ფინანსური ბაზრის სექტორების მიხედვით კომპლექსური გამოკვლევა;

• საბანკო მარკეტინგის მიმდინარე და პერსპექტიული რეალიზაციის შესაძლებლობების გამოკვლევა;

• მარკეტინგის დაგეგმვა;

• საბანკო ინოვაციების (ახალი საბანკო პროდუქტის ან ახალი ოპერაციის) სასიცოცხლო ციკლის დაგეგმვა;

• რეკლამა;

• ბანკების განყოფილებებისა და სტრუქტურული ქვედანაყოფების მუშაობის ორგანიზაცია.

საბანკო მარკეტინგის პროცესის სქემა ნახ. 1-ზეა წარმოდგენილი.

საბანკო მარკეტინგის პროცესი - თითოეული ფინანსური პროდუქტის (მაგალითად, დეპოზიტი თანხით 100, 1000 ლარი და სხვა) მყიდველის მოთხოვნილებების შესწავლით იწყება.

შემდეგ ფინანსური ბაზრის კომპლექსური გამოკვლევა ხორციელდება. მოცემული გამოკვლევა თითოეული სექტორისა და ფინანსური აქტივის მიხედვით (ჩვეულებრივი აქციები,პრივილეგირებული აქციები, ოქროს ზოდიური სხმულები, ძვირფასი ლითონისაგან კონკრეტული სახეობის ჩვეულებრივი მონეტები და ა.შ.) ხორციელდება, იმ მიზნით, რომ მოთხოვნა იქნას გამოვლენილი და ასევე საბანკო პროდუქტის შემდგომი განვითარების პერსპექტივები იქნას განსაზღვრული.




ნახ. 1 საბანკო მარკეტინგის პროცესის სქემა.

ფინანსური ბაზრის მდგომარეობის ჩატარებული კვლევების მიხედვით და მყიდველების მოთხოვნილებების გათვალისწინებით პერსპექტივები საბანკო პროდუქტის კონკრეტული სახეობის რეალიზაციის შესაძლებლობაში გარდაიქმნებიან. აღნიშნულის შემდეგ საბანკო მარკეტინგის გეგმის შედგენა ხორციელდება, რომელიც ქვემოთ უფრო დეტალურად იქნება განხილული.

საბანკო მარკეტინგის გეგმის საფუძველზე ორგანიზებული მოქმედებების გეგმა, უფრო ზუსტად, საბანკო ინოვაციებისა და სარეკლამო ღონისძიებების სასიცოცხლო ციკლის დაგეგმვა ხორციელდება.

რეკლამა - თავისთავად სოციალური ინფორმაციის ერთ-ერთ ნაირსახეობას, ანუ ადამიანებს შორის კავშირს წარმოადგენს. აღნიშნული ინფორმაცია თავის თავში სიახლის აქტიურ ელემენტებს მოიცავს. რეკლამა ადამიანის გონებაზე ზემოქმედებს და სწორედ ამიტომ მისი მეთოდები ფსიქოლოგიურად დასაბუთებული უნდა იყოს. რეკლამის ტექსტი ნათელი, ლაკონური და თვალსაცემი უნდა იყოს.

რეკლამის ბაზრობა გარკვეულ პრინციპებზეა დაფუძნებული: სიმართლეზე (უტყუარობა), კონკრეტულობაზე (რეკლამის გეგმის უზრუნველყოფილი მარტივი და დამაჯერებელი ენა), მიზანდასახულობაზე, გეგმიურობაზე. სარეკლამო ღონისძიებების გეგმის შემუშავებისას, შემდეგი მოთხოვნები უნდა იქნას გათვალისწინებული:

• რეკლამა უნდა იყოს სისტემატიური, რომ ადამიანების და მეურნე სუბიექტების დიდი რაოდენობა იქნას მოცული;

• რეკლამა უნდა იყოს საინტერესო;

• ახალი ბანკებისა და ფილიალების გახსნისას რეკლამის ყველა ფორმები (რადიო, ბეჭდვითი საშუალებები, პლაკატები და სხვა) უნდა იქნას გამოყენებული.

ბანკების სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და მათი განყოფილებების მუშაობის ორგანიზაცია უნდა გამომდინარეობდეს პრინციპისგან - მყიდველებისათვის (ბანკის კლიენტებისათვის) ხელსაყრელი პირობების შექმნა, რაც ყველა საჭირო პირობების, ასევე მუშაობის ოპტიმალური რეჟიმისა და ადგილმდებარეობის არჩევასაც ითვალისწინებს.

საბანკო მარკეტინგის ფუნქციები - საბანკო მარკეტინგისათვის შესაბამისი განსაზღვრული ფუნქციებია დამახასიათებელი. საბანკო მარკეტინგის ფუნქციები - არის საბანკო პროდუქტების რეალიზაციასთან დაკავშირებული ბანკის მარკეტინგული საქმიანობის სახეობების ერთობლიობა.

საბანკო მარკეტინგის ძირითადი ფუნქციებია:

• ინფორმაციების შეგროვება;

• მარკეტინგული გამოკვლევები;

• საბანკო პროდუქტების გამოშვებასთან და რეალიზაციასთან დაკავშირებული საქმიანობის დაგეგმვა;

• რეკლამა;

• საბანკო პროდუქტების რეალიზაცია.

გარკვეული გამოკვლევა მოიცავს მარკეტინგის მთლიან პროცესს - ახალი იდეების და საბანკო პროდუქტების სახეობების მოძიებიდან დაწყებული და ბოლო მომხმარებლის მიერ მათი გამოყენებით დამთავრებული.

ამიტომ მარკეტინგულ კვლევას ექვემდებარება საბანკო მარკეტინგის საქმიანობის ყველა სახეობები და სფეროები, უფრო ზუსტად, თვით საბანკო პროდუქტები, მეანაბრეები (ინვესტორები - მყიდველები,ინვესტორები - გამსესხებლები), ფინანსური ბაზრები, რეალიზაციის ადგილები (პუნქტები), რეკლამა და ა.შ.

მარკეტინგული გამოკვლევა თავის თავში მოიცავს საქმიანობის მთელ კომპლექსს:

• მყიდველისა და ბანკები-კონკურენტების ფინანსურ ბაზარზე ქცევის შესწავლა;

• ფინანსური ბაზრისა და მისი სექტორების შესაძლებლობების ანალიზი;

• საბანკო პროდუქტების შესწავლა მათი ხარისხის, მიმზიდველობისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით;

• საბანკო პროდუქტების რეალიზაციის შესახებ მონაცემების ანალიზი;

• კონკურენტების შესწავლა;

• „ნიშის" ანუ ფინანსური ბაზრის ყველაზე სასურველი სეგმენტის შერჩევა.

საბანკო მარკეტინგი ფინანსური ბაზრის სავალდებულო სეგმენტირებას, ანუ ბაზრის სხვადასხვა ნიშანთვისებებისა და საბანკო პროდუქტების პოზიციონირების მიხედვით საბანკო პროდუქტის მყიდველების მკაფიო ჯგუფებად (მეანაბრეებად)დაყოფას საჭიროებს.

საბანკო პროდუქტების პოზიციონირება ნიშნავს ფინანსურ ბაზარზე მოცემული საბანკო პროდუქტის კონკურენტშესაძლებლობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით შესაბამის მოქმედებებს. საბოლოო ჯამში საბანკო მარკეტინგის მთლიანი საქმიანობა მიმართულია ახალი საბანკო პროდუქტების და ფინანსური ბაზრის (საბანკო პროდუქტებისა მომსახურების ბაზრის) შექმნაზე, ბაზრის საკუთარი წილის

შენარჩუნებაზე და მის გაფართოებაზე. სწორედ აღნიშნულიდან გამომდინარეობს ბანკის საქმიანობის მოცულობა, რენტაბელობის დონე, დაბანდებულ კაპიტალზე მოგების ნორმა და სხვა მაჩვენებლები.

საბანკო მარკეტინგის გეგმა - დაგეგმვა თავისთავად დღევანდელ რეალურ შესაძლებლობებზე დაყრდნობით მომავლის რეგულირების ხერხს წარმოადგენს. დაგეგმვის მიზანი იმაში გამოიხატება, რომ მომავალი პრობლემების გადაწყვეტის ხერხები და მეთოდები დღეს იქნას მოძიებული. დაგეგმვა ყოველთვის დასახული მიზნების გარკვეული ხარისხის სიზუსტით მიღწევისთვის ხორციელდება. აღნიშნული სიზუსტე მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული: ინფორმაციების უტყუარობაზე, ხამეურნეო სიტუაციების ცვალებადობის აღრიცხვის სიზუსტეზე, დაგეგმვის მეთოდოლოგიაზე და ა. შ.

ნებისმიერი ბიზნეს-გეგმის ნაწილს მარკეტინგის გეგმა, ხოლო საბანკო პროდუქტებისა და ოპერაციებისათვის კი - საბანკო მარკეტინგის გეგმა წარმოადგენს.

საბანკო მარკეტინგის გეგმის ობიექტებს წარმოადგენენ:

• საბანკო პროდუქტები, რომლებიც მყიდველებისათვის უკვე დიდი ხანია ცნობილია
• საბანკო ინოვაციები, ანუ ახალი საბანკო პროდუქტები და მომსახურებები (ოპერაციები).

საბანკო მარკეტინგის გეგმა, თავისი არსით, თავისთავად წარმოადგენს საბანკო პროდუქტის რეალიზაციის გეგმას: ტრადიციულებისა და ახლების. აღნიშნული გეგმა განსაზღვრავს, თუ რომელი საბანკო პროდუქტი ან, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომელ საბანკო ინოვაცია რომელ ტერიტორიაზე და დროის მოცემულ მომენტში რა ფასში უნდა გაიყიდოს. საბანკო მარკეტინგის გეგმა ერთმანეთთან შიდასაბანკო დაგეგმვის მრავალ სფეროებს, ეკონომიკურად კი - მატერიალური დანახარჯების, ფულადი ნაკადების, სამუშაო ძალის, ინფორმაციული რესურსების, მოგების გეგმებს აკავშირებს.

საბანკო მარკეტინგის გეგმის შედგენა იწყება მარკეტინგის სფეროში ბანკის სტრატეგიის შემუშავებიდან და მარკეტინგის გამოყენებადი ტაქტიკით დასრულდება. საბანკო მარკეტინგის შემდეგი სქემა გააჩნია (იხ. ნახ. 2)




ნახ. 2. საბანკო მარკეტინგის სქემა.

საბანკო მარკეტინგის სტრატეგია თავისთავად წარმოადგენს ბანკის შესაძლებლობების ანალიზის პროცესს ამა თუ იმ სახის საბანკო პროდუქტის გამოშვებასთან, პროდუქტის გამოშვების მიზნების განსაზღვრასთან, საბანკო ინოვაციებისა და მისი მახასიათებლების დასაბუთებასთან, ფინანსური ბაზრის მარკეტინგულ გამოკვლევასთან და საბანკო პროდუქტის, როგორც მიმდინარე პერიოდში, ასევე უახლოეს პერსპექტივაში რეალიზაციის შესაძლებლობებთან მიმართებაში.

საბანკო მარკეტინგის სტრატეგიაში მიზანშეწონილია შემდეგი კონცეფციები გამოიყოს:

• ფინანსური ბაზრის სეგმენტი;
• საბანკო პროდუქტისა ან მომსახურების მიზნობრივი ბაზრის შერჩევა, ანუ ფინანსური ბაზრის „ნიშის" განსაზღვრა;
• ბაზარზე გასვლის მეთოდების შერჩევა;
• მარკეტინგული საშუალებების შერჩევა;
• ბაზარზე გასვლის ფორმის შერჩევა.

ფინანსური ბაზრის სეგმენტაცია თავისთავად ბაზრის ცალკეულ რგოლებად (სეგმენტებად) დაყოფას წარმოადგენს. თითოეული ასეთი რგოლისათვის (სეგმენტისათვის) საკუთარი სპეციფიკა, ფუნქციონირების თავისებურებები, ფინანსურ აქტივებთან გარიგებების განხორციელების საკუთარი წესები და ა. შ. არის დამახასიათებელი. აღნიშნულ სეგმენტებზე მუშაობენ მომხმარებლების ჯგუფები, რომელთაც სხვადასხვა მოთხოვნილებები, საკუთარი სამომხმარებლო სტერეოტიპი და ქცევა გააჩნიათ. კონკურენციის პირობებში არც ერთ ბანკს არ შეუძლია განსაზღვრული საბანკო პროდუქტით

ბაზრის ყველა მოთხოვნილებები დააკმაყოფილოს. ამიტომ იგი ყველა თავის შესაძლებლობებს, რესურსებს და ძალისხმევას ბაზრის რომელიმე განსაზღვრულ სეგმენტზე (ანუ ბაზრის„ნიშაზე") ამახვილებს. აღნიშნულ პროცესს მიზნობრივი ბაზრის შერჩევას ანუ ფინანსური ბაზრის საკუთარი „ნიშის" არჩევას უწოდებენ.

აღნიშნულის შემდეგ ბანკი ირჩევს ბაზარზე გასვლის მეთოდს,მარკეტინგის საშუალებებსა და ბაზარზე გასვლის დროს. მარკეტინგული საშუალებები თავისთავად წარმოადგენენ ფაქტორებს, რომლებზეც ბანკს ზემოქმედების განხორციელების შესაძლებლობა გააჩნია.

მაგალითად, ბანკმა, რომელმაც გამოუშვა ობლიგაცია, შეუძლია ზემოქმედება განახორციელოს მხოლოდ ობლიგაციის ლიკვიდობაზე და მის ფასზე. ამ ორი ფაქტორიდან თითოეულს ბანკი ანიჭებს უმაღლეს, საშუალო ან დაბალ დონეს და აღნიშნულის საფუძველზე ბანკს სტრატეგიის სხვადასხვა ვარიანტების დაბალი ლიკვიდობა და დაბალი ფასი,დაბალი ლიკვიდობა და საშუალო ფასი,მაღალი ლიკვიდობა და მაღალი ფასი და ა. შ.) შემუშავება შეუძლია.

ბაზარზე გასვლის დრო ითვალისწინებს ფინანსური ბაზრის კვლევას, საბანკო პროდუქტზე მოთხოვნის არსებობას, მოთხოვნის მოცულობის, ქვეყანაში ეკონომიკური სიტუაციის, კონკურენტების პოზიციის და ა. შ.

საბანკო მარკეტინგის ტაქტიკა თავისთავად საბანკო მარკეტინგის გეგმის მიზნების მიღწევის მიზნით კონკრეტულ ხერხებს წარმოადგენს. ისინი მოიცავენ: რეკლამას, ბაზარზე საბანკო პროდუქტის გადაადგილებას, პუნქტების მუშაობის ორგანიზაციას მის გაყიდვასთან ან შეძენასთან მიმართებაში და სხვა.

სტრატეგიული და ოპერაციული მარკეტინგი. ტერმინი „მარკეტინგი" წარმოსდგება ინგლისური სიტყვიდან მარკეტ (ბაზარი) და აღნიშნავს საქმიანობას ბაზრის გასაღების სფეროში, მაგრამ მარკეტინგი, როგორც ეკონომიკური სისტემა, მოიცავს მნიშვნელოვნად მეტს. არსებობს მარკეტინგის მრავალი განმარტება: ამერიკელი ავტორების[2] განმარტებით - „მარკეტინგი წინასწარ განჭვრეტაა, მართვა და მოთხოვნილების დაკმაყოფილება საქონელზე, მომსახურებაზე, ორგანიზაციაზე, ადამიანებზე, ტერიტორიასა და იდეაზე გაცვლის მეშვეობით.

პროფესორი ჟაკ ლამბენი თავის ფუნდამენტურ მონოგრაფიაში „სტრატეგიული მარკეტინგი" განიხილავს მარკეტინგის გაგების ორ ასპექტს - სტრატეგიულ მარკეტინგს და ოპერაციულ მარკეტინგს. მისი გაგებით, სტრატეგიული მარკეტინგი - ესაა „ძირითადი [illegible] მომსახურების მოთხოვნებისა და [illegible] სისტემური და მუდმივი ანალიზი, აგრეთვე ეფექტიანი საქონლისა და მომსახურების კონცეფციის შემუშავება", რომელიც უზრუნველყოფს მწარმოებლის მყარ კონკურენტულ მდგომარეობას. ოპერაციული მარკეტინგის ამოცანა კი - უფრო მეტად უტილიტარულია - „ესაა გასაღების, გაყიდვის და კომუნიკაციის პოლიტიკის ორგანიზაცია, პოტენციური მყიდველების ინფორმირებისათვის და საქონლის განმასხვავებელი ხარისხის დემონსტრაცია მყიდველების ძიებაზე დანახარჯების შემცირების პირობებში".

ბანკის მარკეტინგული გარემო - არის ბანკის შიგნით და გარეთ მოქმედი სუბიექტებისა და ძალების ერთიბლიობა, რომლებიც მოქმედებენ ბანკის მიზნობრივ ბაზრებთან მარკეტინგის სამსახურების ხელსაყრელი ურთიერთდამოკიდებულების განვითარებისა და ხელშეწყობისათვის.

აუცილებელია მარკეტინგული გარემოს იერარქიის შემდეგი დონეების განსხვავება: მაკროგარემო, კორპორაციული გარემო, მენეჯერული გარემო,შიდაბანკო გარემო, მიკროგარემო.

საბაზრო სტრატეგიების უფრო დეტალური შემუშავება ხდება მარკეტინგის კომპლექსის დაგეგმვის პროცესში, მომხმარებელზე ზემოქმედების ოთხი საკვანძო მიმართულების მიხედვით: პროდუქტიული სტრატეგია, ფასწარმოქმნის სტრატეგია, საბანკო პროდუქტების გავრცელების სტრატეგია, მომხმარებლის სტიმულირების სტრატეგია.

უნდა აღინიშნოს, რომ სტრატეგიული მარკეტინგი თავისი არსით წარმოადგენს ბაზრის მოთხოვნილების მუდმივ და სისტემატურ ანალიზს, რომლის საფუძველზე ორგანიზაცია შეიმუშავებს და აწარმოებს საქონელს ან გასწევს მომსახურებას, რომელიც დანიშნულია განსაზღვრული ჯგუფის მყარი მოთხოვნის მქონე მომსახურებლისათვის.

მარკეტინგული კომპლექსი მოიცავს ბანკის ტაქტიკური ხერხების ნაკრებს, რომელიც დანიშნულებაა უზრუნველყოს მიზნობრივ ბაზარზე საბანკო პროდუქტის პოზიციონირების შესახებ უმაღლესი მენეჯმენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

მარკეტინგის სამსახური ბანკებში ორიენტირებულია მომხარებლებზე, მაგრამ მარკეტოლოგმა სხვა ქვედანაყოფების აზრიც უნდა გაითვალისწინონ, რომლებიც ბანკის

სტრატეგიული მიზნების მიღწევას უზრუნველყოფენ.

საბაზრო ტიპის მეწარმე სუბიექტის მენეჯმენტის მთავარი ამოცანაა - საკუთარი ბიზნესის ღირებულების გაზრდისათვის მეტად რაციონალური და რეალური ხერხების შერჩევა და რეალიზაცია. საბაზრო ეკონომიკის მსოფლიო პრაქტიკა მოწმობს, რომ ბანკისა და მეწარმე სუბიექტის ყურადღების ცენტრში უნდა იყოს არა ცალკეული ოპერაციების ხელსაყრელობა, არამედ პარტნიორების მიერ პერსპექტიული და ხანგრძლივი თანამშრომლობით მიღწეული შედეგ

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. Балабанов И. Т. – Банки и банковские дела. – СПБ: Питер, 2001.
2. Эванс Дж., Берман Б. – Маркетинг. Пер. с. Англ. – Москва, Экономика, 1990.
3. Ламбер Жан-Жак. – Стратегический маркетинг: Европейская практика.
4. Котлер Ф. Основы маркстинга. Москва, 1991.
5. Эванс Дж., Берман Б. Маркетинг. Москва, 1990.
6. Питер С. Роуз. Банковский менеджмент. Москва, изд. «Дело», 1997.
7. ჯოლია გ. – მარკეტინგი – თბილისი, გამომცემლობა "ლეგია" 1992წ

# ТРАНСГРАНИЧНОЕ СОТРУДНИЧЕСТВО УКРАИНЫ: РЕТРОСПЕКТИВА И ПЕРСПЕКТИВЫ



МАРИНА ШУБА

Аспирантка Харьковского национального университета имени В.Н. Каразина

В настоящее время продолжающиеся мировые процессы, а именно: глобализация, регионализация и интеграция оказывают влияние на трансграничное сотрудничество. Глобализация усиливает взаимосвязанность и взаимозависимость различных государств и достигается через систему международных отношений, регионализацию и приграничное сотрудничество. Регионализация, в свою очередь, может рассматриваться как инструмент стирания межгосударственных границ, если речь идет о трансграничном сотрудничестве. Интеграция также может проявиться в стирании границ и объединении усилий государств и регионов в решении тех или иных проблем.

Существует несколько подходов к анализу феномена трансграничного сотрудничества: политический; реалистический; интеграционный; региональный; социологический. Политический подход рассматривает трансграничное сотрудничество как метод реализации политических интересов государств. Реалистический подход считает трансграничное сотрудничество межгосударственным взаимодействием на основе взаимного признания суверенитета и невмешательства сотрудничающих сторон в дела друг друга. Интеграционный подход рассматривает трансграничное сотрудничество с точки зрения перспективных направлений международной интеграции. Региональный подход характеризуется общим использованием ресурсов и решением общих экономических, социальных, экологических проблем. Социологический подход рассматривает трансграничные контакты в тесной связи с культурными ценностями.

Огромный опыт в установлении трансграничных контактов есть у европейских государств. Для выравнивания уровня экономического развития европейских регионов в Европе в 1980 году была принята Европейская рамочная конвенция о трансграничном сотрудничестве между территориальными общинами или властями, направленная на более тесное сотрудничество между приграничными регионами в сфере экономики, экологии, науки, культуры.

Наиболее четкое определение трансграничного сотрудничества представлено в международных документах, а именно в ст. 2 Европейской Рамочной Конвенции о трансграничном сотрудничестве между территориальными административными единицами или местными органами власти 1980 года. В Конвенции под трансграничным сотрудничеством понимается любая совместная акция по укреплению и поощрению добрососедских отношений между территориально-административными единицами или властями в рамках юрисдикции двух или более участников Конвенции, а также заключение соответствующих договоров или соглашений между ними [4].

Экономическим эффектом трансграничного сотрудничества является развитие внешнеэкономических связей, создание режимов наибольшего благоприятствования экспортно-импортной деятельности предприятий, развитии малого бизнеса, а значит и устойчивое развитие регионов.

Основные положения трансграничного сотрудничества изложены в правовых документах, принятых Советом Европы:

1) Европейской Конвенции общих принципов трансграничного сотрудничества различных объединений и органов

территориальной власти (Мадрид, 21 мая 1980 г.);

2) Европейской Хартией местного самоуправления (Страсбург, 15 октября 1985 г.);

3) Декларации о трансграничном сотрудничестве, принятой Комитетом Министров Совета Европы 6 ноября 1989 г. по случаю 40-й годовщины основания Совета Европы;

4) Дополнительный протокол к Конвенции общих принципов трансграничного сотрудничества, который был предложен для подписания государствам-участникам 9 ноября 1995 г.

Самыми распространенными формами трансграничного сотрудничества в Европе являются:

-разработка и реализация совместных проектов;

-экспорт и импорт товаров и услуг субъектами внешнеэкономической деятельности приграничных территорий;

- локальные приграничные контакты;

- взаимодействие между административно-территориальными единицами отдельных государств;

-еврорегионы.

Наиболее перспективной формы трансграничного сотрудничества в Европе считаются еврорегионы [3, с.197]. Интеграция на европейском региональном уровне происходит в форме трансграничного сотрудничества.

Становление еврорегионов в Европе - это результат эволюции трансграничного сотрудничества от трансграничной торговли до трансграничной региональной интеграции. Еврорегионы отличаются от других форм межрегионального сотрудничества высокой степенью институционализации процессов интеграции. Образование и развитие еврорегионов в Европев 1950-х - 1970-х годах опиралось на различную идеологию. Так, на начальной стадии развития трансграничной региональной интеграции существовали две модели западноевропейских еврорегионов - функциональная модель и модель «сообщества безопасности».

Модель «сообщества безопасности» в трансграничном сотрудничестве основывалась на стремлении государств к политическому сотрудничеству, разработке приемлемых для участвующих сторон мер, касающихся безопасности в Европе. Функциональная модель еврорегионов возникла несколько позже модели «сообщества безопасности» и была основана, в основном, на экономических аспектах сотрудничества.

Современная система еврорегионов Европы имеет функциональный характер. Однако идеология безопасности не потеряла, а, напротив, вновь приобретает актуальность. После окончания Холодной войны возникла необходимость установить сотрудничество между странами, которые в течение десятилетий оставались идеологическими противниками. Сегодня в Европе действует около 120 еврорегионов, восемь из них - на территории Украины.

Изучение возможностей трансграничного сотрудничества в Украине началось еще в советское время, в 70-е годы прошлого столетия. Особое внимание уделялось рассмотрению возможности проводить торгово-посреднические операции с зарубежными партнерами приграничных территорий. В тот период термин «трансграничное сотрудничество» еще не использовался, вместо этого в государственных документах и научных публикациях применялся термин «приграничное экономическое сотрудничество». Сейчас практически всегда используется термин «трансграничное сотрудничество», который соответствует общепринятому в мире англоязычному термину "trans-border cooperation".

Приграничное экономическое сотрудничество в 80-е годы рассматривалось в общем контексте так называемых побратимских связей между городами. Основными направлениями такого сотрудничества были мероприятия в сфере идеологии, культуры, образования и, в гораздо меньшей степени, приграничная торговля. Руководство «побратимских связей» осуществлялось партийными организациям, ими же формировались

делегации для поездок к зарубежным партнерам на проводимые фестивали, «Дни дружбы» и т.д.

Приграничная торговля занимала особое место в системе «побратимских связей», т.к. нарушала директивную систему государственной монополии внешнеэкономической деятельности. Участники приграничной торговли в экспортно-импортных операциях пользовались большей самостоятельностью, чем другие национальные экспортеры и импортеры.

Выделяют два этапа развития приграничной торговли. Первый этап охватывает период со второй половины 70-х годов до середины 80-х годов прошлого века. Местные органы государственной торговли и потребительской кооперации Литвы, Молдовы, Белоруссии и западных областей Украины получили право использовать особый режим торговли в приграничной полосе с соответствующими партнерами в Польше, Чехословакии, Венгрии и Румынии. Практически все такие торговые сделки относились к встречной торговле, т.е. были бартерными. Руководство такими бартерными сделками осуществляли Министерство торговли СССР, внешнеторговые объединения (ВО) "Союзкоопвнешторг" и "Союзпромимпортторг", которые контролировали объемы и ассортимент товарных сделок. Хотя министерство осуществляло контроль за товарообменными операциями приграничных облторгов и облпотребсоюзов (в том числе по ограничению объемов и ассортименту такой торговли), тем не менее они получили гораздо большие права в выборе партнеров и перечне экспортируемых и импортируемых товаров.

Первые договоры о приграничной торговле в Украине были заключены в 1972 г. закарпатскими кооператорами с кооператорами Саболч-Сатмарской области Венгрии. Такие же связи закарпатские кооператоры стали развивать с 1974 г. со словацкими, а с 1976 г. – и с румынскими партнерами. Черновицкий облпотребсоюз приступил к товарообменным операциям с кооператорами Румынии в 1975 г. Несмотря на очевидные преимущества приграничной торговли, особого распространения она не получила.

Второй этап приграничного экономического сотрудничества начался во время "перестройки" во второй половине 80-х годов прошлого века. Начиная с постановления ЦК КПСС и Совета Министров СССР № 991 от 19 августа 1986 г. "О мерах по совершенствованию управления внешнеэкономическими связями" предприятия и организации получали право на осуществление торговых и производственно-кооперационных связей с зарубежными партнерами, в том числе и в приграничной полосе. В этот период значительно увеличились объемы товарообменных операций западных областей Украины. Однако, не смотря на относительную либерализацию внешнеэкономических связей, действующая система ценообразования с использованием установленных централизованно валютных коэффициентов усложняла реализацию продукции национальных производителей.

После распада СССР в Украине начались серьезные исследования трансграничного экономического сотрудничества, изучение европейского опыта его применения. В связи с отменой государственной монополии на внешнеэкономическую деятельность участие предприятий приграничных территорий в международной торговле может осуществляться в рамках общего механизма отношений с мировым рынком, поэтому приграничная торговля, как форма трансграничного экономического сотрудничества, уже не используется [2, с. 15].

Новый подход к трансграничному сотрудничеству ориентирован на общеевропейские основы и принципы его осуществления. Трансграничное сотрудничество в Украине осуществляется в нескольких формах. В первую очередь это договоры о сотрудничестве между административно-территориальными единицами Украины и других стран в сферах, которые относятся к их компетенции. Продолжают действовать договоры об установлении побратимских связей. Более 50 городов Украины имеют побратимские отношения с более чем 160

административно-территориальными единицами зарубежных стран.

Следующей разновидностью трансграничного сотрудничества являются еврорегионы. Используя европейский опыт, Украина в 1993 году приняла участие в создании первого – Карпатского – еврорегиона. В него вошли четыре области Украины (Закарпатская, Львовская, Ивано-Франковская и Черновицкая) и приграничные регионы Польши, Венгрии, Словакии и Румынии. В 1995 году с участием Волынской области и Люблинского воеводства Польши был сформирован еврорегион «Буг», в состав которого три года спустя вошла и Брестская область Белоруссии. В 1998 году с участием Одесской области и трех уездов от Румынии и Молдовы был создан еврорегион «Нижний Дунай». В настоящее время Украина принимает участие в функционировании восьми Еврорегионов. Это "Буг", Карпатский", "Нижний Дунай", "Верхний Прут", "Днепр", "Слобожанщина", "Ярославна" и "Донбасс". В их состав входят Волынская, Донецкая, Закарпатская, Иванс-Франковская, Луганская, Львовская, Одесская, Сумская, Черновицкая, Черниговская и Харьковская области Украины.

Постепенно формируется законодательная база, регулирующая трансграничное сотрудничество. В 2004 г. принят базовый закон Украины «О трансграничном сотрудничестве». Он определил еврорегион как организационную форму сотрудничества административно-территориальных единиц (регионов) европейских государств в соответствии с двух или многосторонними соглашениями о трансграничном сотрудничестве. Цель создания еврорегионов – укрепление добрососедских отношений, культурных и хозяйственных контактов, общие инвестиции, борьба с последствиями стихийных бедствий, охрана историко-культурного наследия [1].

Еще одной формой трансграничного сотрудничества являются программы приграничного сотрудничества, которые реализуются в рамках Европейской политики соседства ЕС. Украина принимает участие в четырех таких программах: «Украина – Польша – Беларусь», «Украина – Словакия – Венгрия – Румыния», «Украина – Румыния – Молдова» и «Черное море». В рамках этих программ реализуются проекты по таким направлениям, как контакты между людьми, экология, улучшение конкурентоспособности пограничных территорий и т.д.

Многие формы трансграничного сотрудничества, имеющие значительный потенциал, еще недостаточно используются. Это касается научно-технических связей, которые могут использовать базу вузов и исследовательских центров Украины. Могут осуществляться масштабные проекты с привлечением научных центров из других регионов соседних стран. Существует значительный потенциал развития трансграничного туризма, в том числе исторического, этнического, генеалогического. Недостаточно используется практика совместного проведения ярмарок товаров в приграничных регионах.

В современных условиях развитие трансграничного сотрудничества зависит от факторов, которые носят экономический, правовой, общественный, организационный и политический характер. К экономическим факторам относятся разные уровни развития государств, экономических потенциалов стран, недостаток финансовых возможностей для проведение активной политики трансграничного сотрудничества; неразвитость банковской инфраструктуры; недостаток инвестиционного обеспечения общих проектов и оборотного капитала; недостаточный уровень развития инфраструктуры. К правовым препятствиям относятся отсутствие юридических полномочий, международных соглашений и договоров для международного сотрудничества и законодательно определенных норм и правил такого сотрудничества; неадаптированность законодательных систем стран с обеих сторон границы; нестабильность экономического законодательства и правового поля трансграничного сотрудничества. К общественным препятствиям можно отнести отрицательный

опыт исторического развития, психологическую неготовность населения к сотрудничеству, разницу в менталитете, недостаточное владение языками.

Факторами, которые сдерживают развитие трансграничного сотрудничества в Украине, являются:

- тарифные и нетарифные ограничения (очень высокие ставки таможенной пошлины на отдельные группы товаров, наличие режима квотирования и лицензирования);

- недостаточно развитая пограничная и транзитная инфраструктура;

- сложные паспортно-таможенные процедуры на пограничных переходах.

Перспективы развития трансграничного сотрудничества зависят от продуманной и сбалансированной региональной политики, которая позволяла бы реагировать на изменения социально-экономической ситуации и политико-правовых условий на пограничных территориях.

Обобщая существующие рекомендации относительно перспектив развития трансграничного сотрудничества Украины, можно выделить следующие:

- переход от торгово-сбытовых к производственно-инвестиционным внешнеэкономическим связям;

- создание благоприятных условий для развития малого и среднего бизнеса;

- приоритетное развитие технико-экономических структур, которые обеспечивают трансграничное сотрудничество (транспортные магистрали и их обслуживание, аэропорты, вокзалы, отели, мотели, автосервис, заправочные станции, перевалочная складская сеть, связь, сфера услуг, торговля);

- интенсификация развития телекоммуникационных и компьютерных сетей;

- использование форм трансграничного сотрудничества, имеющих значительный потенциал: научно-технические связи на основе вузов и исследовательских центров Украины; трансграничного туризма; совместное проведения ярмарок товаров в приграничных регионах и т.д.

Таким образом, трансграничное сотрудничество в условиях развития международных отношений является особой сферой внешнеэкономической, экологической и культурно-образовательной и других видов международного сотрудничества. Практически во всех публикациях подчеркивается мысль о том, что трансграничное сотрудничество представляет собой важный аспект евроинтеграционной стратегии Украины.

## СПИСОК ИСПОЛЬЗОВАННЫХ ИСТОЧНИКОВ:

1. Закон Укра¿ни «Про транскордонне сп³вроб³тництво» № 1861-IV в³д 24.06.2004 р. Режим доступа: http://zakon2.rada.gov.ua/laws/show/1861-15. (Закон Украины «О трансграничном сотрудничестве» 1861-IV от 24.06.2004 г. - Режим доступа: http://zakon2.rada.gov.ua/laws/show/1861-15).

2. Глад³й І. Й. Автореферат дисертац³¿ "М³жнародна рег³онал³зац³я св³тово¿ економ³ки: теоретичн³ модел³ м³жнародних рег³он³в Укра¿ни" / І. Й. Глад³й. - Терноп³ль, ТНЕУ, 2006. - с. 28. (Гладий И.И. Автореферат диссертации «Международная регионализация мировой экономики: теоретические модели международных регионов Украины» / И.И. Гладий - Тернополь, ТНЭУ, 2006. - с. 28).

3. Голиков А.П. Региональная политика и экономическое развитие: европейский контекст: Учебное пособие/ А.П. Голиков, Н.А. Казакова, Ю.Г. Прав-Харьков: Экограф, 2009. - 240 с

4. Европейская рамочная конвенция о трансграничном сотрудничестве между территориальными административными единицами или местными органами власти - Режим доступа: http://www1.umn.edu/humanrts/euro/Rets106.html.

# ადამიანისეული კაპიტალის როლი საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაში



სალომე ახვლედიანი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი

ეკონომიკური მეცნიერება განსაკუთრებულ ადგილს უთმობს "ადამიანისეული კაპიტალის" კვლევას. ცნობილია, რომ ადამიანის აღზრდა-განათლებაში დაბანდებული კაპიტალი უფრო მაღალი უკუგებისაა, ვიდრე ეკონომიკის ნებისმიერ სფეროში. განათლების, ცოდნის, კულტურის, სულიერების, კომპეტენტურობის დეფიციტი გაცილებით აზიანებს საზოგადოებას, ვიდრე საქონლის ან ბიუჯეტის დეფიციტი. ცოდნისა და გამოცდილების დაგროვება ითვლება კაპიტალად, რამდენადაც ის აძლევს შემოსავალს. უდავოა, რომ კვალიფიკაციის მაღალი დონე ამაღლებს შრომის ხარისხსა და მწარმოებლურობას, რაც თავის მხრივ, ხელს უწყობს და აჩქარებს ეროვნული სიმდიდრის ზრდის პროცესს.

თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერება სრულიად ახლებურ მიდგომას იყენებს პიროვნული ფაქტორის შესწავლისას. "ეკონომიკური ადამიანი" ანუ "homo economicus" განსაზღვრული ცოდმხრივობაა, რამდენადაც ადამიანი არა მხოლოდ "ეკონომიკური ადამიანია", არამედ აუცილებელია ადამიანების ეკონომიკური საქმიანობის არსებითი რეალიზაცია პიროვნებაში, პირობებში, მათი ცხოვრების ყველა მხარეში, როგორც ერთ ადამიანში, ისე საზოგადოებაში მთლიანად. [4, გვ.25]

საქართველოს სუვერენიტეტის აღდგენის დღიდან იწყება მისი ადამიანისეული კაპიტალის სისტემის აღმშენებლობა. ამ რთულ პროცესში ქვეყნის ეკონომიკა დაადგა სპეციალიზაციის ბუნებრივ გზას და მოუწია უარი ეთქვა მრავალ დარგზე, რომლებიც მისი ეკონომიკური პოტენციალისათვის არ იყო ორგანული, ეს პროცესი მრავალმა ქართველმა ეკონომისტმა აღწერა, მის აღსანიშნავად პროფესორმა ვლადიმერ პაპავამ სპეციალური ტერმინიც კი შემოიღო – „ნეკროეკონომიკა", რომელიც "მკვდარ" ეკონომიკას ნიშნავს. [3, გვ.19] ეკონომიკის "გამოცოცხლება" და ნამორჩენის დაძლევის გზის გამონახვა კი ადამიანისეული კაპიტალის აქტიურობითაა შესაძლებელი.

ადამიანისეული კაპიტალი განსაკუთრებულ მოფრთხილებას საჭიროებს. უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში საქართველოდან არაერთი ჭკვიანი და მაღალკვალიფიციური სპეციალისტი წავიდა უცხოეთის სხვადასხვა ქვეყანაში, ანუ მოხდა ქვეყნიდან "ტვინთა" გადინება და სამუშაო ძალის ექსპორტი. [1, გვ.31] ამის გამომწვევ ფაქტორებს მიეკუთვნება: უმუშევრობა, განუვითარებელი ეკონომიკა, დაბალი ხელფასი, არასტაბილური პოლიტიკური სიტუაცია, კვლევების ჩატარების შესაძლებლობისა და ინტელექტუალური თავისუფლების ნაკლებობა, სამუშაოზე დანიშვნისა და დაწინაურების დროს დისკრიმინაცია, ცუდი სამუშაო პირობები. ადამიანისეული კაპიტალის გადინება დიდი დანაკლისია ეკონომიკური ტრანსფორმაციის გზაზე მყოფი ქვეყნისათვის. საქართველოში მიმდინარე მიგრაციის პროცესები მნიშვნელოვნად არღვევს ეკონომიკურ ბალანსს.

უმნიშვნელოვანესი ადამიანისეული კაპიტალია ცოდნა და განათლება. ეკონომიკას, რომელიც ცოდნასა და ახალ ტექნოლოგიებს ეფუძნება, გამუდმებით პროგრესი, ახალი სამუშაო ძალა და პროფესიული კადრები „მოჰყავს". ეკონომიკა, კომპანიები, მუშები, მათი ფუნქციები რადიკალურად იცვლება და ამ ერაში მთავარ ძალას ცოდნა წარმოადგენს. ნათელია, რომ ჩვენ რევოლუციის შუაგულში ვიმყოფებით: გლობალიზაცია, კომპიუტერიზაცია, ინტერნეტქსელი, ინფორმაციული ნაკადები. ყოველივე ამან სასიცოცხლო მნიშვნელობა შეიძინა. ეს ახალი ერაა და ამ ერაში სიმდიდრის შექმნის წყაროს ცოდნა და ინფორმაცია წარმოადგენს. ცოდნა ახდენს ეკონომიკის ტრანსფორმირებას.

ახალი ეკონომისტი

გლობალური ეკონომიკის მთავარი მახასიათებელია მისი ცოდნისაკენ ორიენტაცია, ამიტომაც ვუწოდებთ თანამედროვე ეკონომიკას ცოდნის ეკონომიკას. როგორც ქვეყნების, ასევე კომპანიებისა და ცალკეული ადამიანების წარმატების წინაპირობა კონკურენტუნარიანი ცოდნაა; ცოდნაზე დაფუძნებული, ინოვაციური ეკონომიკის ფორმირება მხოლოდ კლასიკური და უახლესი ეკონომიკური ცოდნის რეალიზაციითაა შესაძლებელი. [11]

ცოდნის ეკონომიკა მზარდ ზეგავლენას ახდენს სახელმწიფოს ეკონომიკურ წარმატებაზე. თუ ადრეულ ეკონომიკურ ურთიერთობებში სახელმწიფოთა კეთილდღეობას წარმოების ექსტენსიური ტიპი განსაზღვრავდა, უკვე გვიანი შუა საუკუნეებიდან მოყოლებული ეკონომიკური წარმატების საწინდარი გახდა შრომის წარმოების გაიაფება ახალი ტექნოლოგიების დანერგვის საფუძველზე, ცოდნის ეკონომიკის გათვალისწინებით კი ეკონომიკური ზრდა დამოკიდებული გახდა ადამიანისეულ ფაქტორზე.

კონკურენტუნარიანობის ამაღლებას ხელს უწყობს ცოდნის ეკონომიკისა და საინოვაციო პოლიტიკის პრინციპებზე ორიენტირებული სინერგიული (ბერძ. Synergic – თანამშრომლობა, ხელშეწყობა) ურთიერთქმედება მთავრობას, კერძო სექტორსა და უნივერსიტეტებს შორის, რაც უზრუნველყოფს პროდუქტიულობის მაღალ ხარისხს. ჩვენი მსჯელობა კონცენტრირებულია იმ არგუმენტაციაზე, რომ ქვეყნის კონკურენტულ უპირატესობას ქმნის ცოდნის ეკონომიკა, რაც წარმოადგენს აუცილებელ ფაქტორებს თანამედროვე ტექნოლოგიების ათვისებისა და დამატებითი ღირებულების მქონე კონკურენტული პროდუქტის წარმოებისათვის. ამიტომაც, კონკურენტული უპირატესობის მოპოვების თვალსაზრისით, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რამდენად იქმნება ქვეყანაში ცოდნის კომერციალიზაციის დონე.

საზღვარგარეთის სამეცნიერო წრეებში უკვე კარგა ხანია დაიწყეს ეკონომიკურ ზრდასა და განათლებას შორის დამოკიდებულების შესწავლა. ამასთან დაკავშირებით საინტერესო სტატია გამოქვეყნდა ონლაინ ჟურნალში "Washington Profile", [12] რომელშიც ჩამოთვლილია საინტერესო კვლევები ამ ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. "კაპიტალისტური განვითარების დინამიური ძალების" ავტორის, ართურ მედისონის მიერ დადგენილია, რომ განათლებაში ჩადებული ინვესტიციების 1%-ით ზრდა იწვევს მთლიანი შიდა პროდუქტის 0,35%-ით ზრდას, ხოლო ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია, მის მიერ შეგროვილი ფაქტების ანალიზზე ასკვნის, რომ სწავლების საშუალო სტატისტიკური ხანგრძლივობის ზრდა ერთი წლით იწვევს შესაბამისი ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდას 3-6%-ით. ამავე ორგანიზაციის მონაცემებით მთელს მსოფლიოში უმაღლესი განათლება აქვს შრომისუნარიანი მოსახლეობის 32%-ს, თუმცა მეტი წილი ე.წ. დიპლომიანი ადამიანებისა მოდის განვითარებულ ქვეყნებზე. განვითარებული ქვეყნები ლიდერობენ ასევე მთლიან შიდა პროდუქტში განათლების პროცენტული მაჩვენებლითა (საშუალოდ 5,75%) და უმაღლეს განათლებაზე გაწეული ხარჯის მიხედვით (საშუალოდ 10655 დოლარი ერთ სტუდენტზე ერთი წლის განმავლობაში). [6]

განათლების პრობლემებზე საუბრისას, უილიამ გოდვინი (William Godwin 1756-1836) ჯერ კიდევ 1793 წელს გამოცემულ თავის ცნობილ წიგნში აღნიშნავდა, რომ საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე ყველაზე დიდ გავლენას ახდენს განათლება და მთავრობა. [5]

ცოდნა და განათლება ადამიანის განვითარების საფუძველს წარმოადგენს. 1990 წლიდან გაეროს განვითარების პროგრამის შესაბამისად (UNDP) დაიწყო "ადამიანის განვითარების ანგარიშის" გამოქვეყნება, სადაც ქვეყანათა რეიტინგს საფუძვლად დაედო „ადამიანის განვითარების" ინდექსი

ადამიანის განვითარების მაჩვენებელთა სისტემის ერთ-ერთი მთავარი ავტორის ამარტია სენის აზრით, "იგი ვერ ცვლის მთლიან შიდა პროდუქტს, როგორც ეკონომიკური ზრდის გამომსახველ სიდიდეს, მაგრამ პოლიტიკოსებს უქმნის სრულ წარმოდგენებს გასაკეთებელ საქმეზე, იმ სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემებზე, რომლებიც მიმალულია მშპ-ს მაჩვენებელში". "ადამიანის განვითარების ანგარიში" საქართველოში, გაეროს განვითარების პროგრამის ძლიერი ტექნიკური მხარდაჭერით, შემუშავებული და გამოქვეყნებული იქნა 1994 წელს. მას შემდეგ საქართველოში ადამიანის განვითარების მაჩვენებლები გაეროს ერთიანი კრებსით ანგარიშში მუდმივად აისახება. ამ ინდექსის გამოსათვლელი ფაქტორებიდან ერთ-ერთი მთავარი მოსახლეობის განათლების დონეა. [2, გვ.18] ამავე დროს, მსოფლიო კონკურენტუნარიანობის ანგარიშის მიხედვით (2011-2012 წლები), ქვეყანაში ბიზნესის კეთების მთავარი ხელისშემშლელი ფაქტორი არაადეკვატური განათლების მქონე სამუშაო ძალაა. [7]

2011 წლის მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობის განვითარების ინდექსია 0,733.. ამ მაჩვენებლით ის მიეკუთვნება განვითარების მაღალი დონის მქონე ქვეყნებს და მნიშვნელოვნად უსწრებს: თურქეთს (0,699), აზერბაიჯანს (0,7), სომხეთს (0,716), უკრაინას (0,729). [7] მსოფლიოს ეკონომიკური ფორუმის – „გლობალური კონკურენტუნარიანობის 2011-2012 წლების ანგარიშის" მიხედვით, საქართველო რამდენიმე კრიტერიუმით არის შეფასებული, კერძოდ, ინსტიტუტების, დაწყებითი განათლების, უმაღლესი განათლების მიხედვით საქართველო 142 ქვეყანას შორის 89-ე ადგილზეა.

საქართველოში არსებული განათლების დაბალი დონე ზრდის არაკვალიფიციური კადრების რაოდენობას, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს ქვეყანაში შრომის მწარმოებლურობას. განათლება არის მთავარი ძალა საქართველოს ეკონომიკის განვითარებისა, ამიტომ აუცილებელია, მეტი ყურადღება მიექცეს სახელმწიფოს მხრიდან განათლებაზე გაწეულ ხარჯებს. მსოფლიო ბანკის უახლესი მონაცემებით, საქართველოში განათლებაზე გაწეული ხარჯები მშპ-ის მიმართ ყოველწლიურად იზრდება (იხილეთ სქემა 1), თუმცა მნიშვნელოვნად ჩამორჩება ისეთი განვითარებული ქვეყნის მაჩვენებელს, როგორიცაა აშშ (იხილეთ სქემა 2). [9]



სქემა 1: განათლებაზე გაწეული ხარჯები მშპ-ს მიმართ საქართველოში



სქემა 2: განათლებაზე გაწეული ხარჯები მშპ-ს მიმართ აშშ-ში

იმისთვის, რომ საქართველომ მიაღწიოს განვითარების მაღალ დონეს, საჭიროა ქვეყანაში შეიმუშავდეს სწორი დამოკიდებულება "ადამიანისეული კაპიტალის" მიმართ. ამ მიზნით საქართველოს განათლების სისტემის რეფორმებში, სხვადასხვა პროგრამების განხორციელებაში დიდი წვლილი შეიტანეს საერთაშორისო და ქართულმა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებმა, რომელთა შორის არიან: მსოფლიო ბანკი, ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID), გაეროს განვითარების ფონდი (UNDP), გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF), ეუთოს მისია საქართველოში (OSCE), ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველო" და ევროკომისია (EC).

2007 წელს ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის "რეკომენდაციები საქართველოს მეცნიერების პოლიტიკის შემუშავებისათვის" ანგარიშში, ესტონელი ექსპერტების მიერ მეტად საგულისხმო მომენტებია გათვალისწინებული. ევროკავშირმა შექმნა მოდელი, თუ როგორ უნდა დაინერგოს ინოვაციები საგანმანათლებლო სისტემასა და მეცნიერულ კვლევებში. თუ საქართველოს სურს გაზარდოს თავისი შესაძლებლობები ინოვაციებსა და კონკურენტუნარიანობის სფეროში, მაშინ მთავრობამ უნდა განახორციელოს შემდეგი ცვლილებები:

1. გააძლიეროს განათლების სისტემა და მისი სასიცოცხლო ციკლი;

2. ყველა მონაწილე მხარემ – საჯარო ხელისუფლებამ, უნივერსიტეტებმა და ბიზნესმა – თავიანთ თავზე უნდა აიღოს პიროვნული კაპიტალში ინვესტირების დონისა და ეფექტურობის ამაღლების პასუხისმგებლობის წილი;

3. აუცილებელია საქართველოს აღჭურვა მაღალი განათლების მქონე, კრეატიული და მოქნილი პიროვნული რესურსით, ისე, რომ საკმაო რაოდენობის ახალგაზრდები ამთავრებდნენ უმაღლეს სასწავლებლებს შესაბამისი უნარით;

4. ქართველი მეცნიერებისა და სტუდენტების მონაწილეობის გაზრდა საერთაშორისო და გაცვლით პროგრამებში;

5. ინტელექტუალური პოტენციალის გადინების პროცესის შეჩერების მიზნით მაღალკვალიფიციური კადრების მოტივაციების გაზრდის რეალისტური პოლიტიკის წარმოება;

6. განათლების, მეცნიერებისა და ტრენინგების სფეროში რეფორმის გაგრძელება პიროვნული რესურსებისა და კაპიტალის მყარი განვითარების ხელშეწყობის მიზნით;

7. საქართველოში ინოვატორთა და საუკეთესო გამომგონებელთა მოძიება და "მომავალი თაობის ნოვატორთა" გამოვლენა.

ამრიგად, ქვეყანაში უნდა შემუშავდეს სწორი დამოკიდებულება "ადამიანისეული კაპიტალის" მიმართ, რადგანაც განათლებისა და ცოდნის სფეროში თანხები არ ითვლება დაკარგულად. მიკრო დონეზე კომპანიები და მაკროდონეზე სახელმწიფო უნდა ეცადონ მის ზრდასა და გაუმჯობესებას. სახელმწიფოს მხრიდან მაქსიმალურად მეტი ინვესტიციები უნდა წარიმართოს ადამიანისეული კაპიტალის განვითარების მიმართულებით, ასეთი ინვესტიციები მძლავრ სტიმულს მისცემს ქვეყნის აღორძინებას, მით უმეტეს, რომ XXI საუკუნე აღიარებულია ცოდნის, ინტელექტუალური კაპიტალის საუკუნედ.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. გიორგი კვაბზირიძე, ადამიანური კაპიტალი-სიღარიბის აღმოფხვრის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, სამეცნიერო ჟურნალი „ეკონომიკა", თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2006 წელი, №3.

2. დავით იაკობიძე – "საქართველოს ეკონომიკა საერთაშორისო შეფასებათა თვალსაზრისით და განვითარების შესაძლებლობები", თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული, თეუს-ს გამომცემლობა, თბილისი, 2010 წელი

3. ვლადიმერ პაპავა, პოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდის მაკროეკონომიკა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2005 წელი.

4. მეგი გორგასლიძე „ადამიანისეული კაპიტალი" ეროვნული სიმდიდრის ზრდის მნიშვნელოვანი ფაქტორი, სამეცნიერო ჟურნალი „ეკონომიკა", თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, №10, 2005 წელი.

5. გიორგი ბერუაშვილი-ინოვაციური ეკონომიკური პოლიტიკის აქტუალურობა, 2010 წელი. http://www.polity.ge/georgia/economics/2268-inovaciuri-ekonomikuri-politikis-aqtualoba.html

6. ლალი ხურციაკანი ცერცვაძე - ინვესტიცია ინტელექტში-გლობალური გამოწვევა განვითარებადი ქვეყნებისათვის. ჟურნალი "ბიზნესი და მენეჯმენტი", №2(18), 2008 წელი. http://www.aaf.ge/index.php?menu=2&jurn=0&rubr=0&mas=615

7. ქვეყნების სია ადამიანის განვითარების ინდექსის მიხედვით http://ka.wikipedia.org

8. www.weforum.org

9. http://tradingeconomics.com/

10. www.transparency.ge

11. http://ipt-conf.ge/?cat=1

12. http://www.washprofile.org/?q=en/node/1007

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სიღარიბე მსოფლიოს დაუძლეველი პრობლემა და არსებული მდგომარეობა საქართველოში



გიორგი ადეიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი

სიღარიბე პირობითად განისაზღვრება, როგორც ცხოვრების მინიმალური დონისათვის აუცილებელი შემოსავლებისა და გასავლების ზღვარი. ერის კეთილდღეობის დასახასიათებლად მსოფლიოში გამოიყენება სხვადასხვა სახის ცნებები: „ცხოვრების დონე", „ცხოვრების ხარისხი", „ცხოვრების უსაფრთხოება (დაცულობა)" და სხვა. ხანდახან სხვადასხვა ტერმინი ერთნაირ შინაარსს ატარებს, მაგრამ,ხშირ შემთხვევაში,განსხვავება პრინციპული ხასიათისაა და ის დაკავშირებულია სახელმწიფოს ან სხვა პოლიტიკური სტრუქტურების სტრატეგიულ ინტერესებთან, ან ცალკეულ კვლევის მიზნებთან.

საქართველოში, უმეტესად, მიღებულია ტერმინი, „ცხოვრების დონე". მისი ერთმნიშვნელოვანი განმარტება არ მოიპოვება და სხვადასხვა ქვეყნისათვის განსხვავებულია, მაგრამ საფუძველი ყველასათვის ერთნაირია და შეგვიძლია შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ: ცხოვრების დონე – ეს არის ადამიანების მფლობელობაში არსებული მატერიალურ და სულიერ ფასეულობათა ერთობლიობა. ფართო გაგებით, ცხოვრების დონეში შეიძლება ვიგულისხმოთ დასაქმება, განათლება, დასვენება და საერთოდ ყველაფერი, რაც მოსახლეობის ცხოვრების პირობებზე ახდენს გავლენას.

ცხოვრების დონე დამოკიდებულია მრავალ რთულ და განსხვავებულ გარემოებებზე: ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, ეროვნულ თავისებურებებზე. მათ შორის უმთავრესად შეიძლება ჩაითვალოს ეკონომიკური პირობები, ანუ მოსახლეობის შემოსავლები და დანახარჯები, მსყიდველობითი უნარი, სამომხმარებლო ფასები, ინფლაციის დონე და ა. შ. ეკონომიკაში განიხილავენ ცხოვრების დონის ძირითადად ოთხ კატეგორიას: უზრუნველყოფილი დონე, ნორმალური დონე, სიღარიბე და სიღატაკე [1, 484]

სიღარიბის მიხედვით დღეს მსოფლიოში რეალობა კი ასეთია: მსოფლიოში 2,8 მილიარდი ადამიანი ღარიბია და მოკლებულია ძირითადი მოთხოვნილების დაკმაყოფილების შესაძლებლობას, ხოლო 1,2 მილიარდი - არასრულფასოვნად იკვებება.. სიღარიბის გამო ყოველ დღე მსოფლიოში 58 ათასი ადამიანი იღუპება. ყოველ სამ წამში ერთი ბავშვი კვდება მსოფლიოში 100 მილიონ ბავშვზე მეტი ვერ დადის სკოლაში სიღარიბის გამო. ხოლო რაც შეეხება საქართველოს–საქართველოში ბავშვთა სიკვდილიანობა 3-ჯერ მაღალია, ვიდრე დასავლეთ ევროპაში, დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებელი შემცირების ნაცვლად 2009 წელს საგრძნობლად გაიზარდა, საქართველოში ოჯახის ერთი წევრის ავადმყოფობამ შეიძლება გააღატაკოს მთელი ოჯახი[2].




დიაგრამა 1. საარსებო შემწეობის მიმღები მოსახლეობა (http://geostat.ge)

დიაგრამ 1. აჩვენებს, რომ სარსებო შემწეობის მიმღებთა რაოდენობა 2007-2009 იზრდებოდა 2010 წლიდან კი დაიწყო შემცირება, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს დახმარება საჭირო მოსახლეობის ასე შემცირებას, აქ მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ ის რომ, სოციალურად შეჭირვებული ვერ ხვდება ამ პროგრამაში, რადგან ამ პროგრამის სიღარიბის შემაფასებელი კრიტერიუმები ჯერ კიდევ დასახვეწია, ზოგჯერ კი ძალიან ჭირს ღარიბისა და "არა ღარიბის" გარჩევა. ბევრი რამ შეიძლება იყოს ამის მიზეზი, მაგალითად: " არა ღარიბის მიერ" შემოსავლების დამალვა და ა.შ.

2009 წლის აპრილში მსოფლიო ბანკის მიერ საქართველოს სიღარიბის აღმოფხვრასთან დაკავშირებული კვლევა მეტად საინტერესო წარმოდგენას გვაძლევს სიღარიბისა და სოციალური დახმარების კუთხით. ქვეყანაში სიღარიბის შემცირებასთან დაკავშირებულ ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს სიღარიბის გეოგრაფიული გაფანტულობა წარმოადგენს. შედეგების მიხედვით, საქართველოს მოსახლეობის 24% არის "ღარიბი" და 9% "სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი". თუმცა რეგიონალური ვარიაცია უზარმაზარია. ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ შედეგების მიხედვით შიდა ქართლი წარმოადგენს ყველაზე ღარიბ რეგიონს, სადაც მოსახლეობის 59% ღარიბია, მაშინ როდესაც მის სამხრეთით მდებარე ქვემო ქართლის რეგიონი ყველაზე ნაკლებად ღარიბია, ამ რეგიონის ღარიბ მოსახლეობას მხოლოდ 8% წარმოადგენს. ეს ფაქტი განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია, ვინაიდან 2007 წელს ჩატარებული კვლევის საფუძველზე მოპოვებული მონაცემების მიხედვით ცოტა თუ იფიქრებდა, რომ სიტუაცია შიდა ქართლში ასე შეიცვლებოდა, თუმცა ომის შემდგომ სიღარიბის მდგომარეობა ამ რეგიონში მკვეთრად გაუარესდა. მსოფლიო ბანკის მიერ მომზადებულ ანგარიშში სიღარიბის ყველაზე მაღალი დონე საქართველოს 3 რეგიონს აქვს; შიდა ქართლს, მას მოჰყვება კახეთი 46%-ით და მცხეთა მთიანეთი 41%-ით. ეს მეტად მნიშვნელოვანი საკითხია იმ მხრივ, რომ ამ შედეგებზე დაყრდნობით მთავრობისა და საერთაშორისო ორგანიზაციების სიღარიბის დაძლევისაკენ მიმართული სახსრები ამ რეგიონებისკენ უნდა იქნას ფოკუსირებული. მეორეს მხრივ გვაქვს შედარებითი მონაცემები, რის მიხედვითაც ღარიბი ოჯახების გარკვეული რაოდენობა იღებს მიზნობრივ სოციალურ დახმარებებს. იმისათვის, რომ ოჯახი მოხვდეს სოციალური დახმარების სამიზნე ჯგუფში, მან ძირფესვიანად უნდა დააკმაყოფილოს სოციალური მომსახურების სააგენტოს კრიტერიუმები (შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ქვეუწყება). ამ პროგრამის მიხედვით, საქართველოს მოსახლეობის 11% სოციალური დახმარების სამიზნე ჯგუფის წევრია.

მიზნობრივი სოციალური დახმარების მიმღებთა შედარება მსოფლიო ბანკის სიღარიბის კვლევასთან



დიაგრამა 2. (http://geostat.ge)

როგორც მოსალოდნელი იყო, სოციალური დახმარების სამიზნე ჯგუფის რაოდენობა ნაკლებია მსოფლიო ბანკის მიერ წარმოდგენილ მონაცემებზე. მაშინ როდესაც მსოფლიო ბანკის კვლევების მიხედვით საქართველოს მოსახლეობის 24%-ია ღარიბი, მიზნობრივი სოციალური დახმარებების კვლევების მიხედვით საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ 11%-ია ღარიბი. მაგრამ ამაზე მნიშვნელოვან ფაქტს ის წარმოადგენს, რომ რეგიონების მიხედვით სიღარიბის დონე მეტად განსხვავებულია. მიზნობრივი სოციალური დახმარების მონაცემების მიხედვით რაჭა-ლეჩხუმი

და ქვემო სვანეთი საქართველოს ყველაზე ღარიბ რეგიონებს წარმოადგენენ. თუმცა ეს ფაქტი სულაც არ მოდის წინააღმდეგობაში მსოფლიო ბანკთან, რადგანაც მსოფლიო ბანკის მიერ ჩატარებული კვლევა რეგიონების მიხედვით იმდენად მცირერიცხოვანი იყო, რომ არ შეიძლება წარმოადგენდეს ნიმუშს[3],[4].

მომავალი სიღარიბის გარეშე არის არასამთავრობო ორგანიზაციების, საინიციატივო ჯგუფების და პროფესიული ასოციაციების გაერთიანება, რომელიც მოითხოვს სიღარიბის აღმოფხვრას და ათასწლეულის განვითარების მიზნების შესრულებას. ალიანსი მოითხოვს, რომ საქართველოს მთავრობამ პრიორიტეტულად აღიაროს ათასწლეულის განვითარების მიზნების მიღწევა და ამ მიმართულებით ნაკისრი ვალდებულებების 2015 წლამდე შესასრულებლად მიმართოს ქმედით ღონისძიებებს. სამოქალაქო ალიანსი მომავალი სიღარიბის გარეშე 2005 წელს ჩამოყალიბდა და დღეისათვის 50 ორგანიზაციას აწევრიანებს. ალიანსი აქტიურად არის ჩაბმული 'ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის პროგრამის'', "სიღატაკის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახების იდენტიფიკაციის, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისა და მონაცემთა ფორმირების სახელმწიფო პროგრამის'', და "ათასწლეულის განვითარების მიზნების'' შესრულების მონიტორინგის პროცესებში. მომავალი სიღარიბის გარეშე საერთაშორისო ალიანსის Global Call To Action against Poverty / გლობალური მოწოდება ქმედებისაკენ სიღარიბის დასაძლევად/ წევრია, რომლის მილიონობით მხარდამჭერი მსოფლიოს ლიდერებისაგან მოითხოვს:განვითარებადი ქვეყნებისათვის ვალების ჩამოწერას; სამართლიანი ვაჭრობის პრინციპების დამკვიდრებას; საერთაშორისო დახმარებების მოცულობისა და ხარისხის გაზრდას და გაეროს 2000 წლის სამიტზე მიღებული ათასწლეულის განვითარების მიზნების შესრულებას, რაც ხელს შეუწყობს სიღარიბის აღმოფხვრას მსოფლიოში.[5]

ადამიანის უფლებათა დეკლარაციის თანახმად ყოველი ადამიანს აქვს უფლება იცხოვროს ღირსეულად, რაც, უპირველეს ყოვლისა, მისი სოციალური და ეკონომიკური მოთხოვნილების დაკმაყოფილებას გულისხმობს. ამ დეკლარაციის მიღებიდან 50 წელზე მეტი გავიდა და მსოფლიო თანამეგობრობა კვლავ ურთულესი პრობლემის. 2000 წელს გაეროს ათასწლეულის სამიტზე 191 ქვეყანა, საქართველოს ჩათვლით, შეუერთდა გაეროს ათასწლეულის განვითარების დეკლარაციას. დეკლარაციაზე ხელმომწერმა ქვეყნებმა ვალდებულებად აიღეს "ათასწლეულის განვითარების მიზნების" მიღწევა 2015 წლამდე. გაერთანებული ერების ორგანიზაციის ათასწლეულის დეკლარაციის ეგიდით საქართველოს მთავრობამ ვალდებულებად აიღო ქვეყნის განვითარების სტრატეგიებში ასახოს ათასწლეულის განვითარების მიზნები და უზრუნველყოს ამ მიზნების მიღწევა 2015 წლამდე დეკლარაციის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს უკიდურესი სიღარიბის აღმოფხვრა.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოში ჩამოყალიბდა მძიმე სოციალურეკონომიკური პირობები, რასაც მოჰყვა სიღარიბე და გაჭირვება. ეს მდგომარეობა მნიშვნელოვნად დღემდე არ გაუმჯობესებულა, რადგან მისი განმაპირობებელი მიზეზები არასათანადოდ იქნა შესწავლილი. სწრაფი და სტაბილური ეკონომიკური ზრდა და მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება საქართველოს წინაშე მდგომ მუდმივ პრობლემას წარმოადგენს. უმთავრესი დოკუმენტები – 'ათასწლეულის განვითარების მიზნები საქართველოში" (MDGR), 'სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური ზრდის პროგრამა" (EDPRP), ასევე სოფლის მეურნეობის სტაბილური განვითარებისა და საკვებით უზრუნველყოფის სტრატეგია – მიუთითებს სოფლის მეურნეობისა და ეკონომიკის ეფექტური და სტაბილური განვითარების უმთავრეს მნიშვნელობაზე სიღარიბის დასაძლევად და საჭირო საკვებით უზრუნველყოფის გასაუმჯობესებლად. გაერო რამდენიმე შესაძლებლობას ხედავს სიღარიბის დაძლევის სტრატეგიის განხორციელების მხარდასაჭერად. გაეროს ორგანიზაციები, კერძოდ UNDP, მჭიდროდ ითანამშრომლებენ მთავრობასთან, რათა გაზარდონ მისი შესაძლებლობა, ეფექტურად განახორციელოს 'სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური ზრდის პროგრამა" (EDPRP); ეს შესაძლოა მოიცავდეს გადაწყვეტილების მიღებისა და განხორციელების პროცესში კოორდინაციის გაუმჯობესების ხელშეწყობას ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და სხვა სამინისტროებს შორის. EDPRP-ის განხორციელების მონიტორინგი ასევე უზრუნველყოფილი იქნება გაეროს მონაცემთა ბაზისა და კომპიუტერული პროგრამის _DevInfo-ის მეშვეობით. გაერო ხელს შეუწყობს დეცენტრალიზებული გადაწყვეტილების მიღებისა და მეტი რესურსის გამოყოფის პროცესებს, რათა საზოგადოებრივ ჯგუფებს თავიანთ საჭიროებებზე სათანადო რეაგირების საშუალება მიეცეთ. იგი

სამხრეთით მდებარეობენ. მათი ინფორმაციით, მოსახლეობის სურსათით მომარაგებისა და შიმშილის ინდექსის თვალსაზრისით, აქ „ვითარება სახიფათოა". მართალია, ამ კვლევის მიხედვით საქართველოში არასრული კვების საშუალო დონეა, თუმცა ქართველი ექსპერტების თქმით, სიტუაცია ჩვენთან უფრო მეტად მძიმეა. მათი ერთი ნაწილი თვლის, რომ ისეთი ადამიანების რიცხვი, რომლებსაც არასრული კვების რაციონი აქვთ, ქვეყანაში საკმაოდ მაღალია და დაახლოებით 20-22%-ს შეადგენს, მეორე ნაწილი კი აცხადებს, რომ ეს რიცხვი სადღაც 5-7%-ს არ აღემატება. სოფლის მეურნეობის საკითხებში ექსპერტის პაატა კოღუაშვილის, თქმით დღეს ქვეყანაში სიტუაცია საკმაოდ მძიმეა და უახლოეს მომავალში უფრო მეტად დამძიმდება. მისივე თქმით, საქართველოში დღეს სრულფასოვანი კვება მხოლოდ 53%-ს აქვს, რომელთაგან 18% მდიდარი ადამიანია და დანარჩენი 35% მათზე მიბმული. „დღეს საქართველოში არასრულფასოვნად მოსახლეობით, დაახლოებით, 47% იკვებება, აქედან 22% ღატაკია და მათი კვების რაციონი ხომ საერთოდ პურითა და ჩაით შემოიფარგლება. არცთუ კარგ მდგომარეობაშია დარჩენილი 25%, რომელთა კვების რაციონში მცირედი დანამატია შესული. ეს კი არის იმის შედეგი, რომ დღეს ქვეყნის მოსახლეობას ძალიან უჭირს. გაჭირვებულთა მდგომარეობას ისიც ამძიმებს, რომ არც მათ ნათესავებს აქვთ იმდენი შესაძლებლობა, ამ ადამიანებს დაეხმარონ", - დასძინა კოღუაშვილმა[7].

აქ მოყვანილი მონაცემები რეალობასთან ძალიან ახლოსა და არც ექსპერტების პესიმისტური განცხადებებია უსაფუძვლო მაგრამ ისინი მაინც, გადაჭარბებულად მეჩვენება რადგან დღეს აშკარა რომ საქართველოში სირარიბემ უკან დაიხია, რა თქმა უნდა ის არ არის იმ დონეზე რაც დააკმაყოფილებს ჩვენს მოთხოვნებს მაგრამ მიზანმიმართული და სწორი მუშაობის შემთხვევაში ის აუცილებლად დაიძლევა.

საქართველოში აქტიურად მიმდინარეობს ღარიბი მოსახლეობის სოციალური დახმარების პროგრამები. „ვარდების რევოლუციის" შემდეგ ამოქმედდა პროგრამა – „საქართველო სიღარიბის გარეშე". სოციალური დახმარების მიზნობრივი გეგმის შექმნაზე მუშაობა 2004 წელს დაიწყო და დღეისათვის 500,000–ზე მეტი ოჯახი გამოთქვამს სურვილს ამ პროგრამაში მონაწილეობაზე. ეს იმას ნიშნავს, რომ ქართველი ერის ცხოვრების დონით უკმაყოფილების ხარისხი ძალიან მაღალია. ბუნებრივია, მთავრობა ვერ ახერხებს სოციალურად დაუცველი ყველა ოჯახის უზრუნველყოფას საჭირო ტრანსფერებით. ხშირ შემთხვევაში, მოსახლეობის ყველაზე ღარიბი წევრების შერჩევა სამართლიანი გზით ვერ ხორციელდება. შედარებით შეძლ შემოსავლიანი ოჯახები გამოკითხვისას მალავენ საკუთარ ქონებას, რის გამოც ყველაზე დაუცველი მოსახლეობა სოციალური პროგრამის მიღმა რჩება. ეს პროგრამა დრევანდელ მდგომარეობაში შეიძლება შევაფასოთ დადებითად მისი მრავალი ნაკლოვანების მიუხედავად, მაგრამ სირარიბესთან გრძელვადიან ბრძოლაში ის ნამდვილად არა ეფექტური იქნება. მისი დახმარებით ვერ მოხდება სიღარიბის დაძლევა, მასზე ბევრად ეფექტური არის ჩემი აზრით პროფესიული გადამზადების ცენტრება, მაგრამ კიდევ ერთხელ უნდა აღვნიშნო რომ სოციალური დახმარების პროგრამა აუცილებელი რადგან მან პირველმა უნდა შეუმსუბუქოს ღარიბ მოსახლეობას არსებული მდგომარეობა. სიღარიბესთან ბრძოლაში გადამწყვეტია სამუშაო ადგილები რომლის შექმნაზე საბედნიეროდ აქტიური მუშაობა მიმდინარეობს საქართველოში მაგრამ ეს ყველაფერი უნდა მოხდეს რეალურ ვადებში, რომ არ დაიკარგოს ის პოტენციალი რომელიც აქვს დღეს უმუშევარ სამუშაო ძალას, რადგან, დაკარგული პოტენციალის აღდგენას უამრავი ხარჯები სჭირდება, ამის მაგალითი კი ჩვენი უახლოესი წარსულია. დღეს უამრავი თანხები იხარჯება სამუშაო ძალის გადამზადება რადგან მათ დაკარგეს თავიანთი პოტენციალი. იაპონელი ექსპერტების თქმით თუ ადამიანი 5 წლის განმავლობაში არის უმუშევარი ის კარგავს თავის სამუშაო პოტენციალს და სჭირდება სრულფასოვანი გადამზადება, მაშინ როდესაც საქართველოში ტოტალური უმუშევრობა 20 წელია მიმდინარეობს სამყაროსა და ტექნოლოგიების უსწრაფესი განვითარების ფონზე. ასევე მთავრობის სიღარიბესთან ბრძოლას შესაძლოა მივაკუთნოთ სოფლებში შეღავათიანი სათესლე მასალების დარიგება, მაგრამ ამ ყველაფერს უფრო ექსპერიმენტული ხასიათი ქონდა, რადგან სათესლე მასალები იყო გამოცდის სტადიაში და შესაბამისი შედეგიც მოიტანა, მან შედეგი გამოიღო მხოლოდ ქვეყნის გარკვეულ ნაწილში რაც არ შეიძლება ეფექტურ შედეგად ჩავთვალოდ. მნიშვნელოვანი პროგრამაა სოფლის ტექნიკით უზრუნველყოფა მაგრამ ეს ჯერ სოფლების მცირე ნაწილს შეეხო და საჭიროა ამ პროგრამამ ფართო მაშტაბი მიიღოს რომ შედეგი დადგეს. განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს საქართველოში ბიზნესის დაწყების სიმარტივე და კორუფციასთან ბრძოლა რომლებმაც ჩემი აზრით ყველაზე ეფექტური შედეგები მოგვიტანეს

როგორც სიღარიბესთან ბრძოლაში ასევე ქვეყნის განვითარებისთვის.

დღეს ძნელია თქვა, საქართველოში სად უფრო მეტია სიღარიბე სოფლად თუ ქალაქად, აქ უფრო მნიშვნელოვანია რომ მოხდეს სიღარიბის დაძლევისთვის ქალაქისა და სოფლისთვის სხვადასხვა პროგრამების შედგენა, მაგრამ ეს პროგრამები უნდა შეიქმნას და განხორციელდეს ერთმანეთთან კავშირში და ერთმანეთთან შეთანხმებულად, რადგან საქართველოში სოფელი და ქალაქი ორგანულადა ერთმანეთთან დაკავშირებული. სოფლებში უნდა მოხდეს გლეხების მაქსიმალური დახმარება სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის, ეს უნდა იყოს სხვადასხვა შეღავათები, ახალი და ხარისხიანი ჯიშებისა და სათესლე მასალების მიწოდება, სოფლის ტექნიკით უზრუნველყოფა და შესაბამისი კადრების მომზადება. ხოლო რაც შეეხება ქალაქს, აქ სახელმწიფომ მაქსიმალურად უნდა შეუწყოს ხელი როგორც შიდა ასევე გარე ინვესტიციების მოზიდვას, რათა შეიქმნას სამუშაო ადგილები და ამის პარალელურად უნდა მოხდეს სამუშაო ძალის გადამზადება რომ ჩვენმა მოქალაქეებმა შესძლონ იმუშაონ შექმნილ სამუშაო ადგილებზე. ეს ყველაფერი კი უნდა მოხდეს პირველ რიგში მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობით.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. გაბიძაშვილი ბ., სტატისტიკა ეკონომიკაში, ბიზნესსა და მენეჯმენტში, თბილისი, 2011.
2. http://whiteband.caucasus.net/geo/news.php?news=26
3. http://geostat.ge/?action=page&&p_id=175&lang=geo
4. http://geowel.org/index.php?article_id=54&clang=1
5. http://gyla.ge/index.php?option=com_content&view=article&id=93%3A2009-02-21-11-42-6.3l&catid=41%3Aprojects-geo&Itemid=163&lang=ka
6. http://undp.org.ge/files/68_165_372707_undaf.ge.pdf ,,გაეროს გეგმა განვითარების ხელშეწყობისთვის საქართველო 2006-2010"
7. http://7days.ge/index2.php?newsid=4453

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საკრედიტო კავშირები საქართველოში



თამარ ჯაბუა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი

ეკონომიკური კვლევების ცენტრმა "რია-ანალიტიკამ" მსოფლიო ქვეყნების მიხედვით, ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის რეიტინგი გამოაქვეყნა. ამ რეიტინგის მიხედვით საქართველო 180 ქვეყანას შორის 112 ადგილზეა.[1] ეს შეიძლება არც ისე ცუდი მაჩვენებელია ისეთი განვითარებადი ქვეყნისათვის, სადაც აქტიურად მიმდინარეობს გარდაქმნები, რეფორმები და ხანდახან ექსპერიმენტებიც. მაგრამ ფაქტია, ქვეყანას განვითარება სჭირდება და ამ მხრივ აუცილებელია სხვადასხვა ნაბიჯის გადადგმა. კითხვაზე თუ რომელი სფერო უნდა განვითარდეს, რომელია უფრო პერსპექტიული და პრიორიტეტული ალბათ საქართველოსთვის მოსახლეობის უმრავლესობა სოფლის მეურნეობას დაასახელებს. ეს წარსულის დამსახურებაა, ქართველი კაცი მუდამ მიწაზე მუშაობით ირჩენდა თავს, ჩვენი სახელი, "გეორგია"-ც ხომ მიწათმოქმედებას ნიშნავს. თუმცა წარსულის გამოძახილი სულაც არ გვავალდებულებს, რომ თავი შევიკავოთ და არ განვავითაროთ ჩვენთვის ჯერ-ჯერობით უცხო სფეროები, მაგალითად ახალი ტექნოლოგიები, ტურიზმი.მაგრამ ფაქტია, საქართველოს, რომელსაც აქვს საკმაოდ კარგი ბუნებრივი პირობები, კარგი ბუნებრივი რესურსები, ალბათ დანაშაული იქნება თუ საქართველოს მოსახლეობისათვის საკმარისი სოფლის მეურნეობის პროდუქტი მაინც არ აწარმოოს, თუ ექსპორტისთვისაც არა. თუ გავითვალისწინებთ მსოფლიოში მიმდინარე ტენდენციას, რომელიც უარს ამბობს გენურ ინჟინერიაზე, ქართული, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის ექსპორტი, კარგი მენეჯმენტის შემთხვევაში საკმაოდ მომგებიანი ბიზნესი შეიძლება გახდეს.

მაგრამ ადრე მსოფლიო ბაზრების დაპყრობაზე ფიქრი, როცა ქართულ სოფლის მეურნეობაში უამრავი პრობლემაა მოსაგვარებელი. მტკივნეული საკითხების ჩამონათვალი შორს წაგვიყვანს, ამიტომ მხოლოდ ძირეულებით დავკმაყოფილდეთ: საჭირო ტექნიკური რესურსების უქონლობა; ფინანსური რესურსების ნაკლებობა; სოფლის მეურნეობაში თანამედროვე მიდგომების, ცოდნისა და მიღწევების ნაკლებობა..

დღეს საქართველოს ხელისუფლება აქტიურად ცდილობს სოფლის მოსახლეობა უზრუნველყოს ტექნიკური საშუალებებით, მაგრამ ეს პროცესი არც ისე მარტივად და სწრაფად მოგვარებადია. სოფლის მეურნეობაში დასაქმებული ადამიანების განათლებისა და ინფორმირებისათვისაც იდგმება გარკვეული ნაბიჯები (ქვეყნის მასშტაბით გაიხსნა ბევრი "ფერმერთა მომსახურების ცენტრი"). მაგრამ თითქმის უცვლელია ფერმერთა მდგომარეობა ფინანსურად.

ქართულ რეალობაში სოფლის მაცხოვრებელთ საჭირო ფინანსების მოსაპოვებლად არც ისე ბევრი ალტერნატივა აქვს. სესხებს აგრო მიმართულებით მხოლოდ ერთი-ორი ბანკი გასცემს (პროკრედიტ ბანკი). ბანკების უმრავლესობა გადართულია ბიზნესის სხვა სფეროებზე. კიდევ ერთი საშუალება, რომლითაც რეგიონის მაცხოვრებელს ფულის სესხება შეუძლია, მიკროსაფინანსო ორგანიზაციაა.მაგრამ, სამწუხაროდ, მათ მიერ გაცემული სესხები უმთავრესად პირადად საჭიროებისათვის იხარჯება და არა მეურნეობისათვის.

ერთ-ერთი გამოსავალი ამ მდგომარეობიდან უცხოეთის გამოცდილების მიხედვით საკრედიტო კავშირებია. ამ მხრივ საქართველოს საკმაო გამოცდილება გააჩნია.

საქართველო აგრარული ქვეყანაა და მოსახლეობის ნახევარზე მეტი სოფლად ცხოვრობს. იმ ტრანსფორმაციის შემდეგ, რაც საბჭოთა სისტემის დაშლას მოჰყვა, ამ ხალხის წინაშე ფინანსური წყაროს ხელმიუწვდომლობის პრობლემა დადგა, ანუ ორ მლნ-ზე მეტი ადამიანი ყოველგვარი კრედიტის გარეშე დარჩა და მათი აბსოლუტური უმრავლესობა ვერანაირ საქმიანობას

ვერ ახორციელებს. საკრედიტო კავშირი არის შემოთავაზებული ერთ–ერთი მოდელი, რომელსაც სოფელში გლეხები თავად აყალიბებენ. დაზუსტოთ-საკრედიტო კავშირი არის არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულება კოოპერატიული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით რეგისტრირებული საწარმო, რომელიც თავისი წევრებისგან იღებს ანაბრებს და გასცემს მათზე სესხებს.

უფრო მარტივად კი საკრედიტო კავშირი არის წევრებისაგან (მეპაიეებისგან) შემდგარი ფინანსური ინსტიტუტი, რომელიც მოიზიდავს დეპოზიტებს და გასცემს სესხებს მხოლოდ თავის წევრებზე.[2]

საკრედიტო კავშირები და საკრედიტო ასოციაციები, თავისი მიკროსაფინანსო სქემებით, გარკვეულ ნიშას ავსებენ და გლეხებს გარკვეულ პრობლემებს უხსნიან, მაგრამ ეს ქსელი მთელ საქართველოს ვერ ფარავს, ვერ მოიცავსფერმერთა სრულ რაოდენობას. იმ რაიონებში, სადაც საკრედიტო კავშირები მუშაობენ, მეტი შესაძლებლობებია – გლეხს ხელი მიუწვდება სესხზე, გირავნობის მომენტი გამარტივებულია, აგრეთვე მუშაობს სქემები, როგორიცაა მომავალი მოსავლის დაგირავება, რაც ბანკებისათვის ნაკლებად მიმზიდველია.

საბაზრო ეკონომიკის რელსებზე გადასულმა რეალობამ დღის წესრიგში კვლავ დააყენა ამ მიკროსაფინანსო ინსტიტუტის შემოღების საჭიროება. საკრედიტო კავშირები, უპირველესად, სოფლის შეჭირვებული კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კალთასშემოწყვეტილი გლეხობის დამხმარე ძალად მოიაზრებოდა. საქართველოში საკრედიტო კავშირების დანერგვას რამდენიმე ორგანიზაცია ახორციელებდა. მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია მსოფლიო ბანკი, რომელმაც შექმნა საკრედიტო კავშირები და ამერიკული არასამთავრობო ორგანიზაცია (აისიდიაიბოკა), რომელმაც საკრედიტო ასოციაციები დააარსა. 1995 წლიდანსაკრედიტო კავშირების ამ მოდელით (მსოფლიო ბანკის,TASIS და საფრანგეთის მთავრობის მხარდაჭერით) აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონებიდან დევნილებისათვის დაიწყეს ფუნქციონირება. აქ პირველი საკრედიტო კავშირი სწორედ მსოფლიო ბანკის პროექტით 1995 წელს სოფელ კავთისხევში დაარსდა. მათმა რიცხვმა 200-ს მიაღწია და გაწევრიანებული იყო 10850 ფერმერი, საერთო კაპიტალმა კი 3 444 420 ლარი შეადგინა. 1997 წელს კრედიტები 100%-ით დაბრუნდა, ხოლო 1998 წელს არნახული გვალვის გამო მისი სრულად დაბრუნება შეფერხდა. 2003 წლიდან კი მასიურად დაუბრუნებლობის გამო ჯერ მოხდა საფრანგეთის მთავრობის მიერ სესხების მთლიანად შეწყვეტა, ხოლო შემდეგ კი მსოფლიო ბანკის და TASIS სესხებიც მაქსიმალურად შემცირდა. შესხის გადაუხდელობასთან ერთად, მათი შემცირება იმან განაპირობა, რომ პროექტი 5 წელზე იყო გათვლილი. ამასთან სახელმწიფოსა და საკრედიტო კავშირების ურთიერთობა მეტად არასახარბიელო მდგომარეობაში მიმდინარეობდა. რადგან ამ საკრედიტო კავშირების აბსოლუტური უმრავლესობა გაუქმდა ან გაკოტრდა, თუმცა ამ მცდელობებმა შემდგომში ბიძგი მისცა და ხელი შეუწყო საქართველოში ჩამოყალიბებულიყო დამოუკიდებელი საკრედიტო კავშირები, რომლებიც განვითარების საწყის ეტაპზე იმყოფებიან, მაგრამ სწორი და მიზანმიმართული მუშაობის შემთხვევაში, მათ შესაძლებლობა აქვთ უდიდესი როლი ითამაშონ ქვეყნის ეკონომიკის, განსაკუთრებით კი სოფლის მეურნეობის განვითარებაში, რაც ესოდენ მნიშვნელოვანი და აუცილებელია ჩვენი ქვეყნისათვის.

დღეს ქვეყანაში საკრედიტო კავშირები წელში გაიმართება და მათდამი მზრუნველობა იქნება, პროცესში საერთაშორისო კომერციული ბანკებიც ჩაერთვებიან. ამ მიმართულებით მუშაობენ საფრანგეთის უდიდესი ბანკი "ეგრიკოლბანკი", ჰოლანდიაში – "რაბობანკი". ირლანდიაში საკრედიტო კავშირები იმდენად მძლავრები და ძლიერები არიან, რომ სახელმწიფოს იქით ეხმარებიან და სადეპოზიტოდ დაგროვილ თანხას სესხად აძლევენ, გზების თუ ხიდების მშენებლობისათვის. ეს ფულად–საკრედიტო, საფინანსო ინსტიტუტია. ჩვენც რომ მივიდეთ იქამდე, დიდი მზრუნველობაა საჭირო. თავად მსოფლიო ბანკსა და სავალუტო ფონდში ძალიან მძლავრი საკრედიტო კავშირები მოქმედებენ. აგრამ მათი მაკროეკონომიკური მდგომარეობა, ცხადია, ძლიერია, ზურგს მაღალი ხელფასი უმაგრებთ. საკრედიტო კავშირები იქმნება ერთი მიზნობრივი ჯგუფის მიერ, ნდობის ფაქტორი მაღალია, აქვთ გარანტირებული ხელფასი. ჩვენთან კი გლეხს უჭირს – ეს რეალობა გასათვალისწინებელია და მთავრობამ ამ რეალობიდან გამომდინარე, სერიოზული გადაწყვეტილებები უნდა მიიღოს. რის მთელი რიგი საკითხებისა, რაც მთავრობის გადასაწყვეტია. მთავრობაში იმ სახელმწიფო ინსტიტუტებს ვგულისხმობთ, ვისაც ეს საკითხები ეხება. საკრედიტო კავშირი, რომელიც თავისი არსით ბანკის ტიპის ფინანსური ორგანიზაციაა,ნებისმიერ განვითარებულ და წარმატებულ ქვეყანაში პოპულარულია და ზოგან მოსახლეობის 100%-ც კი, ასეთი კავშირის წევრია.

საქართველოში საკრედიტო კავშირები მაშინ დაარსდა, როდესაც გლეხების (ფერმერების) უმეტეს ნაწილს არ ჰქონდა ხვნის, თესვის, სამეურნეო საქმიანობის დაწყების, ტექნიკის შეძენის საშუალება. მკვეთრად იგრძნობოდა საბრუნავი საშუალებების, განსაკუთრებით ფულის დეფიციტი. ამ კუთხით მნიშვნელოვანი როლი შეასრულა და ასრულებს საერთაშორისო ორგანიზაციებთან აქტიური ურთიერთობა. როგორც მსოფლიო გამოცდილება ცხადყოფს, ადგილობრივი დანაზოგების გამოყენება, აგრეთვე, დახმარების მიღება გაცილებით ადვილი და ეფექტურია, თუ იგი მიმართულია არა ცალკეული კერძო პირების, არამედ იურიდიული, კოლექტიური პირებისგან. ასეთ იურიდიულ კოლექტიურ პირად კი მთელს მსოლიოში საკრედიტო კავშირები გვევლინება.

საკრედიტო კავშირი არა მარტო მოზიდული რესურსია, არამედ მისი მთავარი იდეაა, რომ თვითონ ხალხმა დაზოგოს ფული: შექმნან ურთიერთ დახმარების და საკრედიტო ფონდი, საპაიო კაპიტალი და მერე დამატებით მიიღონ სხვა ფულადი წყაროები, რესურსი. ლოცა ასეთი ფონი შეიქმნა, სამართლებრივი, ინსტიტუციონალური ჩამოყალიბება, საკანონმდებლო საკითხი დღის წესრიგში დადგა. საჭირო იყო კანონი ან ნორმატიული აქტი, რომელიც ამ საკითხებს დაარეგულირებდა. ანონის მომზადების საკითხში ჩართულნი იყვნენ საერთაშორისო ექსპერტები, ეროვნული ბანკი. როვნულ ბანკში შეიქმნა დეპარტამენტი, რომელიც ზედამხედველობას გაუწევს არასაბანკო–სადეპოზიტო ორგანიზაციათა საქმიანობას. შაკრედიტო კავშირები ამ საქმიანობის ერთ–ერთი სერიოზული ნაწილია. ასე რომ, ქვეყანას უკვე აქვს იურიდიული და სამართლებრივი საფუძველი, საკრედიტო კავშირების საქმიანობის განხორციელებისათვის. როცა 30–იან წლებში ამერიკა სერიოზულ კრიზისს განიცდიდა, რუზველტმა გადაწყვეტილება მიიღო და ფედერალური საცავიდან გამოყო ფული, რომელიც საკრედიტო კავშირების მეშვეობით მისცა გლეხებს. ამით მან 6 მლნ გლეხი დააკავა მიწაზე და საშუალება არ მისცა ფულადი რესურსების მიცემის შემდეგ აყრილიყვნენ. ამერიკა მთელი მსოფლიოს ბელელად იქცა – ამ რეალობას 30–იან წლებში ჩაეყარა საფუძველი. ს კი საკრედიტო კავშირის მოდელის გამოყენებით გახდა შესაძლებელი. დღეს საქართველოში, ფაქტობრივად, არ არსებობს სხვა ფინანსური ინსტიტუტი, რომელიც სოფლად გლეხს დაეხმარება.

ლოგორც უკვე აღინიშნა, საკრედიტო კავშირების საქმიანობას დღეისათვის სახელმწიფო ეროვნული ბანკის მეშვეობით უწევს ზედამხედველობას. ეს საშუალებას აძლევს მოსახლეობას მათი დეპოზიტები მყარად იყოს დაცული. როვნული ბანკი მეთვალყურეობს სათ მიდის ესა თუ ის რგოლი. აკოტრების შემთხვევაში მის საქმიანობაში ჩაერთვება, რათა საშიშროება თავიდან აიცილოს.

შაკრედიტო კავშირის საქმიანობის პრინციპებია ის,რომ მისი წევრობა უნდა იყოს ნებაყოფლობითი; ფიზიკურ პირთა საერთო ნიშნით გაერთიანება და წევრთა უშუალო მონაწილეობა საკრედიტო კავშირის მართვაში. შაკრედიტო კავშირი უფლებამოსილია განახორციელოს შემდეგი საბანკოს აქმიანობა: მიიღოს ანაბრები მხოლოდ თავისი წევრებისაგან; გასცეს სესხები მხოლოდ თავის წევრებზე.

როვნული ბანკი პერიოდულად ამოწმებს საკრედიტო კავშირებს (დოკუმენტური შემოწმებისა და ადგილზე ინსპექტირების ჩათვლით) მათი ფინანსური მდგომარეობის შესასწავლად, აგრეთვე საკრედიტო კავშირების საქმიანობის ამ კანონთან და ეროვნული ბანკის ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობის დასადგენად. თუ ეროვნული ბანკის მიერ საკრედიტო კავშირის საქმიანობაზე ზედამხედველობის განხორციელების შედეგად დადგინდა, რომ საფრთხე ემუქრება საკრედიტო კავშირის წევრების ანაბრებს, ბანკი უფლებამოსილია ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღების მიზნით დანიშნოს დროებითი ადმინისტრაცია. დროებით ადმინისტრაციაზე, ისევე როგორც ლიკვიდატორზე გადადის საკრედიტო კავშირის ყველა ორგანოს სრული უფლებამოსილება.

თუმცა საკრედიტო კავშირები გაცილებით ლიბერალურნი არიან, რაც ბანკთან შედარებით თავისი წევრების მომსახურებაში მეტ მოქნილობასა და უპირატესობას ანიჭებს მას. საკრედიტო კავშირს, ისევე როგორც ბანკს, უფლება აქვს მოიზიდოს დეპოზიტები და გასცეს სესხები, ერთი განსხვავებით, რომ საკრედიტო კავშირს სესხების გაცემა და დეპოზიტების მოზიდვა შეუძლია მხოლოდ თავის წევრებზე (მეპაიეებზე). სხვაობას წარმოადგენს ისიც, რომ საკრედიტო კავშირის წევრობა შეუძლია მხოლოდ ფიზიკურ პირს. ბანკებისგან განსხვავებით, საკრედიტო კავშირის ძირითად მიზანს წარმოადგენს თავის წევრებზე ზრუნვა, მოქნილობა და გამჭვირვალეობა. მაშინ როდესაც ბანკი ოპერირებს და ქმნის მოგებას მხოლოდ მისი დამფუძნებლებისათვის/ მეანაბრეებისთვის.[4]

საკრედიტო კავშირის ძირითადი უპირატესობა არის მის წევრებზე ბანკთან შედარებით მაღალი საპროცენტო განაკვეთი, რადგან საკრედიტო კავშირი მომავალი მოგების დიდ წილს წინასწარ უნაწილებს თავის წევრებს. ბანკის მიმართ საკრედიტო კავშირის ძირითად უპირატესობას წარმოადგენს ოპერაციების სიმარტივე, ანაბრის მიღებისა და სესხის გაცემის გამჭვირვალეობა, გადაწყვეტილების მიღებაში თითოეული წევრის მონაწილეობის შესაძლებლობა, კავშირის წევრებზე ორიენტირებული ოჯახური გარემო, კავშირის საერთო მიზნების განხორციელებაში აქტიური მონაწილეობის მიღების საშუალება. საკრედიტო კავშირი მის წევრებს აძლევს საშუალებას იმონაწილეოს კავშირის მიერ განხორციელებულ საზოგადოებრივ საქმიანობაში. მაგრამ მეორე მხრივ, მონაწილეთა ასეთი ჩართულობა საფრთხის შემცველია: შესაძლოა მეპაიეები ვერ შეჯერდნენ საერთო აზრზე და წარმოიქმნას ინტერესთა კონფლიქტი, რაც სულ მცირე, გამოიწვევს პროცესის დროში გაწელვას.[5]

მიუხედავად ამისა, შეიძლება ჩაითვალოს, რომ საკრედიტო კავშირებს შეუძლიათ სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა. მისი მთავარი უპირატესობა მისივე მართვის პრინციპია- განსხვავებით სხვა ფინანსური ინსტიტუტებისაგან, საკრედიტო კავშირის ყველა წევრის პირდაპირ ინტერესშია ჰქონდეს მეტი ფინანსური საშუალებები, არც ერთი მათგანი არ წევრიანდება ხელფასის გამო, თვითონვე განკარგავს, ამიტომ წარმატებისთვის დაინტერესება და გაღებული ძალისხმევა გაცილებით მეტია, ვიდრე ის, რომ სამუშაო დღე დამთავრდა და 6 საათზე სახლებში წავიდნენ. თითოეულ მათგანს ამოძრავებს პირადი ინტერესი, შესაბამისად, წარმატების ალბათობაც დიდია. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორის (დადებითისა და უარყოფითის) გათვალისწინებით, აუცილებელია საკრედიტო კავშირების ჩამოყალიბება, ვიდრე კიდევ დარჩა ხალხი სოფლად, თორემ ამ ტემპით მალე დამატებითი ფინანსების მსურველიც კი არავინ იქნება.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. www.kvirispalitra.ge
2. http://www.fcu.ge
3. http://issuu.com
4. http://www.nbg.gov.ge/
5. http://www.fcu.ge

# პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში

დემეტრე ჯოხაძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
III კურსის სტუდენტი



ნებისმიერი ქვეყნის სტაბილურ განვითარებას ძლიერი ეკონომიკა განსაზღვრავს. რასაკვირველია, მთავარი მიზანი მთელი მოსახლეობის, სოციალური ფენებისა, თუ ოჯახების დონეზე ცხოვრების ხარისხის ამაღლებაა, რისთვისაც აუცილებელია ეროვნული წარმოების განვითარება და მოსახლეობის დასაქმების დონის ზრდა. ეკონომიკური ზრდის მიღწევა არ არის ადვილი, იგი პირდაპირ უკავშირდება ქვეყანაში ინვესტიციების რაოდენობას. მიუხედავად იმისა, რომ საკუთარი ინვესტიციები მნიშვნელოვანია ეკონომიკური და სოციალური უსაფრთხოებისა და დამოუკიდებლობისათვის, მითუმეტეს ისეთი გეოპოლიტიკური მდებარეობის მქონე ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა, ადგილობრივი ინვესტიციები არასაკმარისია და აუცილებელია უცხოური ინვესტიციების მოზიდვაც. არ უნდა ვცდილობდეთ, რომ მოხმარების წილის შემცირება და დაზოგვის ნორმის ზრდა საქართველოსთვის ეკონომიკური ზრდის ტემპების სტაბილურობას გამოიწვევს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ დანაზოგების დაბალი ნორმა კარგია. დანაზოგები მუდმივად არ ზემოქმედებს ეკონომიკურ ზრდაზე, მაგრამ ის მოქმედებს გამოშვების მოცულობასა და ცხოვრების დონეზე [1, გვ. 325].

მოსაზრებას, რომ საქართველოში ძალიან დაბალია დაზოგვის ნორმა, ადასტურებს შემდეგი სტატისტიკური მონაცემებიც [5]: 2010 წელს ხარჯები საბოლოო მოხმარებაზე შეადგენდა 19,898 მილიონ ლარს, რაც მთლიანი შიდა პროდუქტის 97%-ია, უფრო უარესი მაჩვენებელი იყო 2009 და 2008 წლებში შესაბამისად 106% და 102%. (იხ. გრაფიკი 1). გრაფიკზე კარგად ჩანს აღნიშნული მაჩვენებლის დინამიკა.

როგორც ვხედავთ, 2008 და 2009 წლებში იმაზე მეტი მოვიხმარეთ ვიდრე ვაწარმოეთ, შესაბამისად დანაზოგები ზრდის ნაცვლად, პირიქით შემცირდა. არც სხვა წლებშია სიტუაცია მნიშვნელოვნად განსხვავებული. დანაზოგები, რაც პირდაპირაა დაკავშირებული სამამულო ინვესტიციებთან ან ძალიან მცირეა, ან საერთოდ უარყოფითია. აღნიშნული სტატისტიკური მონაცემები ადასტურებს, რომ მიუხედავად ადგილობრივი ინვესტიციების საჭიროებისა, აუცილებელია ქვეყნის გარედან კაპიტალის მოზიდვა და დაბანდება ეროვნულ ეკონომიკაში. ერთმნიშვნელოვნად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჩვენს ქვეყანაში ეროვნული დანაზოგების მოცულობა ძალიან მცირეა და არასაკმარისია ინვესტიცი-ებისათვის, ამიტომ სახელმწიფომ ყურადღება უნდა გაამახვილოს უცხოურ ინვესტიციებზე.

**ხარჯები საბოლოო მოხმარებაზე
მშპ-სთან შედარებით**




გრაფიკი 1 [5]

ეკონომიკაში რეზიდენტებთან დამოკიდებულების მიხედვით განასხვავებენ სამამულო (ადგილობრივ, საკუთარ) და უცხოურ ინვესტიციებს. უცხოურ ინვესტორებს მიეკუთვნებიან უცხო ქვეყნები, საერთაშორისო ორგანიზაციები, ასევე უცხოელი იურიდიული და ფიზიკური პირები. ხოლო სამამულო ინვეტორები არიან მთლიანად რეზიდენტები **[2, გვ. 16]**.

საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტი უცხოურ ინვესტიციებს ყოფს სამ კატეგორიად: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, პორტფელის ინვესტიციები და სხვა ინვესტიციები. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები გულისხმობს ერთი ქვეყნის რეზიდენტის მიერ სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოში წილის ფლობას, ან საწარმოსთან დაკავშირებული სხვადასხვა ეკონომიკური ხასიათის ოპერაციების წარმოებას. პირდაპირი ინვესტიციები მოიცავს, როგორც კაპიტალის ჩადების საწყის ოპერაციას, ასევე ყოველ შემდგომ ოპერაციას პირდაპირ ინვესტორსა და ინვესტირების საწარმოს შორის.

გარდა იმისა, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი ფაქტორია, ამავე დროს ხელს უწყობს ეკონომიკაში ტექნოლოგიების განვითარებასაც, ვინაიდან იქმნება თანამედროვე ტექნოლოგიებით სარგებლობის შესაძლებლობა. უცხოური ინვესტიციები ამაღლებს სამუშაო ძალის ხარისხს, მნიშვნელოვნად ზრდის დასაქმებულთა შრომის ანაზრაურებასაც. მომხმარებელს არჩევანის საშუალება ეძლევა, რადგან იქმნება წარმოებული პროდუქციის დიფერენცი-აციის შესაძლებლობა. უცხოური პირდაპირი ინვეტიციების შემოსვლით ქვეყანა ხშირად იყენებს პატენტებსა და სავაჭრო ნიშნებსაც.

მიუხედავად მრავალი დადებითი შედეგისა, რაც ახლავს უცხოური ინვეტიციების მოზიდვასთან ერთად, ასევე გასათვალისწინებელია, რომ ინვესტორებს საზღვარგარეთ გააქვთ მიღებული მოგება. შეიძლება მოხდეს ადგილობრივი ინვესტიციების გამოდევნა. ხშირ შემთხვევაში იზრდება უცხოელთა მიერ ადგილობრივი ბაზრების კონტროლის დონე, ხშირად ამ გზით ხდება ინვესტორი ქვეყნის ჩარევა ადგილობრივი საზოგადოების არამარტო ეკონომიკურ, არამედ პოლიტიკურ ცხოვრებაშიც. შესაბამისად სახელმწიფომ უნდა გაითვალისწინოს აღნიშნული გარემოებები და საინვესტიციო კაპიტალის ნაკადები აუცილებლად უნდა აკონტროლოს, რათა ქვეყანა ზედმეტად დამოკიდებული არ აღმოჩნდეს რომელიმე უცხო ქვეყნის, ან გაერთიანების შესაძლო სპეკულაციებსა და გადაწყვეტილებებზე.

მსოფლიოში ეკონომიკური კრიზისის გამო შემცირებული თავისუფალი ფულადი კაპიტალის, ქვეყნის მიმართ ინვესტორების შემცირებული ნდობისა და რუსეთთან დაძაბული პოლიტიკური მდგომარეობის გამო უკანასკნელ პერიოდში სულ უფრო რთულდება უცხოური ინვესტიციების მოზიდვა. აღნიშნულს ადასტურებს საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებიც. კერძოდ, თუ 2007 წელს რუსეთთან აგვისტოს სამამულო ომამდე უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2 მილიარდ აშშ დოლარს გადააჭარბა, 2009 წელს მხოლოდ 658 მილიონს შეადგენდა. 2010 წლის საინვესტიციო ნაკადებიც მნიშვნელოვნად ჩამორჩება თუნდაც 2006 წლის მაჩვენებელს. (იხ გრაფიკი 2) რასაკვირველია, ამის მთავარი მიზეზი რუსეთის მორიგი შესაძლო სამხედრო ინტერვენციაა საქართველოს ტერიტორიაზე.




გრაფიკი 2 [9]

მოყვანილ გრაფიკზე ნათლად იკვეთება, თუ რა ზიანი მიადგა საქართველოს ეკონომიკას რუსეთთან ომის გამო, უცხოური ინვესტიციების შემცირების შედეგად. მიუხედავად იმისა, რომ 2010 წელს წინა წელთან შედარებით სიტუაცია მცირედით გაუმჯობესდა, ვერ დავასკვნით, რომ ამ მხრივ სასიკეთო მდგომარეობაა. ამის საფუძველს არც 2011 წლის შედეგები გვაძლევს, კერძოდ, 2011 წლის პირველ სამ კვარტალში 643 მილიონი აშშ დოლარის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია განხორციელდა, რაც რასაკვირველია დაბალი შედეგია და მნიშვნელოვნად ჩამორჩება თუნდაც 2006 წლის მაჩვენებელსაც [9].

როდესაც უცხოელი ინვესტორი გადაწყვეტს საკუთარი ფულადი სახსრების ინვესტირებას, აუცილებლად გაითვალისწინებს სამ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს. პირველ რიგში ინვესტიციის უსაფრთხოებასა და დაცულობას, ასევე სამუშაო ძალის ღირებულებასა და წარმოებული პროდუქციის გასაღების შესაძლებლობებს. საბოლოო ჯამში ქვეყანაში არსებულ საინვესტიციო გარემოს. ზოგადად ქვეყანაში არსებულმა მდგომარეობამ უნდა უბიძგოს ინვესტორს ფულის დაბანდებაზე და დაარწმუნოს იგი დაბალი რისკით უფრო მეტი ფულის მიღებაში. მნიშვნელოვანია საერთაშორისო მონაცემების რეიტინგები, რასაც ითვალისწინებენ ინვესტორებიც. მაგალითად, ეკონომიკური თავისუფლების ინდექსით რომელსაც აქვეყნებენ სარეიტინგო კომპანია Heritage Foundation და Wall Street Journal საქართველო მსოფლიოში 34-ე ადგილზეა (სომხეთი 38-ე ადგილი და აზერბაიჯანი 91-ე ადგილი), საქართველოს საშუალო ქულაა 69,4 მაქსიმალური 100-დან. ამ კვლევის თანახმად 2011 წელს საქართველომ „ძირითადად თავისუფალი" ქვეყნების კატეგორიიდან „ზომიერად თავისუფალი" ქვეყნების რიგში გადაინაცვლა [8]. საქართველო მსოფლიო ბანკის მონაცემებით პირველი რეფორმატორი ქვეყანაა, ხოლო ბიზნესის კეთების სიმარტივის მიხედვით მსოფლიოში 16-ე ადგილზე ვართ (მაშინ, როცა 2005 წელს 112-ე ადგილი გვეკავა). ყურადღება ექცევა კორუფციის დონეს. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი მაჩვენებელია კორუფციის აღქმის ინდექსი. აქ საქართველო 68-ე ადგილს იკავებს [6]. ეს ინდექსი ასახავს მონაცემებს მთელი მსოფლიოს მასშტაბით, მათ შორის იმ ექსპერტებისას, ვინც ცხოვრობენ და მუშაობენ საქართველოში [7].

როგორც აღვნიშნეთ, რუსეთთან ომმა და შემდეგ რუსული ჯარის საქართველოს ტერიტორიაზე დარჩენამ, მნიშვნელოვნად შეამცირა უცხოელი ინვესტორების ნდობა. ეს არც არის გასაკვირი, ვინაიდან ქვეყნის მთავარი სატრანსპორტო მაგისტრალიდან სულ რამდენიმე კილომეტრშია რუსული სამხედრო ძალა მობილიზებული და მომენტალურად შესაძლებელია ეკონომიკის მთავარი არტერიის გადაკეტვა, რაც ეკონომიკის პარალიზებას გამოიწვევს. არც ქვეყნის დედაქალაქი და მთავარი ეკონომიკური ცენტრია შორს რუსული ტანკებისაგან. ამას დაემატა ომის შემდგომ ქვეყანაში შიდა პოლიტიკური არეულობა და არასტაბილურობა, რომელიც ხელისშემშლელი ფაქტორი იყო ინვესტიციების მოზიდვის კუთხით. გასათვალისწინებელია ერთი ფაქტორიც, რუსული სამხედრო ბაზები და სამხედრო ძალა არც ისეთი სახიფათოა თავად რუსი ინვესტორებისათვის. ამ მოსაზრებას გავამყარებთ, თუ ვნახავთ, რომ რუსეთიდან პირდაპირმა ინვესტიციებმა 2010 წელს 47,9 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა [9].

ხელსაყრელ მდებარეობასთან ერთად, ევროპელი და ამერიკელი ინვესტორების თვალში ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი პლიუსი არის იაფი სამუშაო ძალა. ამის ერთ-ერთი მიზეზი ეკონომიკის დაბალ დონეზე განვითარებასთან ერთად ის არის, რომ უმუშევრების 50,4% (169100 ადამიანი) 20-დან 34 წლამდეა [6], გამოუცდელია და შედარებით დაბალი კვალიფ-იკაციისაა. რასაკვირველია, საქართველოში ხელფასის დონე გაცილებით ჩამოუვარდება ევროკავშირის მაჩვენებლებს. მაგალითისთვის საქსტატის მონაცემებით საქართველოში საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი მხოლოდ 597 ლარია [10].

რაც შეეხება გასაღების ბაზარს, ამ მხრივ არც ისე კარგი სიტუაციაა. რუსეთის მიერ ეკონომიკური ემბარგოს დაწესებამ სერიოზულად დააზარალა საქართველოს ეკონომიკა. საქართველოში შინამეურნეობების მოხმარება 2010 წელს მხოლოდ 15,4 მილიარდ ლარს შეადგენდა, ხოლო 2011 წლის პირველ სამ კვარტალში 12,9 მილიარდ ლარს. ჩვენი აზრით, საქართველოს მოსახლეობის რაოდენობიდან გამომდინარე, ამ მაჩვენებლის ბევრად გაზრდის დიდი პოტენციალი არ არსებობს. შესაბამისად აუცილებელია ევროპის ბაზარზე ქართული პროდუქციის შესვლა. ამ მხრივ 2012 წელი მნიშვნელოვანი იქნება ევროკავშირთან შესაძლო თავისუფალი ვაჭრობის გაფორმების კუთხით. თუ საქართველო ევროპის ერთიან სავაჭრო სივრცეში შეაბიჯებს, ეს იქნება იმის შესაძლებლობა, რომ საქართველოში გამომუშავებული პროდუქცია შევიდეს ევროპის ბაზარზე, რომლის მოსახლეობაც 500 მილიონზე მეტია. აღნიშნული, რა თქმა უნდა, გამოიწვევს ინვესტიციების შემოდინებას ქვეყანაში. ექსპერტების შეფასებით

ამ შემთხვევაში ინვესტიციები მოსალოდნელია როგორც ევროკავშირიდან, ასევე სხვა არაწევრი ქვეყნებიდანაც, ვინაიდან მათ საშუალება ექნებათ შეზღუდვების გარეშე გაიტანონ საკუთარი პროდუქტი ევროპულ ბაზარზე [13].

საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრულ პრიორიტეტებში გაწერილია ევროკავშირთან „ასოცირების ხელშეკრულებაზე" ინტენსიური მუშაობა. ეს მოემსახურება "ოთხი თავისუფლების პრინციპის" უფრო ფართოდ გავრცელებას საქართველოზე. აღნიშნული უზრუნველყოფს ადამიანების, საქონლის, კაპიტალისა და მომსახურების თავისუფალ გადაადგილებას [3, გვ. 4]. რასაკვირველია, ამან დადებითი როლი უნდა ითამაშოს საერთაშორისო ინვესტორების მოზიდვის თვალსაზრისით.

გასათვალისწინებელია, რომ როდესაც ინვესტორი საქართველოში ფულს აბანდებს, მისი მთავარი მიზანი მხოლოდ მოგების მიღებაა და არა საქართველოში ოჯახების ცხოვრების დონის ამაღლება. შესაბამისად, ჩვენი აზრით, აუცილებელია უპირატესობა მიენიჭოს ჩვენზე უფრო განვითარებული ქვეყნიდან შემოსულ ინვესტიციებს. პრიორიტეტი უნდა იყოს აღნიშნული გზით საინვესტიციო კაპიტალის შემოდინება. ვინაიდან ინვესტიცია, რომელიც ხორციელდება ისეთი ქვეყნიდან, სადაც სამუშაო ძალა კიდევ უფრო იაფია, ვიდრე საქართველოში, ინვესტორი ახდენს საწარმოში სწორედ საკუთარი სამუშაო ძალის დასაქმებას და საქართველოს მოქალაქეები ვერ იღებენ სარგებელს აღნიშნული ინვესტიციით. ისინი ვერ უწევენ კონკურენციას იაფფასიან სამუშაო ძალას. პირველ რიგში აუცილებელია სახელმწიფომ სწორედ აღნიშნული შემთხვევის კონტროლი განახორციელოს, გამოკვეთოს ქვეყნისთვის სტრატეგიული საინვესტიციო ნაკადები, რაც იქნება მხოლოდ საქართველოს მოქალაქეების დასაქმების გარანტია. თუმცა, მეორე საკითხია რამდენად აქვს ინვესტიციებს მოწყურებულ ქვეყანას ინვესტორების არჩევის ფუფუნება.

ძირითადად ვინ ინტერესდება საქართველოში სახსრების დაბანდებით?

საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით 2010 წელს დსთ-ს ქვეყნებიდან 91,1 მლნ. აშშ დოლარი (მთლიანი უცხოური ინვესტიციების 11%), ხოლო ევროკავშირის ქვეყნებიდან კი 248,2 მლნ. აშშ დოლარი შემოვიდა (მთლიანი უცხოური ინვესტიციების 30%). მაგალითისათვის, 2010 წელს ამერიკის შეერთებული შტატებიდან განხორციელდა 138,8 მლნ დოლარის ინვესტიცია, მაშინ როცა 2009 წელს პირდაპირი ამერიკული ინვესტიციები უარყოფითი იყო. (იხ. გრაფიკი 3). 2006 წლიდან 2010 წლამდე საქართველოში ევროკავშირიდან შემოსულმა ინვესტიციებმა თითქმის 2,5 მილიარდ დოლარს მიაღწია, რაც ომისა და კრიზისის გათვალისწინებით, ნორმალური მაჩვენებელია. შედარებით მცირეა საინვესტიციო ნაკადები აშშ-დან, თუ გავითვალისწინებთ აშშ-სა და საქართველოს სტრატეგიულ პარტნიორობას.




გრაფიკი 3 [9]

რომელ სფეროებში ხორციელდება უცხოური ინვესტიციები?

ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი ტურისტების მოზიდვაა და სახელმწიფოც ამ მხრივ მნიშვნელოვან ღონისძიებებს მიმართავს, თუმცა სასტუმროებისა და რესტორნების სექტორში 2010 წელს მხოლოდ 17,1 მილიონი დოლარის ინვესტიცია განხორციელდა, ხოლო 2011 წლის პირველ სამ კვარტალში 14,7 მლნ. დოლარი. (იხ. ცხრილი 1)

ეროვნული ბიბლიოთეკა

| 2007-2010 წლებში განხორციელებული პირდ. უცხოური ინვესტიციების რაოდენობა სექტორების მიხედვით (მლნ დოლარი) | |
|---|---|
| სოფლის მეურნეობა, თევზჭერა | 54,3 |
| ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა | 1152,9 |
| მოპოვებითი და დამამუშავებელი მრეწველობა | 974,1 |
| მშენებლობა | 338,5 |
| ენერგეტიკა | 677,1 |
| სასტუმროები და რესტორნები | 478,6 |
| საფინანსო სექტორი | 302,5 |
| სხვა | 1072.1 |
| სულ | 5050.1 |

ცხრილი 1 [9]

ცხრილში მოყვანილი მონაცემებში თვალშისაცემია სოფლის მეურნეობაში უცხოური ინვესტიცების სიმცირე. ბოლო 4 წლის მანძილზე მხოლოდ 54,3 მილიონი დოლარის ინვესტირება მოხდა. ჩვენი აზრით, ისეთი სტრატეგიული დარგი, როგორიც სოფლის მეურნეობაა გაცილებით მეტ ყურადღებას იმსახურებს, თუნდაც იქედან გამომდინარე, რომ მოსახლეობის თითქმის ნახევარი სოფლად ცხოვრობს და სოფლის მეურნეობაში შექმნილი პროდუქცია მშპ-ის მხოლოდ 9,4%-ია [12]. ასეთი დისბალანსის აღმოფხვრის ერთ-ერთი საშუალება ამ დარგში ინვესტიციების წახალისება იქნება.

ჩვენი აზრით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რაოდენობა დაკავშირებულია ადგილობრივი ინვესტორების წარმატებულ საქმიანობას-თანაც. ამ მხრივ გამოსაყოფია საპროცენტო განაკვეთი, რომელიც ძალიან მაღალია. მაგალითად, 2011 წელს ეროვნული ვალუტით საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთი კომერციული ბანკების სესხებზე შეადგენდა 22,6%-ს, ხოლო უცხოური ვალუტით 19,5-%-ს [4]. ამის ფონზე ადგილობრივმა ინვესტორმა ძნელია იპოვოს სფერო, სადაც ამ პროცენტს გადაფარავს და მოგებას მიიღებს. ანუ თუ გვინდა უცხოელი ინვესტორების მოზიდვა ხელი უნდა შევუწყოთ ადგილობრივი საინვესტიციო კაპიტალის ამუშავებას.

აუცილებლად უნდა გავამახვილოთ ყურადღება საექსპორტო პოტენციალის მქონე დარგებსა და ქვეყნისათვის სტრატეგიულ სფეროებში (სოფლის მეურნეობა, ტურიზმი..) ინვესტიციების მოზიდვაზე, ინვესტორების შენარჩუნებასა და მათ მიერ ჩადებული კაპიტალის გაფართოებაზე, რაც უდიდეს ზეგავლენას მოახდენს ეროვნული ეკონომიკის განვითარებასა და საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლებაზე.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. ბლანშარი ო., მაკროეკონომიკა, მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტი, (მთარგმნელები ხადური ნ., ჩიქობავა მ., კაკულია ნ.) თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2010 წ.
2. სიჭინავა ალ., ინვესტიციები, თეორია, ანალიზი, ორგანიზაცია, მართვა. თბილისი, 2010 წ.
3. საქართველოს მთავრობა, ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2011-2014 წლებისათვის, თბილისი, 2011 წ.
4. http://nbg.gov.ge/index.php?m=306
5. http://geostat.ge/?action=page&p_id=133&lang=geo
6. http://www.investingeorgia.org/?39/why_to_invest_in_georgia/
7. http://transparency.ge/post/corruption-perception-index-cpi/korutsiis-aghkmis-indeksi-2010
8. http://liberali.ge/ekonomikuri-tavisuplebis-indeksi
9. http://geostat.ge/?action=page&p_id=139&lang=geo
10. http://geostat.ge/?action=page&p_id=148&lang=geo
11. http://geostat.ge/?action=page&p_id=151&lang=geo
12. http://geostat.ge/?action=page&p_id=118&lang=geo

# ინფლაციის გამომწვევი ფაქტორები და მისი დაძლევის გზები



ნინო ნიკოზოსოვი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი

ინფლაცია თანამედროვე ეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე რთული მოვლენაა და მისი ისტორია ფულის წარმოშობის დღიდან იწყება, თუმცა ტერმინი "ინფლაცია", რომელიც ქართულად "გაბერვას" ნიშნავს, პირველად 1861-1865 წლებში, ჩრდილოეთ ამერიკაში სამოქალაქო ომის დროს გამოიყენეს. მე-19 საუკუნის ბოლოს კი ამ ტერმინის გამოყენება ინგლისსა და საფრანგეთშიც დაიწყეს. მე-20 საუკუნის 20-იან წლებში, პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ეს ტერმინი ეკონომიკურ ლექსიკონში საბოლოოდ დამკვიდრდა. თავდაპირველისგან განსხვავებით, ინფლაციის თანამედროვე გაგება რთული და მრავალწახნაგოვანი სოციალურ-ეკონომიკური მოვლენაა, რომელიც საბაზრო ეკონომიკის სხვადასხვა სეგმენტს შორის წონასწორობის დარღვევითაა განპირობებული. ტრადიციულად, ინფლაცია განიხილება, როგორც მიმოქცევაში არსებული ფულის სიჭარბე საქონელბრუნვასთან შედარებით, რაც გამოწვეულია ფულის ერთეულის გაუფასურებითა და, შესაბამისად, საქონელზე ფასების ზრდით. ანუ ინფლაცია ფულის გაუფასურება და მისი მყიდველობითუნარიანობის დაქვეითებაა, თუმცა ის შეიძლება, ქვეყნის არასახარბიელო ეკონომიკური მდგომარეობით, არასწორი ფულად-საკრედიტო პოლიტიკით, წარმოებისა და რეალიზაციის სფეროში არსებული უარყოფითი ფაქტორებითაც იყოს განპირობებული. მოკლედ, ინფლაციის გამომწვევი უმთავრესი საშინაო და საგარეო მიზეზებია: სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი, ინფლაციური მოლოდინი, დარგობრივი ინვესტიციები ბიუჯეტიდან, სამხედრო ხარჯები, მსოფლიო ეკონომიკის კრიზისული მდგომარეობა, იმპორტირებულ საქონელსა და მომსახურებაზე ე.წ. მსოფლიო ფასების დაწესება.

ეკონომისტები თანხმდებიან, რომ მაღალი ინფლაცია არის ეკონომიკური პრობლემების ერთ-ერთი მთავარი გამომწვევი მიზეზი და ხშირად ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისების საფუძველსაც წარმოადგენს. ინფლაცია ეკონომიკაზე უარყოფითად აისახება სხვადასხვა მიზეზის გამო. პირველი ეს არის დანაკარგები, რომლებიც უკავშირდება ინფლაციური გადასახადის ზემოქმედებას მოსახლეობის ხელთ არსებულ ფულის რაოდენობაზე. ინფლაციის ტემპის ზრდა იწვევს ნომინალური საპროცენტო განაკვეთის ზრდას, რაც თავის მხრივ იწვევს რეალურ გამოხატულებაში ფულადი მარაგის შემცირებას. ფულის ნაკლები საშუალო რაოდენობის პირობებში ადამიანს უწევს ბანკში ხშირად სიარული და ფულის მოხსნა ანგარიშიდან. ამის გამო, ხელზე არსებული საშუალებების მოცულობის შემცირებით გამოწვეულმა მოუხერხებლობამ მიიღო ხატოვანი სახელწოდება „გაცვეთილი ფეხსაცმლის ხარჯები".

ამასთანავე, არაპროგნოზირებადი ინფლაციის ნებისმიერი დანახარჯები განაპირობებს ადამიანებს შორის სიმდიდრის არათანაბრად განაწილებას,რაც გამოიხატება, მაგალითად, გრძელვადიანი სესხების აღებისას. კერძოდ, როდესაც ინფლაციის ტემპი აღმოჩნდება მოსალოდნელზე მაღალი, კრედიტორი რჩება წაგებული, ხოლო მსესხებელი მოგებული, ვინაიდან იგი ვალს გაუფასურებული ლარებით აბრუნებს.ყველაზე მთავარი კი სოციალური დაძაბულობაა. მაღალი ინფლაციის დროს მცირდება ლარის მსყიდველობითუნარიანობა, რაც დაბალშემოსავლიან საზოგადოებაში იწვევს მასიურ უკმაყოფილებას, მატულობს აქციებისა და დემონსტრაციების საშიშროება და ქვეყანაში სოციალური ბუმის საფრთხეც იქმნება, განსაკუთრებით - ისეთ განვითარებად ქვეყანაში,როგორიც საქართველოა[1, გვ. 97]

დამოუკიდებელი საქართველოს მთავარი ეკონომიკური "მონაპოვარი"

ინფლაციაა.განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა იყო 1995-1996 წლებში, როდესაც საქართველოს ეკონომიკა განიცდიდა ჰიპერინფლაციას. ამ პერიოდში, 1990 წელთან შედარებითფასების დონე 254-ჯერ გაიზარდა. საინტერესოა ჰიპერინფლაციის ისტორია სხვა ქვეყნებშიც. ერთ-ერთი ყველაზე დასამახსოვრებელი ჰიპერინფლაცია მსოფლიოში იყო მე-20 საუკუნის 20-იან წლებში, როცა ავსტრიასა და უნგრეთში სამომხმარებლო ფასები რამდენიმეათასჯერ გაიზარდა. მაგალითად, 1923 წელს გერმანიაში ინფლაციის წლიურმა ტემპმა კატასტროფულ დონეს მიაღწია და გაუფასურებული ფულის მასას მოსახლეობა ღუმელში წვავდა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კი, იაპონიაში იენი ისე გაუფასურდა, რომ მისმა ღათვლამ აზრი დაკარგა და, უბრალოდ, წონიდნენ[6]

ზომიერი ინფლაცია 3-4 %ს არ უნდა აღემატებოდეს. როდესაც მაჩვენებელი 8%-ს აჭარბებს, ვითარება უკვე საგანგაშოა. რაც შეეხება დღევანდელ მდგომარეობას, სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, საქართველოში ინფლაციის მაჩვენებელმა უკვე 11%-ს გადააჭარბა.[3](ეს პოსტკრიზისულ პერიოდში ინფლაციის ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.) ფასთა საერთო დონის ასეთი მაღალი ზრდა ქვეყანაში ბოლოს 2007 წელს დაფიქსირდა).კანონის თანახმად,[8] ინფლაცია 10 %-ს თუ გადააჭარბებს, ეროვნული ბანკის პრეზიდენტის პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს. ინფლაციის დაბალი წლიური მაჩვენებლის შენარჩუნებაზე ზრუნვა მასთან ერთად ფინანსთა და ეკონომიკის მდგრადი განვითარების სამინისტროს პირველ პირებსაც ეკისრებათ. თუმცა, პასუხისმგებელი პირები ინფლაციის მაღალ დონეს გარე ფაქტორებს უკავშირებენ.საქართველოში ინფლაციის მაღალ მაჩვენებლებს რამდენიმე მიზეზი განაპირობებს:

პირველად უნდა აღინიშნოს მთელ მსოფლიოში ფასებისზრდა. ფასები შესამჩნევად მატულობს და ენერგომატარებლებზე, სურსათზე შ. და შესაბამისად, საქართველო, რომელიც თითქმის მთლიანად იმპორტზეა დამოკიდებული,ფასების ზრდას აღნიშნულ პროდუქტებზე ვერ გაექცევა. გლობალური საფინანსო კრიზისის ფონზე, სურსათის გაძვირებასთან ერთად მატულობს ქვეყნის იმპორტზე დამოკიდებულება. სტატისტიკური მონაცემებით, სულ რაღაც 4 წლის წინათ 300-400 მილიონი დოლარის საკვების შემოტანა გვჭირდებოდა. 2010 წლისთვის კი იმპორტი ერთბაშად 3-ჯერ გაიზარდა[2]2011 წლის დასაწყისში, შარშანდელ ამავე პერიოდთან შედარებით ლარის მსყიდველობითი უნარი მნიშვნელოვნად შემცირდა. ამერიკულ დოლართან მიმართებაში ეროვნული ვალუტა (1.7736-დან 1.8110-მდე ) დაახლოებით სამი პუნქტით გაუფასურდა. პროფესორი ნოდარ ხადური ამბობს, რომ იმპორტირებული საქონლის ფასზე ეს, თავისთავად აისახება. ის გამოსავალს იმაში ხედავს, რომ ეროვნულმა ბანკმა მოახერხოს ლარსა და დოლარს შორის გაცვლითი კურსის სტაბილურობის შენარჩუნება მის ხელთ არსებული სავალუტო რეზერვებით. [2]

2010 წლის 11,2 %-ანი ინფლაციით დასრულება ნიშნავს, რომ იმ საქონლისა და მომსახურების შესაძენად, რაზეც 1 წლის წინ 100 ლარს ვხარჯავდით, ახლა 111,2 ლარი გვჭირდება.აღნიშნული ფაქტი აშკარად მიუთითებს თუ რამდენად მძიმე სოციალური მდგომარეობაა საქართველოში.თუმცა აღსანიშნავია,რომ როგორც საქართველო, ისე ევროზონის ქვეყნები ერთნაირად დამოკიდებულნი არიან საერთაშორისო ბაზრის ფასებზე, მაგრამ გასული წლის აგვისტოს თვის მონაცემებით ევროპის ქვეყნებში სურსათზე ფასებმა 2,6%-ით მოიმატა, საქართველოში კი — 5,8%-ით; 2011 წლის მონაცემებით აგვისტოში ევროზონაში წლიური ინფლაცია 2,6 % იყო. საქართველოში კი წლიური ინფლაციის მაჩვენებელმა 11,2% შეადგინა.[3]აქედან გამომდინარე, - ჩნდება კითხვა: - როცა ჩვენი ხელისუფლება საქართველოში მაღალ ინფლაციას მსოფლიოში პროდუქტის ფასს უკავშირებს, რატომ არ აისახება იგი ასეკატასტროფულად ევროზონის სამომხმარებლო ბაზარზე?! რატომ არის რომ საქართველოში ევროპის ქვეყნებთან შედარებით წლიური ინფლაცია საშუალოდ ოთხჯერ მაღალია?!

შედარებისათვის ვაჩვენოთ ინფლაციის დონის მაჩვენებლები საქართველოსა და სხვა ქვეყნებისათვის:

წლიური ინფლაციის დონე საქართველოში ბოლო წლების განმავლობაში, სტატისტიკის სამსახურისოფიციალურიმონაცემებით, ასე გამოიყურება(იხილეთ სქემა 1):[3]




სქემა 1:წლიური ინფლაციის დონე საქართველოში ბოლო წლების განმავლობაში

როგორც ვხედავთ, წინა წელთან შედარებით ინფლაციის დონემ 273%-ით მოიმატა და ორციფრა ნიშნულს მიაღწია, მაშინ, როცა მსოფლიოს ქვეყნებში ინფლაციის დონის მაჩვენებლებს შემდეგი სახე აქვს (იხილეთ სქემა 2):




სქემა 2: წლიური ინფლაციის დონე მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში 2011 წელს

გარდა ამისა, 10 %-ზე ნაკლები იყო ინფლაცია საქართველოს მეზობელ ქვეყნებშიც: აზერბაიჯანში -5,7%, თურქეთში – 8,6%, რუსეთში – 8,8% და სომხეთში – 9,2%.[4]

ამის ერთ-ერთი მიზეზი არის ის, რომ, ევროპისაგან განსხვავებით, საქართველოს სამომხმარებლო კალათაში ყველაზე დიდი წილი სურსათს უკავია, იგი სამჯერ მეტია ევროპის იგივე მაჩვენებელთან შედარებით. შესაბამისად, სურსათის ფასზე ნებისმიერი ცვლილება ინფლაციაზე სამჯერ უფრო დიდ გავლენას ახდენს.გარდა ამისა, საქართველოში ანტიმონოპოლიური სამსახურის იგნორირების გამო ბაზარზე მონოპოლიური და ოლიგოპოლიური (ოლიგოპოლია – სიტუაცია, როდესაც რამდენიმე მსხვილი კონკურირებადი ფირმები არაოფიციალური მოლაპარაკების საფუძველზე ახდენენ პროდუქციის წარმოების და გაყიდვის მონოპოლიზაციას) კომპანიები დომინირებენ და შესაბამისად ფასები საბაზრო პრინციპებით არ ყალიბდება.

მიუხედავად იმისა, რომ ფასების ზრდას სპეციალისტები, ძირითადად, საერთაშორისო ბაზარზე სამომხმარებლო პროდუქტებზე ფასების მატებით ხსნიან, სახელდება სხვა შიდა განმაპირობებელი ფაქტორებიც. პროფესორი ირაკლი კოვზანაძე მიიჩნევს, რომ ფასებზე სერიოზულ გავლენას ახდენს შიდა ბაზარზე ჯანსაღი კონკურენციის ნაკლებობა.[7] ფირმები რომელთაც პროდუქცია უცხოეთიდან შემოაქვთ, ქართულ ბაზარზე თავს ლაღად გრძნობენ. იციან, რომ ღირსეული კონკურენტები არ ჰყავთ და შესაბამისად მთელ დანახარჯებს მომხმარებელზე გადაიტანენ. ამ შემთხვევაში მთავრობამ უნდა გააძლიეროს კონკურენციის პოლიტიკა და მსხვილ იმპორტიორებს მსოფლიო ბაზრის ფასებით მანიპულირების საშუალება არ მისცეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს ინფლაციის კიდევ უფრო გაღრმავებას შეუწყობს ხელს.

სპეციალისტები ინფლაციის შემცირების ქმედით მექანიზმად, უპირველესად, ბაზარზე ფულის მასის შემცირებას მიიჩნევენ. გასული წლის ზაფხულიდან მოყოლებული, საქართველოს ეროვნული ბანკი ამკაცრებდა მონეტარულ პოლიტიკას. ხედვის თანახმად, რომელიც ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა ეკონომიკის ექსპერტებს წარუდგინა, ის მის ხელთ არსებული ინსტრუმენტებით მიმოქცევაში არსებული ფულის მასის შემცირებას მაქსიმალურად ცდილობს. ამ

მიმართულებით გადადგმულ ერთ-ერთ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ უცხოური ვალუტის სარეზერვო ნორმა 5 დან 15% -მდე გაზარდა. ეს სერიოზული ინსტრუმენტია იმისთვის,რომ ქვეყნის შიგნით ფულის მასა შემცირდეს,მაგრამ აქ თავს იჩენს სხვა პრობლემა, ე.წ. "პოლანდიური დაავადებაა", რაც საქართველოში უკვე 3 წელია შესამჩნევია. ქვეყანაში დიდი რაოდენობით შემოდის უცხოური ინვესტიციები, ხდება მათი ლარში გადაყვანა და იზრდება მოთხოვნა ლარზე. ლარი რომ ძალიან არ გამყარდეს, ეროვნული ბანკი იძულებულია შეისყიდოს შემოსული დოლარები, ანუ მიმოქცევაში გაუშვას ლარის დამატებითი მასააქედან გამომდინარე, აუცილებელია, რომ მომავალშიც გაგრძელდეს მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, ეროვნული ბანკის სარეზერვო მოთხოვნების მაღალი დონით შენარჩუნება. გამოკვლევებით, ლარზე მოთხოვნა დიდია, თუმცა ფულის დაზოგვის მიზნით, მაინც უცხოური ვალუტა გამოიყენება... ინფლაციის თავიდან ასაცილებლად ფიშერის სპეციალური ფორმულაც არსებობს, ანუ მარტივად რომ ვთქვათ, ქვეყანას უნდა გააჩნდეს გამართული ანტიინფლაციური პოლიტიკა, რომლის მთავარი პირობა, პირველ რიგში, ინფორმაციის სრულყოფილი ფლობაა ეკონომიკური სუბიექტის მიერ მთავრობისა და ეროვნული ბანკის პოლიტიკის შესახებ. ინფლაციის შემცირების პროგრამა უნდა გამოქვეყნდეს წინასწარ, სანამ მათი უმნიშვნელოვანესი სახის მოლოდინი ჩამოყალიბდება. მეორე პირობა კი ისაა, რომ ვინც აწესებს ფასებს და პირობას, უნდა ენდობოდეს მთავრობას და ეროვნულ ბანკს. პროდუქციაზე ფასების ზრდას სწორედ ინფლაციური მოლოდინი განაპირობებს, ამიტომ, თუ ეკონომიკურ სუბიექტებს ექნებათ სწორი ინფორმაცია, თუ რას აპირებს ხელისუფლება ინფლაციის თავიდან ასაცილებლად, ინფლაციური მოლოდინიდან გამოწვეული შოკიც ნაკლები იქნებაისევე როგორც სხვა ქვეყნებში, საჭიროა გარკვეული დრო იმისათვის, რომ ეს მონეტარული პოლიტიკა აისახოს ინფლაციაზე. [5]

ინფლაციის დაბალი წლიური მაჩვენებლის შენარჩუნებაზე ზრუნვა, ეროვნულ ბანკთან ერთად, ფინანსთა და ეკონომიკის მდგრადი განვითარების სამინისტროებსაც ეკისრებათ. თუმცა, მთავრობის საბიუჯეტო პოლიტიკა ეროვნული ბანკის მიერ გადადგმული ნაბიჯების არათანმხვედრია:გასულ წელს, საქართველოში საბიუჯეტო დეფიციტმა მთლიანი შიდა პროდუქტის 6 %-ს, ანუ 1 მილიარდ ლარს გადააჭარბა. [5]

ამ შემთხვევაში დეფიციტის შესამცირებლად აუცილებელია ფინანსთა სამინისტროსა და მთავრობის მხრიდან ფისკალური პოლიტიკის გატარება, მაგალითად, ინვესტიციების გზით მიღებული თანხების საგარეო ვალების მიმართულებით გამოყენება და ა.შ.საქართველოს ხელისუფლებას ბიუჯეტის დაბალანსების და სახელმწიფო ხარჯების შემცირების რეკომენდაცია საერთაშორისო სავალუტო ფონდის და ევროკავშირის ექსპერტებმა ჯერ კიდევ ორი წლის წინ მისცეს. თუმცა, მთავრობამ ამ რეკომენდაციის საპირისპიროდ, 2010 წლის ივნისში ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი 215 მილიონი ლარით გაზარდა. ინფლაციის კიდევ ერთ წამახალისებელ ფაქტორად ექსპერტების მიერ 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ დონორთა მიერ საქართველოსთვის გამოყოფილი გრანტებისა და შეღავათიანი კრედიტების არაეფექტიანი და არასწორი ხარჯვაც სახელდება. ამიტომ ხელისუფლებამ პირველ რიგში სწორედ საბიუჯეტო პოლიტიკა უნდა შეცვალოს და ამის საფუძველზე ბიუჯეტსაც გადახედოს.

მნიშვნელოვანია, რომ ზემოთ განხილული ღონისძიებების გატარებისას ეროვნულმა ბანკმა და ფინანსთა სამინისტრომ სინქრონულად იმუშაონ.ანტიინფლაციური პოლიტიკა თანმიმდევრული, კარგად გათვლილი და გააზრებული უნდა იყოს, რათა მკვეთრმა და რადიკალურმა ღონისძიებებმა საპირისპირო შედეგი არ გამოიღოს.

## .გამოყენებული ლიტერატურა:

1. ხადური ნ.,კაკულიან.,ჩიქობავამ. – "მაკროეკონომიკა" 2011
2. ხარაძენინო, "ინფლაციისეკონომიკურიმსაზღვრელი", "რადიო თავისუფლება", 2011http://www.radiotavisupleba.ge/content/article/2275267.html
3. geostat.ge
4. http://www.tradingeconomics.com/inflation-rates-list-by-country
5. opinion.ge
6. http://pirweli.com.ge/index.php?option=com content&task=view&id=74218&Itemid=52
7. http://bizideebi.blogspot.com/2011/12/2011-2012-source-httpwwwambebigeekonomi.html
8. საქართველოსორგანულიკანონიეროვნულიბანკისშესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის შედარებითი ეკონომიკური დახასიათება



გიგა კუჭუხიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი

თანამედროვე ეპოქაში ეკონომიკური განვითარებისა და ზრდისათვის სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება მეზობელი ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობა. მოსაზღვრე ქვეყნებში შემოსავლების მატება და ეკონომიკური ზრდა პოზიტიურად მოქმედებს ქვეყნის ექსპორტის მოთხოვნაზე და მის ზრდას იწვევს. ექსპორტის ზრდა კი სავაჭრო დეფიციტს ამცირებს და ზრდის მშპ-ს, რაც ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ თუ ცხოვრების დონე საზღვარგარეთ ბევრად გაუსწრებს ჩვენი ქვეყნის მდგომარეობას, მაშინ ამას ნეგატიური გავლენა ექნება განვითარებაზე, რიგი ფაქტორების გამო, როგორებიცაა: მიგრაცია, ეგრეთწოდებული "ტვინების გადინება" აფერხებს განვითარებას, ასევე ტექნოლოგიების განვითარება საზღვარგარეთ, ხელს უწყობს პროდუქციის ერთეულზე დანახარჯთა ნორმის შემცირებას და კონკურენტებთან შედარებით უპირატეს მდგომარეობაში აყენებს უცხოელ მწარმოებლებს.

ქვეყნის მეზობლების განვითარებას შეუძლია როგორც პოზიტიურად ისე ნეგატიურად იმოქმედოს ეკონომიკურ განვითარებაზე. ჩვენ განვიხილავთ საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის ეკონომიკურ მდგომარეობას, შევადარებთ ერთმანეთს, რათა ვნახოთ, თუ რომელი ქვეყანა გამოირჩევა უკეთესი ცხოვრების დონით, მეზობელ ქვეყნებთან შედარებით.

ბოლო წლებში, სანამ ჩვენ რეფორმებს ვახორციელებდით და ბიზნესის დაწყების სიითლით მსოფლიოში თავს ვიწონებდით, აზერბაიჯანი და სომხეთი ჩვენზე დინამიკურად ვითარდებოდნენ. ეკონომიკური განვითარების დონით 2003 წელს საქართველოზე ჩამორჩენილმა აზერბაიჯანმა ისე გადაგვისწრო, მის კვალში ჩამდგარს ახლა იმის კითხვა თუღა შეგვიძლია, როდის და რა სიჩქარით ჩაგვიქროლა მან?! საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეფასებით, ერთ სულ მოსახლეზე აზერბაიჯანი საქართველოს უკვე 2.4-ჯერ და მეტად უსწრებს(2003 წელს ჩამორჩებოდა 6 პროცენტით), ხოლო 2012 წლისთვის მისი აბსოლუტური მატება, საპროგნოზო შეფასებით, საქართველოსას 3.5-ჯერ გადააჭარბებს.

სომხეთის ეკონომიკის "სუნთქვას" საქართველოს ეკონომიკა 2003 წლისაც ზურგს უკან გრძნობდა(მეზობელი ქვეყანა ეკონომიკურად ჩამოგვრჩებოდა 5 პროცენტით), თუმცა 2011 წლისთვის ეს სხვაობა იმდენად შემცირდა, რომ სხვაობა მხოლოდ 2 პროცენტია.

2012 წელს ეკონომიკური ზრდის ტემპი, პროგნოზით, იქნება: აზერბაიჯანში 7.1%, საქართველოში 5.2%, სომხეთში 4.3%. შესაბამისად, შენარჩუნდება საქართველოს სომხეთთან სიმბოლური წინსწრების, ხოლო აზერბაიჯანთან სოლიდური ჩამორჩენის მასშტაბები.

2012 წელს უცვლელი დარჩება ასევე, საქართველოს მეტად უმნიშვნელო წილი მსოფლიო ეკონომიკაში. საქართველოზე მთელს მსოფლიოში შექმნილი მთლიანი ეროვნული პროდუქტის მხოლოდ 1/2500. ამიტომ მსოფლიო ეკონომიკის გავლენა საქართველოზე ერთმნიშვნელოვნად გაცილებით დიდია, ვიდრე საქართველოს ეკონომიკის გავლენა მსოფლიო მეურნეობაზე. თუ რამე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე 2012 წელს, წინა წელთან შედარებით, დაახლოებით 300 დოლარზე მეტით გაიზრდება და დაეძლევთ ერთ სულ მოსახლეზე წარმოებული მთლიანი პროდუქტის საშუალო მსოფლიო დონის 50-პროცენტიან ზღვარს."[1]

სომხეთის პრეზიდენტმა სერჟ სარგსიანმა საკუთარ ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური პროცესები შეაფასა და ქართულ კომპანიებს სომხეთში ინვესტირებისაკენ მოუწოდა:

„საქართველოს და სომხეთის ეკონომიკა ჰგავს ერთმანეთს. ჩვენ არ გვაქვს ბუნებრივი რესურსები და წარმატებას ეფექტური მართვით უნდა მივაღწიოთ. სომხეთში მშპ მომავალ წელს 5

პროცენტით გაიზრდება, ხოლო ეკონომიკა 11–12 პროცენტით. მე მინდა დამსწრე აუდიტორიას ვუთხრა, რომ სომხეთი საქართველოში ინვესტიციების ჩადებას აპირებს, რაც ჩვენს კომპანიებს მეტ მოგებას მოუტანს. გვინდა, რომ ქართული კაპიტალიც შემოვიდეს სომხეთში. თუ სომხეთში ქართულ ბიზნესს პრობლემები შეექმნება, ჩემს აპარატს მომართეთ. ჩვენ პატარა ქვეყანა ვართ და რიგ სფეროებში წესრიგი ვერ დავამყარეთ,"– აღნიშნა სარგსიანმა.[2]

ქართულ ბაზარზე სომხური ინვესტიციები 2010 წლიდან იზრდება. სტატისტიკის თანახმად, ამ წელს საქართველოში ბიზნესი 103–მა სომხურმა კომპანიამ დაიწყო. 2011 წელს ეს მაჩვენებელი 107–მდე გაიზარდა. საინფორმაცია სააგენტო "რეგნუმის" ცნობით, ოთხი ათასამდე ბიზნესმენმა სომხეთიდან საქართველოში გადასვლა არჩია. მიზეზად სააგენტო საქართველოში არსებულ უკეთეს ბიზნესგარემოს ასახელებს.

„ამ ქვეყანაში ნორმალურად მუშაობს კანონი და მუშაობისთვის უკეთესი პირობებია შექმნილი,"– ნათქვამია „რეგნუმის" პუბლიკაციაში. 2011 წელს საქართველოში ტურიზმის სექტორში შემოსული სომხური ინვესტიციების მოცულობამ 300 მლნ. დოლარი შეადგინა, ამის შესახებ ანალიტიკური ცენტრის "ალტერნატივას" დირექტორი ტატული მანსერიანი აცხადებს. მისი განცხადებით, ტურისტული სეზონის პერიოდში თანხა 100 მლნ. დოლარს აღწევს და ამას ემატება ინვესტიციები ტურისტულ ინფრასტრუქტურაში. სომეხი ბიზნესმენების ინტერესს საქართველოს საინვესტიციო გარემოსადმი მანსერიანი ქვეყანაში განხორციელებულ რეფორმებს უკავშირებს.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრი ვერა ქობალია ბიზნეს-ფორუმზე საქართველოს და სომხეთის პირველი პირების მისვლას ორ ქვეყანას შორის პოლიტიკურ და ეკონომიკურ მჭიდრო ურთიერთობებს უკავშირებს.

„ჩვენს ქვეყნებს შორის სავაჭრო ბრუნვა ყოველწლიურად იზრდება. მიმდინარე წლის ათი თვის მონაცემებით, საქართველოდან სომხეთში 185 მილიონი დოლარის ექსპორტი განხორციელდა. ვფიქრობ, რომ ეს ფორუმი სომხურ კომპანიებს საქართველოში კიდევ უფრო მეტი ინვესტიციის ჩადების ინტერესს გაუჩენს," - აცხადებს ვ. ქობალია. მან სომხურ კომპანიებს საქართველოს სოფლის მეურნეობაში, ტრანსპორტის სფეროში, ტურიზმსა და ენერგეტიკაში ინვესტიციების ჩადებისკენ მოუწოდა.

საქართველოდან სომხეთში შედის: მზესუმზირის თესლი, ყურძენი, ხორბალი, სიმინდი, სასუქი, მედიკამენტები და სხვადასხვა კატეგორიის საკვები პროდუქტები. სომხეთში წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციიდან კი საქართველოში ადრეული კარტოფილი და კარტოფილის თესლი, კომბოსტო, გარგარი, ატამი, ყურძენი, რძის პროდუქტები და ხორცი შემოდის. სომხეთი და საქართველო მსხვილი სავაჭრო პარტნიორები არ არიან (საქართველოს საგარეო ვაჭრობაში სომხეთის წილად 3 პროცენტი მოდის), მაგრამ ორ მეზობელ ქვეყანას და ტრადიციულ სავაჭრო პარტნიორს შორის ვაჭრობის განვითარებას ბიზნესის წარმომადგენლები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ.

1991 წლიდან მოყოლებული დღემდე, სომხეთის ეკონომიკა წელიწადში საშუალოდ 5.5%-ით იზრდება. ბოლო 5 წლის მანძილზე ამ ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპმა სტაბილურად მაღალ, ორნიშნა ციფრს მიაღწია - 12.5%. ამგვარი მაჩვენებლები უყურადღებოდ არ დარჩენიათ იმ საერთაშორისო ორგანიზაციებს (World bank, EBRD, IMF),რომელთა წარმომადგენლობები აქტიურად მუშაობს გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში.

მსოფლიო ბანკის წამყვანი ეკონომისტი ს.მინტრა 2007 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში, სომხეთის ბოლოდროინდელ მაკროეკონომიკურ წარმატებას ვეფხვის ფენომენის გამეორებად მიიჩნევს და სომხეთს „კავკასიურ ვეფხვს" უწოდებს. მისი აზრით, სომხეთის ეკონომიკის სასწაული ისაა, რომ ამ მცირე ქვეყანამ, რომელსაც არც ნავთობის რესურსი აქვს (მისი მეზობელი აზერბაიჯანის მსგავსად) და არც პოლიტიკური თუ ეკონომიკური პრობლემების ნაკლებობას განიცდის, მაინც მონახა სწრაფი განვითარების გზა.

მიუხედავად ასეთი ხმამაღალი შეფასებისა, არც მინტრას ნაშრომი და არც სომხეთის მოსახლეობა არ არის ოპტიმისტურად განწყობილი ქვეყნის მომავლის პროგნოზირებისას: როდესაც ქვეყანა ჯერ კიდევ დაბალგანვითარებული სახელმწიფოების კატეგორიაში შედის ($1,500 შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე), მხოლოდ ეკონომიკური ზრდის ტემპი არაფრის მომცემია. დღესდღეობით, სომხეთში კორუფციის დონე მაღალია და თავისუფალი ბიზნესი სუსტადაა განვითარებული. ეს ფაქტორები ქვეყნის შემდგომ წინსვლას მნიშვნელოვნად აფერხებს. ამიტომაა საჭიროა ისეთი რეფორმების გატარება, რომლებიც ქვეყანას ეკონომიკური წარმატების შენარჩუნებაში დაეხმარება.

მიუხედავად აზერბაიჯანთან მოუგვარებელი კონფლიქტისა, 1994 წლიდან მოყოლებული - როდესაც მხარეებს შორის ცეცხლი შეწყდა - სომხეთში მშვიდობა დამყარდა და ქვეყანას

სამუალება მიეცა, ეკონომიკური კრიზისიდან თავის დაღწევის გზები მოეძებნა.

დღეს სომხეთში განვითარებულია ეკონომიკის ისეთი სფეროები, რომლებიც ნაკლები რაოდენობის წარმოების ფაქტორებს საჭიროებს. მრეწველობის სფერო, საბჭოთა პერიოდთან შედარებით, 45%-დან 20%-მდე შემცირდა და სომხეთის დღევანდელი ეკონომიკის ერთ-ერთ უმცირეს დარგად იქცა. სანაცვლოდ, განვითარდა მომსახურების სფერო (მშპ-ს 37%), სოფლის მეურნეობა (მშპ-ს 24%) და სამშენებლო სექტორი, რომელმაც, ბოლო წლის მაჩვენებლით, სომხეთის ისტორიაში უპრეცედენტოდ მაღალ მშპ-ს - 21%-ს - მიაღწია.

დასაქმების შესახებ მონაცემებიც მსგავს სურათს იძლევა. გამონაკლისია მშენებლობა (სრული დასაქმების 5%). მიუხედავად იმისა, რომ ბოლო 7 წლის განმავლობაში ამ სექტორის წილი მშპ-ში მნიშვნელოვნად გაიზარდა, ამას არ მოჰყვა მშენებლობაში დასაქმების შესაბამისი მატება (საშუალოდ 0.4 % წლიურად). ამ რეალობის ერთ-ერთ მიზეზად ის ფაქტი სახელდება, რომ მშენებლობაზე დასაქმებულ მუშათა უმრავლესობა არ არის ოფიციალურად გაფორმებული დამქირავებლის მიერ, რაც - დაბალი ანაზღაურების პირობებში - მათ საშუალებას აძლევს, საშემოსავლო გადასახადს თავი აარიდონ.

ცხრილი 1.

**დასაქმების დინამიკა ეკონომიკის სექტორების მიხედვით**

| დარგები | 1990 | 1995 | 2000 | 2005 |
|---|---|---|---|---|
| სოფლის მეურნეობა | 17.4% | 37.4% | 44.4% | 45% |
| მომსახურება | 40.6% | 37.0% | 37.9% | 39% |
| მრეწველობა | 30.4% | 20.5% | 14.1% | 11% |
| მშენებლობა | 11.6% | 5.1% | 3.6% | 5% |

სოფლის მეურნეობა კვლავაც რჩება სომხეთის დღევანდელი ეკონომიკის დომინანტ ინდუსტრიად, სადაც მოსახლეობის ყველაზე დიდი ნაწილი, 45%-ია დასაქმებული (ცხრილი 1). [3]

მიუხედავად იმისა, რომ დღესდღეობით სომხეთში მხოლოდ 15-მდე მსხვილი უცხოელი ინვესტორია წარმოდგენილი, მათ მიერ ბოლო ათი წლის მანძილზე განხორციელებულმა ინვესტიციებმა ქვეყნის ეკონომიკას მნიშვნელოვანი უპირატესობები შესძინა.

აზერბაიჯანული ბიზნესის ინვესტიციამ საქართველოში, 500 მილიონ დოლარზე მეტი შეადგინა. მართალია, ქართული კაპიტალდაბანდება აზერბაიჯანში ჯერჯერობით მცირეა, მაგრამ ამის გამოსწორება იგეგმება. გასულ წელს, საქართველოში, 2 მილიონი ტურისტი იმყოფებოდა, აქედან აზერბაიჯანელი 498 ათასი გახლდათ. ძირითადი დატვირთვა შავი ზღვისპირა კურორტებზე მოდიოდა, განსაკუთრებით აჭარის რეგიონზე.

აზერბაიჯანის ეკონომიკის მინისტრის შაჰინ მუსტაფაევის შეფასებით, საქართველო აზერბაიჯანისთვის საინტერესო ეკონომიკური პარტნიორია:

„ჩვენ გვაქვს საქართველოსთან საკმაოდ მნიშვნელოვანი პროექტი – „ბაქო-თბილისი ჯეიჰანი", რომლის მეშვეობითაც ჩვენი ნავთობი ევროპის ბაზარზე ხვდება. საქართველოში 272 აზერბაიჯანელი ბიზნესმენი საქმიანობს. მათ ქვეყანაში 7 ათასი სამუშაო ადგილი შექმნეს. გვაქვს ახალი პროექტები, რაც დამატებით სამუშაო ადგილებს შექმნის."[4]

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. http://www.european.ge იოსებ არჩვაძე„ფასებით აშშ-ს უკვე ვუსწრებთ,ხელფასებით კი..."(ნახვის თარიღი :28.02.2012)

2. http://www.netgazeti.ge ნინო ნატროშვილი: „სერჟ სარგსიანი ქართულ კაპიტალს სომხეთში ეპატიჟება". (ნახვის თარიღი 01.03.2012)

3. http://www.nplg.gov.ge „სომხეთი: გუშინ, დღეს, ხვალ... "(ნახვის თარიღი 29.02.2012)

4. http://www.netgazeti.ge ნინო ნატროშვილი: „თურქულ-აზერბაიჯანული ბიზნესცენტრი თბილისში."(ნახვის თარიღი 02.03.2012)

# საინტერესო გამოკვლევა კავკასიის რეგიონზე




2011 წელს ნიუ-იორკში გამოვიდა კრებული **„კავკასიის რეგიონი, ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარება"** (The Caucasus Region, Economical and Political Developments) ბრედლი რაიანის (Bradley C. Ryan) რედაქტორობით, სადაც განხილულია კავკასიის ქვეყნების საქართველოს, აზერბაიჯანისა და სასომხეთის ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა, მათი განვითარება პოსტკომუნისტურ პერიოდში.

წიგნი ძირითადად შედგენილია ქართველი, აზერბაიჯანელი და სომეხი ავტორების სტატიებით. ყურადღებას იპყრობს ქართველი მეცნიერ-ეკონომისტების - პროფესორ **ვლადიმერ პაპავასა** და პროფესორ **როზეტა ასათიანის** სტატიები. პროფესორი ვლადიმერ პაპავა თავის შრომაში - **„ვარდების რევოლუციის ანატომიური პათოლოგია საქართველოში"**, - განიხილავს 'ვარდების რევოლუციის" შემდგომ პერიოდში ხელისუფლების მიერ გატარებულ რეფორმებს, მათ დადებით და უარყოფით მხარეებს.

პროფესორი როზეტა ასათიანი თავის შრომაში, - **„კავკასიისა და საქართველოს ეკონომიკა: წარსული, აწმყო, მომავალი"**, - განიხილავს საქართველოს ისტორიულ და ეკონომიკურ წარსულს დასაბამიდან დღემდე, მათ შორის საბჭოთა კავშირის შემადგენლობისა და მისი დაშლის შემდეგ, დამოუკიდებელი საქართველოს განვითარების თავისებურებებს, მის პოზიტიურ და ნეგატიურ მხარეებს, განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს მის მომავალზე.

ჟურნალი მიესალმება ჩვენი მკითხველისათვის მეტად საინტერესო თემაზე აშშ-ში გამოცემულ წიგნში ქართველი ეკონომისტების მონაწილეობას და კვლავაც წარმატებებს უსურვებს მათ.

ჟურნალ „ახალი ეკონომისტის" რედაქცია

# ქართული ეკონომიკური აზრის ისტორიაში ახალი მოვლენის დამკვიდრება

სოლომონ პაველიაშვილის წიგნის **"ინფლაციური ზიგზაგები პოსტ-საბჭოთა საქართველოში"** გამო




ქართული ეკონომიკური აზრის ისტორია არსებობს ქართველის მიერ სამეურნეო-კულტურული საქმიანობის ზეპირი, თუ წერილობითი ფორმით ასახვის დღიდან. ეკონომიკური აზრის კონკრეტული შემთხვევაა ეკონომიკური თეორია, ან სხვა ეკონომიკური მეცნიერებები. შესაბამისად, ეკონომიკური აზრის ისტორია მოცულობით მოიცავს ეკონომიკურ მეცნიერებათა ისტორიას. თუ ეკონომიკური (ისე როგორც სხვა სოციალური სფეროს) აზრის ისტორია შეიძლება იყოს ეროვნული ფენომენი, ეკონომიკური მეცნიერების ისტორია ვერ თავსდება ეროვნულ საზღვრებში. ის შეიძლება მოთავსდეს მხოლოდ სახელმწიფოებრივ (სივრცობლივ) საზღვრებში. სწორია 'ეკონომიკური მეცნიერებები საქართველოში" და არასწორია "ქართული ეკონომიკური მეცნიერებები". ამ დროს აბსოლუტურად სწორია გამოთქმა "ქართული ეკონომიკური აზრი". ორთავე შეიძლება მოათავსო ერთნაირად ისტორიულ საზღვრებში. ქართველის ან სხვა ეროვნების ავტორის ნაშრომი, რომელიც შესრულებულია საქართველოში ნებისმიერ ენაზე,

წარმოადგენს საქართველოში იმ მეცნიერების ისტორიის სამსჯავროს, რომლის კვლევის ობიექტშიცაა მოქცეული ეს ნაშრომი. ვთქვათ, წარმოადგენს საქართველოში ეკონომიკურ მეცნიერების ისტორიის კვლევის საგანს. ამასთან, მხოლოდ ქართულ ენაზე შესრულებული ნაშრომია ქართული ეკონომიკური აზრის ისტორიის კუთვნილება. სხვა ენაზე შესრულებული ნაშრომი იმ აზრის ისტორიას ქმნის რა ენაზეცაა დაწერილი. ქართულად შესრულებული ნაშრომი მსოფლიოს ნებისმიერ ადგილას და ნებისმიერი ერის წარმომადგენლის მიერ წარმოადგენს ქართული ეკონომიკური აზრის ისტორიის კუთვნილებას. ქართველის მიერ სხვა ენაზე გამოცემული ნაშრომი საქართველოში, თუ საქართველოს გარეთ ავითარებს იმ ქვეყნებში მეცნიერებას, სადაც გამოცემის ენაა გაბატონებული. ნათქვამიდან გამომდინარე ყველა ქართული გამოცემა, მათ შორის თარგმანები ქართულ ენაზე საქართველოში, თუ მის ფარგლებს გარეთ, ავითარებს ქართულ ეკონომიკურ აზროვნებას, ქმნის აუცილებელ, თუმცა არასაკმარის პირობას ეკონომიკური მეცნიერების განვითარების მაღალი დონისათვის საქართველოში. ქართულ ენაზე ლიტერატურა და შემოქმედება საშუალებას აძლევს ქართველებს მშობლიურ ენაზე ჩაერთონ მეცნიერების შესწავლასა და განვითარებაში და ამით გააძლიერონ მსოფლიოს მკვლევართა წრეები. საქართველოში მეცნიერება შეიძლება განვითარდეს უცხო ენაზე და ქართველების მიერ, ან მათ გარეშე. ასეთ შემთხვევაში ეკონომიკურ მეცნიერებას ვერ ექნება სრულფასოვანი შესაძლებლობები ეკონომიკის კანონზომიერებების საქართველოში განვითარების თავისებურებები დაადგინოს და მისი რეკომენდაციები საქართველოში ეკონომიკური სტრატეგიისა და ტაქტიკისათვის აღმოჩნდება უნიადაგო - ხშირად არა მარტო უსარგებლო, არამედ საზიანოც. ამიტომ, საუკეთესო შემთხვევაა, როდესაც საქართველოში ეკონომიკური მეცნიერების განვითარება ეყრდნობა მსოფლიო მიღწევებს, ხდება საუკეთესო ნაშრომების ქართულად თარგმნა და სამეცნიერო კადრებს საშუალება აქვთ მეცნიერების მსოფლიო მწვერვალებამდე გზა მშობლიურ ენაზე გაიკვალონ და თავისი ცოდნის რეალიზება მშობლიურ გარემოში მოახდინონ. ამასთან, საუკეთესო შემთხვევაში თვითონვე ახერხებენ უცხოურ ენაზე მიაწოდონ საკუთარი ნააზრები მკითხველს. საკითხისადმი ჩემი ხედვის თეზისური გადმოცემაც იმისთვის დამჭირდა აქ რომ მეჩვენებინა თუ რა მნიშვნელობა აქვს, როდესაც საქართველოში მცხოვრები ქართველი მეცნიერი უცხო ენაზე აქვეყნებს ნაშრომს.

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველოს ეკონომიკის შესახებ უცხოურ ენაზე გამოცემული მეცნიერული ნაშრომები ძალიან ცოტაა. ისინი ძირითადად დაკავშირებულია საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობასთან, ან სხვადასხვა პროექტებთან. ამ შრომებში, მათი კვლევის მიზნიდან გამომდინარე, ბევრი სპეციფიკური საკითხი საქართველოს ეკონომიკური სინამდვილიდან ვერ პოულობს ასახვას. ბევრ შემთხვევაში ნაკლი მოვლენების "შიგნიდან" დანახვის დეფიციტშია. ეს ხარვეზი ვერ ივსება ქართულ ენაზე არსებული შრომების მსოფლიო ენებზე თარგმანებით. მიზეზი აქ ისაა, რომ საქართველოს ეკონომიკა მსოფლიოში მეცნიერების წამყვანი ცენტრების ინტერესში ჯერ თითქმის არაა მოქცეული და არც ქართული ეკონომიკური აზრის განვითარება იძლევა ამ მიმართულებით დიდ მოტივაციას. ასეთ დროს, როგორც ეკონომისტები ვიტყვით ხოლმე, თუ არ არის მოთხოვნა, ის უნდა შევქმნათ მიწოდებით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გარღვევა ინგლისურენოვანი მიმართულებით. ქართველმა ავტორებმა სასურველია გამოსცენ წიგნები უცხო ენაზე, მათ შორის უპირველეს ყოვლისა ინგლისურად. კარგია, თუ ეს მოხდება საქართველოში, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია თუ ქართველი ავტორები დაარწმუნებენ უცხოურ გამოცემებს მათი შრომების გამოცემაში. ასეთ შემთხვევაში, ნაშრომი უმოკლესი გზით ხვდება მსოფლიო სამეცნიერო მიმოქცევაში. საქართველოში ეკონომიკის მეცნიერებებში სამწუხაროდ ცოტაა ახალგაზრდები, რომლებმაც განათლება დასავლეთში მიიღეს. ასეთი განათლების მქონეები ძირითადად მეცნიერებასთან შედარებით მატერიალურად უფრო უზრუნველყოფილ სფეროებშია დასაქმებული. ისინი ძალიან ინერტულები არიან თავიანთი აზრებისა და ანალიზის საჯარო გამოხატვაში. მიუხრდავად ამისა, ქართველმა ეკონომისტ-მეცნიერებმა "მომზადებული გონების" წყალობით მოკლე დროში შეძლეს ახალ რეალობებში ადაპტირება და დაიწყეს თავიანთი შრომების უცხოეთში გამოცემა.

აღსანიშნავია, რომ ბოლო რამდენიმე წელიწადში აშშ-ში თავიანთი მონოგრაფიები გამოსცეს პროფესორებმა მიხეილ თოქმაზიშვილმა, ირაკლი კოვზანაძემ, ვლადიმერ პაპავამ, ავთანდილ სილაგაძემ (უცხო ენაზე ბევრი სხვა გამოცემა განხორციელდა საქართველოში და უცხოეთში. განსაკუთრებით სამეცნიერო სტატიების სახით). ამ ჩამონათვალს შეემატა პროფესორ სულიკო

ს. პავლიაშვილის წიგნი სათაურით "ინფლაციური ზიგზაგები პოსტკომუნისტურ საქართველოში". ის საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ავთანდილ სილაგაძის რედაქტორობით გამოიცა 2011 წლის ბოლოს სან-ფრანცისკოში(აშშ).[1] ქართველი მეცნიერების ნააზრევის უშუალოდ წარდგენა ინგლისურენოვანი დაინტერესებული მკითხველისათვის უშუალოდ "მოვლენათა ეპიცენტრიდან". ამ შემთხვევაში უკვე "შიგნიდან" დანახული სინამდვილე პირველი ხელიდან მიეწოდება ფართო-მსოფლიო საზოგადოებას. აქ ჩნდება ახალი პრობლემა. ხომ არ მოხდება ისე, რომ დასაელეთი ამ ავტორის პოზიციით დაინახავს საქრთველოს სინამდვილეს, მაშინ როდესაც ამასთან დაკავშირებით არსებობს სხვა აზრი საქართველოში და რომელსაც არ აქვს საშუალება ადექვატურად უპასუხოს, გამოეხმაუროს ავტორს. ეს რომ არ მოხდეს, საჭიროა მეცნიერული კრიტიკის განვითარება. პრინციპული უთანხმოების შემთხვევაში სამეცნიერო გამოცემებში შეიძლება მოხდეს ინგლისურ-ქართული განხილვები. საუკეთესო შემთხვევაა, თუ უცხოეთში გამოცემული ნაშრომის ქართული ვერსია გამოქვეყნდება. ასეთ შემთხვევაში, ქართული საზოგადოება სრულად ჩაერთვება პროცესში. იმედია, ს. პავლიაშვილი გამოსცემს დასახელებული ნაშრომის ქართულ ვერსიას.

აშშ-ში მონოგრაფიის გამოცემას დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოშისამეცნიერო სტილის დასადგენად. იმის მიხედვით თუ როგორი გამოხმაურება ექნება აღნიშნულ ნაშრომს მსოფლიო ეკონომიკურ საზოგადოებაში, ქართველი მკვლევარები აიღებენ ორიენტირებს თავიანთი საქმიანობის დროს. ასეთ გამოხმაურებებს დიდი შემეცნებითი დატვირთვა ექნებათ. ს. პავლიაშვილის ნაშრომს ამ მხრივ ერთგვარი ტესტის როლის შესრულება მოუწევს. საინტერესოა როგორ აღიქვამს კრიტიკა ავტორის მიერ ეკონომიკის ზოგადთეორიული საკითხების კვლევაში "შეჭრას"; როგორი იქნება რეაქცია ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში დამკვიდრებულ წესთან, როდესაც თითქოს "საყოველთაოდ" ცნობილი აზრების, ან ფაქტების წყაროს მითითება არ ხდება.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი უცხოელი საზოგადოებისათვის, ალბათ იქნება უშუალოდ საქართველოსთან დაკავშირებული ისეთი საკითხები, როგორიცაა საქართველოში ტრანსფორმაციული კრიზისი, ჰიპერინფლაცია, ინფლაციის თარგეთირება, ინფლაციური პროცესები მსოფლიო კრიზისის პერიოდში.

ს. პავლიაშვილის წიგნის გამოცემა აშშ-ში ეს არის სრულიად ახალი მოვლენის დამკვიდრება ქართულ ეკონომიკურ გარემოში. ის მისასალმებელი და სასიხარულოა. ეს მოვლენა განსაკუთრებულია არა მარტო იმით, რომ საქართველოს შესახებ ინგლისურენოვანი მკითხველი გაიგებს ბევრი მოვლენის შესახებ ქართველი ავტორისაგან (მათ შორის ეკონომიკაში წარმოუდგენელი მონოპოლიზაციის შესახებ), არამედ იმითაც, რომ ეს წიგნი მისი არსებობით ქმნის გარკვეულ მოლოდინს ქართულ ეკონომიკურ საზოგადოებაში. ამ უკანასკნელს აინტერესებს წიგნის ბედი მსოფლიო ეკონომიკური ლიტერატურის ისტორიაში. კარგი ბედი ამ შემთხვევაში წიგნისადმი ინტერესია. წიგნი საინტერესოა და მისდამი ინტერესი გარდაუვალია.

**მიხეილ ჯიბუტი**

პროფესორი

1 Solomon Pavliashvili. Zigzags of inflation in post-soviet Georgia. Academy Press. San Francisco. Sacramento. Nice. Sillicon Valley. Mountain View. Palo Alto. CA USA. 2011. 133p.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პროფესორ თეიმურაზ შენგელიას წიგნი - "საერთაშორისო მენეჯმენტი."



დღევანდელი ეკონომიკური ინტეგრაციის პირობებში, კომუნიკაციის საშუალებების განვითარების კვალდაკვალ, ბიზნესი ვერ ეტევა და არც უნდა ჩაეტიოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ჩარჩოებში და სულ უფრო მეტად საერთაშორისო ხდება, რასაც ეკონომიკური წინსვლისთვის უთუოდ დადებითი შედეგები მოაქვს. შესაბამისად საქართველოს ბიზნესიც სულ უფრო მეტად იჭრება საერთაშორისო ასპარეზზე. უკვე კარგა ხანია ბიზნესმა მოიცვა მეზობელი სახელმწიფოები და ისეთ შორეულ სახელმწიფოებშიც კი შეაღწია, როგორებიცაა ჩინეთი, აშშ, ინგლისი, გერმანია და სხვა. ამავე დროს ბიზნესში ინტეგრაციული პროცესების განვითარებას კიდევ უფრო ახალისებს საერთაშორისო ინფორმაციული ქსელები.

ბიზნესის ინტეგრაციულობის ფონზე კიდევ უფრო მწვავდება კონკურენცია, რომელშიც გამარჯვების ერთ-ერთი მთავარი პირობა საერთაშორისო მენეჯმენტის თეორიისა და შესაბამისი პრაქტიკული ჩვევების ათვისებაა ქართველი ბიზნეს-მენეჯერების მიერ. ამასთან ერთად, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად საქართველოში მზადდება ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამის სხვადასხვა საფეხურის სტუდენტები, რაც აუცილებლად მოითხოვს საერთაშორისო მენეჯმენტში განსწავლულობას.

ყოველივე ზემოთქმული მიუთითებს სარეცენზიო წიგნის აქტუალურობაზე.

წიგნის ავტორი ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი, კათედრის ხელმძღვანელი თეიმურაზ შენგელია ღრმად განსწავლული მეცნიერ-ეკონომისტია. იგი განსაკუთრებით ნაყოფიერად მოღვაწეობს ბიზნესისა და მენეჯმენტის ისეთ აქტუალურ სფეროებში, როგორებიცაა საერთაშორისო ბიზნესი, საერთაშორისო მენეჯმენტი და მარკეტინგი, ეკონომიკური გლობალიზაციის აქტუალური საკითხები და ა.შ. ამიტომ, არ ყოფილა მოულოდნელი ბ-ნი თეიმურაზისაგან ისეთი აქტუალური საკითხის დამუშავება, როგორიც წარმოდგენილი წიგნია –"საერთაშორისო მენეჯმენტი". წიგნი საკმაოდ მოცულობითია, მოზრდილი ფორმატის 700 გვერდს აღემატება და წარმოადგენს განსახილველ სფეროში უახლოეს მეცნიერულ მიღწევათა წარმატებით გადმოცემის დასტურს.

წიგნი სტრუქტურულად ისეა აწყობილი, რომ მკითხველს რაც შეიძლება მაქსიმალურად გაუადვილდეს მასალის ათვისება. ამიტომ იგი იწყება "საერთაშორისო ბიზნესის" და "საერთაშორისო მენეჯმენტის" რაობის ახსნით, მისი მნიშვნელობის წარმოჩენით და საკითხის აქტუალურობის დასაბუთებით. ავტორი ისტორიულ ჭრილში განიხილავს ეკონომიკური განვითარების ეტაპებს და მკითხველი ბუნებრივად, თავისთავად მიჰყავს საეთაშორისო მენეჯმენტის პრობლემატური საკითხებით დაინტერესებისაკენ. შესავალშივე იმდენად გიტაცებს საერთაშორისო ბიზნესის და მენეჯმენტის ავტორისეული შინაარსის გადმოცემა, რომ მკითხველს ერთი სული აქვს რაც შეიძლება დაწვრილებით და ღრმად გაეცნოს წიგნის ძირითად ნაწილში განხილულ საკითხებს. პირველ ნაწილში განიხილება რა "საერთაშორისო მენეჯმენტი გლობალურ დონეზე", რაც ოთხი თავითაა წარმოდგენილი, თანდათანობით ერკვევი გლობალური მენეჯმენტის "ონტოლოგიურ" არსში, ერთის მხრივ განიცდი მიღებული ცოდნისგან კმაყოფილებას და მეორეს მხრივ გიღრმავდება ინტერესი "საერთაშორისო გარემოში ეფექტიანი ურთიერთობის" გზების და მეთოდების მიმართ, რასაც უკვე წიგნის მეორე ნაწილი ეთმობა და ა.შ. მკითხველი ცდილობს რაც შეიძლება ღრმად გაითავისოს წაკითხული, დაფიქრდეს მასზე, შეაფასოს იგი, ზოგჯერ კრიტიკულადაც და შეეცადოს წამოჭრილი საკითხების გადაწყვეტას მომდევნო თავებში. ერთი სიტყვით წიგნის ცალკეული ნაწილები დიალექტურ კავშირშია, მისი საუკეთესო გაგებით.

საერთაშორისო მენეჯმენტზე მრავალ ცნობილ მკვლევარს აქვს წიგნები გამოშვებული, მაგალითად რიჩარდ მეადს, პაულ ნ. გოლდერჩამს, ელენ დერესკის, დევიდ ალსტრომს და ა.შ., მაგრამ ძნელია მოიძებნოს რომელიმე წიგნი, რომელიც ასეთი ინტერესით იკითხებოდეს. გამორჩეულია წიგნის სტრუქტურაც, რაც უდაოდ მისი სტრუქტურული აგებულების წარმატებული მცდელობაა.

ავტორი, პროფესორი თ. შენგელია ახერხებს არა მარტო განიხილოს საერთაშორისო მენეჯმენტში არსებული მდგომარეობა და მოახდინოს მისი კონსტანტაცია, არამედ მეცნიერულად გაიაზროს მენეჯმენტის აქტუალური საკითხები, გამოყოს პრობლემები და შემოგთავაზოს მისი გადაჭრის მიმართულებები გამოჩენილ მკვლევართა ნააზრევის საფუძველზე, ამასთან შემოგვთავაზოს პრობლემის თავისებური გადაჭრის გზები. თითქოს შეფარვით, ისე, რომ არ დაირღვეს დიალექტიკური ერთობა, გვთავაზობს საერთაშორისო მენეჯმენტის წარმართვის შეფასების სისტემებს და შესაბამის პრაქტიკულ ფორმებს. ამავე დროს ავტორი გვერდს არ უვლის სადისკუსიო საკითხებს, პირიქით – იგი მოვლენათა ეპიცენტრში გაქცევს და გთავაზობს თვითონ მოიფიქრო, რომელიმე კონკრეტულ რთულ სიტუაციაში, გამოსავლის გზები. ამით ადამიანის, მენეჯერის გონება ერთგვარ ვარჯიშს განიცდის, იგი ეჩვევა პრობლემურ სიტუაციაში რაციონალური გზის ძიების პროცესს და ბოლოს თავს გრძნობ საერთაშორისო მენეჯმენტის ურთულეს საკითხებში განსწავლულ პიროვნებად, თუმცა ერთ იმას ივიწყებ, რომ ცოდნის გაღრმავებასთან ერთად სულ უფრო და უფრო მეტი შეუცნობადი სამყარო იშლება შენს წინაშე და ცდილობ მის შემეცნებას კიდევ უფრო დიდი ინტენსივობით.

სარეცენზიო წიგნი უპირველესად განკუთვნილია ბაკალავრიატის და მაგისტრატურის სტუდენტებისათვის, თუმცა ჩვენი აზრით იგი დიდ დაინტერესებას გამოიწვევს იმ მენეჯერებში, რომელთა ბიზნესიც საერთაშორისო ურთიერთობებს უკავშირდება და იმ მეცნიერ-მუშაკებში, რომელთა ინტერესების სფეროა ეკონომიკა და ბიზნესია.

სოლომონ პავლიაშვილი,
ბელა ტყეშელაშვილი,
სტუ-ს ეკონომიკისა და ორგანიზაციის მიმართულების
სრული პროფესორები



# ახალი ნაშრომი ეკონომიკური კონკურენციის პრობლემებზე




განვითარების თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებით აქტუალურია ეკონომიკური პრობლემების კვლევა და ანალიზი - ეკონომიკური მოვლენების ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ ჭრილში შესწავლა-შეფასება, თეორიული მიდგომების შემუშავება, მოვლენებს შორის ლოგიკური კავშირების გამოვლენა. წარმატებული ეკონომიკური კვლევებით შესაძლებელია მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა კონკრეტულ კომპანიებში მაღალი ეკონომიკური შედეგების მიღწევასა და სამეცნიერო კადრების აღზრდაში.

დღევანდელ მწვავე კონკურენციულ გარემოში პირველხარისხოვანია ისეთი პრობლემის კვლევა, როგორიცაა კონკურენცია, კონკურენციული პოლიტიკა და მისი რეგულირება. მით უფრო, რომ ქვეყანაში მიმდინარე ცვლილებების ფონზე კონკურენციული პოლიტიკის ასპექტები, ბაზრების კვლევა, მასში დომინირებული მდგომარეობის გამოვლენა, დემონოპოლიზაციის განხორციელების თეორიული და პრაქტიკული საკითხები კომპლექსურად გააზრებასა და კვლევას მოითხოვს.

ეკონომიკაში არსებული ნებისმიერი პრობლემის კვლევა სიღრმისეულ მიდგომებს, თეორიული ცოდნის პრაქტიკულ გამოცდილებასთან შერწყმასა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას მოითხოვს. კონკურენციის რთულ სფეროში წარმატებული კვლევა მხოლოდ ისეთ მეცნიერს შეუძლია, ვინც ღრმად განსწავლულია ეკონომიკური კონკურენციის თეორიაში, გამორჩეულია მეცნიერული ხედვებითა და პრობლემების პრაქტიკულად შეფასების სათანადო უნარ-ჩვევებით. მკვლევარ ეკონომისტთა საზოგადოებაში ასეთ მეცნიერთა რანგში გვევლინებიან პროფესორები სლავა ფეტელავა და შალვა გოგიაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროფესორების სლავა ფეტელავასა და შალვა გოგიაშვილის მიერ მომზადებული სახელმძღვანელო „ეკონომიკური კონკურენცია“ შესრულებულია სამეცნიერო და სასწავლო სფეროებში არსებული მაღალი მოთხოვნების შესაბამისად. ავტორებს გააჩნიათ კონკურენციის სფეროში მუშაობის როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული გამოცდილება, ამ მიმართულებით გამოქვეყნებული აქვთ არაერთი სამეცნიერო ნაშრომი და სახელმძღვანელო. ამდენად, შესრულებული ნაშრომი მრავალწლიანი და დიდი გამოცდილების შედეგია.

სახელმძღვანელოში განხილულია კონკურენციის პოლიტიკისა და რეგულირების საერთაშორისო ასპექტები, თეორიული მიდგომები, საკანონმდებლო რეგულირება, ანტიკონკურენტული პრაქტიკა, შეთანხმებათა სხვადასხვა ტიპები, დომინირებული მდგომარეობების ანალიზი, ბაზარზე შეღწევის ბარიერები, საფასო დისკრიმინაციის ტიპები, გაანალიზებულია გაერთიანებაზე კონტროლის დაწესების მიზეზები, კონკურენციის შემზღუდავი ბარიერების აღმოფხვრის პრინციპები,ევროკავშირში მიღებული საკონკურენციო ნორმების მონიტორინგის პროცედურების გავრცელება რეგიონულ ორგანოებზე, წარმოდგენილია ადმინისტრაციული ორგანო, მისი სტრუქტურა, ფუნქციები, უფლებამოსილება და მათ მიერ გამოძიების ჩატარების პროცედურები.

ნაშრომში დიდი ადგილი აქვს დათმობილი ისეთი საკითხების ანალიზს, როგორიცაა ბაზრები და სასაქონლო ბაზრებზე დომინირებული მდგომარეობა, მასში შესვლის ბარიერების შესწავლა. ავტორები განიხილავენ ჰორიზონტალურ შეთანხმებებს, კრიტიკულად აფასებენ მათ დადებით, უარყოფით მხარეებს და როლს კონკურენციის გაძლიერებაში. ასევე, ახსნილია ვერტიკალური შეზღუდვები და პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობები, გაანალიზებულია შემზღუდავი ფაქტორები, კონკურენციული ზემოქმედების ფორმები, შეფასებულია დემონოპოლიზაცია, მისი არსებობის დადებითი და უარყოფითი მხარეები; ახსნილია დემონოპოლიზაციის საკითხის გადაჭრისას საწარმოთა აქტივების გადანაწილების ეფექტიანი, ალტერნატიული გზები.

სახელმძღვანელოს თან ერთვის საკმაოდ მდიდარი დანართი, სადაც თავმოყრილია კონკურენციულ და ანტიმონოპოლიურ საკითხებთან დაკავშირებული ყველა იურიდიული დოკუმენტი და ნორმატიული აქტი.

ნაშრომი „ეკონომიკური კონკურენცია“ წარმოადგენს დასრულებულ სამეცნიერო-სასწავლო სახელმძღვანელოს, რომელშიც ლოგიკური თანმიმდევრობით გადმოცემულია კონკურენციის ეკონომიკური ასპექტები, მისი თეორიული საფუძვლები და პრაქტიკული მასალების ანალიზი. ავტორები თავიანთი მდიდარი გამოცდილებით მეტად მთამბეჭდავ და საყურადღებო პრობლემებზე ამახვილებენ ყურადღებას. წიგნი განკუთვნილია საზოგადოების ფართო წრისათვის და დაეხმარებას გაუწევს აღნიშნული საკითხებით დაინტერესებულ ნებისმიერ ადამიანს.

სახელმძღვანელოს გაცნობა კიდევ ერთხელ გვარწმუნებს იმაში, რომ იგი მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ეკონომიკის მონათესავე სფეროებში სამეცნიერო კვლევებისა და სასწავლო პროცესების წარმატებით წარმართვაში, როგორც მიკრო, მაკრო, ასევე მეგა ეკონომიკის მიმართულებით. ნაშრომი ასევე საინტერესოა ბიზნესის ადმინისტრირების თვალსაზრისითაც.

დღეს საქართველოსათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაღალკვალიფიციური ეკონომისტ-ანალიტიკოსების მომზადება, რომლებიც ეკონომიკისა და ბიზნესის კონცეფციების ცოდნის საფუძველზე შეძლებენ ბაზარზე არსებული პრობლემების განხილვას, სახელმწიფო პოლიტიკის მოდელების შერჩევას, ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირების კონცეფციებისა და მისი რეგულირების მეთოდების შეფასებას, საზოგადოებრივი პოლიტიკის პრობლემების ანალიზს. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ წარმოდგენილი სახელმძღვანელო დიდ დახმარებას გაუწევს სტუდენტებს მეთოდოლოგიური, თეორიული და პრაქტიკული საკითხების შეცნობასა და გამოყენებაში.

**ეთერ ხარაიშვილი**

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი მიკროეკონომიკის კათედრის ხელმძღვანელი

**მარინა ჩავლეიშვილი**

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

## უცხოეთის ეკონომიკური სიახლეები

### ფრანგულმა ტელეკომმა შვეიცარული ფიჭური სატელეფონო კავშირი გაყიდა

მოლაპარაკებების შედეგად, ფრანგული ტელეკომი დათანხმდა გარიგებას და შვეიცარული სატელეფონო კავშირი 1.6 მილიარდ ევროდ მიჰყიდა ლონდონურ ფირმა Apax Partners-ს.

გარიგებას, რომელიც უკვე მოწონებულია შვეიცარული მხარის მიერ, საბოლოოდ მომავალი წლის იანვრის პირველ რიცხვებში დასრულდება.

Apax-მ, მიმდინარე 2011 წელს, 20-ზე მეტი გარიგება დადო, მათ შორის, ყველაზე მნიშვნელოვანი 6.5 მილიარდ დოლარიანი შეთანხმებაა ამერიკულ კომპანია Kinetic Concepts-თან.

The New York Times http://www.nytimes.com

### ევროში გაცემული სესხების სარეკორდო პაკეტი

მიუხედავად ცენტრალური ბანკის მხარდაჭერისა, ევროპის ფინანსური კრიზისი საბანკო სისტემაზე მაინც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს. ამიტომ, ცენტრალურმა ბანკმა, საბანკო სექტორს შესთავაზა დამატებით აიღონ მისგან სესხი მათთვის სასურველი თანხითა და 3 წლის ვადით. აღნიშნული შეთავაზების პასუხად, ევროპის 523-მა ბანკმა - ბოლო 13 წლის მანძილზე ცენტრალური ბანკის მიერ ევროში გაცემული სესხების ყველაზე დიდი პაკეტი - 489 მილიარდი ევრო ისესხა.

The New York Times http://www.nytimes.com

### მყიდველები, მომხმარებლები, გაყიდვები

ამერიკის შეერთებულ შტატებში, მიმდინარე წლის ოქტომბრისა და ნოემბრის თვეებში, მომხმარებელთა მხრიდან გაწეული საკმაოდ დაბალი დანახარჯები, შობის მოახლოებამ მცირედით მაინც გაზარდა.

ე.წ. შავმა პარასკევმა, ანუ ტრადიციული საშობაო საყიდლების სეზონის გახსნამ წელსაც გრანდიოზული ფასდაკლებები შესთავაზა მყიდველებს. თუმცა, დაბალი ფასები მხოლოდ საახალწლო ციებ-ცხელების ბრალი არ ყოფილა. ზოგიერთი გამყიდველი უბრალოდ იძულებულები გახდა ფასი მნიშვნელოვნად შეემცირებინა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისედაც ნაკლებ დანახარჯზე ორიენტირებული მყიდველის გარეშე დარჩებოდა.

ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ ოჯახები ფულის ნაკლებად ხარჯვის პარალელურად სახლების შესყიდვითაც ინტერესდებოდნენ. შესაბამისად, ერთი ოჯახისთვის განკუთვნილი ახალი სახლების გაყიდვები ნოემბერში 1.6%-ით გაიზარდა და ბოლო 7 თვის მანძილზე ყველაზე მაღალ მაჩვენებელს მიაღწია.

The New York Times http://www.nytimes.com

### ინდოეთი "არასასურველ" ინფორმაციას ბლოკავს

ინდოეთში, კერძოდ ახალ დელიში, სასამართლომ დაადგინა, რომ სოციალური ქსელებიდან - Facebook, Google Inc, Yahoo Inc - ყველა არასასურველი, კერძოდ კი ანტირელიგიური და ანტისოციალური შინაარსის მატარებელი ინფორმაცია უნდა წაიშალოს.

სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება წაქეზებული იყო ინდოეთის მთავრობის სურვილით – ინტერნეტი გაეწმინდა „არასასურველი" ინფორმაციისგან, მათ შორის, რელიგიური ფოტოებისგან.

თავის მხრივ, ინტერნეტ კომპანიები არ ეთანხმებიან სასამართლოს ამ გადაწყვეტილებას და მთავრობას განუცხადეს, რომ მათ ინფორმაციის შინაარსის დაბლოკვა არ შეუძლიათ.

The Wall Street Journal www.wsj.com

### BMW-სა და Mercedes-ის დუელი

BMW AG და Mercedes – Benz ერთმანეთს იმის გასარკვევად ეჯიბრებიან, თუ რომელია ყველაზე გაყიდვადი მდიდრული მანქანა აშშ-ს ბაზარზე

ახალი ეკონომისტი

ორმა გერმანულმა, მდიდრული მანქანის ბრენდმა, ამ წელს უკან ჩამოიტოვა Toyota Motor Corp's Lexus, რომელიც 2000 წლიდან მოყოლებული ლიდერი იყო ამერიკაში მდიდრული მანქანების გაყიდვის ბაზარზე. ახლა კი BMW AG და Mercedes –Benz იბრძვიან მხარდამხარ ამ საამაყო ტიტულისთვის.

2011 წლის დეკემბრის მონაცემებით, BMW-მ ამერიკის ბაზარზე 221,073 მანქანა და სპორტული სარგებლობის გადასაზიდი საშუალება გაყიდა, რის შედეგადაც 12.3%-ით დაწინაურდა და მხოლოდ 1,582-ით გაასწრო Mercedes – Benz-ს, რომლის გაყიდვების მოცულობაც გასულ წელთან შედარებით 11.8%-ითაა გაზრდილი.

The Wall Street Journal www.wsj.com

## Apple საცალო გაყიდვების ბაზარზე

სტივ ჯობსი რომ Apple-ს მამოძრავებელი ძალა იყო, ამაზე არავინ დავობს. თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ ბოლო წლებში კომპანიის მოცულობის მნიშვნელოვანმა ზრდამ, გარკვეულწილად შეზღუდა ერთი ადამიანის ინდივიდუალიზმის გავლენა და ადრეული პერიოდისგან განსხვავებით, Apple, ჯობსზე შედარებით ნაკლებად დამოკიდებული გახდა.

სტივ ჯობსის სიკვდილით, კომპანიას უმნიშვნელოვანესი ადამიანი დააკლდა, თუმცა, ამ ტრაგედიის მიუხედავად, Apple ცდილობს ბაზარზე პოზიციები არ დათმოს.

Apple-ის პირველი საწყობი 2001 წელს გაიხსნა, დღეისათვის კი კომპანიას 368 საწყობი აქვს, რომელთა რაოდენობის გაზრდასაც ის მუდმივად ახორციელებს, რადგანაც თვლის რომ ეს საკმაოდ მომგებიანია.

The Wall Street Journal www.marketwatch.com

## მსოფლიო ეკონომიკა – აწმყო და მომავალი

ეკონომიკისა და ბიზნესის კვლევის ცენტრის უკანასკნელი (CEBR) მონაცემებით, მსოფლიო ეკონომიკაში აზიის ქვეყნები უფრო და უფრო ეითარდებიან, ხოლო ევროპის ქვეყნები კი ნელ-ნელა ლიდერობას თმობენ.

CEBR-ის ვარაუდით, 2016 წლისთვის დიდი ბრიტანეთის ეკონომიკა საფრანგეთისას წამოეწევა. 2012 წელს კი ევროს პრობლემის გადაწყვეტის შემთხვევაში ევროზონის ეკონომიკა 0.6%-ით შემცირდება, მისი გადაუჭრელობის შემთხვევაში - 2%-ით. დიდია იმის ალბათობაც, რომ ბრაზილიის ეკონომიკა დიდი ბრიტანეთისას წამოეწიოს.

რაც შეეხება უფრო გრძელვადიან პროგნოზებს, 2011 წელს მეათე ადგილზე მყოფი ინდოეთი 2020 წლისათვის მეხუთეზე ადგილზე გადაინაცვლებს. ამასთან, მეოთხე ადგილის მფლობელი გერმანია მეშვიდეზე, ხოლო მეშვიდე პოზიციის მქონე დიდი ბრიტანეთი – მერვეზე. რაც შეეხება მეხუთე ადგილოსან საფრანგეთს ის 2020 წლისათვის მეცხრე ადილზე აღმოჩნდება.

| CEBR - მსოფლიო ეკონომიკა | | |
|---|---|---|
| ადგილი | 2011წ. | 2020წ. (პროგნოზი) |
| 1 | აშშ | აშშ |
| 2 | ჩინეთი | ჩინეთი |
| 3 | იაპონია | იაპონია |
| 4 | გერმანია | რუსეთი |
| 5 | საფრანგეთი | ინდოეთი |
| 6 | ბრაზილია | ბრაზილია |
| 7 | დიდი ბრიტანეთი | გერმანია |
| 8 | იტალია | დიდი ბრიტანეთი |
| 9 | რუსეთი | საფრანგეთი |
| 10 | ინდოეთი | იტალია |

BBC www.bbc.co.uk

უცხოეთის ეკონომიკური სიახლეები, უცხოურ წყაროებზე დაყრდნობით მოამზადა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის III კურსის სტუდენტმა

თამთა შეთელავამ

# რეზიუმეები/SUMMARY

## TRANSPORT CORRIDOR OF GEORGIA AS THE SIGNIFICANT FACTOR OF INCREASING INTERNATIONAL INTEGRATION AND COMPETITIVENESS OF A NATIONAL ECONOMY

**SOLOMON PAVLIASHVILI**
Doctor of economics, full professor
Rector of the Tbilisi Teaching University
**BESARION KITSMARISHVILI**
Professor of the Tbilisi Teaching University

The geopolitical arrangement of Georgia in many respects assisted development of its competitive status in the modern world. In conditions of current global processes being on intersection of the Europe, Russia and Central Asia the Caucasian region has huge strategic value and there is a possibility of transformation of this advantage in a significant additional source of incomes for Georgia.

In article the transport corridor of Georgia is considered as the significant factor of integration and increase of competitiveness of economy. Shown it's value in conditions of modern globalization. The characteristic of some theoretical and practical features of competitiveness is given. There are considered significant parameters for last fifteen years both on oil pipelines, and on automobile, railway, air and marine transport.

Factors of progress of a competition admit: an openness of economy, growth of the transnational companies, globalization of a supply and demand, a deregulation of the markets, progress of high technologies.

It is shown, that such country as Georgia constantly should spend synchronization of the national legislation with the international legislation, thus to try to avoid at the most economic expansion and discrimination. In modern conditions the essence of the economic sovereignty of the state is expressed not in escalating economic power within the limits of own territory, but is much more important the adaptation to international economic integration and creation of institutions which will assist more and more close rapprochement with worldwide globalization.

## ECONOMIC DISCOMPORT INDEX: CONTENT AND APPLY VALUE

**JOSEPH ARCHVADZE**
Ph.D (Economy)

Economic macroeconomic stability, its sustainability toward the negative tendencies, is well depicted by Economic Discomfort Index, which is a total sum indicator of the level of inflation and unemployment rate. The use of this indicator in USA has almost four decade history, as to Georgia, in spite of the simplicity of the calculation it is not used yet.

It is expedient for every country to exist the verge meaning of economic discomfort index. According to the Author, for USA it is 7%, for Geogia-15%. In the last 14 years an average meaning of this index exceeded the level of 7% only by 1.385 percentages in USA and as to Georgia it exceeded the level of 15% by 5.986 points, it means 3.4 times more. According to the last years data, an average yearly inflation index in Georgia exceeded 3.0 times (7.5% and 2.46%) to USA, and to unemployment rate it exceeded- 2.3 times (13.5% and 5.95%). All of this point out, that Georgia drops back from USA not only by economical development, but also by the low index of economic sustainability and stable development. By this indicator our countries condition is also much wors than our neighbors – Azerbaijan and Armenia.

## EU FORMULATION'S DEVELOPMENT AND LAW OF COMPETITION

**REVAZ LORDKIPANIDZE,**
(Doctor of Economics)

Author develops of EU formulation for stimulation of effective structural changes in practice of economical reforms:

$E = \sum[(Eio+Eit)/2]\Delta ai;$

$i=1;2;\ldots;n$

E – Effectiveness of ecostructural changes in t time;

Eio – Effectiveness of i element of structure for start of t time;

Eit – Effectiveness of i element of structure for finish of t time;

Δai – percent change (:100) of i element of used resource's structure in t time;

i=1;2;…;n – element of structure (branch, region or age group of technique, etc).

This formulation has interesting interpretations in conditions of crisis and if Ee"0.

For stimulation of Reforms' marginal efficiency, author defines The Force of economic competition approximately as The Force of electrical current. The less are output of monopoly and excess (disquality or needless) production, the more is the force of competition.

$I0 = U/R0$ and $I1 = U/R1$

$K = N \times I0 \times I1$

Number of firms – N;

The forces of economic competition – I0 and I1 ;

Total production - U;

Non-realized production - R0;

Output of the largest firm (maybe monopoly) - R1.

## MAIN TRENDS AND PROBLEMS OF STAFF MANAGEMENT OF EDUCATIONAL INSTITUTIONS

**MARINA GEDEVANISHVILI,**
Deputy Rector of Caucasus International University,
Quality Assurance Manager, Academic Doctor of Biology.
**NINO SOZASHVILI**
Full Professor at Caucasus International University,
Academic Doctor of Filology, Doctor of Educational Sciences.

Ongoing democratic reforms in Georgia assigned educational institutions to lead staff politics autonomously or, in other words, to apply to independent implementation of human resource management. The latter exposes a great deal of requirements and huge responsibility to the administration of educational establishments. First of all, these requirements are connected to the development of staff politics; to the search for the ways of the optimal utilization of human resources.

From the perspective of contemporary management improvement of HR utilization is regularly reviewed as a basic reserve of the increase of economic activities and teaching quality. Staff management is of particular significance here and is undoubtedly the wide arena for profound discussions starting from the economic-mathematical modeling up to philosophic-psychological analysis of human interrelations.

Georgian education system is obliged to get involved into the elaboration of implementation methods of new management models and conceptions. We should not regard, American, Japanese or European models to be completed and not needed any more, and thus, we should not dispose them and make up an absolutely new one. We think, we are able to alter them considerably by separating their best features and considering Georgian national traditional behavior.

Our suggestion deserves to be paid a tribute since in almost any contemporary management model the advantage is given to a human and the "behavior" of an object. It is an important factor as behavior of each individual stems from national customs and cultural characteristics and is completely different from one another according to certain factors.

## MAIN ASPECTS OF REAL ESTATE MARKET'S GENERAL MODEL

**ALEKSANDRE SICHINAVA**
**Doctor of Economics,**
**Full Professor of Georgian Technical University**

**SHOTA VESHAPIDZE**
**Full professor of Georgian**
**D.Agmashenebeli National Defense Academy**

**LOID KARCHAVA**
**Doctor of Business Administration,**
**Assosiated Professor of Caucasus International University**

**LALI OSADZE**
**Assistant professor of Georgian**
**D.Agmashenebeli National Defense Academy**

In this article there is discussed formation of real estate market in Georgia, which started from the 90 years of XX century. Real estate market is described generally, and we can define it as economical and legal relations system. It is formed in the basis of goods and money rotation. Real estate market as self-regulative system contains 7 main elements: demand, supply, price, management, marketing, infrastructure and working procedures.

Functions of real estate market are: commercial, informational, pricing, stimulus, competitive, mediators, regulative, investment, social, grounds and other objects distribution.

There is also analyzed real estate market system as a sphere of investment. There is characterized informational infrastructure, data basis formations main sources. And there is given real estate market varieties and classification in pathetic way.

## UNDERSTANDING THE SOCIAL-ECONOMIC JUSTICE

**VASIL KHIZANISHVILI**
**PhD in Economics**

Justice is a basic moral values. Our research object is to clarify the concept of justice in the context of moral, in social-economic issues.

Economic justice explains the main ideas and character of each economic system, which applies to both individuals and public order. As for the concept of social justice, It was established on economic relations as a consequence of social factors of strengthened influence which is possible to understand of only economic relations in the whole complex of research conditions.

## PROBLEMS OF ECONOMICAL AND STEADY DEVELOPMENT OF AN AGRICULTURE IN DAMP SUBTROPICS OF GEORGIA

BADRI GODZIASHVILI,
MARTA CHEBOTAREVA
PHD (agriculture)

Recently, under a pretext ecologization an agriculture, receptions high-qualiti production in publications scientifics of some the countries of the Europe sound appeals to full refusal of application of mineral fertilizers, amplification of a role organic.

Even in Georgia, in damp subtropics where already almost 16-18 years are not application mineral fertilizers, speak about transition to alternative agriculture. Hard times a social background of Georgia to solve questions with alternative agriculture while it is considered untimely.

Combination of mineral fertilizers in the strict ecologically proved specifications with chemical reclamation, application of organic chemistry and its waste alongside with agriores containing different biogenic elements can play a significant role in ecologization and stediness developments of an agriculture in damp subtropics of Georgia.

## COMMERCIAL BANK'S SECURITIES PORTPOLIO

RUSUDAN PPASKIRI
Technique Academic Doctor

In article of RusudanPapaskiri - "The Commercial Banks' Securities Portfolio," is described financial portfolio rule of optimal staffing. In the article states that it should be done only after the securities market of technical and fundamental analysis. Bank's financial manager must comply this job.

In this article are listed conducting of this analysis and evaluation rules of received indices.

In the article is described, that bank's financial manager must to analysis and to appraise emitent's following economical showings; assets profitableness (ROA), common ready ($K_0$), capital's structure ($K_s$) and conform – assets market price/win from the one of share (D/E). The showing of the common ready must not be less of 200%, coefficient of the capital's structure – must not be more of 50%, the showing of the profitabeness must not be more of 15%, and conform D/E – must be more less.

## METHODOLOGY-MRTOGDF ASPECTS OF REGIONAL FINANCIAL-ECONOMICAL DEFENDENCE

ROIN TATESHVILI
Assistant Professor of Akhaltsikhe
State Teaching University

Sharing experience of the international regularity in economical policy and theory of regional development are represented in this paper. To research the regional budget and tax elements, in the regularity of state policy. It is so important to use state policy by foresee the budget-tax mechanism countries will take the great role in the development of state territory.

## BANK MARKETING AS A COMPONENT OF FINANCIAL MARKETING

ნ NATIA BERIDZE
Doctoral Candidate of Georgian Technical University

Effective functioning of the bank and its competitiveness on the market considerably depends on introduction of new banking products and technologies (process) which itself represents innovation.

Marketing is an integral function of management, among them – of financial management. In relation to the certain executable task by marketing, it is defined as the philosophy of production, as a business philosophy, as a system of management of sales and as an approach of strategic decision making.

Financial marketing itself represents systematic approach of investors and sales people towards the management of the process of sale of financial assets and systematic approach of investors and buyers towards the management of accumulation of financial assets.

Bank Marketing – is a process which includes planning of the production of banking product, financial market research, communications set-up, setting prices, organizing the growth of banking products and expansion of bank services.

## TRANS-BORDER COOPERATION OF UKRAINE: RETROSPECTION AND OUTLOOK

MARINA SHUBA
Post-graduate student of Kharkov National University of V.N. Karazin

The basic approaches to analyzing the phenomenon of trans-border cooperation and the most common forms of trans-border cooperation in Europe are considered. The stages of development of cross-border trade of Ukraine during the Soviet era and the forms in which the trans-border cooperation is carried out at present are selected.

The main factors that restrain the development of trans-border cooperation in Ukraine are considered.

The existent recommendations concerning the future development of trans-border cooperation of Ukraine are generalized.

## THE ROLE OF HUMAN CAPITAL IN ECONOMICAL DEVELOPMENT OF GEORIA

SALOME AKHVLEDIANI
The third-year student at Tbilisi State University, Faculty of Economics and Business

In the article – "The role of human capital in economical development of Georgia" there are presented human capital's main point; it's actuality in modern world and role of education in economical growth. It is described various survey results and statistics of international organizations. In the article there are highlighted problems in human resource development in Georgia. The government spends too little money for education, so lack of highly-qualified human resources decline productivity.

There are described several ways to solve the problem of low level development in human resources in Georgia.

For development of Georgian economics there should be designed a correct attitude towards "human capital", as the money spend on education is never lost. Such investments will stimulate a revival of the country. 21st century is recognized as the century of "intellectual capital" and knowledge.

## THE OVERWELMING PROBLEMS OF POVERTY AND THE SITUATION IN GEORGIA

GEORGE ADEISHVILI
The third-year student at
Tbilisi State University, Faculty of Economics and Business

The article briefly discusses poverty and focuses is on the current situation in Georgia. Also there's reviw of UN Development Assistance Framework for Georgia which should help reduce poverty in Georgia. There is alos involved survey results of the World Bank for Reconstruction and Development about the satisfaction of population's living standards. It is considered the poverty level in Georgia in the regional context. Experts think, that "the most effective way to reduce poverty" is a change in methodology for calculating of living age. There is considered government's forecast about the economic growth, and in that respect, the critical opinions of experts. Finally there is review what should be done for the improvement of economic situation and the nation's prosperity.

## CREDIT UNIONS IN GEORGIA

TAMAR JABUA
The third-year student at
Tbilisi State University, Faculty of Economics and Business

At present, the whole financial system and credit unions, in particular, are in the initial phase of their development. The situation that existed in Georgia in the 1990s had a negative impact on their development by creating numerous problems, which eventually resulted in their bankruptcy. Nowadays only eighteen of the former credit unions are functioning.

On the basis of the survey carried out by me it can be stated that the development of credit unions is determined by: Government support ,Relevant laws and regulations Government policy

At the same time, in order to achieve success the credit unions should study the specifics of the local market and the experience of foreign credit unions.

While the credit unions in Georgia have a relatively short history compared to commercial banks, in the countries of Western Europe and in North America they are represented as far more stable financial institutions which turned out to be more resistant to the financial crisis. On the one hand, this is caused by their high liquidity and, on the other, by much bigger transparency and high involvement of members in the activity of credit unions.

## FOREIGN DIRECT INVESTMENT IN GEORGIA

DEMETRE JOKHADZE
The third-year student at
Tbilisi State University, Faculty of Economics and Business

In this article is estimated the necessity of heavy Economics for sustainable development of Georgia, which directly is related to the amount of investments. Is proved the necessity of foreign direct investments about the lack of localsavings. This is caused by the high share of consumption in internal products. For example, in 2009y consumer expenses of whole internal production was 106% in Georgia. Statistical data are given about savings and incoming foreign direct investments. Is discussed the pros and cross of direct investments. Is given the influence of Russian war and crisis on received investments in Georgia, from this foreign investments are equal to 2005 y index. In the article is represented international Rating and Factors of Georgia which subjects on foreign investors.

In this article is viewed access to European market. The annually local consumption amounts 15, 4 billion dollars, which has low value to attract foreign investors. Is offered an opinion about strategic investments, which will be the guarantee for the employment of the citizens of Georgia. Is given the statistics of investment flows and is made its analyze. Is discussed foreign direct investments according to the sectors and is described the necessity in strategic spheres.

## THE REASONS OF INFLATION AND THE WAYS OF OVERCOMING THE ONE

NINO NIKOGOSOV
The third-year student at
Tbilisi State University, Faculty of Economics and Business

In this article it is discussed the reasons of inflation in Georgia and methods, which decline the inflation rate. The methods are used by national bank of Georgia, the government of Georgia and the ministry of financial of Georgia. Inflation rate of Georgia is compared with inflation rate of leading and neighbor countries. It is desired that the government of Georgia work out a program against the inflation. The program should shorten the rate of inflation until it becomes one-cipher mark. For this purpose, the government's budgetary policy must be implemented by the NationalBank of concerted methods developed by the fiscal and monetary policy. The government should take care to balance the budget and reduce the state expenditures. At this stage the use of funds received from foreign debt and attract new investments to reduce the deficit is one way. One of the efficient mechanism is reducing the mass of money in market.

Reduction of inflation for all the steps have to be mutually and thoroughly analyzed, so that it does not lead to paralysis of lending to the economy and stopping economic growth.

## REVIEW OF ECONOMY IN GEORGIA, ARMENIA AND AZERBAIJAN

GIGA KUCHUKHIDZE
The third-year student at
Tbilisi State University, Faculty of Economics and Business

Georgia, Armenia and Azerbaijan are economically and socially depended countries. Also the levels of development of those countries are depended to each other. I think that economical condition of every country has its impact on neighbor countries it is very interesting and actual to speak about economic characteristics of the countries.

It is known, that Armenia and Azerbaijan are in strained relation, but both of them have good relationship with our country. Azerbaijan's trade turnover with Georgia is on the second place after Turkey's one. So economic development of this country will influence on our countries economic growth and sustainable development. Armenian and Georgian people from ancient times are connected not only economically, but also culturally and socially. So development of Armenia seems to be important for Georgia too.

Below I will speak about the economic situation of each country, unemployment levels, income, GDP - and so on. I want to say that GDP is not the major and the best factor for estimating economic situation of each country. We have to look after equal distribution of national income and other economic indicators such as poverty level. Armenia and Azerbaijan have lower genie index than Georgia. It means that the incomes in these countries are more equally distributed and GDP's Growth improves economic conditions of poor people more than in Georgia.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ეკონომისტი

**საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი**
სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

აგრძელებს სტატიების მიღებას შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინებით:

1. **ტექსტი** აკრეფილი უნდა იყოს Word-ში, AcadNucx-ში, შრიფტის ზომა 12, ინტერვალი სტრიქონებს შორის - 1,5, ველების დაშორება მარჯვენა-მარცხენა მხარეს 2 და 3 სმ. შესაბამისად, ზედა და ქვედა – 2,5 და 2,5სმ. ტექსტი უნდა აიკრიფოს გადატანების გარეშე. ცხრილები გადაყვანილი JPEG-ში. სტატიის მინიმალური მოცულობა უნდა იყოს 5 გვერდი A4 ფორმატის.

2. **ავტორის** სახელი, გვარი, სამეცნიერო წოდება და თანამდებობა, საკონტაქტო **კორდინატები,** (ტელეფონები, ელ-ფოსტა), სურათის ელექტრონული ვერსია JPEG-ში;

3. სტატიას უნდა ახლდეს **რეზიუმე** ქართულ და ინგლისურ ენებზე, მოცულობით 120-150 სიტყვა, აკრეფილი შესაბამისად AcadNusx-ში და Times New Roman-ში, შრიფტის ზომა 12. სამეცნიერო სტატიას უნდა დაერთოს გამოყენებული ლიტერატურის სია.

4. სტატია შეიძლება გამოქვეყნდეს **ინგლისურ, რუსულ, გერმანულ და ფრანგულ** ენებზეც. ასეთ შემთხვევაში, ჩვენი მოთხოვნაა, რეზიუმე მოგვაწოდოთ ქართულ და ინგლისურ ენებზე.

სტატიის გამოქვეყნების ღირებულება შეადგენს – ჟურნალის ერთი გვერდი **8 ლარი,** რომელსაც ავტორი გადაიხდის დადებითი რეცენზიის მიღების შემდეგ, ხოლო ჟურნალის ღირებულება – 5 ლარი.

5. სტატიის გამოქვეყნების, ჟურნალის შეძენისა და გამოწერის ღირებულების გადახდა შესაძლებელია შპს "ლოი"-ს ანგარიშზე: საიდენტიფიკაციო კოდი 204439296, ანგარიშის ნომერი GE61HB0000000000713602, სს „ხალიკ ბანკი საქართველო", ცენტრალური ფილიალი, ბანკის კოდია HABGGE22.

ელექტრონული ფოსტა: info@economisti.ge ან info@loi.ge
ტელ: 422 771; 99-05-76; 855 277 554; 895 32 30 34.
**PS.** სტატიების მოწოდება ფურცლებით ან CD-თ აუცილებელი არ არის.

## International Precise and Review Scientific-Practical Magazine

Continues taking articles according to this requests:

1. Text must be gathered in Word, size of AcadNusx font 12, interval between lines- 1.5, borders in right and left side- 3 and 2sm. Also, up and down borders- 2.5 and 2.5sm. Text must be picked up without transferring. Tables should be in JPEC. The minimal size of article is 5pages of A4 format.

2. The first name of author, last name, scientific rank and post, coordinates (telephone number, e-mail), electronic version of photo in JPEC.

3. The article must have reziume in Georgian and English languages. The size should be 120-150 words, it must be picked up in AcadNusx and in Times New Roman, size of font-12. Scientific article must have list of used literature.

4. The article may be published in **English, Russian, German and France** languages. So, it is also our request to prepare reziume in Georgian and Egnlish languages too.

The price of article's publication is- one page of journal 8GL(lari). And auhor will pay this price after getting positive respond. Also, the price of journal is 5GL(lari).

5. The price of publication article, buying journal and subscription fee could be payed in Ltd. "loi's" account: identification code – 204439296, the account number- GE61HB0000000000713602, "Halyk Bank Georgia", central office, bank code HABGGE22.

Our coordinates:

e-mail: info@economisti.ge or info@loi.ge
Tel: 99 05 76; 422 771; 855 277 554; 895 32 30 34.
**PS.** Giving articles with papres or CD-s, is not necessary.

ეროვნული ბიბლიოთეკა


GRANI

Holis-ის ფირმის ფარდა-ჟალუზ

ფერთა ფართო არჩევანი

პლასტმასის

ი. 16/25

მეტალის



ხის

ტილოს

ა.: საქართველო,
ილისი 0112, ცაბაძის 7 (დინამოსთან)
ლ.: 35 77 00

Add.: 7, Tsabad
0112 Tbilisi, G
Phone: +995 32 35